ეროვნული საინფორმაციო
ეზო
N6(139) 6/II.-12/II.2003.ფასი 60 თ.

მარტოხელა დედები ქართული სინამდვილიდან –

F 1224
2003

ორი უჩვეულო ამბავი

ბარლამენტარების, „შავების“ და შიშველი ქალების ცვენა „ბოგილოს აბანოში

ვანიკო თარხნიშვილი: „მე და ჩემი მეუღლე ნარკომანებივით ვკანკალებდით“

რამ აატკინა თამრიკო ჭოხონელიძეს გული

უსიკეთურის მეძებრეობა



„ამ ბავშვს საავადმყოფოში შემოყვანის დროს კლინიკური სიკვდილი ჰქონდა. გული აღარ უცემდა, არ სუნთქავდა. დროის რამხელა მონაკვეთში იყო ბავშვი მკვდარი, ამის დადგენა არ შეგვიძლია...“

გვ. 6

№6 (139)
6 — 12 თებერვალი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ეგდა გვაკლია, მაგათ დაკრულგე ვიცეკვოთ!.. 3
პოლიტიკა
რა ხდება „ახლებში“? 4
ერთი კითხვა 5,8
სენსაცია
როგორ გადაურჩა სიკვდილს ბავშვი, რომელიც უნდა დაღუპულიყო... 6
გემოვნება
„ტუსოვკების“ ოსტატი „ხუთვარსკვლავიანი“ „ფართის“ მოწყობას აპირებს 9
კრიმინალი
● გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო პროცესი პირდაპირ ეთერში გადაიცემა 12
● ადვოკატს თაღლითობაში ადანაშაულებენ 13
● შვიდ განსასჯელს მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის ასამართლებენ 14
● TBC BANK-ს აქციონერები უჩივიან 15
ამბული
თამრიკო ჭოხონელიძე: „ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად მატკინა გული“ 16
მენეჯერი
„პრინციპში, ჩემი დიზაინერი ლელაა...“ 18
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 20
მგზავრული
„ვაგონი მიქრის“ 20
ცხოვრება
მარტოხელა დედები 22
მნვრთნელი
„კინოლოგებს ერთ რჩევას მივცემ: ნუ ამძიმებენ კავკასიურ ნაგაგს!..“ 25
კოლორიტი
პარლამენტარების, „შავების“ და შიშველი ქალების ცვენა „გოგილოს აბანოში“ 28
ლარი ჩვენი არსებისა...
ქვეყნის რიგით მეორე ბანკირი გაგაფხულის მოახლოებით გვაიმედებს 30
სილამაზის სალონი
სპორტული სტრიპტიზი 32
ტაქარი
რატომ ვატარებთ ჯვარს? 34

გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო პროცესი პირდაპირ ეთერში გადაიცემა

მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ალბათ სხდომაზე მომხდარი ინციდენტიც დაედო საფუძვლად: მოწმემ — მალხაზ ხვედელიანმა კორესპონდენტს, თიკო ფეიქრიშვილს ხელი გაარტყა. ხვედელიანის ასეთი რეაქცია მოჰყვა ჟურნალისტის შეკითხვას — მან ჩაუშვა თუ არა გრიცკო?

12

„ტუსოვკების“ ოსტატი „ხუთვარსკვლავიანი“ „ფართის“ მოწყობას აპირებს

მახსოვს შემთხვევები, როცა შინ მივუყვანივარ მეგობრებს და დავუგდივარ, ისეთი მთვრალი ვყოფილვარ. ახლა კი, ვეღარ ვეკონტაქტები მთვრალ კაცებს. ქალი უფრო ასაგანია, რადგან ქალი, როცა თვრება, ის ბედნიერი ხდება. ამიტომ არ მაღიზიანებს — პირიქით...

9

მარტოხელა დედები

ჩემი რესპონდენტი 38 წლის ქალია. ერთი შვილი ჰყავს. მინდა გითხრათ, რომ მაშინაც, როცა მის მონათხრობს ვისმენდი და მაშინაც, როცა ამ ამბავს ვწერდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

„ათი წლის წინ, ერთი არაჩვეულებრივი მამაკაცი შემიყვარდა...“

22

თამრიკო ჭოხონელიძე: „ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად მატკინა გული“

— ხმამაღლა ვაცხადებ, რომ აბსოლუტურად არ მჭირდება ასეთი პოპულარობა! არ ვეკუთვნი ადამიანების იმ კატეგორიას, რომელიც ამბობს — თუ ჩემზე ჭორების გავრცელება შეწყდა, ე.ი. ჩემი პოპულარობა დამთავრდაო.

16

რეკორდსმენი

რეზო პაპას გმირული წარსული და სამი ჩირაღდნით გადაცურული მტკვარი 35

ტესტი

ერთგული მკითხველი 37

ვარსკვლავები

ცოლმა სტალონეს ყველა საყვარლის ყოლა აპატია 38

სპორტული მოზაიკა 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42

სიყვარული

მშვენიერი კოჭლი ქალბატონის სევდიანი რომანის ამბავი 46

ავტო 48

სპორტის ლეგენდა

უეხბურთის კოჭლი კორიფე, რომელმაც საკუთარი თავის ფასი არ იცოდა... 50

ეკრანს მიღმა

- როგორ გაიყვეს კიმმა და ალეკმა შვილი 52
- მალე რიჩარდ გირი მრავალშვილიანი მამა გახდება 52

საუნჯე

გოგონების როლის გაკლიერებით ანსამბლში კონკურენცია გაჩნდა 53

ბომონდი 54

ჯანმრთელობა

- სეზონური დაავადება 56
- ჩხუბი ორგანიზმს ვნებს 57
- ბუნების ნობათი 58

ბაზარი

საქსტანდარტი გვაფრთხილებს: სავაჭრო ქსელში უვარგისი პროდუქტები იყიდება! 59

სახალისო ფსიქოლოგია

კოცნა – საუკეთესო ტესტი შეთავსებადობის გასარკვევად 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (10-16 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

რას ნიშნავს თქვენთვის ფული? 63

კალეიდოსკოპი

ჭელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„პინოლოგებს ერთ რჩევას მივცემ: ნუ ამაკიმებენ კავკასიურ ნაგაზს!..“

ეროსის შოკოლადი მოჰქონდა ხოლმე მისთვის. ჯინა დაინახავდა თუ არა, მისკენ გაიქცეოდა. მთელი დღის განმავლობაში ისმოდა ეროსის კოლორიტული ხმა: „შეხედეთ, კაცო, მთლად ადამიანივით არ არის?! რა თვალები აქვს!“

25

ცოლმა სტალონეს ყველა საყვარლის ყოლა აპატია

„მან თვალის დახამხამებაში შემოიძარცვა ტანსაცმელი და ჩემ წინაშე შიშველი წარდგა. თავი ველარ შევიკავე და დავუსტვინე!.. სლაიმ ისეთ დაუცხრომელ მამაკაცებსაც კი გადააჭარბა, როგორებიც მიკ ჯაგერი, ჯეკ ნიკოლსონი, უორენ ბიტი და დოლფ ლუნდგრენი არიან!“

38

რეზო პაპას გმირული წარსული და სამი ჩირაღდნით გადაცურული მტკვარი

პასუხს აღარ დაველოდე – ტანსაცმელი გავიხადე და ანთებული ჩირაღდნებით მტკვარში გადავეშვი. ბაბუ, რას აკეთებ? დაიხრჩობიო! – ყვიროდნენ ნაპირიდან. მეორე ნაპირამდე გადავცურე. უკან რომ ვბრუნდებოდი, ნავი დამეწია.

35

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები



მოსაყოლი ბევრი აღარაფერია... იმ მანქანაში, დედაჩემის და ნიას გარდა, კიდევ ოთხი ადამიანი იჯდა... მარტო დედაჩემი დაიღუპა... ნია საშინლად იყო დამტვრეული. ექიმებმა, რომ იტყვიან, ხელახლა ააწყვეს.

42

ეგლა გვაულია, მაგათ დაკრულზე ვიცეკვით!..

რომ გავიგე, კიევში თანამეგობრობის ქვეყნების სამიტია დაგეგმილიო, პროვოკატორისათვის დამახასიათებელმა ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, პრეზიდენტს დავკავშირებოდი და გულის დასამშვიდებლად, მის მზადყოფნაში დავრწმუნებულიყავი. პრეზიდენტის „ცხელ ხაზზე“ ტელეფონის ზარი არ წყდება, მაგრამ მაინც დავრეკე და ქალის ნაზმა ხმამ მიპასუხა: „ტელეფონი გამორთულია დავალიანების გამო!..“ – მიწა გამსკდომოდა ფეხქვეშ, ის მერჩია, მაგრამ ბეტონის სინკარზე ვიდექი და ჩემი ნატვრა აუხდენელი დარჩა. მალე უსაზღვროდ გავიხარე, რადგან თურმე, ნომერი შემშლია. ხელახლა ავკრიბე და ავტომოპასუხე მისი მშვიდი ხმით გამესაუბრა:

– ბატონო პრეზიდენტო, როდის დაიფარება პენსია-ხელფასების დავალიანება?

– მალე, ძალიან მალე...

– ეკონომიკას მალე ეშველება?

– კი, მალე, მალე...

– იქნებ, ისიც მითხრათ: როდის დავიბრუნებთ აფხაზეთს?

– თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი... თქვენ არასწორად აკრიბეთ ნომერი...

...სწორედ ეს უპასუხოდ დარჩენილი კითხვა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმ არაფორმალურ სამიტზე, რომელიც ფორმალურად ჩატარდა. წასვლისას უკმაყოფილო ქართული დელეგაცია, როგორც ყოველთვის, კმაყოფილი დაბრუნდა, რადგან ქვეყნის პირველ პირს სიტყვაც არ დაუსველებია ამ შეხვედრაზე, მაგრამ დუმილით გააკეთა იმაზე მეტი, რასაც მისი СНГ-ელი კოლეგები დებატებითაც ვერ აკეთებენ. ამ დუმილით მივაღწიეთ იმას, რომ პუტინმა უარი ვეღარ გაგვიბედა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფ სამშვიდობო ძალებს ივლისამდე გაუგრძელდათ მანდატი. აბა, რა ეგონა?! პუტინი ასწავლის ჩვენს პრეზიდენტს პოლიტიკას? მაგი რომ მსოფლიო დონის პოლიტიკოსებში იჩითებოდა, პუტინი მაშინ კასპის ტალახს ზელდა შიშველი ფეხებით. ა, ამაზეა ნათქვამი – ბებერი ხარის რქაც ხნავსო... ჰოდა, რქით მოხნულსა და ჩლიქით დათესილს ვიმკით სწორედ.



სამიტზე ხელახლა გადანაწილდა „თანამეგობრობაში“ მყოფი ქვეყნების ფუნქციები და ისიც ხაზგასმით ითქვა, რომ СНГ არის ერთი მთლიანი ორგანიზმი, მასში შემავალი სახელმწიფოები კი, ამ ორგანიზმის жизненно важные ორგანოები არიან: თავი – რა თქმა უნდა, რუსეთი გახლავთ, გული – უკრაინა, ტაჯიკეთ-ყაზახეთი ხელების ფუნქციას ასრულებს, სომხეთი და აზერბაიჯანი ფეხები არის, ხოლო ჩვენს ქვეყანას, როგორც ამ ორს შორის მყოფს, ცოტა უხერხული როლი კი ხვდა წილად, მაგრამ არა უშავს – სამაგიეროდ, СНГ-ს კაცობა ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

პრეზიდენტს სოლიდარობა გამოუცხადა ჩვენმა წარმომადგენელმა გაეროში, რევაზ ადამიამ და გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე მანაც მდუმარე აქცია მოაწყო. როგორ არ ეხვეწა და ემუდარა ის „შავგვრემანი“ კაცი, კოფი ანანი – გამოდი, თუ ძმა ხარ, თქვი რაღაცაო! – მაგრამ ქართულმა პრინციპულობამ თავისი გაიტანა. არა, ბიჭო, მაგის დაკრულზე ვიცეკვებთ, არ უნდათ?!. ჯერ მარტო, მისი მიმდევარი რომ გახდე, როგორც ლენინისტები და მარქსისტები იყვნენ, ისეთი უხერხული გვარი აქვს, რომ „კოფიანანისტი“ უნდა გერქვას. მოდი და მიჰყევი ახლა ასეთი გვარის კაცს!

რა გვჭირს მაგათი შესახვეწი? ჯერ მარტო დაპირებებით ვირჩენთ თავს ერთი, ხუთი წელიწადი. ამასობაში სულ ავჩეხთ, რაც ვაზისა და ხილის ბაღები გვაქვს და იმ დალოცვილ მცენარეს მოვაშენებთ, რიცინი რომ ჰქვია და ოქროდ რომ ფასობს თურმე ტერორისტების მსოფლიო ბაზარზე. სწორედ რიცინი გახდება ჩვენი ქვეყნის სიამაყისა და ბარაქის სიმბოლო, მასზე დაიწერება ლექსები, შეიქმნება სიმღერები და შეიძლება, დროშასაც მივახატოთ, რომელიც მაინც არ „ეხატება“ ბევრს გულზე.

მოკლედ, სანამ ჩვენი პოლიტიკოსები საერთაშორისო არენებზე მრავლისმთქმელად დუმდნენ, არაფრისმთქმელად ხმაურობდნენ ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლები. ცელქი დეპუტატების ხმაურისაგან ყურთასმენაწაღებულ სხდომათა დარბაზში ძლივს მოხერხდა 2003 წლის ბიუჯეტის მეორე მოსმენის მოსმენა დევიზით:

„შენ დოლარ-დოლარ გაგიტანეს საქართველოდან,

ქართულო ლარო, ალბათ მიტომ დაპატარავდი!..“

გამეორება ცოდნის დედაა, თორემ, რა იყო აქ მეორედ მოსასმენი? მთელი საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი ითვლებოდა და ანგარიშდებოდა ხის კოჭებიან „ჩოთქზე“ და ამ კომპიუტერულ ხანაში, რა გახდა ჩვენი ბიუჯეტი ამსიმსხო, რომ ვერ გაეყოთ? ჰოდა, გადანაწილდა, როგორც იქნა, და რასაც გასწვდა მაგ გაჭირვებული, ცოტა-ცოტა ყველას უწილადეს, ყველას არგეს და იმაზეც შეთანხმდნენ, რომ მკაცრი კონტროლი დაწესებულიყო თანხების ადრესატებამდე მისვლაზე, თორემ, თუ ისევე გაგრძელდა სახელმწიფო ხაზინაში ხელების ფათური, ხელში მოსაყოლიც აღარაფერი დარჩება.

P.S. ჩვენი ქვეყნის ცარიელ ჯიბეში მოფათურე ხელებზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა:

მეტროში მგზავრობისას კაცმა ჯიბეში ხელის ჩაყოფა იგრძნო. შემობრუნდა და ლაწირაკი ჯიბგირი შერჩა.

– ვის უყოფ ჯიბეში ხელს, შე მათხოვარო?!

– მე ვარ მათხოვარი? – არ შეეპუა „კარმანშჩიკი“. – ექვსი ჯიბე გაგიჩითე და ლარიანი ვერ გიპოვე ვერც ერთში, შე, მართლა მათხოვარო!..

ა, ზუსტად ასეა ჩვენი საქმე. მაგრამ გული არ გაიტეხოთ! აგერ არა გვაქვს რიცინი?!.

პროვოკატორი

რა ხდება „ახლებში“?

ირაკლი ბათიაშვილის „საბიუჯეტო ღალატის“ შემდეგ, „ახლების“ ოფისის დარბევა მოხდა. არსებობს თუ არა კავშირი ამ ორ მოვლენას შორის? თავიანთ პოზიციებს გვიზიარებენ: „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, დავით გამყრელიძე და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი ბათიაშვილი.

ნანა ქიბიშაური

დავით გამყრელიძე:

— ძალიან ხშირად მეკითხებიან — რა კვალიფიკაციას ექვემდებარება ის, რაც ჩვენს ოფისში მოხდა? ეს იყო შინაპარტიული გარჩევა თუ ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ქმედება? ის ფაქტი, რომ დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში რამდენიმე შეიარაღებული პირი ბედავს პარტიის ოფისზე თავდასხმას, ნიშნავს იმას, რომ მათ ხელისუფლებისგან ფარული თანადგომის იმედი აქვთ. დღეს უკვე დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ შეიარაღებული პირები ნამდვილად არ იყვნენ ჩვენი პარტიის წევრები. ისინი ირაკლი ბათიაშვილის სახელს ახსენებდნენ და აცხადებდნენ, რომ მათი მოსვლის მიზეზი, პარტიიდან მისი წასვლა იყო. ალბათ მალე გაირკვევა, ვინ გამოგზავნა ისინი ჩვენთან — ბათიაშვილის პარტიიდან წასვლა მხოლოდ საბაბი იყო, თუ თავად ბათიაშვილია ამ საქმეში გარეული. ირაკლის მხრიდან ბიუჯეტისთვის ხმის მიცემა ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგია. კომიტეტის თავმჯდომარეობა მას სხვა პასუხისმგებლობას აკისრებდა, პარტიის თანათავმჯდომარეობა კი — სხვას. მან არჩევანი კომიტეტის თავმჯდომარეობის სასარგებლოდ გააკეთა. კატეგორიულად უარვყოფ მოარულ ხმებს ჩემსა და ბათიაშვილს შორის რაღაც უთანხმოების შესახებ. ჩვენ შორის არანაირი წყენა არ ყოფილა. ჩვენ ერთად ვიყავით ისრაელში არჩევნებთან დაკავშირებით წასულები და ბიუჯეტის შესახებ ჩვენი განსხვავებული პოზიციები იქ გამჟღავნდა. როდესაც კონკრეტულად ამ საკითხზე ვილაპარაკეთ, ირაკლიმ თავისი არჩევანის შესახებ (რომ ამ ეტაპზე კომიტეტის თავმჯდომარეობა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია) განაცხადა. მან გადაწყვეტილება აბსოლუტურად მშვიდ ვითარებაში მიიღო და ამას თან ახლდა შეთანხმებაც, რომ პროცესი ყოველგვარი შეხლა-შემოხლისა და საქმის გარჩევის გარეშე ჩაივლიდა. მე არ მაქვს სურვილი, რომ მომხდარის გამო პასუხისმგებლობა ბათიაშვილს დავაკისრო. პასუხი უნდა აგოს ხელისუფლებამ, ყველამ, ვინც საშუალებას აძლევს შეიარაღებულ ადამიანებს, ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი არ აგონ. არის კიდევ ერთი საკითხი. პირველი კომენტარის გაკეთებისას მე ვთქვი, რომ დარბევამდე ერთი დღით ადრე, ამ აქტის ორგანიზატორებმა დარეკეს მასმედიის ორგანოებში და აცნობეს მათ მოსალოდნელი დარბევის შესახებ. ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება და შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გამოიძიონ — ვინ გააფრთხილა მედია, ვის ინტერესებში შედიოდა ეს ყველაფერი. ვინც პრესა გააფრთხილა, სწორედ მან მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ვინც ჭკვიანად არ იქნება, ყველას იგივე ბედი ელის, რაც ჩვენ გვხვდა წილად. ინციდენტის შემდეგ, მე ვესაუბრე ჩვენს ოფისში ბათიაშვილს. ის მარწმუნებდა, რომ თვითონ არაფერ შუაშია. მითხრა: შეურაცხყოფილი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ პრესაში ბინძური კამპანია ამიგორესო. მეც ვუპასუხე: ეს პროვოკაცია თავიდანვე დაგეგმილი იყო მათ მიერ, ვის ბიუჯეტსაც მხარი დაუჭირე და შენც მათ აგიგორეს პრესაში ბინძური კამპანია-მეთქი... ჩემი აზრით, ეს იყო იმის მოსინჯვა, თუ რა რეაქცია ექნებოდა მსგავს შემთხვევაში ხალხს, რა დონეზეა დასაშვები ძალადობის დემონსტრირება. იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მიაღწია სახელმწიფო მინისტრმა ბიუჯეტის გატანას, რა ფორმები და მეთოდები გამოიყენა (ძალადობა, შანტაჟი, მუქარა), ჩემთვის უკვე ნათელი იყო, თუ რა სამოქმედო გეგმა ექნებოდა ხელისუფლებას არასასურველი და მისთვის მიუღებელი, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ. მაგრამ მათი ნებისმიერი მცდელობა უშედეგოა და თავიდანვე განწირული, რადგან ჩვენ არ შევშინდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ დემოკრატიის დასამკვიდრებლად და ძალადობის აღსაკვეთად.

ირაკლი ბათიაშვილი:

— მე ვიყავი პირველი, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. ეს ყველაფერი ჩემთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო. მითხრეს, რომ ჩემმა გვარ-სახელმა გაიჟღერა და ძალ-ღონე არ დავიშურე, რომ სიტუაცია განმემუხტა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მე იქ იარაღიანი ხალხი — ნაცემი, დაჭრილი და დამწვარი — არავინ მინახავს. ის, რაც „ახლების“ ოფისში მოხდა, ჩემი დისკრედიტაციისკენაც არის

მიმართული. აქამდე, ჩემთვის თავზე ლაფის დასხმის მცდელობა ტელევიზიით მოხდა. ახლა კი, ეს ინციდენტიც დაერთო. ყველაფერ ამაზე კი ჩემი რეაქცია ასეთია: მე წამოვედი „ახალი მემარჯვენეებისგან“ და მოვდივარ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდანაც. არასოდეს ვყოფილვარ თანამდებობაზე გაგიჟებული კაცი და არც ვიქნები. „ახლებიდან“ ჩემი წამოსვლის მიზეზი გახდა ის, რომ საკუთარ პარტიაში დევნილი გავხდი. ყოველთვის დევნილი და დისიდენტი ვიყავი, ვერც ამჯერად ავცდი ამას. „ახლებთან“ ჩემი ურთიერთობაც, ბიუჯეტისთვის ხმის მიცემის შემდეგ გართულდა. თან ამას ისეთი საზიზღარი ფონი მიეცა... ამბობდნენ – ბათიაშვილი გააძევესო... რას ვაპირებ სამომავლოდ? ჯერჯერობით, არ ვიცი. ვიცი ის, რომ სხვადასხვა პარტიაში მოგზაურობას არ დავიწყებ. „ახლების“ ოფისზე თავდასხმა მოხდა იმის გამო, რომ არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ჩემს პარტიიდან წასვლას. პარტიის წარმომადგენლებმა (სხვათა შორის, ყველა ის პირი, ვინც მაშინ ოფისში იმყოფებოდა, პარტიის წევრია) მიიჩნიეს, რომ მე გამრიცხეს. თუმცა საერთოდ, ჩემი თემა არ ყოფილა მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი. ისინი საუბრობდნენ იმაზე, რომ პარტიაში ბევრი რამ არასწორად კეთდება და პარტიის ხელმძღვანელის მისამართითაც გამოთქვამდნენ პრეტენზიებს. რაც შეეხება შეკითხვის იმ ნაწილს – ვნანობ თუ არა, რომ ბიუჯეტს მივეცი ხმა? – გიპასუხებთ: მე სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. რა უნდა მექნა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, როდესაც ამ ბიუჯეტით, ჩემი კომიტეტის დაქვემდებარებაში შემავალი უწყებების დაფინანსების თითქმის ორჯერ გაზრდის შანსი გაჩნდა? ამის პრეცედენტი ხომ ჯერ არ ყოფილა! განა მე, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, არ უნდა მიმეცა ხმა ასეთი ბიუჯეტისათვის?! ჩემი მხრიდან ეს ძალიან ფუქსავატური საქციელი იქნებოდა. მე ამოვედი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და ისე მივიღე ეს გადაწყვეტილება. რა სჯობს – თავდაცვის კომიტეტი, რომელსაც იზოლაციაში მყოფი თავმჯდომარე ჰყავს თუ ისეთი კომიტეტი, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ბერკეტები? გადაწყვეტილების მიღებაში პიროვნულად თავისუფალი ვარ და ვეცდები, ეს თავისუფლება ბოლომდე შევინარჩუნო...

■

„მხოლოდ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდება აფხაზეთის დაბრუნების რეალური შანსი“

— რა შთაბეჭდილებით დაბრუნდით ჩრდილოეთ ირლანდიიდან, სადაც ქართველებსა და აფხაზებს შორის არაოფიციალური შეხვედრა გაიმართა? გვაქვს თუ არა რეალური მხარდაჭერა დასავლეთიდან და ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ რუსეთი ერაყის პრობლემით ისარგებლებს და უარესად შემოგვიტევს?..

აკაკი ასათიანი, *„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი:*

— ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ აფხაზებს ნამდვილად აქვთ ჩვენთან ერთი-ერთზე მოლაპარაკების გამართვის სურვილი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რუსეთის სახით უფრო მეტი გარანტიის მომცემ ძალას ხედავენ. თუმცა, ესეც ჩვენი „დამსახურებაა“ – ჩვენ მივიყვანეთ საქმე აქამდე... აფხაზები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენ პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას ვეძებთ. დარწმუნდებიან და პრობლემაც მოგვარდება. დასავლეთმა აქტიურად რომ დაგვიჭიროს მხარი, ამისთვის აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს. ბუშიც თავის წერილში მხოლოდ ამას ითხოვს. თუ ხელისუფლება ობიექტურ არჩევნებს არ ჩაატარებს, მაშინ ციხეში წასვლა მოუწევს. მხოლოდ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდება აფხაზეთის დაბრუნების რეალური შანსი. ამ პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი გზით შეიძლება. არ არის სწორი, რომ ყველაფერს რუსებს ვაბრალებთ. სამშვიდობოები ვისი თხოვნით დადგნენ აფხაზეთში? დღემდე, ვინ უგრძელებს მათ მანდატს? ვინ შემოიყვანა ეს ხალხი საქართველოში – ხომ ყველამ ვიცით?! ახლა რას ვითხოვთ ამერიკისგან – გადადოს ყველა საქმე და საქართველოს შეაკლას თავი?! რუსეთი იმას აკეთებს, რის ნებასაც ჩვენ ვაძლევთ. აფხაზები ქართული პასპორტების დარიგებას ითხოვდნენ – რატომ არ მივეცით? დაველოდეთ, რუსები როდის მისცემდნენ, რომ მერე, ერთი ამბავი აგვეტეხა?.. რაც შეეხება საკითხს – ხომ არ ისარგებლებს რუსეთი ერაყში განვითარებული მოვლენებით და უარესად ხომ არ შემოგვიტევს – დღეს ისეთი ურთიერთობაა რუსეთსა და ამერიკას შორის, რომ ვერ შემოგვიტევს. ამერიკა ჩვენ არ დაგვთმობს, მაგრამ ჩვენს გასაკეთებელსაც ვერ გააკეთებს. ამერიკის უნიკალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანობის საფუძველზეა აგებული – უსამართლოდ ჩვენს თავს არავის დაარაგვრინებს, მაგრამ შიდა ურთიერთობების მოგვარებაში მონაწილეობასაც არ მიიღებს. დღეს ყველაზე მეტად რუსს არ აძლევს ხელს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. იმიტომ, რომ ეს ჩეჩნეთისთვის პრეცედენტი იქნება. ამიტომ, რუსეთი ეცდება, დღეს არსებული მდგომარეობა შეინარჩუნოს. კიდევ ერთი საკითხია: დიტერ ბოდენის დოკუმენტი ქართველებმა აფხაზებზე მეტად აგინეს. ამ ფაქტის შემდეგ, პირადად მე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დღეს, ქვეყანას ის ადამიანები მართავენ, რომელთაც პოლიტიკის არაფერი გაეგებათ...

■

დიღმის ბავშვთა მეორე რესპუბლიკურ საავადმყოფოში სენსაცია მოხდა. ხუთი წლის ბიჭუნა, რომელიც წყალში ჩავარდა და დაიხჩრო, რეანიმაციის განყოფილებაში უსულო მდგომარეობაში მიიყვანეს. ექიმების ერთსაათიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად, გული ამუშავდა. ახლა პატარა მახუნას გადაწყვეტილი აქვს, მადლობის ნიშნად ექიმებს თავისი საყვარელი სიმღერები უმღეროს...

როგორ გადაურჩა სიკვდილს ბავშვი, რომელიც უნდა დაღუპულიყო...

ლელა ჭანკოტაძე

რეანიმაციის თანამშრომლები გახარებულები არიან. მათი თქმით, ეს უნიკალური შემთხვევაა. მალხაზ ფირიაშვილი სოფელ დიღომში ცხოვრობს. ის თავისი მშობლების ერთადერთი შვილია. დედა – 24 წლის ნათია ტუშური ჯერ ისევ დაბნეული და შეშინებულია. წყალში ჩავარდნილი ბავშვი სწორედ მან და მისმა დედამთილმა, ქალბატონმა გულიკო ფირიაშვილმა იპოვეს. როგორც საავადმყოფოში მითხრეს, ერთიანად გალუმპულ ბავშვს მთელ ტანზე სილა და ბალახები ჰქონდა მოდებული. ვენაში ნემსი რომ შეჰყავდათ, სისხლი აღარ გამოსდიოდა – გაყინული იყო.

ლამარა მინაძე, ექთანი:

– სიცოცხლის არანაირი ნიშანი არ ჰქონდა, გული არ უცემდა; გაყინული, გაშავებული და გაცივებული იყო. ტანსაცმელს გზადაგზა ხდიდნენ... თვრამეტი წელია აქ ვმუშაობ და ასეთი შემთხვევა არ მქონია, არც მსგავსი არაფერი გამიგონია.



ექიმი გია ნიჟარაძე

ერთხელ ტელევიზორში, „დისქავერიზე“ აჩვენეს ერთადერთი შემთხვევა, როცა ბავშვი გაყინულ წყალში ჩავარდა და დაიხრჩო; 15 წუთის შემდეგ ამოიყვანეს. გადარჩა. ალბათ მახუნა მეორე ასეთი ბავშვია... ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა, რომ მოიყვანეს. მთელი სოფელი აქ მოგროვდა. მისი პატრონები, შეშინებულები იხვეწებოდნენ: გვიშველეთ, გადაარჩინეთ, დაგვეხმარეთო. ჩვენი თანამშრომლების უმეტესობა ტიროდა, ყველას ეცოდებოდა...

— როგორ ჩავარდა ბავშვი აუზში? ვინ იპოვა?

გულიკო ფირიაშვილი, მალხაზის ბებია:

– ძალიან ცელქი ბავშვია, მოუსვენარი... დედამისმა მალე მოიკითხა. რომ დაუძახა და ხმა არ გასცა, ძებნა დაუწყო. მახუნას უყვარს ასანთით თამაში. მაშინვე ვიფიქრეთ: ასანთი აიღო და სადმე დაიმალა-თქო. ეზო შემოვიარეთ, ვერსად ვნახეთ. ეზოში სარწყავი აუზი გვაქვს, წყლით სავსე. დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის იქნება. ჩემმა რძალმა შიგ ჩაიხედა თუ არა, ბავშვი დაინახა. ატეხა წივილ-კივილი. არ ვიცით, როდის ჩავარდა. ჩემი შვილი – მახუნას ბიძა – გადახტა წყალში და ამოიყვანა. თავდაყირა დავკიდეთ; სანამ მანქანა დაქოქეს, ჰაერსაც ვუბერავდით პირში... მეზობელს დაუნახავს: მახუნა ღობეზე მდგარა; მერე ალბათ გადავარდა და პირდაპირ აუზში ჩავარდა.

— იმედი დაკარგეთ, რომ გადარჩებოდა?

– ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. გვეგონა, რომ მკვდარი იყო. ექიმებს უთქვამთ კიდეც: ტყუილად ვაწვალებთ – აღარაფერი ეშველებაო. მაგრამ გია ექიმი არ მოეშვა. სასწაულიც მოხდა... ვიღაცამ დაიყვირა: პულსი ვიპოვეო! მაშინ ვთქვი: გვეშველა-მეთქი. ამის მერეც, არანაირი შეგრძნება არ ჰქონდა. გაუნძრევლად იწვა საწოლში. მეორე დღეს, მასთან მამამისი მივიდა. ფეხის გულზე თითები მოუსვა. მახუნამ ფეხის თითები გაანძრია. შემდეგ, ხელზე მოჰკიდა ხელი. ბავშვმა თითები მოუჭირა. მამამისმა თქვა: ჩემი შვილი ისევ ჩემთან იქნებაო... მესამე დღეს, თვალები გაახილა. ჰკითხეს: რამდენი წლის ხარო? ხელი ასწია და ხუთი თითი უჩვენა. ეს ნამდვილი სასწაული იყო...

— ადვილი წარმოსადგენია, როგორი შეშინებულები იქნებოდით...

– ყველანი სველები ვიყავით. აქ შეშლილებივით მოვცვივდით. მთელი ღამე არავინ არ მიგვატოვა. გია ნიჟარაძეც ჩვენსავით ნერვიულობდა. ამბობდა – გული კი ავამუშავე, მაგრამ მეშინია, ტვინმა ან ფილტვებმა არ მიმტყუნოსო... ამ ხალხმა ჩემს შვილიშვილს სიცოცხლე აჩუქა... იცით, როგორი შეშინებულები ვიყავით?! მამამისი შინ არ იყო. როცა შეატყობინეს, აქ მოვარდა. დერეფანში ცუდად გახდა – გული წაუვიდა. ცოლმა რომ დაინახა ქმარი ასეთ მდგომარეობაში, სულ მთლად სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაუვიდა გული...

გია ნიჟარაძე, განყოფილების გამგე:

– ამ ბავშვს საავადმყოფოში შემოყვანის დროს კლინიკური სიკვდილი ჰქონდა. გული აღარ უცემდა, არ სუნთქავდა. დროის რამხელა მონაკვეთში იყო ბავშვი მკვდარი, ამის დადგენა არ შეგვიძლია, რადგან მშობლებმა, როცა თვალთახედვის არიდან დაკარგეს, მერე დაუწყეს ძებნა. როცა იპოვეს, ის უკვე წყალში იყო ჩავარდნილი და დამხრჩვალი. რამდენი ხანი მოუნდნენ მის წყლიდან ამოყვანას და აქამდე მოყვანას, ესეც დაზუსტებით არ შემიძლია გითხრათ. თუმცა, საკმაოდ ხანგრძლივი დრო გავიდა. აქაც, დიდხანს ვცდილობდით გულის ამუშავებას, რეანიმაცია 40 წთ მაინც გრძელდებოდა. ეს დრო ძალიან დიდია, ასეთ შემთხვევაში, უფრო ხშირად, თავის ტვინში შეუქცევადი პროცესები ვითარდება. ამჯერად, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— რამდენ პროცენტს შეადგენს ასეთ დროს გადარჩენის შანსი?

– 99 პროცენტი, ცოტა მეტიც კი,

მსგავს შემთხვევაში, ბავშვის დაღუპვით მთავრდება. უცხოურ სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია ორი ანალოგიური შემთხვევა, როცა ბავშვი გამოვიდა მდგომარეობიდან, მაგრამ ორივე, ყინულიან წყალში იყო ჩავარდნილი. ჩვენს შემთხვევაში, ყინვა კი იყო, მაგრამ წყალი არ გახლდათ ყინულიანი.

— ცხადიაა, თქვენს პრაქტიკაშიც მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა.

— არა, არასდროს. დამხრჩვალი ბავშვი საავადმყოფოში აღარ მოჰყავთ ხოლმე. საერთოდ, ასეთი შემთხვევები უკეთესად მაშინ მთავრდება, როცა პირველადი დახმარება ბავშვს ადგილზე უტარდება.

— საავადმყოფოდან მალხაზი აბსოლუტურად გამოჯანმრთელებული გაეწერება?

— კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოკვლევამ უჩვენა, რომ მას მნიშვნელოვანი დარღვევები არ აღენიშნება.

— მალხაზის გადარჩენა ექიმების წარმატებას უფრო უნდა მივაწეროთ თუ უბრალოდ, ეს ბავშვი ალმოჩნდა იღბლიანი?

— იღბალიც აუცილებელია და ექიმების ღვაწლიც დიდია. პირველმა ანალიზებმა, რომელიც ჩვენთან გაუკეთდა, ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა. ამ ბავშვის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ნინო ჟანიშვილი, მკურნალი ექიმი:

— ჩემს პრაქტიკაში წლების წინ, იყო შემთხვევა, როცა თორმეტი წლის ბავშვი შემოიყვანეს ღამის საათებში. ისიც სოფელ დიღმიდან გახლდათ. სამწუხაროდ, დაიღუპა. ფირიაშვილი არც ერთ ჩვენგანს არ მიგვიტოვებია, მის გადასარჩენად ბოლომდე ვიბრძოლეთ. 40-50 წუთის მანძილზე, კლინიკური სიკვდილი ჰქონდა. ამის შემდეგ აღდგა გულის მუშაობა. გული კი შეიძლება აამუშაო, მაგრამ თუ ტვინის ქსოვილი უკვე მკვდარია, საბოლოოდ, ადამიანი მაინც დაიღუპება. ამიტომ რეალურად, მხოლოდ ორი დღის შემდეგ შევძელით მის გადარჩენაზე ლაპარაკი, როცა ტვინის ქსოვილის სურათი სასიკეთო აღმოჩნდა...



პაგარა მახუნა ბებიასთან ერთად

— ბავშვმა როდის დაილაპარაკა?

— ოთხი დღის შემდეგ, როცა ხელოვნური სუნთქვის აპარატი გამოვურთეთ. ეს შემთხვევა ნამდვილად განსაკუთრებულია... ■

britaneTSi bavSvisas Roris uflebebi gauTanabres



ბრიტანელი ფერმერები ვალდებულნი არიან, მიღებიდან 90 დღის განმავლობაში შეასრულონ გარემოს დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტის ინსტრუქციები, სადაც მითითებულია, რომ მათ ფეხბურთის, კალათბურთის ბურთები და სხვა სათამაშოები უნდა შეიტანონ საღორეებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერმერებს 1.000 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა ან სამთვიანი პატიმრობა ელით. ბრიუსელში მიღებული წესები და დირექტივები ამიერიდან ინგლისშიც უნდა დამკვიდრდეს. გაზეთ Times-ის ცნობით, „ბრიტანელმა ფერმერებმა ღორებისთვის სათამაშოები უნდა შეიძინონ, რათა მათ თავი ბედნიერად იგრძნონ და ერთმანეთის ლოღნას ანებონ თავი“. ღორების ვეტერინარული საზოგადოების ყოფილი პრეზიდენტის, მარკ უაიტის თქმით, „ღორებს აქვთ ერთმანეთის ლოღნის მავნე ჩვევა და ეს მათი მოვლის პირობებზე სულაც არ არის დამოკიდებული. ხშირად ისინი ერთმანეთის კუდებსა თუ ყურებს ლოღნიან. ამიტომ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი სათამაშოებით შეიქცევენ თავს და ერთმანეთის ლოღნას გადაეჩვევიან“. ინსტრუქციის მიხედვით, ფერმერებმა მწყობრიდან გამოსული სათამაშოები ახლებით უნდა შეცვალონ. დეპარტამენტი ფერმერებს საღორეებში ჯაჭვების დაკიდებასაც ავალებს, რათა ცხოველებმა დინგებისა და ზურგის მოფხანა შეძლონ. მეღორეები ახალი ინსტრუქციებისადმი დიდ ენთუზიაზმს სულაც არ ავლენენ. ღორების მოზრდილი კოლტის ერთ-ერთმა მფლობელმა განაცხადა, რომ შეთავაზებული მეთოდი გამოცადა, მაგრამ ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია: „საღორეში პლასტმასის თვითმფრინავი და პლუშის დათუნია შევაგდე. სათამაშოებმა რამდენიმე ღორის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მათ ისინი თვალის დახამხამებაში გაანადგურეს“. ■

ainStaini klonirebis #1 kandidatia

ბრიტანეთში კომპანია agestic Books-მა ჩაატარა გამოკითხვა. მასში ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და მისი მიზანი იყო, გაერკვია იმ კანდიდატის ვინაობა, ვისი კლონის ხილვასაც უპირველეს ყოვლისა ისურვებდნენ გამოკითხულნი. ბრიტანელებს ოთხი კანდიდატურა შესთავაზეს: იესო ქრისტე, აინშტაინი, მოცარტი და ელვის პრესლი. შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე 22%-ით აინშტაინი გავიდა, მეორე ადგილი 12%-ით იესო ქრისტეს ხვდა წილად, მოცარტის კანდიდატურას 8%-მა დაუჭირა მხარი, ელვის პრესლის ხელმეორედ ცოცხლად ხილვა კი, მხოლოდ 7%-მა ისურვა. კომპანიის წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ გამოკითხულთა 61% საერთოდ კლონირების წინააღმდეგია. მხოლოდ ყოველი მეათე მამაკაცი მიიჩნევდა, რომ ადამიანს კლონირების უფლება უნდა მიეცეს, ქალებს შორის კი, ასეთი პოზიცია კიდევ უფრო ნაკლებმა — 7%-მა გაიზიარა. ■



„ჩვენ უფრო დიდი პრეტენზიები გვაქვს, ვიდრე 7%-იანი ბარიერის გადალახვაა“

— როგორც ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, რომ ჯუმბერ პატიაშვილის, გურამ აბსანძისა და მიხეილ სააკაშვილის ორგანიზაციები ერთ საარჩევნო ბლოკში აღმოჩნდნენ. რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ცნობას?

ნემო გურჭულაძე, *„ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირი“:*

— ჩვენ დამოუკიდებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. არ არის გამორიცხული, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჩვენ რაღაც თემის გარშემო გავერთიანდეთ, მაგრამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებაზე ჯერჯერობით, არც ვფიქრობთ და არც ვსაუბრობთ. ჩვენს დამოკიდებულებას სხვა ორგანიზაციებთან, განსაზღვრავენ არა კონკრეტული პიროვნებები, არამედ პოზიცია. გაერთიანება მხოლოდ პოზიციების დამთხვევის შემთხვევაშია შესაძლებელი. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს „ზვიადისტებთან“ საერთო ენის გამონახვას და მოლაპარაკებას. რადგან იციან, რომ ამ გზით ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ამომრჩეველთა ხმებს დაიმატებს. ჩვენს ორგანიზაციას არ სჭირდება ფორა ამ საპარლამენტო არჩევნებში. ჩვენ უფრო დიდი პრეტენზიები გვაქვს, ვიდრე შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვაა. ეს ჩვენთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ამიტომ ვფიქრობ, რომ დამოუკიდებლად მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას და სხვა პარტიებთან თანამშრომლობის დროს, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კონსულტაციებით შემოვიფარგლებით. ■

„ნადარეიშვილს 56 ათასი ლარის მაქინაცია დავუმტკიცე...“

— გრძელდება სასამართლო პროცესი, რომელიც კურიოზულ მდგომარეობამდე მივიდა. მას შემდეგ, რაც თქვენ სასამართლოზე თქვით, რომ ნადარეიშვილს ორსართულიანი სახლი აქვს და მისი ფოტო წარმოადგინეთ, მან თქვა, რომ თქვენ, მიწაზე დაწექით და ისე გადაიღეთ მისი ერთსართულიანი სახლი... ერთი პროცესი უკვე წააგეთ, რას აპირებთ სამომავლოდ?

ჯონდი ბაღათურია, *„აღორძინების კავშირი“:*

— რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებ და საქმე განსახილველად უზენაესში წავა. დარწმუნებული ვარ, რომ მოვიგებ კიდეც. სასამართლო პროცესზე თვითონ ნადარეიშვილმა აღიარა, რომ მას არადეკლარირებული შემოსავლები აქვს. მე ნადარეიშვილს 56 ათასი ლარის არაკანონიერი მაქინაცია დავუმტკიცე. დავუმტკიცე ისიც, რომ ის კონტრაბანდისტების ერთ-ერთი ხელშემწყობია. სასამართლომ ამაზე თვალი დახუჭა. არ ვიცი, ასეთი არაობიექტური, მიკერძოებული და ბრიყვული გადაწყვეტილება სასამართლომ ფულის გამო მიიღო თუ პრეზიდენტის ზეწოლის გამო. იმის დასადგენად, თუ რა მოტივები ამოძრავებდა სასამართლოს, ჩვენ დისციპლინარულ დევნასაც აღვძრავთ იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც პროცესში მონაწილეობდნენ. ჩვენს ახალ სარჩელს ახალი მტკიცებულებებიც მოჰყვება. ამას დავურთავთ იმ არაგონივრულ განცხადებებსაც, რომელიც ნადარეიშვილს სასამართლო პროცესზე წამოსცდა... ■

როდის აირჩევენ სკოლის დირექტორებს?

— თბილისის საკრებულო აცხადებს, რომ უკვე შემუშავებულია პროექტი, რომლის თანახმადაც, სკოლებში რადიკალურად შეიცვლება მართვის სისტემა. რამდენად რეალურია ამ ინიციატივის განხორციელება და როდის შევა ის ძალაში?

გია მურლულია, *თბილისის საკრებულოს წევრი:*

— საერთოდ, ყველა დედაქალაქს აქვს მუნიციპალური განათლების საკუთარი პროგრამა. უნდა ჰქონდეს თბილისსაც. ჩვენთან მუნიციპალური სკოლის ჩამოყალიბება, რომელსაც ახალი პროექტი ითვალისწინებს, არ ნიშნავს იმას, რომ საკრებულო განათლების სამინისტროს ფუნქციებში იჭრება. თბილისის სკოლებში არსებული ქონება — შენობებით, ფართობით და ა.შ. — ეკუთვნის თბილისს და ყველანაირ ხარჯს სწორედ თბილისის მთავრობა ფარავს. თბილისი იქნება დამკვეთი და განათლების შესაბამის, მაღალ ხარისხსაც ამიერიდან სწორედ ის მოითხოვს. ვფიქრობ, ახალი სასწავლო წლისთვის (თუ მანამდე არა), ეს პროექტი უკვე ძალაში შესული და განხორციელებული იქნება. დირექტორს აირჩევს სამეურნეო საბჭო. ის 5 წლის ვადით ირჩევა. პიროვნებას აქვს შანსი, ორჯერ იყოს არჩეული ამ პოსტზე. დებულების მიხედვით, განსაზღვრულია, რომ ჯერ მოხდება სკოლის სათათბიროს, შემდეგ სამეურნეო საბჭოს არჩევა და მისი დამტკიცებიდან სამი თვის განმავლობაში, უნდა ჩატარდეს დირექტორის არჩევნებიც. სამეურნეო საბჭოში შევა 9 ადამიანი — სათათბიროს მიერ არჩეული 5 მშობელი და 4 პედაგოგი. სამეურნეო საბჭო იქნება სკოლის პარლამენტი, რომელიც მიიღებს ყველა გადაწყვეტილებას, დირექცია კი მათ აღასრულებს. პედსაბჭოს რჩება პროფესიული სათათბირო ორგანოს ფუნქციები, რომელიც მოამზადებს წმინდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს. პროექტთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე განათლების სამინისტრო ინფორმირებულია. ჯერჯერობით იმათ არგუმენტებს არ ვიცნობთ. მათ შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრება, მაგრამ ვერც იურიდიულად და ვერც პროფესიულად ისინი პროექტის წინააღმდეგ ვერ წავლენ. ასე რომ, თბილისში მალე დაფუძნდება მუნიციპალური სკოლა და ყველა დარწმუნდება, რომ განათლების სისტემაში დღეს არსებულ კლანურ მართვას ნამდვილად სჯობია საზოგადოებრივი მმართველობა. ■

მოამზადა ნანა ქიბიშაურმა

ლელა ჭანკოტაძე

ვანიკოს უცნაური გემოვნება და ხასიათი აქვს. მისი საყვარელი სიტყვებია: „ამიგო“, „დავლიოჯა“, „საკაითოა“ და ა.შ. უმეტესად, სპორტულად აცვია, ხშირად იცინის, გამოუვალ მდგომარეობაში არ ვარდება, კომუნიკაბელურია. მისი ჩვეული მდგომარეობაა – მკვეთრი მოძრაობა, სიგარეტითა და მობილური ტელეფონით ხელში... ვანიკოს რეიტინგი სწრაფად იზრდება. ჩოხაში გამოწყობილმა თარხნიშვილმა კიდევ უფრო მეტ ადამიანს მოაწონა თავი. სულ მალე, ის ფრაკით გამოგვეცხადება.

— ვანკო, შენი აზრით, რა არის გემოვნება?

– მე მგონია, რომ გემოვნება ორნაირია: ერთი – სუბიექტური, რომელსაც მიესადაგება გამონათქვამი: გემოვნებაზე არ დაობენ, მეორე – ობიექტური, „თანამედროვეობას აყოლილი“ და მისთვის მისადაგებული. მიუხედავად იმისა, რომ გემოვნებაზე არ დაობენ, მაინც არსებობს კრიტერიუმები, რომლითაც გემოვნება განისაზღვრება. ამიტომაც არსებობს ცნება: კარგი გემოვნება.

— ის მოდელიერები, რომლებიც კომპანია „მაკა ასათიანის“ სახეს ქმნიან, როგორ შეფასებას აძლევენ შენს გემოვნებას?

– მე საერთოდ, იმდენად დაკავებული და საქმეებსა და ახალ იდეებზე იმდენად კონცენტრირებული ვარ, რომ ძალიან ცოტა დრო მრჩება საკუთარ თავზე საფიქრალად. ინტერვიუების მიცემა მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ ასეთ დროს ვაანალიზებ ჩემს თვისებებს, მით უფრო – სხვის აზრს ჩემ შესახებ. ყველამ იცის, რომ რაც არ უნდა მკითხონ, ვიტყვი – მომწონს-მეთქი, – ამიტომ აღარ მეკითხებიან. ასე რომ, ვეღარ ვხვდები, ჩემი გემოვნება მოსწონთ თუ არა.

— როცა „მაკა ასათიანი“ ჩვენებებს აწყობს, არა გაქვს შენი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოდელის მიმართ?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. მე, როგორც პროფესიონალი პრომოუტერი, არასდროს არ ვუღრმავდები პროდუქტს და არ ვაფასებ მას. არა აქვს მნიშვნელობა, ვისი პროდუქტია. პრომოუტერმა ყველაფერში კარგი უნდა დაინახოს. არ არსებობს არაფერი, რაშიც კარგს ვერ დავინახავ. უკვე ჩვევა გამომიმუშავდა და ძალით კი არ ვცდილობ კარგის დანახვას – უბრალოდ, ეს ჩემი ცხოვრების კრედოა. საშინელ ადამიანზე რომ ვსაუბრობ ვინმესთან, მაშინაც კი ვიტყვი მასზე: ამ კაცში კარგი ეს არის-მეთქი...

— ეი. ინფორმაციებს, რომელიც

არაორდინარული და ენაწყლიანი ვანიკო თარხნიშვილი, რომელმაც ბევრი უცხოური სიტყვა შემოიტანა ჩვენს ყოფაში, „ტუსოვკების“ მოწყობაში ისე გაიწაფა, რომ ახლა მას ძალიან მოკლედ და უბრალოდ მოიხსენიებენ — „ტუსოვშჩიკი“. სულ ცოტა ხნის წინ, ვანიკომ „აჭარა-მიუზიკჰოლში“ გრანდიოზული „ფართი“ გამართა, რომელსაც 1.500 კაცზე მეტი დაესწრო. „ფართი“ ინგლისური სიტყვაა. რუსულად მას „ვეჩერინკა“, „ტუსოვკა“ შეესაბამება, ქართულში კი, თურმე ზუსტი შესატყვისი არა აქვს (თუმცა, პირობითად, „წვეულება“ შეიძლება ვიხმაროთ) — ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში. ამრიგად, „ფართი“ საერთაშორისო სიტყვაა. ვანიკოს მოწყობილი ყველა „ფართი“ მხიარულებით და ექსტრაორდინარულობით გამოირჩევა.



„ტუსოვკების“ ოსტატი „ხოთოვსკვიანი“ „ფართის“ მოწყობას აჭრიებს

სარკეში რომ ჩავიხედე, მეც იგივე დავასკვენი

მასმედიაში შენ შესახებ ჩნდება, ყოველთვის დადებითად აფასებ?

– ინტერვიუ შეიძლება, საშინელია, მაგრამ მე გამოვყოფ იმ ეპიზოდს, რომელიც ყველაზე კარგი იყო.

— როცა იცვამ ან ახალ ტანსაცმელს ყიდულობ, თუ არ მოგწონს, ამ შემთხვევაშიც იმით ამართლებ შენს არჩევანს, რომ მას რაღაც კარგი აქვს?

– არა. თუ არ მომეწონება, არც ჩავიცვამ. ძნელია იმის თქმა, თუ როგორი ტანსაცმელი მომწონს. პირველ რიგში აუცილებელია, რომ მასში თავი კომფორტულად ვიგრძნო. ამიტომ ძირითადად, სპორტულ სტილს ვარჩევ.

— ფერს თუ აქცევ ყურადღებას?

– ჩემი საყვარელი ფერია თეთრი. ჩოხაც თეთრი შევიკერე. თუმცა, თეთრზე მეტად, ლურჯი და ცისფერი მიხდება. შავი იდეალური ფერია და მიხდება ისევე, როგორც

ნელ-ნელა ვსვამ
და მყოფნის.

ბევრ ადამიანს, მაგრამ როცა შავი ტანსაცმელი მაცვია, აუცილებლად თეთრთან ვახამებ. შავს თეთრის გარეშე თითქმის არ ვხმარობ. სიამოვნებით ჩავიცვამდი თეთრ ტოგას.

— მაკა თუ გაძლევს ხოლმე რჩევებს?

— ბავშვობიდან, ყველა ჩემი ახლობელი მირჩევს, რომ ჩავიცვა კლასიკური სტილით, მეუბნებიან — ძალიან გიხდებაო. მეც ვიცი, რომ მიხდება, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. მირჩევნია, ჩავიცვა ბოტასები, თუნდაც — დახეული. ისე, ყველა ადგილი თავისი ჩაცმულობის სტილს მოითხოვს, რომელსაც მე ყოველთვის ვიცავ. ვერაფრით ვერ მივალ „ტუსოვკაზე“ ჰალსტუხით ან საქმიან შეხვედრაზე ბოტასებით.

— ჩოხის ჩაცმის იდეა საიდან გაგიჩნდა?

— ეს იდეა ილიკო და ნინო სუხიშვილებისგან წამოვიდა. ნინომ პირველ „ასაზე“ მათხოვა ჩოხა სუხიშვილების კოლექციიდან. ასევე მათხოვა დიდი ილიკოს მასრები და ქამარ-ხანჯალი. ყველა მეუბნებოდა — გიხდებაო. სარკეში რომ ჩავიხედე, მეც იგივე დავასკვენი. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ არანაირ ტანსაცმელში თავი უფრო კომფორტულად არ მიგრძნია... ამის შემდეგ, საკუთარი ჩოხა შევიკერე ბატონ არსენასთან, რომელიც ჩოხის საუკეთესო ოსტატია. ის უკერავს ჩოხებს „სუხიშვილების“ მოცეკვავეებს. ასე რომ, მეორე „ასაზე“ უკვე საკუთარი ჩოხა მეცვა. ოფისშიც ჩოხით მივედი, ქალაქშიც გავიარ-გამოვიარე. თავიდან, ინსცენირებებს ვაწყობდი: მაგალითად, როგორ შეხვდავდი პოლიციელს, რომელიც გამაჩერებდა ან სიგარეტს როგორი სახით ვიყიდდი და ა.შ. განსაკუთრებულ განცდას მგვრიდა ისიც, რომ „სუხიშვილების“ მოცეკვავეები „მაკა ასათიანის“ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები, მე კი არსენას ჩოხა მეცვა.

— შენ თუ გაქვს „მაკა ასათიანის“ ტანსაცმელი?

— მაქვს თეთრი მაისური. ფანტასტიკური დიზაინი აქვს, რომელიც თეონა თავართქილაძემ გამიკეთა და რომელზეც ვგიჟდები. ხალხი ხოხავს ჩემი შარვლისა და მაისურის დანახვაზე, რომელიც შარშან მაცაცო ჯინჭარაულმა გამიკეთა. ახლა შევიძინე შარვალი და ველოდები, როდის შემიკერავენ ფრაკს. არ ვიცი, მომისწრებენ თუ არა ვალენტინობის დღისთვის, რადგან ყველანი ახალ კოლექციაზე მუშაობენ.

— როცა ტანსაცმელს გიკერავენ, პრეტენზიებს გამოთქვამ თუ მორჩილად ელოდები, როდის მოგაზომებენ და გაგიმზადებენ?

— ასეთ შემთხვევაში, წარმოუდგენლად პრეტენზიული ვარ. დიზაინერები ცდილობენ, რომ ჩემგან შეკვეთა არ აიღონ. საერთოდ, არ მიყვარს კერვის პროცესი და მზა ტანსაცმელს ვყიდულობ ხოლმე. მაგრამ თუ „ამ გაუგებრობაში“ მოვყევი და „პრიმერკებს“ დავთანხმდი, ყოველ წვრილმანს ვაკონტროლებ. ვეუბნები, ძაფი სად და როგორ უნდა გაუყარონ და ა.შ. აუტანელი ვხდები.

— შენი მეუღლის ჩაცმულობას თუ აქცევ ყურადღებას?

— არ მინდა ჩავერიო, რადგან ადამიანს პატივს ვცემ არა იმის გამო, რომ რაც მე მომწონს, ის აცვია, არამედ იმიტომ, რომ ის თავის არჩევანში თავისუფალია. ასე რომ, მომწონს ის, რაც ჩემს მეუღლეს თავისი გემოვნებით აქვს შერჩეული.

— განსხვავებული გემოვნება თუ გაქვთ?

— ერთნაირი გემოვნება არ გვაქვს. თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი ცოლი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც სულ მეჩხუბება ყოველდღიური სპორტული ჩაცმულობის გამო. ორჯერ ბოტასები გადამყარა კიდეც. ერთხელ, ამოვიღე ნაგვის პარკიდან და მაინც ჩავიცვი. მესამედ, ალბათ პირდაპირ ნაგვის მანქანაში შეყრის...

— სამზარეულო როგორი გიყვართ? ამითიც განსხვავდებით?

— ორივეს ძალიან გვიყვარს ტაილანდური სამზარეულო, რომელიც ძირითადად ზღვის პროდუქტების ნახარშებისა და წვნიანებისგან შედგება. ტაილანდში როცა ვიყავით მე და ჩემი მეუღლე, სამი დღე ნარკომანებივით ვკანკალებდით, იქური „ჯინჯერის“ ისეთი მოთხოვნილება გვქონდა. ძალიან მიყვარს ჰამბურგერები — ჩემი მეუღლისგან განსხვავებით. სასტუმრო „აჭარაში“ გაიხსნა იტალიური რესტორანი. დეგუსტაციაზე მოგვიტანეს უგემრიელესი პიცა, მაგრამ მე მაინც ორმაგი ჩიზბურგერით დავიწყე. ჰოთ-დოგიც მიყვარს. ხორციანი კერძებიდან, მხოლოდ ჰამბურგერსა და ჰოთ-დოგს ვჭამ — ხორცი არ მიყვარს.

— სასმელებიდან რა გიყვარს?

— კონიაკი მიყვარს. ბევრს არ ვსვამ. შესაძლებელია, მთელი „ფართის“ განმავლობაში 200 გ კონიაკი დავლიო. ნელ-ნელა ვსვამ და მყოფნის.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სადმე დათვერი?

— გერმანიაში წასვლამდე, ე.ი. 22 წლის ასაკამდე, სულ სხვანაირი ვიყავი. ცხრათვიანი „ზაპოი“ მქონდა ჩემს მეგობართან ერთად. მახსოვს შემთხვევები, როცა შინ მივუყვანივარ მეგობრებს და დავუგდივარ, ისეთი მთვრალი ვყოფილვარ. ახლა კი, ვეღარ ვეკონტაქტები მთვრალ კაცებს.

— როცა ქალია მთვრალი?

— ქალი უფრო ასატანია, რადგან ქალი, როცა თვრება, ის ბედნიერი ხდება. ამიტომ არ მაღიზიანებს — პირიქით...

— ტუსოვკებსა და „ასა-ფართიზე“ თუ გექმნება ისეთი ინტიმური სიტუაცია, რომ მერე, შინ მისულს ცოლის გრცხვენია?

— არა. არასდროს არ მქონია ასეთი შემთხვევა. არ არსებობს სიტუაცია, რომელმაც შეიძლება, უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდოს. რაც არ უნდა მოხდეს, არასდროს არ ვკარგავ კონტროლს საკუთარ თავზე.

— ეი. ცოლის წინაშე ცოდვები არ გაქვს?

— არა, არანაირი. არასდროს არ ვღიზიანდები, არ ვნერვიულობ, ემოციებს არ ვყვები. არც ცოლს უეჭვიანია ოდესმე, რადგან კარგად მიცნობს და იცის ჩემი ხასიათი.

— თავიდან, ალბათ ერთმანეთთან შეგუების პროცესი იოლი არ იქნებოდა და ორივეს რაღაც დათმობებზე წასვლა მოგიხდებოდათ...

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სულ ვცდილობ, რომ სიტუაცია იყოს „გალაითებული“, სულ ვიყო „ლაითში“. მე არ მომწონს, როცა რაღაცას დაჟინებით ამტკიცებენ, ცდილობენ, თავიანთი გაიტანონ. ჩემს მიზანს ყოველთვის ვაღწევ, რადგან გარეგ-

ნულად სულ კომპრომისებზე მივდივარ, სინამდვილეში კი, გამუდმებით ვაკონტროლებ სიტუაციას.

— **ვანიკო, როგორები არიან ქალები, რომლებიც შენს გემოვნებას აკმაყოფილებენ?**

— მომწონს გამხდარი, შავგვრემანი, არც ისე მაღალი ქალი. მთელ მსოფლიოში ვინც მომწონს, ეს არის მოდელი კრისტი ტარლინგტონი. ჩემმა მეუღლემ იცის, როგორ ვარ ამ მოდელზე შეყვარებული და ერთხელ, საძინებელში გამიკრა კრისტის უზარმაზარი პლაკატი.

— **როგორი უნდა იყოს სახლი, რომელიც შენ მოგეწონება?**

— მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენს სახლს დავაშენეთ მანსარდა, რადგან გვიყვარს დიდი სივრცე და ძალიან თანამედროვე სტილი. მანსარდა ლამაზია, აქვს სამზარეულო და ბარი. კარგი იქნებოდა, უფრო დიდი რომ ყოფილიყო. მე არ მიყვარს ბუნება, ფლორა, ფაუნა, აქედან გამომდინარე, არ მომწონს ხე, მაგრამ მაინც წავედი კომპრომისზე — სახლში ხის იატაკი გვაქვს, თუმცა ერთი სული მაქვს, როდის გადავაკრავ ზემოდან მეტლახს... ჩემი ნება რომ იყოს, გამოვიყენებდი მხოლოდ რკინას, შუშას, ლითონს, ბეტონს და ა.შ. — ე.ი. ხელოვნურ მასალებს. არა მარტო ხე, არამედ ხის მასალაც მაღიზიანებს. ასევე ვერ ვიტან ქოთნებს, რომელსაც ვერ ვამჩნევ, მაგრამ ჩემი ცოლი გიჟდება ყვავილებზე და იძულებული ვარ, დავუთმო. ერთხელ მკითხა: რამდენი ქოთანი გვაქვს სახლშიო? — სამი-ოთხი-მეთქი, — ვუპასუხე. თურმე თხუთმეტი ყოფილა.

— **მისთვის ყვავილებს არ ყიდულობ?**

— ერთხელ, ამის გამო ცოლთან ძალიან შევრცხვი: ვუყიდე ყვავილები, რამდენიმე კვირის შემდეგ ვთქვი — ფანტასტიკური ვარდები მივუტანე-მეთქი. აუტყდა სიცილი: თურმე ტიტები მიყიდია...

— **რას ჩუქნი? რას ყიდულობ მისთვის?**

— ვჩუქნი მხოლოდ იმას, რაც ვიცი, რომ სჭირდება. არ მიყვარს არც საჩუქრის მირთმევა და არც მიღება. თუ რაღაც სჭირდება და ეს გავიგე, არა აქვს მნიშვნელობა — დაბადების დღე აქვს თუ არა, — მაინც ვაჩუქებ.

— **შენს დაბადების დღეს როგორ აღნიშნავ ხოლმე?**

— არ მიყვარს დაბადების დღის აღნიშვნა. მე არ გამომივა, 10-20-კაციანი წვეულება. თუ გადავიხდი, უნდა მოვიპატიჟო ყველა, ვინც მინდა, ასე კი, დაახლოებით 1000 კაცი მოგროვდება. ამიტომ მე და ჩემი მეუღლე უმეტესად, კარგ რესტორანში მივდივართ ხოლმე.

— **ცოლი მართლა არ დაგყავს „ტუსოვკებზე“?**

— ეს ფრაზა მეჯავრება: ვინმე სადმე წავიყვანო — ეს ჩემს ნატურაში არ ჯდება. ჩემზე ლიბერალური ადამიანი საქართველოში არ მეგულება. უბრალოდ, ჩემი მეუღლე თვითონ არ დადის „ტუსოვკებზე“, რადგან მას ჩემს სამსახურად მიიჩნევს. „ტუსოვკა“ მხოლოდ ლა-ლა-ლა არ არის. „ტუსოვკა“ სერიოზული ღონისძიებაა. ახლა, ვალენტინობის დღეს, სულ სხვანაირი „ტუსოვკის“ მოწყობა მინდა „მერიოტში“, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. გაიმართება „მაკა ასათიანის სახლის“ ჩვენება, შემდეგ იქნება შესვენება, დაახლოებით ორი საათი, ბოლოს კი — „ხუთვარსკვლავიანი“ „ფართი“; დამზადდება თხუთმეტი დასახელების ექსკლუზიური კერძი: „სუშე“, „საშიმი“, „ლაგირი“ და ა.შ. ასეთი კერძები საქართველოში სხვაგან არ არსებობს. სიტუაციაც იქნება „ხუთვარსკვლავიანი“...

■

ჩემმა მეუღლემ იცის, როგორ ვარ ამ მოდელზე შეყვარებული

dajildoebuli moTxilamureebi da gayinuli Jurnalistebi gudaurSi

ცამეტწლიანი პაუზის შემდეგ, წლეულს გუდაურმა კვლავ უმასპინძლა ტურნირს სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა. სწორედ უნივერსიტეტისა და მისი სპორტული ფედერაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ამ შეჯიბრის ორგანიზება, რომელიც წლების მანძილზე, დაუფინანსებლობის გამო არ მოწყობილა. შეჯიბრში 120-მდე მოთხილამურე მონაწილეობდა, მათ შორის 6-მა მოიპოვა გამარჯვება (სამ-სამმა, ქალთა და მამაკაცთა შორის). სპორტული პაექრობის პარალელურად, თოვლისგან აშენებულ, იმპროვიზებულ სცენაზე თამუნა გომართელი და პაროდისტი ლევან შენგელია გამოდიოდნენ პუბლიკის წინაშე. ღია პირველობაში გამარჯვებულებს, თასებსა და მედლებთან ერთად, სხვადასხვა ფირმის მიერ დაწესებული პრიზი გადაეცათ. შეჯიბრის გენერალური სპონსორი „ორიფლეიმი“ გახლდათ.

მხიარული განწყობილება შეჯიბრის დამთავრებისთანავე გაქრა, ვინაიდან საბაგიროს გამორთვასთან ერთად, ე.წ. „გუდაურის კუდებიდან“ ჩამოსვლის პრობლემა შეიქმნა. როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა ეს პრობლემა ვერ გაითვალისწინეს და მოგვარება არც უცდიათ. მოთხილამურეებისთვის ჩასვლა სირთულეს არ წარმოადგენდა, აი, „ობლად“ დარჩენილ ჟურნალისტებს კი, ბურუსსა და ყინვაში მოუწიათ გზის გაკვლევა. ბუნებრივ სტიქიასთან უთანასწორო ჭიდილის შემდეგ, გაყინულმა მასმედიის წარმომადგენლებმა მხოლოდ შებინდებისას მიაღწიეს ავტობუსამდე.

შეჯიბრის მთავარი ორგანიზატორების — თსუ-ს რექტორის, როინ მეტრეველისა და უნივერსიტეტის სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელის, რატი ქერქაძის თქმით, აღნიშნული ღონისძიება წინ გადადმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან როგორც იქნა, მოხერხდა საქართველოში სათხილამურო სპორტის წინ წაწევა, რომელიც სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, ჩამორჩენილი იყო. რატი ქერქაძე გვპირდება, რომ მის განკარგულებაში არსებული ათწლიანი ლიცენზიის წყალობით, ამიერიდან ღია პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

ლიკა ლუბენეცი

გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო პროცესი პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემა

განსასჯელი გრიგოლ ხურცილავა (გრიცკო)

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ნანა გუგუნაშვილმა 5 თებერვალს გამართულ სხდომაზე, სასამართლო პროცესის პირდაპირი ტრანსლაციით გადაცემა მოითხოვა. ამის მიზეზად, მოსამართლემ პრესითა და ტელევიზიით წინა სასამართლო სხდომის შესახებ არაერთგვაროვანი ინფორმაციის გადაცემა დაასახელა. „იმ მიზნით, რომ საზოგადოებამ სასამართლო პროცესის თაობაზე სრული და ობიექტური ინფორმაცია მიიღოს, ვთხოვ საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხს“, „მე-9 არხს“, „რუსთავი 2“-ს, „იბერვიზიას“, „იბერიას“ და ყველა სხვა დანარჩენ ქართულ არხს, სასამართლო სხდომები გადასცენ პირდაპირი ტრანსლაციით“, — განაცხადა მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა.

როგორც ამბობენ, მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას ალბათ 4 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე მომხდარი უსიამოვნო ინციდენტიც დაედო საფუძვლად: ერთ-ერთმა მოწმემ — მალხაზ ხვედელიანმა, რომელმაც სასამართლოს, პროკურორისა და განსასჯელის ადვოკატის თქმით, ყველასათვის მოულოდნელი ჩვენება მისცა, „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს, თიკო ფეიქრიშვილს ხელი გაარტყა. ხვედელიანის ასეთი რეაქცია მოჰყვა ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას — მან ჩაუშვა თუ არა გრიცკო?

სასამართლო სხდომაზე, სახელმწიფო ბრალმდებელმა, კახა მაჭავარიანმა მოწმე, მალხაზ ხვედელიანს შეახსენა, რომ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მას ეწერა: „...გრიცკოს, სანაიასთან ბინაში შელაპარაკება ქალების გამო მოუხდა...“ ამასთანავე, მის მიერ არაფერია აღნიშნული ბიზნესისა და ვალის თაობაზე.

სასამართლოს კი, მალხაზ ხვედელიანმა ასეთი ჩვენება მისცა:

„...გრიცკომ, ბიზნესში ჩასადებად 13.000 დოლარი ისესხა. საქმე ვერ აეწყო და მთელი ეს თანხა მას ვალად დაედო. ძალიან იყო განერვიულებული, იმ პერიოდში ჩემთანაც ხშირად რჩებოდა... 26 აგვისტოსაც ჩემთან უნდა დარჩენილიყო, მაგრამ აიჩემა — ცოლ-შვილი მომენატრა და წავალ, ვნახავო. დაახლოებით 12 საათი იქნებოდა, როცა წავიდა. დილით ადრე, ძახილი შემომესმა. თავად გრიცკო მეძახდა. მითხრა: მგონი, კაცი შემომაკვდაო... არ იყო დარწმუნებული, ნამდვილად გიორგი სანაია იყო თუ არა, ეჭვობდა, მაგრამ ისიც მითხრა: ვკითხე და თვითონ უარყო, ასე მითხრა — ყველა ერთმანეთს გვამსგავსებსო... შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს. სანაიას, მისთვის სიგარეტი და ლუდი უყიდია, შემდეგ, თავ-თავიანთი გზით წასულან. ცირკთან ისევ შეხვედრიან... გრიცკოს უთქვამს — ქალს ვეძებო. სანაიას შეუთავაზებია: თბილისელი ბიჭი ხარ, ასეთი ქალები არ გეკადრება; ჩემთან წამოდი, ქალებს მე მოვიყვანო... როცა ბინაში ასულან, სანაია საბაზანოში შესულა, ამასობაში — გრიცკომ მითხრა — ტახტზე წამოვწექი და ჩამთვლიმაო. სანაია გამოსულა. გრიცკომ თქვა: მისი მოქმედება არ მომეწონა და შელაპარაკება მოგვიხდა, ვერ მოვითმინე და გავისროლე, მგონი მოვკალი — ძირს დაეცა და თავიდან სისხლი წამოუვიდაო...“

5 თებერვლისთვის დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, სხვა მოწმეებთან ერთად, ტელეკომპანიის თანამშრომელი, კინომცოდნე გოგი გვახარიაც იყო გამოძახებული, მაგრამ სასამართლოში ის არ გამოცხადებულა. პროცესზე არც დაზარალებული — გიორგი სანაიას მეუღლე, ხათუნა ჩხაიძე მისულა. საქმის სასამართლო განხილვა 14 თებერვალს, 12 საათზე განახლდება. ■

მალხაზ ხვედელიანი და თიკო ფეიქრიშვილი სასამართლო დარბაზში

ადვოკატს თაღლითობაში ადანაშაულებენ

უცუნაშვილი კლიენტებს მოსამართლეებისა და ექსპერტების მოსყიდვას ჰპირდებოდა

ნნ წლის, თბილისელ ადვოკატს — თეზიკო უცუნაშვილს პროკურატურა და მისი ყოფილი კლიენტები თაღლითობაში ადანაშაულებენ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, უცუნაშვილმა სხვადასხვა დროს, არაერთგზის დაამზადა და გამოიყენა ყალბი ოფიციალური დოკუმენტები. ამ დოკუმენტების წყალობით, ის კლიენტებისგან სოლიდური თანხის გამოძალვას ცდილობდა. როგორც პროკურატურა აცხადებს, უცუნაშვილმა მიზანს არაერთხელ მიაღწია, ყალბი — კომპიუტერზე დამზადებული დოკუმენტებით არა მარტო ციხის, არამედ სასამართლო თანამშრომლებსაც აუხვია თავალი, კლიენტებიც ადვილად გააცურა და აღებული ათასობით დოლარი ჯიბეში ჩაიდო. კლიენტები აცხადებენ, რომ იმ ფულით ადვოკატი მათ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისა და მოსამართლეთა მოსყიდვას ჰპირდებოდა. აღსანიშნავია, რომ თავად უცუნაშვილი ასეთ მცდელობას არ უარყოფს.

1998 წლის 11 სექტემბერს, ქ. რუსთავის სასამართლომ ვინმე ემზარ ჯაყელი გაასამართლა და ჩადენილი დანაშაულისთვის მას 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ემზარ ჯაყელს სასჯელი, განაჩენის თანახმად, გაძლიერებული რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში, ქ. რუსთავის №2 ციხეში უნდა მოეხადა.

1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მსჯავრდებულის დედამ – ინგა ჯაყელმა, როგორც თავად აღნიშნავს, შეიტყო, რომ ადვოკატ თეზიკო უცუნაშვილს, რომელიც წლების განმავლობაში საგამოძიებო ორგანოებში მუშაობდა, შეეძლო, პირველი ინსტანციის განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაესაჩივრებინა და ამით ჯაყელისთვის სასჯელის შემცირებისთვისაც მიეღწია. ინგა ჯაყელი დაუკავშირდა უცუნაშვილს და მას დახმარება სთხოვა.

უცუნაშვილი, ინგა ჯაყელს დაჰპირდა, რომ თუ წინასწარ, 100 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდა, დაცვის ორდერს გააფორმებდა, საქმის შესასწავლად გასაწევი შრომისთვის კი, დამატებითი თანხა მოითხოვა. კლიენტისგან მან 100 დოლარი მიიღო, ამის შემდეგ, შეაგროვა საჭირო დოკუმენტები და უზენაეს სასამართლოში ემზარ ჯაყელის მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე საჩივარი შეიტანა. მან მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა, თუმცა პალატამ მისი მოთხოვნა არ გაიზიარა და პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელი დატოვა.

ადვოკატმა უცუნაშვილმა, დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელ პირებთან ერთად, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით დაამზადა უზენაესი სასამართლოს ყალბი დადგენილება – თითქოს მსჯავრდებულს სასჯელი – 6 წელი და 6 თვე, 2 წლითა და 6 თვით შეუმცირდა.

2000 წლის 5 იანვარს თეზიკო უცუნაშვილმა ამ ყალბი დადგენილებისთვის უფრო დამაჯერებელი, ოფიციალური სახის მიცემა გადაწყვიტა და ის სასჯელთაღსრულების დაწესებულებას ჩააბარა. თუმცა, ყალბი დოკუმენტი მან რუსთავის №2 სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში კი არა, თბილისის №5 საპყრობილის კანცელარიაში მიიტანა. კანცელარიამ დოკუმენტი რეგისტრაციაში გაატარა. 2000 წლის 21 იანვარს, აღნიშნული საბუთი რუსთავის ციხეში გადაიგზავნა. მისი გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ უზენაესი სასამართლოს დადგენილება ყალბი იყო.

დაახლოებით იმავე პერიოდში, ადვოკატმა უცუნაშვილმა, პროკურატურის ცნობით, კიდევ ერთი კლიენტის მოტყუება განიზრახა. 1998 წლის 24 აგვისტოს, თბილისის ისნის რაიონის სასამართლომ დიმიტრი სტაროდუბცევი გაასამართლა და მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, გაძლიერებული რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში მოხდით მიუსაჯა. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი განიხილა და სტაროდუბცევს სასჯელი 5-წლიანი პატიმრობით შეუცვალა.

1999 წლის ნოემბერ-დეკემბერში, უცუნაშვილმა სტაროდუბცევის ნათესავისგან – ადა ასცვატუროვასაგან 500 ამერიკული დოლარის, თაღლითური გზით გამოძალვა მოინდომა, მას დახმარებას და მსჯავრდებულისთვის სასჯელის კიდევ უფრო შემცირებას დაჰპირდა. ასცვატუროვამ ფულის გადახდაზე თანხმობა განაცხადა. უცუნაშვილმა კომპიუტერის საშუალებით კვლავ ყალბი საბუთი დაამზადა, სადაც თვითნებურად ჩაწერა, თითქოს სტაროდუბცევს 5 წლიდან მოუხდელი სასჯელი – 3 წელი, 2 თვე და 25 დღე შეეცვალა 2 წლის გამოსაცდელი ვადით. აღნიშნული საბუთი, იმ მიზნით, რომ ასცვატუროვას ის ოფიციალური პირისგან მიეღო, ადვოკატმა ქალაქ რუსთავის №2 სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში ერთ-ერთ მორიგეს ჩააბარა.

2000 წლის 10 ნოემბერს, ვინმე დავით ჯარიაშვილის მიმართ, პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იგი თბილისის №1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების – ჰეროინის გადაცემაში დაადანაშაულეს.

2000 წლის 20 დეკემბერს, დავით ჯარიაშვილის დედა – დალი გოგოლაძე თეზიკო უცუნაშვილს დაუკავშირდა. ადვოკატმა მას უთხრა, რომ შეძლებდა ყალბი საბუთის დამზადებას, კერძოდ – სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაში ექსპერტს დააწერინებდა დასკვნას, რის საფუძველზეც დავით ჯარიაშვილს შეურაცხადად ცნობდნენ. ამის სანაცვლოდ, უცუნაშვილმა დალი გოგოლაძისგან 4.000 ამერიკული დოლარი მოითხოვა. მისივე თქმით, აღნიშნული თანხიდან 350 აშშ დოლარს ის იურიდიული მომსახურებისათვის დაიტოვებდა, დანარჩენი 3.650 დოლარი კი, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტებისთვის დასჭირდებოდა. უცუნაშვილმა გოგოლაძეს ისიც უთხრა, რომ საქმის მოსაგვარებლად, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლესაც მოისყიდდა.

ადვოკატმა უცუნაშვილმა ყალბი დაცვის ორდერი დაამზადა და წინასწარ გამოძიებაში მიიღო მონაწილეობა. თანხის გამოსართმევად, ის დალი გოგოლაძეს, როგორც ეს უკანასკნელი დასძენს, მეტროსადგურ „ისნის“ ტერიტორიაზე ხვდებოდა. სწორედ იქ გამართვა მან კლიენტს 500 აშშ დოლარი. მაშინ გოგოლაძემ



ადვოკატს უთხრა, რომ მისი მეორე ვაჟი – პაატა ჯარიაშვილიც ციხეში იჯდა. გარდაბნის რაიონის სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და სასჯელს ის №3 საგარეჯოს მკაცრი რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა. უცუნაშვილი გოგოლაძეს დახმარებას ამ მხრივაც დაჰპირდა, თუმცა დამატებით 1.300 აშშ დოლარი მოითხოვა, უთხრა, რომ ამ თანხიდან 1.200 დოლარი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მოსყიდვას დასჭირდებოდა. როგორც პროკურატურა და თავად დაზარალებული დალი გოგოლაძე აცხადებს, ადვოკატმა მისგან ჯამში 5.300 ამერიკული დოლარი აიღო.

თავად განსასჯელი – თეზიკო უცუნაშვილი თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ. ის მოსამართლეების, ექსპერტების მოსყიდვის მცდელობასა და ყალბი დოკუმენტების დამზადების ფაქტს ადასტურებს. უარყოფს მხოლოდ იმას, რომ მას დაზარალებულთა მიერ დასახელებული თანხები არ აუღია და არც თაღლითობა ჩაუდენია. უცუნაშვილის თქმით, კლიენტისგან, კერძოდ – დალი გოგოლაძისგან მან 5.300 ამერიკული დოლარი კი არა, მხოლოდ 400 აშშ დოლარი აიღო. უცუნაშვილი იმასაც დასძენს, რომ აღებული თანხა მან ვინმე შალვა იჩხიკიძეს გადასცა, რომელიც სრულიად შემთხვევით გაიცნო. შალვა იჩხიკიძე მას თურმე დაჰპირდა – საქმეს მე მოვაგვარებო. თეზიკო უცუნაშვილი მის მიერ დასახელებული შალვა იჩხიკიძის საცხოვრებელი სახლის მისამართს ან სხვა კოორდინატს ვერ ასახელებს. როგორც განსასჯელი დასძენს, იჩხიკიძის შესახებ მან არაფერი იცის. სამართლადამცავები ასეთი პიროვნების რეალურად არსებობის ფაქტს ეჭვის თვალით უყურებენ. *„გამოძიებამ ბრალდებულის მიერ დასახელებული შალვა იჩხიკიძის ვინაობა ვერ დაადგინა. ვფიქრობთ, რომ ასეთი პიროვნება არც არსებობს“*, – დასძინა ჩვენთან საუბრისას პროკურორმა.

თეზიკო უცუნაშვილის საქმეს ამჟამად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია განიხილავს. მომავალ სასამართლო პროცესზე დაზარალებულები დაიკითხებიან. წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებში ისინი ადვოკატს, მათგან თაღლითური გზით თანხის აღებასა და მითვისებაში პირდაპირ ადანაშაულებენ. თუმცა საქმის სასამართლო განხილვისას ალბათ იმ მოსამართლეებისა და ექსპერტების ვინაობაც გამოიკვეთება, ვისი მოსყიდვის მცდელობასაც უცუნაშვილი ადასტურებს.

■

„ანთებული სიგარეტით ხელებს უნვავდნენ, შემდეგ კი თოლი სხეული დანით დაუსერეს...“

შვიდ განსასჯელს მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის ასამართლებენ

ძმებს, ბესიკ და ლევან ტყებუჩავებს, გოჩა ლათითაშვილს, მერაბ მუმლაძეს, ვახტანგ ბუაძეს, მიხეილ რატიანსა და ილგარ გაჯიევს ადამიანის განზრახ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის ასამართლებენ. როგორც სამართალდამცავები იუწყებიან, კაზუმ გაჯიევი მათ ცემით მაშინ მოკლეს, როცა ამ უკანასკნელის ოჯახს დაყაჩაღების მიზნით თავს დაესხნენ. პროკურატურის ინფორმაციით, ზემოთ ხსენებულ პირებს კარგად ორგანიზებული, კრიმინალური, შეიარაღებული ბანდა ჰქონდათ ჩამოყალიბებული და, როგორც ამბობენ, გაჯიევი და მისი ოჯახი, მათი ერთადერთი მსხვერპლი არ ყოფილა.

განსასჯელთაგან ყველაზე უფროსი 1944 წელს დაბადებული ვახტანგ ბუაძე გახლავთ. ადრე ნასამართლევიც მხოლოდ ის არის. რაც შეეხება ძმებ ტყებუჩავებს – როგორც შევიტყვეთ, ისინი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები არიან. პროკურატურის ცნობით, ბანდის წევრები შემდეგნაირად შეიკრიბნენ:

2000 წლის აგვისტოში (ზუსტი თარიღი დაუდგენელია), ილგარ გაჯიევი თავის მეგობარ – მიხეილ რატიანს დაუკავშირდა. მან იცოდა, რომ რატიანს ურთიერთობა ჰქონდა შავი სამყაროს წარმომადგენლებთან. ამიტომაც შესთავაზა: გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში ვინმე კაზუმ გაჯიევი ცხოვრობს, ვიცი, რომ ახლა მას შინ ფული საკმაოდ აქვს, მისი დაყაჩაღება ღირს, სანდო ხალხს თუ მოძებნი, შეგვიძლია, მის ოჯახს დავესხათ თავს და ფული და ოქროულობა გავიტაცოთო. გამოძიების მასალების მიხედვით, ილგარ გაჯიევი და კეზუმ გაჯიევი ერთმანეთს იცნობდნენ. მათი ახლობლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა, როგორც პროკურორი აცხადებს, სასამართლო პროცესზე შესაძლოა, მათი ნათესაური კავშირიც გამოიკვეთოს. სამართალდამცავები იმასაც დასძენენ, რომ ილგარ გაჯიევი, მიხეილ რატიანს კაზუმ გაჯიევის მკვლელობაზეც მოელაპარაკა. რატიანი, თავის მხრივ, ნაცნობს – ვახტანგ ბუაძეს დაუკავშირდა და მისი საშუალებით, ბესიკ ტყებუჩავა, ლევან ტყებუჩავა, გოჩა ლათითაშვილი და მერაბ მუმლაძეც მოძებნა.

ყველაფერზე წინასწარ შეთანხმდნენ, როლებიც გაინაწილეს და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები და

ნიღბებაფარებულები გაჯიევების ოჯახს თავს დაესხნენ. ეს 2000 წლის 11 სექტემბერს, შუაღამეს, დაახლოებით 2-დან 3 საათამდე მოხდა. საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ოჯახის უფროსს ეძინა. ბოროტმოქმედები ბეტონის მესერზე გადაძვრნენ და ასე, ბაღის ნაკვეთამდე მიაღწიეს. სახლში პირველი, ბესიკ ტყებუჩავა შევიდა. მას უკან მუმლაძე და ლათითაშვილი მიჰყვნენ. სამივე ჯერ ისევ მძინარე გაჯიევს მისცვივდა და მას ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვა. გაჯიევმა მათ უარი უთხრა. მაშინ, იარაღით მუქარა არ აკმარეს და განსაკუთრებული სისასტიკით, ტანჯვა-წამების გზით, გაჯიევს ცემა დაუწყეს. ჯერ ბაწრით შეუკრეს მას ხელ-ფეხი, პირზე „სკოჩი“ გადააკრეს, შემდეგ ანთებული სიგარეტით ხელი დაუწვეს. ესეც არ აკმარეს და გაჯიევს სხეულის ნაწილები დანით დაუსერეს. ცეცხლსასროლი იარაღი, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, ბოროტმოქმედებს არ გამოუყენებიათ: *„რევოლვერი საცემრად გამოიყენეს, იარაღის ტარი გაჯიევს თავში ურტყეს“*, — წერია საბრალდებო დასკვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ცემისა და ტანჯვისგან განაწამები ილგარ გაჯიევი ბოროტმოქმედთა მოთხოვნებს უკვე დათანხმდა და მათ ფულსა და ნივთებზეც მიუთითა, ის მაინც მოკლეს. ამის შემდეგ, დამნაშავეებმა სახლიდან 30.000 ამერიკული დოლარი და ოქროულობა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განზრახ მკვლელობის ბრალდება პროკურატურამ ვოჩა ლათითაშვილს, მერაბ მუმლაძესა და ბესიკ ტყებუჩავას მიუყენა. მათ ბრალი ედებათ ყაჩაღური თავდასხმის განხორციელებაშიც. რაც შეეხება ილგარ გაჯიევს — სამართალდამცავები მას ყაჩაღობაში თანამონაწილეობასა და დამნაშავეთა წაქეზებაში ადანაშაულებენ.

გაჯიევის ოჯახზე თავდასხმის გარდა, განსასჯელებს სხვა ყაჩაღობაშიც სდებენ ბრალს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, თათრების ერთ-ერთი ოჯახიდან მათ 5.000 ლარი გაიტაცეს.

■

TBC BANK-ს აქციონერები უჩივიან

„უნდათ, რომ ცენტრალური უნივერმაღის შენობა ხელში ჩაიგდონ“

2003 წლის 13 თებერვალს, დიდუბე-ჩოღურეთის რაიონულ სასამართლოში TBC Bank-ის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყება. სარჩელს მოსამართლე შალვა კვარაცხელია განიხილავს. მოსარჩელე მხარეს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის აქციონერები წარმოადგენენ. როგორც გაირკვა, რამდენიმე წლის წინ, აღნიშნული უნივერმაღის აქციები აუქციონზე გაყიდულა, 20% სწორედ TBC Bank-ს შეუძენია, დანარჩენი კი — თავად უნივერმაღის თანამშრომლებს თუ დირექციის წარმომადგენლებს. დროთა განმავლობაში, TBC Bank-მა საკუთარ აქციათა რაოდენობა გაზარდა და დღეისათვის, მათმა ოდენობამ 97%-ს მიაღწია. ამჟამად, TBC Bank-ი ირწმუნება, რომ ცენტრალური უნივერმაღი გაკოტრების პირასაა მისული და უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია. სწორედ ამ განცხადებამ აღაშფოთა უნივერმაღის დანარჩენი აქციონერები, რომელთა ხელში დღეს, აქციათა მხოლოდ 3%-ია.

„თუ თავისუფლების მოედანზე მდებარე, მთავარი უნივერმაღი და „ბავშვთა სამყარო“ ფუნქციონირებს და თანაც მშვენივრად, „ცუმის“ ამუშავება რატომ გახდა პრობლემა? რახან TBC Bank-ი ირწმუნება, რომ უნივერმაღი გაკოტრდა, ჩვენ მისგან ამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას მოვითხოვთ: ბუღალტერიის წლიურ და ბალანსის მონაცემებს, დადებული კომერციული ხელშეკრულებების ასლებს და სხვა საბუთებს. ბანკს ამ მოთხოვნით არაერთხელ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. ყოველგვარი მოტივის დასახელების გარეშე აცხადებენ, რომ საბუთებს ვერ მივიღებთ. აქედან გამომდინარე, გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი — TBC Bank-მა საბაზრო ეკონომიკის პირობებში „ცუმის“ ხელმძღვანელობას ვერ გაართვა თავი ან, უფრო უარესი — განგებ მიიყვანა იგი გაკოტრებამდე. იმდენი ქნეს, რომ უნივერმაღის დირექციის სათავეში თავიანთი ხალხი მიიყვანეს, ძველი თანამშრომლები კი გაათავისუფლეს, ზოგიც აიძულეს, თავისით წასულიყო. გაკოტრება იმაში სჭირდებათ, რომ რაც შეიძლება ადვილად და მალე ჩაიგდონ ხელში „ცუმის“ შენობა“, — აცხადებს აქციონერთა ინტერესების დამცველი ადვოკატი მალხაზ ლაბაძე.

TBC Bank-ი თავის მხრივ ირწმუნება, რომ სააქციო საზოგადოება „ცუმის“ ლიკვიდაციის საკითხის დაყენება ობიექტური ფაქტორებითაა გაპირობებული. „ცუმის“ დირექტორის თქმით, უნივერმაღი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ხარჯვითი ნაწილი აშკარად აღემატება შემოსავალს, ამიტომაც ის სხვა საწარმოებს კონკურენციას ვერ უწევს და სავაჭრო საქმიანობა პრაქტიკულად შეწყვეტილი აქვს.

დაუდასტურებს თუ არა უნივერმაღის გაკოტრების ფაქტს TBC Bank-ი და სააქციო საზოგადოება „ცუმის“ დირექცია აქციონერებს სათანადო დოკუმენტაციით, სასამართლო პროცესზე შევიტყობთ.

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

თამრიკო ჭოხონელიძე:

ჭირი, რომელ მარ ყველაზე მეტად მარჯინი ვარ

მომღერალი ოჯახების ტრადიცია დიდი ხანია, რაც საქართველოში არსებობს. ტრადიციას არც დიდობაშიც ცნობილმა „მზიურელმა“, თამრიკო ჭოხონელიძემ უღალატა და სიმღერის სიყვარულით, თავისი მეუღლე, მარჯანიშვილს თეატრის მსახიობი — გია როინიშვილიც აამღერა. მოგვიანებით კი, ცოლ-ქმრის დუეტს მათი ქალ-ვაჟიც შეუერთდა. დედა-შვილის — ქალბატონი თამრიკოსა და მარიამის დუეტი უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს, ამიტომ მის შემოქმედებით ლაბორატორიაში სტუმრობა გადავწყვიტეთ.

ნათია ქივიძე

— მარიამ, როგორია პოპულარული მშობლების შვილობა? რაში გეხმარება და რაში გიშლის ხელს?

— მიხარია, რომ ასეთი მშობლები მყავს. თუმცა, ეს ზოგჯერ მიშლის კიდეც. მაგალითად, სკოლიდან „შატალოზე“ რომ წავიდე, ვიცი, ჩემი ასეთი საქციელი სხვისაზე მეტად გახმაურდება, იტყვიან, — თამრიკოსა და გიას შვილიაო. ამიტომ ხანდახან მინდა, რომ ვერ მცნობდნენ.

— თუ გახსოვს შენი პირველი გამოსვლა? რამდენი წლის იყავი და რა სიმღერა შეასრულე?

— ორი წლის ვყოფილვარ, როდესაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დედასთან ერთად ვიმღერე „საქართველოვ, ლამაზო“. ამის შესახებ მიყვებიან, თორემ, რა თქმა უნდა, არ მახსოვს.

— ქალბატონო თამრიკო, მარიამის ამღერება თქვენი გავლენის შედეგია თუ მისი სურვილი იყო?

— ვერ ვიტყვი, რომ საგანგებოდ დავსვი მარიამი და რეპეტიციებს ვუტარებდი. ერთ მშვენიერ დღეს მითხრა — შენთან ერთად მეც ვიმღერებო. მალე მივხვდი, რომ ჩემი შვილი შესანიშნავ პარტნიორად მომევლინა. რაც მთავარია, მარიამი ახალი თაობის ის წარმომადგენელია, რომელიც ტრადიციულ ქართულ სიმღერას არ უღალატებს.

— თქვენ, როგორც პროფესიონალი მომღერალი, როგორ შეაფასებდით ბატონი გიასა და პატარა მარიამის ვოკალურ შემოქმედებას?

— მთავარი ის არის, რომ გიასგან არ ვითხოვ სიმღერას ისე, როგორც პროფესიონალი მომღერლისგან. ის პროფესიონალი მსახიობია, ამიტომ მსახიობის პირობაზე როგორც მღერის, ძალიან მაკმაყოფილებს. რაც შეეხება მარიამს — მართლა კარგად მღერის. არა დედის, არამედ მუსიკოსის პოზიციიდან ვამბობ, რომ ის საოცრად გემოვნებიანი, დახვეწილი და პერსპექტიულია.

მარიამ და კონსტანტინე როინიშვილები

— მარიამ, ძირითადად, რომელი კომპოზიტორის სიმღერებს მღერი ხოლმე?

— დღევანდელი კომპოზიტორების სიმღერებს არ ვმღერი. რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის სიმღერებს ვმღერი.

— ქალბატონო თამრიკო, რა შეგრძნება გეუფლებათ, როდესაც სცენაზე მთელი ოჯახი დგახართ და მღერით?

— როდესაც პრეტენზიას აცხადებ, რომ მთელი ოჯახით იმღერო, დიდ პასუხისმგებლობას იღებ. იმის გამო, რომ ამ საქმისთვის ბიძგის მიმცემი მე ვარ, ყველას მაგივრად, მე ვღელავ ხოლმე, თუმცა ლამაზი შეგრძნებაა, სიყვარულის დიდ მუხტს შეიცავს. საერთოდ, ოჯახური სიმღერის ტრადიცია საქართველოში ფესვგადგმულია. თუნდაც დები იშხნელები გავიხსენოთ. სამწუხაროდ, დღეს ჩემი ოჯახის გარდა, ამ ტრადიციას არავინ აგრძელებს.

— ვიცი, რომ თქვენი ვაჟი — კონსტანტინეც მღერის...

— წლევანდელ საახალწლო გადაცემაში იმღერეს მამამ და შვილებმა. ძალიან გულის ამაჩუყებელი იყო. თუმცა, კოკო ამ გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად ძლივს დავითანხმეთ...

— მარიამ, შენს მშობლებთან

დუეტში უკვე იმღერე. ახლა ვისთან გინდა დუეტის ჩაწერა?

— ძალიან მინდა ვიმღერო უიტნი ჰიუსტონთან და ბარბრა სტრეიზენდთან ერთად. სულ ვოცნებობ, რომ მათ კონცერტებს დავესწრო...

— კიდევ რაზე ოცნებობ?

— ლონდონში სასწავლებლად წასვლა მინდა, ამის იმედიც მაქვს!

— დედა ცნობილი მომღერალი გყავს, მამა — ცნობილი მსახიობი. შენ ვინ გინდა, რომ გამოხვიდე?

— მინდა ექიმი გამოვიდე, თუმცა ალბათ, სიმღერასაც გავაგრძელებ. პროფესიულ სცენაზე დგომის პრეტენზია არა მაქვს.

— ქალბატონო თამრიკო, თქვენ როგორ შეაფასებდით მარიამის მოწოდებას და თუ ჩაერევით შვილების არჩევანში?

— მარიამის სურვილს ხელს არ შევუშლი, რადგან ექიმი, რომელიც მღერის, უფრო ბევრი და კარგი საქმის გამკეთებელია. რაც შეეხება კოკოს — ამჟამად სპექტაკლებში თამაშობს და ბავშვის პირობაზე კარგადაც ართმევს თავს, თუმცა მსახიობობას არ აპირებს, სხვა პროფესიის არჩევა სურს. ბავშვებმა შეიგრძნეს ტაშის გემო, მიუხედავად ამისა, არც ერთი არ არის „ვარსკვლავური სენით“ შეპყრობილი, ანუ პროფესიულ სცენაზე ყოფნა არც ერთს არ უნდა.

— ახლა საქართველოში კლიპების ბუმია. თქვენმა მეუღლემაც და შვილმაც გადაიღეს კლიპები. თქვენ ამ მხრივ რატომ პასიურობთ?

— არ მიმაჩნია, რომ კლიპი მომღერლის თვითრეალიზაციის მთავარი საშუალებაა. მომღერალი სცენაზე, ცოცხალი შესრულებით ფასდება. ყველაზე მეტად კლიპის პრეზენტაციები მაღიზიანებს. ამას წინათ, ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნის პრეზენტაცია იყო. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც წიგნის მაღაზიასთან ხალხი დავინახე. აი, რას სჭირდება პრეზენტაცია! ამ ბოლო ხანს გადაღებულებიდან თითზე ჩამოსათვლელია კლიპი, რომელიც მართლა ქართულია. ნერვებს მიშლის შიშველი სხეულის ჩვენება, რომ წამოწვებიან რუბენსის ქალის პოზაში... ეს ყველაფერი საზღვარგარეთიდან მოდის და ჩვენც ვბაძავთ. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ კლიპის გადაღება საჭირო არ არის. ჩემი კლიპი ახლა იგეგმება. ვფიქრობ, ცუდი არ უნდა გამოვიდეს, რადგან ჩანაფიქრით, მასში დიდი

მარიამი გია ჭანტურიასთან ერთად

სითბო და მოკრძალება დევს. კლიპი ერთ ადამიანს შეეხება, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ დაწვრილებით ამის შესახებ ვერ მოგიყვებით, ეს ჯერ საიდუმლოა.

— თუ იწერთ ახლა რაიმე ახალ სიმღერას?

— რამდენიმე დღეში, ქეთი გაბისიანის ახალ სიმღერას ჩავწერ, რომლის აკომპანიმენტიც ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ — გია ბაღაშვილმა გამიწია. ვფიქრობ, ეს სიმღერა რაღაც თავისებური სიახლე იქნება, რადგან არ არის გადატვირთული იმ ეფექტებით, რომელსაც ხშირად მიმართავენ ხოლმე მომღერლები. ვეცდები, ამ სიმღერამ მცირე სიამოვნება მაინც მოჰგვაროს ჩემს მსმენელს. სხვა სერიოზულ პროექტებზეც ვფიქრობ, თუმცა ჯერ არაფერს ვიტყვი, რადგან დღეს და ხვალ არ გაკეთდება. ყოველთვის რაჭული ტემპით მივიწევ წინ, მაგრამ რასაც ვაკეთებ, ვფიქრობ, რომ ხარისხიანად ვაკეთებ.

— რადგან ბატონ გიას ვერ შეეხვდით, იქნებ, თქვენ გვიამბოთ მისი შემოქმედებითი ცხოვრების სიახლეების შესახებ...

— „თეატრალურ სარდაფში“ რეჟისორი ოთარ ეგაძე დგამს ახალ სპექტაკლს — ჩეხოვის „ძია ვანიას“ მიხედვით. გია, ძია ვანიას როლს შეასრულებს. გარდა ამისა, არის ლაპარაკი ახალ ფილმში გადასაღებად მის მიწვევაზე. მეამაყება, რომ გია ნიჭიერი მსახიობია. ამას რომ ვამბობ, მიკერძოებული არ გეგონოთ — ეს საზოგადოების უდიდესი ნაწილის აზრია.

— მარიამ, თუ ესწრები ხოლმე მამის სპექტაკლებს და რა შეგრძნება გეუფლება, როდესაც ბატონ გიას სცენაზე ხედავ?

— მამის ყველა სპექტაკლი მაქვს ნანახი. ვნერვიულობ, რადგან ვიცი, რომ ისიც ნერვიულობს. ერთხელ დავთარსე კიდეც: სპექტაკლში — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ არის ისეთი ეპიზოდი, როცა მამა უნდა გადახტეს. ერთხელ ფეხი დაუცურდა და დავარდა, მეორედ ამ ეპიზოდის მოახლოებისას, ვზივარ დარბაზში და ვფიქრობ: ღმერთო, ოღონდ ახლა არ დავარდეს-მეთქი. გადახტა და ისევ არ დავარდა?! მას შემდეგ გადავწყვიტე, რომ ამ სპექტაკლს აღარ დავსწრებოდი.

— ქალბატონო თამრიკო, როგორც ვიცი, საბავშვო სტუდია გაგიხსნიათ...

— სტუდია სექტემბერში გაიხსნა. დიდი ხანია, მე და ჩემი დები პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევით. ალბათ, დასაძრახი არ არის, რომ სხვა შემოსავლის წყარო არ მქონდა და ჩემი ოჯახის რჩენა ამ მოსწავლეებზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ღმერთის წინაშე ვამბობ, რომ სტუდია მხოლოდ შემოსავლის გამო არ გამიხსნია. ამისკენ მიბიძგა იმან, რომ ვხედავ — მომავალი თაობა დეგრადირების გზაზე დგას — ვგულისხმობ გემოვნებას, საოცრად დიდ ლტოლვას უცხოური სიმღერების მიმართ და ქართულის იგნორირებას. საჭიროდ ჩავთვალე, რომ ქართველი ბავშვი ცოტათი მაინც მეზიარებინა ქართული ტრადიციული სიმღერისთვის. ვერ წარმოიდგენთ, რამხ-

ელა პრობლემებს წავაწყდით: სმენის შესამოწმებლად მოსულმა ბევრმა ბავშვმა, „ჟუჟუნა წვიმაც“ კი არ იცის და უცხოურ სიმღერას მღერის ხოლმე, თავისი უცხოური ხვეულებით. ვერ გავიგე, ქართლკახური ხვეულების პატრონებს რა უცხოურები აუტყდათ?! თუმცა, ჩვენი ბრალია. ბავშვებს ალტერნატივა არ დავუტოვეთ. რასაც ვასმენინებთ, იმას ითვისებენ... ქართული საშემსრულებლო ხელოვნება პირველ რიგში, სისადავეს ითვალისწინებს. ვერ წარმოიდგენთ ამ სისადავის მიღწევას დღეს რამხელა ძალისხმევა სჭირდება. ყველაფერი გენიალური სადაა, — ტყუილად როდია ნათქვამი.

— როგორ გაიხსენებდით „მზიურს“ და ძირითადად, რით განსხვავდებიან დღევანდელი და მაშინდელი მოზარდები ერთმანეთისგან?

— „მზიურში“ იყო ულამაზესი, ლაღი ბავშვობა თავისი ნამდვილი ბავშვურობით. ისეთი პოპულარობა, ისეთი აღიარება გვქონდა, რომ დღეს ამას, ვერც ერთი ბავშვი ვერ დაიკვეხნის... პირველ რიგში, „მზიურმა“ მეგობრები შემძინა, რომლებთანაც უკვე მირონიც მაკავშირებს. „მზიურმა“ სცენის გამოცდილება მომცა. რაც შეეხება შედარებას — კოლოსალური სხვაობაა: დღევანდელი, ათი წლის „სცენის ბავშვი“ და მაშინდელი, ათი წლის „სცენის ბავშვი“ ასაკით ოცდაათი წლით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ჩაცმულობით, საშემსრულებლო მანერით, პრეტენზიულობით... ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ ვყოფილიყავით ბავშვები, გაგვევლო ყრმობის პერიოდი და ქალობამდე მოვსულიყავით. „მზიურმა“ გვასწავლა, არ დავვაადებულიყავით ე.წ. „ვარსკვლავური სენით“. ამაში, როგორც ჩანს, ოჯახებმაც დიდი როლი შეასრულეს...

— ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად გატკინათ გული...

— ორი წლის წინ გავრცელდა ჭორი, რომელმაც ყველაზე მეტად მატკინა გული. ხალხი ჩემი ოჯახის დანგრევის შესახებ ალაპარაკდა. ყველაზე მეტად იმ ფაქტმა აღმაშფოთა, რომ ხალხის ფსიქიკა რატომღაც იმისკენაა მიმართული, რომ მყარი, შეკრული ოჯახის დანახვისას, მისი დანგრევის სურვილი უჩნდება და თუნდაც ჭორი ამის შესახებ სიამოვნებას ჰგვრის. ისეთი ბინძური ჭორი მოიგონეს, რომელიც ჩემს ოჯახს ნამდვილად არ ეკადრებოდა... მესმის ხოლმე კიდევ რაღაც ჭორები, რომლითაც ხალხი თავს იქცევს...

— ამბობენ, ჭორი პოპულარობის ნიშანიაო...

— ხმამაღლა ვაცხადებ, რომ აბსოლუტურად არ მჭირდება ასეთი პოპულარობა! არ ვეკუთვნი ადამიანების იმ კატეგორიას, რომელიც ამბობს — თუ ჩემზე ჭორების გავრცელება შეწყდა, ე.ი. ჩემი პოპულარობა დამთავრდაო. პოპულარობას, არასოდეს ვეძებდი, თავად მოვიდა. ჭორი კი, იმდენად იაფფასიანი მოვლენაა ჩემთვის, რომ ღმერთმა დამიფაროს, მასზე ვიყო დამოკიდებული!..

— ქალბატონო თამრიკო, ავტომანქანასთან თქვენი ურთიერთობის შესახებ „გზაშიც“ დაბეჭდილა. როგორც მძღოლს, რაიმე სიახლე ხომ არ გაქვთ?

— თურმე ძალიან „პრესტიჟული“ მძღოლი ვყოფილვარ. „კურიერის“ გადაცემის შემდეგ, ცუდ მძღოლად მომნათლეს, თუმცა მე ასე არ ვფიქრობ. ვინც ჩემს მანქანაში ჩამჯდარა, ყველა ამბობს, რომ ვარ რისკიანი და მამაკაცის დონეზე ვმართავ ავტომობილს. მინდა მადლობა გადავუხადო ინსპექტორებს: წესებს ვარღვევ ხოლმე, მაგრამ არ მსჯიან. ნახსენები ტელეგადაცემა 16 დეკემბერს იყო ეთერში. მეორე დღეს, მე და ჩემი შვილები მანქანაში ვსხედვართ, ძალიან გვეჩქარება და დავარღვიე. უეცრად, პოლიციის მანქანა გამისწორდა. დავიწყე ბოდიშების მოხდა. არა, ქალბატონო თამრიკო, უბრალოდ, ბარბარობის მოლოცვა გვინდოდაო, — მიპასუხეს...

ერთხელ კი, ასეთი კურიოზი შემემთხვა: ქუჩაში მოხუცი ქალი დავინახე. გადავეკიდე — გინდათ თუ არა, წაგიყვანთ-მეთქი, ლამის იყო ძალით ჩავსვი მანქანაში. ვიარე, ვიარე და ბოლოს, ტროლეიბუსის გაჩერებამდე მივიყვანე. ქალმა მითხრა: გმადლობთ, გენაცვალე, მე მხოლოდ ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა მინდოდაო... მოკლედ, საჭეთან ძალიან მხიარული ვარ...

■

„ჰრიცაიჰში, ჩემი ლიზაიანური ლელაა...“

კახა მამულაშვილს, რომელსაც ყველა, როგორც მომღერალ ლელა წურწუმიას მეუღლეს და სტეფანე მღებრიშვილის მენეჯერს, ისე იცნობს, თავისი პროფესიით არასოდეს უმუშავია. საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტა, დიპლომატის განათლება მიეღო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მარტო თეორიული ცოდნა საკმარისი არ იქნებოდა, თუ მას პრაქტიკაში არ გამოიყენებდა და ბედი ბიზნესში სცადა.

მერი კობიაშვილი

— თავიდან მუშაობა სხვადასხვა სფეროში მომიწია. ეს იყო სარეკლამო სააგენტო, რესტორანი „ევროპა“, ერთ-ერთი ავიაკომპანია, ქათმის ბარკლების ბიზნესი და ა.შ.

— ქათმის ბარკლების ბიზნესი მომგებიანი იყო?

— სხვათა შორის, კი. მაშინ საკმაოდ ძლიერი ფირმა არსებობდა — „სოიუზკონტრაქტი“. მერე ამ ფირმამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და საქარ-

თველოდან წავიდა. ნებისმიერი სამსახური შეიძლება იყოს სარფიანი. იმ შემთხვევაში, თუ სწორ მიმართულებას აირჩევ. სადაც მე ვიყავი, ყველგან სწორი პოლიტიკა ტარდებოდა. ოღონდ, ეს მარტო ჩემი წარმატება არ იყო.

— ურთიერთობა ბევრ მომღერალთან გიწევთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ სიმღერა თქვენც დაიწყოთ?

— არა. ოღონდ, არა იმიტომ, რომ ამის ნიჭი არა მაქვს. არ მომწონს, ყველას სიმღერა რომ უნდა. ეს რაღაც მავნე ტენდენციად იქცა. დღეს ჩვენში, ან დეპუტატობა უნდათ, ან მომღერლობა. საქართველოში კრიტიკა არ არსებობს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ყველას ყველაფრის უფლება მიეცა. ვინც მღერის, ისიც საკმარისია. მე ჩემი საქმე მაქვს. ვცდილობ, ის მომღერლები, რომლებთანაც ვთანამშრომლობ, „კომერციულებად“ ვაქციო.

— თქვენ თვითონ როგორ მუსიკას უსმენთ ხოლმე?

— სანამ მე და ლელა ერთმანეთს შევხვდებოდით, ქართულ ესტრადას საერთოდ არ ვუსმენდი. ვუსმენდი მხოლოდ სოულს. ჯაზი და როკი დღემდე მიუღებელია ჩემთვის. შეიძლება, ძალიან კარგია, მაგრამ ვერ ვუსმენ. მე ის მომწონს, რაც ჩემამდე იოლად მოდის.

— ლელას როგორ შეხვდით?

— რესტორნის დირექციაში ვმუშაობდი. ლელა მოვიწვიეთ, კონტრაქტი გავაფორმეთ. ორი თვის განმავლობაში ყურადღებაც არ მიმიქცევია. არც კი შევდიოდი დარბაზში, სადაც მღეროდა. მერე ერთმანეთს დავუახლოვდით, დავმეგობრდით და... დღესაც იმაზე ვსაუბრობთ ხოლმე, — რომელმა რომელი მოხიბლა. ჩვენ ერთმანეთის შინაგანი თვისებებით უფრო მოვიხიბლეთ, ვიდრე გარეგნულით.

— ძნელია, იყო ლამაზი ქალბატონის მეუღლე? არ ეჭვიანობთ ხოლმე?

— ვისზე? მაშინ, ძალიან ბევრზე უნდა ვიეჭვიანო. შენმა მეორე ნახევარმა არ უნდა მოგცეს ამის საბაბი. მე ჩამოყალიბებული ადამიანი ვარ. ლელაც მზად იყო იმისთვის, რომ ოჯახი შეექმნა. ეჭვიანობის მიზეზს ნამდვილად არ მაძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ისეთ სფეროში მუშაობს, რომ შეიძლება ვიეჭვიანო.

— ლელას თაყვანისმცემლები გაღიზიანებენ?

— მიჩვეული ვარ. თუმცა, ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელიც ნერვებს მიშლის, მაგრამ აღარც მაგას ვაქცევ ყურადღებას.

— თქვენს პირველ ოჯახზე რას იტყოდით?

— როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება, მე და ჩემს ყოფილ მეუღლეს მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. გვყავს საერთო შვილი — ნიკუშა. ორივე ვცდილობთ, ბავშვს არ ვაგრძნობინოთ ის, რაც ამ დროს ხდება ხოლმე. მის აღზრდაზე ორივე ვზრუნავთ.

— თქვენი მეორე შვილი, მარიამი, უკვე გეძახით მამას?

— არა. „დედას“ ამბობს, „მამას“, სამწუხაროდ, ჯერ ვერა.

— ტანსაცმელს თქვენ თვითონ ირჩევთ თუ ლელა გეხმარებათ ხოლმე?

— მე თვითონ ვირჩევ, მაგრამ პრინციპში, ჩემი დიზაინერი ლელაა. დილით რომ ვდგები, მხვდება ის, რაც უნდა ჩავიცვა. ლელას ყველაფერში ვენდობი.

— ამ ბოლო დროს, ყველგან ქუდით ჩნდებით, როგორც გავიგე, სუფრასთანაც კი არ იხდით. ძალიან მოგწონთ ეს ქუდი?

— ამ ქუდს პატარა ამბავი უკავშირდება. შარშან, სექტემბერში, მე და ლელა ისრაელში ვიყავით. თელ-ავივში, ერთ-ერთ ქუჩაზე, მსოფლიოში ცნობილ დიზაინერებს საკუთარი მაღაზიები აქვთ გახსნილი. დავდიოდით და ვათვალიერებდით. როცა „ჯორჯო არმანის“ მაღაზიაში შევედით, უკვე იკეტებოდა. ძალიან მინდოდა, ქუდი მეყიდა. რატომღაც ამ ქუდს დავადგი თვალი და ფასი ვიკითხე. 250 დოლარი ღირსო, — მიპასუხეს. ძალიან ძვირია-მეთქი, — ვუთხარი და წამოვედი. მაგრამ ვერ მოვისვენე. მივბრუნდი უკან — ჩემში ქართულმა სულმა იყივლა... დავიწყე ვაჭრობა და საბოლოოდ, 120 დოლარად ვიყიდე. მომწონს ეს ქუდი და მე მგონი, უზრდელობაში არ უნდა ჩამითვალონ, რომ სუფრასთანაც არ მოვიხადო. ნატო გელაშვილის საღამოზე ვიჯექი სუფრასთან ქუდით და მეორე დღეს ამის შესახებ ჟურნალისტებმა დაწერეს ერთ-ერთ ჟურნალში...

— საჩუქრების მირთმევა თუ გიყვართ?

— სიურპრიზის სახით — კი.

— ლელასთვის რაიმე ძვირად ღირებული ნივთი თუ მიგიძღვნიათ?

— კაბა ვაჩუქე საახალწლოდ. „რუსთავი 2“-ის მიერ ორგანიზებულ საახალწლო კონცერტზე სწორედ ეს კაბა ეცვა.

— ეს მისთვის სიურპრიზი იყო?

— კი. შევიყვანე მაღაზიაში და ამ კაბაზე მივუთითე. ჩაიცვა და ძალიან მოეწონა. საჩუქარი ლელამაც გამიკეთა. რამდენიმე თვის წინ მქონდა კოსტიუმი შერჩეული ერთ-ერთ მაღაზიაში. საახალწლოდ, შინ რომ მივედი, დამხვდა...

— რაიმე საყვარელი ნივთი თუ გაქვთ — ისეთი, რომელსაც ვერ ელევით?

— გიშრისთვლიანი ბეჭედი მიყვარს. საქორწინო ბეჭედიც სულ მიკეთია. რომ მოვიხსნა, მომკლავენ და არ ვიხსნი — რა ვქნა *(იცინის)*... საათს საერთოდ არ ვატარებდი, მერე ჩემმა მეგობარმა მაჩუქა „კარტიეს“ ფირმის საათი, რომელიც ძალიან მომწონს. მეტი ისეთი არაფერი. უფრო, ლელას აქვს ისეთი აქსესუარები, რომელსაც ძალიან უფრთხილდება.

— თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ რას გვეტყვით?

— ვიწყებ მუშაობას სტეფანეს სოლო კონცერტზე. გვინდა, რომ შემოდგომაზე გავმართოთ. ან ფილარმონიაში იქნება, ან სპორტის სასახლეში.

მე და ლელა კი ახლა ამერიკაში მივდივართ. 14 თებერვალს ნიუ-იორკში „მილენიუმის “დიდ დარბაზში ლელა, ჩიკო მეფარიძე და რუსიკო მორჩილაძე კონცერტს გამართავენ, გარდა ამისა, კონცერტები ფილადელფიაში (16 თებერვალს) და ნიუ-ჯერსიში (21, 23 თებერვალს) გაიმართება, სათაურით — „თბილისური საღამოები“, სადაც ამერიკაში მცხოვრები ქართველი მომღერლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:

1. ხრტილი და კაკნატელა სინონიმებია.

2. ღრძო, ღვარძლიან ადამიანს ჯუღელი ჰქვია.

3. მოჩვენების წამოსასხამი კარლსონს ბიჭუნამ შეუკერა.

4. სორბონა პარიზის ლათინური უბნის ცენტრში მდებარეობს.

5. უცხო ქალაქში ორიენტირებას ქალებზე უკეთ მამაკაცები ახერხებენ.

6. გალაკტიონ ტაბიძის ლექსი – „მერი“, მერი შერვაშიძისადმი არის მიძღვნილი.

7. ლიტვის ტერიტორიის 1,5% ტბებს უკავია. ამ ქვეყანაში დაახლოებით 3000 ტბაა.

8. 1900 წლიდან მოყოლებული, ანუ 25 წლის ასაკიდან, თომას მანს აღარსად უმუშავია.

9. სიონში დასვენებულ ილია ჭავჭავაძის ცხედარს, ნატყვიარზე მუხის ფოთოლი ჰქონდა დაფარებული.

10. ჩინურ დამწერლობაში სიტყვები „ჩინეთი“, „ცენტრი“ და „შუაგული“ ერთი იეროგლიფით აღინიშნება.

11. „თუ გსურს, ბრძნულად მოიქცე, მოუსმინე ცოლს და გააკეთე საწინააღმდეგო,“ – ამბობდა სტენდალი.

12. მსხვერპლზე თავდასხმისას ლომის მიერ გაკეთებული უკანასკნელი ნახტომი, მტაცებლისთვის ყველაზე დიდ სტრესთან არის დაკავშირებული.

13. სუმოს მოჭიდავეს არა აქვს უფლება, გამოხატოს წარბის ოდნავი შერხევითაც კი, გამარჯვების სიხარული ან დამარცხების სინანული.

14. იაპონია ადმინისტრაციულად 46 პრეფექტურად და ჰოკაიდოს საგუბერნატოროდ იყოფა. ეროვნული დღესასწაული ამ ქვეყანაში იმპერატორის დაბადების დღეა.

15. ფრინველი ტოკოლორო კუბის სიმბოლოდ ითვლება. მისი ბუმბულის შეფერილობაშია ყველა ის ფერი, რომელიც კუბის დროშაზეა გამოსახული.

16. როდესაც კოდალები ბუდეს ნაძვის ხის ფულუროში იკეთებენ, გამუდმებით ჩიჩქნიან მის მერქანს, რათა ხემ რაც შეიძლება მეტი ფისი გამოყოს. ეს კი იდეალური თავდაცვაა გველებისაგან – ქვეწარმავალი ხეზე ვეღარ ცოცდება.

„ვაგონი მიკრის“

ავთო მარგველაშვილი

მატარებელი რომ ტრანსპორტის ყველაზე საიმედო და უსაფრთხო სახეობაა და სვლის ნელი ტემპით, მგზავრების დაახლოებასაც უწყობს ხელს, ამ აზრს ჩემოდნის ადგილზე მოკალათებული ზურიკელა ვაშალომიძეც იზიარებდა. მას შემდეგ, ხალხიც შეიცვალა და ვაგონებიც, მატარებელიც „ჩქაროსნული“ გახდა, მაგრამ სიჩქარით, მაინცდამაინც, ვერც ახლა დაიკვეხნის. ასე რომ, მგზავრებს დღესაც საკმაო დრო აქვთ ერთმანეთთან სამასლაათოდ და პირად თუ საზოგადო საკითხებზე მსჯელობისათვის. ამას ის სიამოვნებაც ემატება, რომ ვაგონში ტელევიზორიცაა დამონტაჟებული და ჰოლივუდის კინოშედევრებითაც შეგიძლია დატკბე. მოკლედ, ვისაც კარგი ნერვები აქვს და არსად ეჩქარება, მატარებლით მგზავრობა პირდაპირ, მისწრებაა.

– გეტყობათ, ბაზარში მიგაქვთ კიტრი, ბატონო, – გამოელაპარაკა მოპირდაპირე სკამზე მჯდომ მამაკაცს 45 წლამდე ასაკის შავოსანი ქალი, რომელსაც ვერცხლის კულონში ჩასმული, ქრის სურათი ეკიდა გულზე, მაგრამ დეკოლტეზე და კაბის „პრარეზზე“ ეტყობოდა, რომ ქრისათვის არც მის სიცოცხლეში იზაფრებდა ნამეტანი... თვითონ მწვანილით დატენილი ტომარა ედო მუხლებთან.

– ბაზარში მიმაქვს, მაგრამ ფასი აღარა აქვს არაფერს. რაც ამას წვალება, სასუქი და წამალი უნდა, იმის ფასს რას ამოიღებს?!

– ქინძსა და ოხრახუშს მაინც ავჯობებს, – გული გაუკეთა ქვრივმა.

– არა, ქალბატონო, მწვანილი მეტს ტოვებს მოგებას, – გაჯიქდა „კიტრომაგნატი“.

– მე ჩემს ქინძს, მაინც თქვენი კიტრი მირჩევნია! – ორაზროვნად ჩაილაპარაკა ქალმა, რომელსაც აშკარად, ან კიტრზე ჰქონდა გართულება, ან მის ფორმაზე. საუბარს ყური ავარიდე, ჩემ გვერდით მჯდომი მთვრალი კაცის თავი მხრიდან მოვიცილე და ყურადღება ტელევიზორზე გადავიტანე. საკმაოდ პიკანტური სცენა იყო: დედამ და მამამ პატარა შვილი დააწვინეს, კარი გამოიხურეს და ვნებიან ალერსს მიეცნენ.

– დედიკო, მე რომ დამაძინებთ ხოლმე, შენც ასე გხდის მამიკო? – იკითხა 4-5 წლის გოგონამ, კევი გამოწელა და საჩვენებელ თითზე დაიხვია. დედამისმა სირცხვილისაგან ცალი ხელი თვალებზე აიფარა, ალბათ – არავინ მიცნოსო... მეორე ხელით კი ბავშვს ისე მწარედ უჩქმიტა, რომ გოგონამ იკივლა, ხელი გაიქნია და გაწელილი კევი მთვრალ კაცს ყურზე გადაჰკიდა.

ყველას სიცილი აგვიტყდა. ხმაურზე

მთვრალი შეფხიზლდა, წამოდგა და ვაგონის ბოლოსკენ წაბარბაცდა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო? — ჰკითხა გამცილებელმა გოგონამ და ყურიდან კევი ჩამოხსნა.

— „კაბინეტში“... საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

— არ შეიძლება, ბატონო, გაჭედილია.

— გაჭედილი, რა, ქვედა მეზობელს ჩაუვა და რემონტს გაუფუჭებს, თუ?..

— მაშინ, პირველ ვაგონში მიბრძანდით.

ეს კაცი მართლაც წავიდა პირველი ვაგონისაკენ და 15 წუთში, ბოლო ვაგონის მხრიდან შემოვიდა: თურმე, არც იქ შეუშვეს. ამიტომ ძირს ჩავიდა. მატარებელი ისე ნელა მიდიოდა, რომ „საქმეც“ მოილია და ბოლო ვაგონშიც ამოვიდა. ისევ გვერდით მომიჯდა და ხვრინვა ამოუშვა. ჩვენც ტელევიზორის ყურება განვაგრძეთ. ფილმში სიტუაცია დაიძაბა.

გორში რომ შევედით, ფილმიც დამთავრდა. ბავშვიანი ქალის გვერდით მჯდომმა ბიჭმა შუბლში იტკიცა ხელი:

— გორიო! ფუი! ხაშურში უნდა ჩავსულიყავი, ამას გადაუშენდა გადამღები — როგორ შემიტყუა! — ჩაიბურდღუნა და გასასვლელისკენ გავარდა. ამ დროს, ვაგონში ოთხი ახალგაზრდა გოგონა ამოვიდა. რადგან თავისუფალი ადგილები აღარ იყო, სკამებს შორის დადგნენ. ადგილი დავუთმე, მაგრამ მთვრალი კაცის გვერდით ჯდომა არ ისურვეს და ისევ ფეხზე დგომა არჩიეს. ერთმა გოგონამ შენიშნა, რომ ამ მთვრალს შარვალი ჰქონდა გახსნილი, დანარჩენებს გადაუჩურჩულა და გააცინა.

ოთხივე მიშტერებია და იცინის. ისეთი ხარხარი ატეხეს, თითქოს იმ გახსნილი შარვლიდან ვინმე ანეკდოტებს უყვებოდა.

ყველაზე აქტიურად მოხარხარე გოგონამ სიცილისაგან წამოხურებული სახე ცხვირსახოცის ფრიალით მოიგრილა, მაგრამ ცხვირსახოცი ხელიდან გაუვარდა და ზედ გახსნილ შარვალს დაეცა. ისტერიკული სიცილი ატყდა. ამ დროს, ვაგონმაც წაგვაჯიკავა, მთვრალმა ისევ შეიღვიძა და უაზრო თვალებით გადმოგვხედა. იეჭვა კიდეც — სიცილის ობიექტი მე ხომ არა ვარო, — ტანზე დაიხედა და შარვალზე რაღაც თეთრი რომ დაინახა, მოგვიბოდიშა — უკაცრავად, „საროჩკა“ გამომვარდნიაო! — გოგოს ცხვირსახოცი გახსნილ ხვანჯარში შეიტნია, შეკუჭა და ელვაც შეიკრა.

მსგავსი კურიოზი არასოდეს მინახავს. იმდენი ვიცინეთ, რომ გამცილებელი შემოვარდა — „სტოპ-კრანი“ ხომ არ ჩამოვწიოო?! ცხვირსახოცის პატრონს მეგობრები ასულიერებდნენ. მე კი „ცეცხლზე ნავთი დავასხი“ — ჩაძინებული კაცი გავაღვიძე და ვუთხარი: ეს თეთრი ნაჭერი თქვენი „საროჩკა“ კი არა, აი, ამ გოგონას ცხვირსახოცია და უნდა დაუბრუნოთ-მეთქი.

— კი, ძმაო, რა პრობლემაა?! — შარვალი ისევ გაიხსნა, ხელი შეყო და ცხვირსახოცი დანებებული მებრძოლის თეთრი აღამივით აუფრიალა გოგონას — ინებეთ!..

— არ მინდა, მიჩუქნია! — იკივლა გოგონამ.

— დიდი მადლობა! — ისევ შეიტნია და შარვალიც შეიკრა.

— დედიკო, ცხვირსახოცს მამიკოც იქ ინახავს ხოლმე? — მორიგი „საჩქეტი“ შეკითხვა დასვა პატარა გოგონამ და დაიმსახურა კიდეც...

— მამუკას ნაჩუქარი ცხვირსახოცი იყო, მისივე ინიციალებით. როგორ მიყვარდა! — შეყვარებულის საჩუქარი ასეთი მძიმე ხვედრისთვის ნამდვილად დაენანა ცხვირსახოცკარგვია „დეზდემონას“.

— არა უშავს, ახალს გაჩუქებს, — დაამშვიდა მეორემ.

— ჰო, მაგრამ რომ მკითხავს, სად წაიღეო, რა ვუპასუხო? — ისევ სიცილი აუტყდა გოგონას.

ამ დროს, მატარებელმა მცხეთას მიაკივლა. კიტრისა და მწვანილის ბიზნესმენმა კაცმა და შავოსანმა ქალმა ტომრები ტამბურში გამოიტანეს, გადაწყვიტეს, ბაზრამდე ერთი ტაქსი აეყვანათ და რადგან ორი ტომარა კიტრი უფრო მძიმეა, ვიდრე სამი ტომარა მწვანილი, ფასზეც შეთანხმდნენ, რომ ტაქსის საფასურს, სამ ლარს კაცი გადაიხდიდა, ორს კი — ქალი, რომლის ფარული გეგმა — კაცისთვის თავი ისე მოეწონებინა, რომ ხუთივე ლარი მას გადაეხადა, — მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.

გოგონებიც ჩასასვლელად მოემზადნენ. მთავარი გმირი ჰაეროვანი კოცნით გამოემშვიდობა შეყვარებულის ინიციალებიან ცხვირსახოცს და მომავალი „წარმატებები“ უსურვა.

დედამ შემარცხვენელ ქალიშვილს თმა დავარცხნა, მოაწესრიგა და ყელზე გაკეთებული ბაფთა ისე მოუჭირა, რომ ბავშვს სახლში მისვლამდე ხმა აღარ ამოეღო და მორიგი კითხვით დედისთვის თავი არ მოეჭრა. ცხვირსახოცის სასაცილო ისტორია ალბათ დღემდე ყველას ახსოვს...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

17. პიკასოს სახელოსნოში სისტემატურად იდო ერთი უზარმაზარი ტილო, რომელზეც მხოლოდ მხატვრის ხელმოწერა იყო.

18. ამ ბოლო წლების განმავლობაში, სულ უფრო ხშირად იხოცებიან ზღვის კუები, რომლებიც მედუზებით იკვებებიან. ამის მიზეზი მათ მიერ გადაყლაპული პოლიეთილენის პაკეტებია, რომელიც მათ შეცდომით მედუზები ჰგონიათ.

19. ალექსანდრ მატროსოვი, რომელმაც 1943 წლის 23 თებერვალს, სოფელ ჩერნუშკისათვის ბრძოლის დროს, მტრის ამბრაზურა საკუთარი სხეულით დაფარა, ფრონტზე მოხალისედ იყო წასული.

20. სანამ პომპეუსის ბრძანებით სიკვდილით დასჯიდნენ, კარბონმა მცირეოდენი დრო და ადგილი ითხოვა, რათა მუცელი გაეთავისუფლებინა.

21. „კოლუმბმა მხოლოდ იმიტომ შეძლო ამერიკის აღმოჩენა, რომ იოჰანეს მიულერის ასტროლოგიური გამოთვლებით ხელმძღვანელობდა“. — ამ ფრაზის შემცველი წერილი ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში ჰიტლერის მმართველობის დროს გამოქვეყნდა.

22. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, ერთ გამოსვლაში განაცხადა: „ვინც საბჭოთა კავშირის დაშლას არ ნანობს, მას არა აქვს გული, ხოლო ვინც მის აღდგენას ცდილობს, მას არა აქვს ტვინი“.

23. ცნობილი კულინარის უილიამ პოხლებნიკის თქმით, ივანე მრისხანეს კარზე რუსი მზარეულები მხოლოდ მოხარშულ ხორცს ამზადებდნენ. შემწვარ ხორცს ამზადებდნენ თათრები (ტყუილად ხომ არ აიღო ყაზანი). P.S. შემწვარი კერძების მომზადებაში თათრების დახელოვნება სტეპებში წყლის სიმცირით აიხსნება.

24. ერთხელ კონცერტზე ნანი ბრეგვაძეს სიმღერის ტექსტი დაავიწყდა. იგი არ დაიბნა და პირდაპირ დარბაზს სთხოვა, ტექსტი შემახსენეთო. შეიქნა ერთი ამბავი, ქალბატონი ნანის დახმარება ყველამ ერთდროულად მოისურვა. ისეთი ხმაური ატყდა, რომ მომღერალი იძულებული გახდა, ეთხოვა: არაფერი მესმის, იქნებ დარბაზის ერთი ნაწილი გაჩუმდეს და მეორე ნაწილმა მიკარნახოსო.

■



ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება — დედობაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა ბავშვის ჩასახვის პროცესი ერთნაირია, მაშინ გაუგებარია, რატომ არსებობს ტერმინი — უკანონო შვილი. ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მშობლების შეუღლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს... ხშირად მსმენია 30 წელს გადაცილებული, გაუთხოვარი ქალებისგან — შვილი მინდა მყავდეს, თორემ უკაცობას კი არ განვიცდიო. დედობაზე უარის თქმა კი, ხშირად იმიტომ უწევთ ხოლმე, რომ ბედმა არ გაულიმათ და ქმარი ვერ „იშოვეს," ისე კი, აბა, გაბედე და ბავშვი გააჩინე! მაშინვე, ოჯახისა და საზოგადოების რისხვა გელის. ამის თავიდან ასაცილებლად კი, ხშირია შემთხვევა, როდესაც გაჩენილ ბავშვს ყიდიან ან, უკეთეს შემთხვევაში, გააშვილებენ ხოლმე. გავა წლები და მერე კი ხვდებიან, რა ცოდვა ჩაიდინეს... ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისკენ მოვუწოდებთ ვინმეს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარ-ოთ, რომ საკუთარი სურვილით მარტოხელა დედის სტატუსზე დათანხმება ჩვენში საკმაოდ დიდ გამბედაობას მოითხოვს.

მარტოხელა დედები

ანუ ყველა ქალმა დედობის სიტკბოც და სიმწარეც უნდა გამოსცადოს

მარი ხაფარიძე

ჩემი რესპონდენტი 38 წლის ქალია. პირობითად, ნატო დავარქვათ. ერთი შვილი ჰყავს. მინდა გითხრათ, რომ მაშინაც, როცა მის მონათხრობს ვისმენდი და მაშინაც, როცა ამ ამბავს ვწერდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

— ათი წლის წინ, ერთი არაჩვეულებრივი მამაკაცი შემიყვარდა. ლაგოდეხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გავიზარდე. 18 წლის ვიყავი, თბილისში რომ ჩამოვედი. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. შემდეგ, მაუდ-კამვოლის კომბინატში დავიწყე მუშაობა, ოღონდ, არა ჩემი სპეციალობით. ბავშვობიდანვე გულჩათხრობილი ვიყავი, უცხო ადამიანებთან ურთიერთობა ყოველთვის მიჭირდა, ამიტომ სულ რამდენიმე მეგობარი მყავდა. იშვიათად დავდიოდი გასართობად. სამსახური და სახლი — აი, ასეთი იყო ჩემი განრიგი. გადიოდა წლები, მყავდა თაყვანისმცემელი მამაკაცები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მომწონდა. ამასობაში ქვეყანა აირია, ჩვენი კომბინატი თითქმის აღარ ფუნქციონირებდა, შემცირებაში მოვყევი და უმუშევარი დავრჩი. გადავწყვიტე, სხვა სამსახური მომეძებნა. ერთ-ერთ კერძო ფირმაში დავიწყე მუშაობა. სბეჭდ მანქანაზე ტექსტებს ვკრეფდი. შემდეგ, კომპიუტერი შეიძინეს და იძულებული გავხდი, კომპიუტერით სარგებლობა მესწავლა. ხელმძღვანელმა შემომთავაზა: ჩემი მეგობარი კარგად ფლობს კომპიუტერს, საღამოობით, სამუშაო საათების შემდეგ მოვა და 1-2 საათი წაგამეცადინებსო. მე და კახა (ასე დავარქვათ ჩემს „პედაგოგს") გვიანობამდე ვრჩებოდით ხოლმე ოფისში. არ დავმალავ, რომ ეს ახალგაზრდა მამაკაცი პირველი ნახვისთანავე მომეწონა. საერთო ენა ადვილად გამოვნახეთ და ცოტა ხნის შემდეგ, უკვე თავდავიწყებით მიყვარდა. მისგანაც ვგრძნობდი სითბოს და ყურადღებას. ვფიქრობდი, — სულ მალე, ჩემი გაკვეთილები დამთავრდება და რა იქნება შემდეგ მეთქი? შემდეგ კი მოხდა ის, რომ კახა სიყვარულში გამომიტყდა და ჩვენ შორის სერიოზული რომანი გაიბა. ბედნიერი ადამიანი ვიყავი, ხალისიანი გავხდი, ოცნებობდი უფრო კარგ და ბედნიერ მომავალზე, თუმცა, ერთი რამ მიკვირდა: მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვცხოვრობდი, მას კი ცოლი არ ჰყავდა, მთელი ღამით ჩემთან არასდროს რჩებოდა. იმას იმიზეზებდა, რომ ავადმყოფი დედა ჰყავდა და მარტო ვერ ტოვებდა. ვუჯერებდი და ბევრი ფიქრით თავს აღარ ვიწუხებდი, რადგან მის სიყვარულსა და ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ჩემს სატრფოს შეპარვით ვუთხარი, რადგან არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდა ამ ამბავს. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა. კარგა ხანს, ჩუმად იყო. შემდეგ თავისთან მიხმო, კალთაში ჩამისვა, ყური მუცელზე დამადო და თქვა: ყველაფრის მიუხედავად, ეს ბავშვი აუცილებლად უნდა დაიბადოსო. ეს — „ყველაფრის მიუხედავად" არ მომეწონა. ჩავაცივდი: რას გულისხმობ, მითხარი-მეთქი? როგორც იქნა, ამოღერღა: უკვე დიდი ხანია, ცოლი მყავს, მაგრამ შვილი — არა; ქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ და შენ თუ ბავშვსაც გამიჩენ, შენი მონა ვიქნები სიცოცხლის ბოლომდეო. შემდეგ ბოდიშები მიხადა, მემუდარებოდა — მაპატიე, რომ მოგატყუე და ჩემი ოჯახური მდგომარეობა დაგიმალეო. იმ დღესვე გავაგდე სახლიდან და თვალით აღარ დამენახვო-მეთქი, ვუთხარი. უსიტყვოდ გაიხურა კარი და წავიდა. ვერ აღვიწერთ, როგორ ვინერვიულე, თავის მოკვლა მინდოდა. ერთი კვირით შინ ჩავიკეტე. არც ტელეფონის ზარებს ვპასუხობდი. ვდუღდი, როგორც წყალი თავდახურულ ჭურჭელში, ხმამაღლა ვტიროდი, ვბღაოდი, ბოლოს, ბრიტვით ვენები გადავიჭერი. როგორც ჩანს, ორთქლის გამოშვებასავით იმოქმედა სისხლის დანახვამ. გონს მოვეგე, ხელი დოლბანდით გადავიკარი და საავადმყოფოში ტაქსით მივედი, რომ ფეხები არ გამეფშიკა. იქიდან წამოსული, იმაზე ვნერვიულობდი, ასეთი სტრესის მერე ვაითუ, ბავშვი აღარ შემრჩეს-მეთქი. აზრადაც არ მომსვლია, რომ ნაყოფი მომეშორებინა.

მტკიცედ გადავწყვიტე: ეს ადამიანი მიყვარს, ამიტომ მისგან ბავშვს აუცილებლად გავაჩენ, ოღონდ, ჩვენ შორის ყველაფერს წერტილს დავუსვამ-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

— თუ ასე ძალიან გიყვარდა, როგორც თავად ამბობ, როგორ შეელიე კახას?

— პირველ რიგში იმან მიშველა, რომ მთელი ჩემი ყურადღება ბავშვზე გადავიტანე. ჩემს თავს მეტ ყურადღებას ვუთმობდი, რომ იგი ჯანმრთელი დაბადებულიყო. 3 თვის ფეხმძიმე რომ ვიყავი, კახას შევურიგდი, მაგრამ ეს მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ შინ შემოვუშვი და ჩემზე მზრუნველობის ნებას ვაძლევდი. ცივ ნიავს არ მაკარებდა, უამრავი ხილი და ბოსტნეული მოჰქონდა, დილით, შვიდის ნახევარზე, მანქანით მაკითხავდა, კუს ტბაზე ავყავდი და სუფთა ჰაერზე მასეირნებდა. შევთანხმდით, რომ ბავშვს ერთად გავზრდიდით, მაგრამ ჩვენ შორის ახლო ურთიერთობის გაგრძელებაზე ოცნებაც ავუკრძალე. დამთანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავად არ ჰყავდა შვილი და ამ ბავშვის დაკარგვა არ უნდოდა. თითქოს შევეგუე ჩემს ყოფას, მაგრამ მაინც ძალიან ვნერვიულობდი. პირველ რიგში, ოჯახისთვის სიმართლის გამხელა გამიჭირდებოდა. გადავწყვიტე, რომ ბავშვის გაჩენამდე სოფელში აღარ ჩავსულიყავი. შემდეგ, ერთი-ორი დღით ბავშვს მეგობარს დავუტოვებდი, სოფელში მარტო წავიდოდი და რამენაირად მოვახერხებდი, დედისთვის გამემჟღავნებინა სიმართლე. ნერვიულობა ნერვიულობაზე მემატებოდა და ალბათ ამიტომ, ფეხმძიმობის დროს შევნიშნე, რომ ქვედა ტუჩი, დროგამოშვებით, გვერდზე გამირბოდა... სწორედ განცდების ბრალი იყო ალბათ, რომ ბავშვი შვიდთვიანი დაიბადა და მასაც, ჩემსავით, ქვედა ტუჩი გაურბოდა, თანაც, თანდაყოლილი გულის მანკი აღმოაჩნდა. სამშობიაროდან პირდაპირ საავადმყოფოში გადამიყვანეს. კახა ძალიან განიცდიდა პატარა სოფოს მდგომარეობას. გვაკითხავდა, ყურადღებას არ გვაკლებდა. ძრწოლვით ველოდი — ან ახლა მეტყვიან, რომ დაიღუპა, ან ახლა-მეთქი. ბავშვი 31 დეკემბერს, ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე შემეძინა. 29 იანვარს კი, მისი დაღუპვის ამბავი მამცნეს... ვერ აღგიწერთ, რა განვიცადე მაშინ. ხმამაღლა მოვთქვამდი, ისტერიკა დამემართა. იმ დღესვე, კახამ და მეგობრებმა შინ წამომიყვანეს, თავად კი უკან მიბრუნდნენ, მიცვალებულის წამოსასვენებლად, მაგრამ ხელცარიელნი დაბრუნდნენ. საავადმყოფოში უთქვამთ — უკვე დავასაფლავეთო... დღესაც არ ვიცი, ექიმებმა განგებ არ გამოატანეს მიცვალებული, იმიტომ, რომ ექსპერიმენტებისთვის სჭირდებოდათ, თუ კახამ მომატყუა... მეგობრებმა არ მიმატოვეს, გვერდიდან არ მცილდებოდნენ. ფიქრობდნენ, რომ თავს არ ვიცოცხლებდი. მე კი ყოველ ღამით, ერთი და იმავე სიზმარს ვხედავდი. ახლაც არ ვიცი, ეს სიზმარი იყო თუ ხილვა: ჩემი შვილი ჩემს თავს ზემოთ დაფრინავდა, თავზე დამტრიალებდა და მეევედრებოდა — მიწა მაღირსეო... ხუთი ღამე, ზედიზედ, ასე ვნახულობდი. მეხუთე დღეს, დილით, სახლიდან მეგობრებს გამოვეპარე. მაშინ გლდანის მე-6 მიკრორაიონში ვცხოვრობდი. იქიდან დიღომში ფეხით წავედი. საავადმყოფოდან წამოღებული ჩემი პაწიას მატყუარა საწოვარა პირში მედო და ასე ტირილ-ტირილით მივაღწიე საავადმყოფომდე. შესასვლელში, პირველივე თეთრხალათიან ქალს დავეტაკე და ყელში ვწვდი, თან ვყვიროდი: ახლავე, ჩემი შვილი გამატანეთ, ვიცი, რომ არ დაგიმარხავთ-მეთქი! ვიმუქრებოდი პოლიციას გამოვიძახებ და ყველას დავაჭერინებ-მეთქი. ძლივს გამაჩერეს, დამამშვიდეს, სკამზე დამსვეს, ცოტა ხანში რაღაც დოკუმენტზე ხელი მომაწერინეს და ჩვრებში გახვეული ჩემი პატარა გადმომცეს. 3 თებერვალი იყო, საშინელი ქარი ქროდა. თითქმის შიშველი ვიყავი შინიდან გამოსული, მაგრამ სიცივეს ვერც ვგრძნობდი. ბავშვი გულზე მივიკარი და ისევ ფეხით გავუყევი გზას. გზაში მინდოდა, სახეზე დამეხედა ბავშვისთვის, მაგრამ თან მეშინოდა. მივდივარ ასე, თან ცრემლი ღაპაღუპით მდის, არც ქარს და არც სიცივეს არ ვეპუები. გლდანისკენ გადასასვლელ ხიდზე რომ გადავდიოდი, საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანა გაჩერდა, იქიდან ჭაღარა, ასაკოვანი კაცი გადმოვიდა და მკითხა: რატომ ტირი, რა გაგჭირვებია, ბავშვი ავად ხომ არ გყავსო? — არა, ავად კი არ არის, მომიკვდა-მეთქი, — ვუთხარი. ახლაც მახსოვს,როგორ გაფითრდა და შეტორტმანდა ეს კაცი... შემდეგ, მანქანაში ჩამსვა და შინ მიმიყვანა. იქ არავინ ელოდა, მკვდარი ბავშვით ხელში თუ მივადგებოდი და რომ დამინახეს, გადაირივნენ. შემდეგ, იმავე საღამოს, ქრისტიანული წესით მივაბარე მიწას პატარა სოფო. კახაც იქ იყო. შემდეგ დავემშვიდობე და თვალით აღარასოდეს დამენახვო მეთქი, — ვუთხარი. ასე დასრულდა ჩემი და კახას ამბავი.

— ახლა, ერთი შვილი გყავს, პატარა სალომე. მეუღლე კი — არა. ასეთი ამბის შემდეგ, როგორ გადაწყვიტე, ისევ გაგეჩინა ბავშვი, ოფიციალური ქორწინების გარეშე?

— რაც შვილი დამეღუპა, იმის შემდეგ ავიკვიატე, რომ აუცილებლად გავაჩენდი ბავშვს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, გავთხოვდებოდი თუ არა. გავიდა წლები და ბოლოს, არჩევანი ერთ ახალგაზრდა მამაკაცზე შევაჩერე. მისგან დავფეხმძიმდი და გავაჩინე კიდეც. თუმცა, წინააღმდეგობა არც მისი მხრიდან შემხვედრია. ფეხმძიმობის პირველი 6 თვე მის ოჯახში ვცხოვრობდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, დედამისი მავიწროებდა, სულ მეჩხუბებოდა. ასე იცოდა, თითქოს განათხოვარი ვიყავი და ამ ამბავს ვერ ეგუებოდა. ეს ყველაფერი მომბეზრდა, ავიკარი გუდა-ნაბადი და ჩემს სახლში გადმოვბარგდი. თუმცა, ბავშვის მამა ყოველთვის მაკითხავდა და ახლაც ყურადღებას გვაქცევს. სალომე უკვე ორი წლისაა, მამაც უყვარს და დედაც.

— მარტოხელა დედა, როგორ ახერხებ თავის გატანას?

— ვმუშაობ. დღეში 5 ლარი მაქვს ხელფასი, სალომეს მამაც გვეხმარება შეძლებისდაგვარად და ასე გაგვაქვს თავი.

— როგორია შენი ახლობლების დამოკიდებულება იმ ფაქტისადმი, რომ უქმროდ გააჩინე ბავშვი?

— სხვადასხვაგვარად აღიქვეს ეს ფაქტი. ვინც ჩემი წარსული იცოდა, ისინი გაგებით მოეკიდნენ. ოჯახში დიდი უსიამოვნება შემხვდა და მშობლებთან ურთიერთობა გამიფუჭდა, უცხო ადამიანების აზრი კი ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, რომ ჩემი სალომე მყავდეს ჯანმრთელად. მე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ცხოვრებისთვის ნორმალური პირობები შევუქმნა.

ჩვენ გარშემო ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. კერძოდ, — ამა თუ იმ მიზეზის გამო მიდის რისკზე, თვალს ხუჭავს საზოგადოებრივ აზრზე და საყვარელი ადამიანისგან შვილს აჩენს. ნატოსთან ინტერვიუს შემდეგ გადავწყვიტე, კიდევ ერთ მარტოხელა დედას გავსაუბრებოდი. ახლობლებმა 34 წლის ნინოსთან (სახელი ამჯერადაც შეცვლილია) დამაკავშირეს.

— ნინო, რა იყო მიზეზი, რომ 27 წლის გოგონამ შვილის გაჩენა გადაწყვიტე? ან იქნებ, ეს სულაც შემთხვევის ბრალი იყო?

— არა, შემთხვევითობა არაფერ შუაშია. 25 წლის ასაკში, ჩემზე 4 წლით უმცროსი ბიჭი შემიყვარდა. მასაც ვუყვარდი, ოჯახის შექმნასაც ვაპირებდით, მაგრამ მისი ოჯახიდან სასტიკ წინააღმდეგობას წავაწყდით. გადავწყვიტეთ, გავპარულიყავით. გეგმაც შევადგინეთ. რა თქმა უნდა, ფული გვჭირდებოდა, რადგან უცხო ქალაქში მივდიოდით საცხოვრებლად. ამისთვის ჩემი ბინა გავყიდე. იქვე მეზობლად ერთოთახიანი ბინა ვიყიდე, დანარჩენი ფული კი თან უნდა წამეღო. გორში ვაპირებდით ცხოვრებას და პირველ ხანებში, ამ უცხო ქალაქში ამ თანხით თავს გავიტანდით. დღეც დათქმული გვქონდა. კარგად მახსოვს — 1995 წლის 20 აპრილი იყო. დილიდანვე ვემზადებოდი, ტანისამოსს ჩემოდანში ვალაგებდი, ღიღინ-ღიღინით დავდიოდი ოთახში და მოუთმენლად ველოდი 4 საათის დადგომას, როცა დიდუბის ავტოსადგურში ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. მერე კი, ვეღარაფერი დაგვაშორებდა. ორის ნახევარზე ჩემმა სატრფომ დარეკა და ტრაგიკული ხმით მაუწყა: იცი, სჯობს, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის, ცხოვრებას ნუ გავირთულებთო... ყურმილი ხელში შემაცივდა. მოწყვეტილივით ჩავვარდი სავარძელში და კარგა ხანს, გაოგნებული ვიყავი.

— მაშინ უკვე ფეხმძიმედ იყავი?

— არა, არა, რას ამბობთ? მასთან არავითარი სექსი არ მქონია. ტრადიციულ ქართულ ოჯახში გავიზარდე. როგორ გავბედავდი, რომ ქორწინების გარეშე, მამაკაცს ლოგინში ჩავგორებოდი?

— კარგი, საწყენად არ მითქვამს. რა მოხდა შემდეგ?

— შემდეგ, მე მას აღარ დავკონტაქტებივარ. არც თვითონ მოუკლავს თავი ჩემთან ურთიერთობის გასაგრძელებლად. ასე რომ, ვფიქრობ, მშობლების აზრი გაითვალისწინა და ჩემთან ურთიერთობა დაასრულა. ჩემთვის ეს სიკვდილის ტოლფასი იყო, საკმაოდ მძიმედ გადავიტანე მასთან განშორება. დიდი ხნის მანძილზე მეგონა, რომ დღეს თუ ხვალ გამოჩნდებოდა და ურთიერთობას აღვადგენდით, მაგრამ ამაოდ... ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე, მეგონა, რომ ჩემი ბედნიერება მასთან ერთად გაქრა, რომ აღარასოდეს მეწვეოდა სიყვარული. ამიტომ გადავწყვიტე, რომ პირველივე მამაკაცს, ვინც შემიყვარებდა, ნებისმიერ ურთიერთობაზე დავთანხმებოდი და შვილიც გამეჩინა, რომ ცხოვრების ბოლომდე მარტო არ დავრჩენილიყავი. ასეც მოვიქეცი. როდესაც დავფეხმძიმდი, ბავშვის მამას ვთხოვე, მშობლებთან, სოფელში გამომყოლოდა და როგორც მეუღლეს, ისე გავაცნობდი ყველას; შემდეგ, 1-2 თვე ერთად ვიცხოვრებდით როგორც ცოლ-ქმარი, რომ საზოგადოების თვალში ჩემი სახელი არ შელახულიყო, მაგრამ მან იფიქრა, რომ მახეს ვუგებდი და სასწრაფოდ გამეცალა. რაღა უნდა მექნა? ავდექი და ჩემი გასაჭირი მეგობრებთან მოვყევი. მათ შორის იყო ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც სულ რამდენჯერმე მყავდა ნანახი. მან შემომთავაზა: მართალია, ცოლი მყავს, მაგრამ მშობლებთან მე გამოგყვები და შენი მეუღლის როლს ვითამაშებო. შევთანხმდით. ჩემდა გასაკვირად, ცოლისგან ნებართვა აუღია და ისე გამომყვა. მას შემდეგ, მის ოჯახს დავუმეგობრდი, ჩემი ნანიკო მის ცოლს მოვანათვლინე და დღემდე საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს.

— მშობლებს არასდროს გასჩენიათ ეჭვი, რომ მოატყუე?

— არა, არასდროს. უბრალოდ, გული დასწყდათ, რომ ოჯახი ვერ შევინარჩუნე.

ნინოს ვთხოვე, მეუღლის „როლის შემსრულებელთან“ დამაკავშირე-მეთქი და ჩვენი შეხვედრაც შედგა.

— რატომ დათანხმდით ნინოს, მისი მშობლები მოგეტყუებინათ და მის მეუღლედ გაგეხალებინათ თავი?

— აბა, რა უნდა გამეკეთებინა? ნინო მაშინ სულ რამდენჯერმე მყავდა ნანახი. მისი მეგობრებისთვის დაფარული არ ყოფილა, რომ ის ფეხმძიმედ იყო. ამაზე ყოველთვის გახსნილად საუბრობდა ხოლმე. როდესაც მოჰყვა იმის შესახებ, რომ ბავშვის მამამ უარი უთხრა მისი მშობლების გაცნობაზე, შემეცოდა. ამიტომ დავთანხმდი და მშობლებთან იმიჯი შევუნარჩუნე.

— როგორ შეგხვდნენ „სიდედრ-სიმამრი“?

— კარგად. ნინომ წინასწარ შეატყობინა მშობლებს — გავთხოვდი და მეუღლესთან ერთად მოვდივარო. უამრავი სტუმარი დაგვხვდა, ქორწილისმაგვარი წვეულება გაიმართა და კარგი დროც გავატარეთ. კურიოზი ის იყო, რომ ღამით დასაძინებლად ერთ ოთახში მოგვათავსეს და ჩვენც, რა უნდა გვექნა — თავფეხშექცევით გვეძინა ერთ მოცუცქნულ ლოგინზე. ერთი კვირა დავრჩით სოფელში. შემდეგ გამოგვაცილეს და აცრემლებული მშობლები ბედნიერად დავტოვეთ. შემდეგ დავმეგობრდით, ჩემმა მეუღლემ და ნინომ შესანიშნავად გაუგეს ერთმანეთს. ნინო მუშაობს, ამიტომ პატარა ნანიკოს ხშირად ტოვებს ჩვენთან. რომ მოვლენ, მერე აღარც გვინდა ხოლმე მათთან განშორება.

— ნანიკოს მამასთან არ გიცდიათ დაკონტაქტება?

— არა, ნინოს თვითონაც არ გააჩნია ამის სურვილი. ერთხელ შევთავაზე: იქნებ, დაველაპარაკო, ბავშვი ინახულოს მაინცმეთქი. უარი მითხრა. თვითონ თუ არ გასჩენია ამის სურვილი, რატომ დავაძალოო?!.

— როგორ გგონიათ — სწორად მოიქცა ნინო, როცა გადაწყვიტა, რომ ქორწინების გარეშე გაეჩინა ბავშვი?

— ის ბედნიერია, ულამაზესი გოგონა ჰყავს. ფიქრობს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ჩაუდენია. მეც ასე მგონია. ბოლოს და ბოლოს, ქალმა დედობის სიტკბოც და სიმწარეც უნდა გამოცადოს.

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბავთი“, „ჯეოსელი“,
„ჭეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

„კინოლოგებს ეხო ჩეჩვას მიუცემ: ნუ ამძიმებენ კავკასიის ნაგაზს!..“

სუფთა ჯიშის გერმანული ნაგაზი იყო ჯინა — ულამაზესი და უმამაცესი. ჯერ კინოვარსკვლავი გახდა, მერე ერთი წელი, რუსთაველის თეატრშიც თამაშობდა. სცენაზე მისი გამოჩენა მაყურებლის ჯერ გაოცებას, შემდეგ კი ოვაციას იწვევდა... მერე, პატრონთან ერთად სასაზღვრო ჯარში გაიწვიეს. წლების განმავლობაში იცავდა საქართველოს საზღვარს. ათობით საზღვრის დამრღვევი ჰყავს განიარაღებული და დაკავებული. ერთხელ, ბავშვიც გადაარჩინა დახრჩობას; პატრონსაც გადაეფარა, როცა დივერსანტი, ზურგიდან უპირებდა დანის ჩარტყმას...

ჩემი პუდელი ორცეცხლიან რგოლშიც ხტება

ნანა ქიბიშაური

მერე, თუმცა საამაყო, მაგრამ მაინც ძალლურმა ცხოვრებამ თავისი ქნა. როგორც ყველა მესაზღვრეს, მასაც განსხვავებულ კლიმატურ პირობებში უწევდა გარეთ ყოფნა. 3-4 დღის განმავლობაში სიცივესა და თავსხმა წვიმაში შეუსვენებლად უდევნია ჯაშუშებისთვის... დაავადდა. დაბერდა. მერე, სალუტ-მარია გამოჩნდა — ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ლამაზი და მამაცი. ისეთი, როგორიც ერთ დროს თვითონ იყო. ბევრი მედალი ჰქონდა სალუტ-მარიას. სურათებს უღებდნენ, თავზე ეკლებოდნენ. მოკლედ, საუკეთესო ფორმაში იყო და პატრონმა სწორედ ის წაიყვანა „გორკის კლუბში“ მოწყობილ გამოფენაზე. უამრავ მედალს კიდევ ერთი მიამატეს და უკან გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ჯინა ასურეთში ელოდა მათ. უკვე ძალიან ავად იყო. აივანზე გადიოდა თურმე, ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა გზას, მერე ოთახში ბრუნდებოდა, ისევ საყვარელი პატრონის ჩუსტებზე დებდა თავს და ისევ ელოდა. როგორც იქნა, მოვიდა პატრონი, მეგობარი, თანამებრძოლი. ბზრუნველად დაადო ხელი თავზე. მოეფერა. სამ საათს კიდევ იცოცხლა. რბილი ქვეშაგებლიდან გადაწეულა და ისევ მეგობრის ფეხსაცმელზე თავდადებულს დაულევია სული. მისი პატრონი, ***თედო ნიკოლაიშვილი*** *ამჟამად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფოტოკორესპონდენტია. მისი სახელოსნოს კედლები ჯინას ფოტოებითაა მოფენილი. ის მისთვის შეუცვლელი იყო, ჯინა — ულამაზესი, უმამაცესი და უერთგულესი მეგობარი.*

— ბატონო თედო, საუბარი დავიწყოთ ჯინას სცენურ დებიუტზე. როგორ მოხვდით სპექტაკლში?

— მიგვიწვია რეჟისორმა, ბატონმა გოგი ქავთარაძემ. ეს იყო სპექტაკლი — „ედინბურგის ზარები“, რომელიც ერთი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრში ანშლაგით მიდიოდა. სპექტაკლი პირველად 1968 წელს დაიდგა. მაშინ ჯინა ერთი წლის იყო. თეატრის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, საზღვარზე გაწვევის წინ, მეც და ჯინასაც ძალიან კარგი დახასიათება დაგვიწერა. 1971 წელს, ბაადურ წულაძემ გადაიღო ფილმი — „გლადიატორი“. ჯინა დარავჯის ძაღლის როლს თამაშობდა, პარტნიორობას კი ვახტანგ ნინუა უწევდა. ხომ გახსოვთ ის სცენა, რესტორნიდან გამოსული ნინუა რომ ეუბნება დარავჯს: აუშვით ეს „ლომიო“... ძაღლს აუშვებენ. ამ დროს, კამერის უკან ვდგავარ, ვაძლევ მას თავდასხმის ბრძანებას და ბატონმა ვახტანგმა, რომელსაც პიჯაკის ქვეშ დამცავი „რუკავი“ აცვია, თავი უნდა დაიცვას... რამდენიმე დუბლის გადაღების შემდეგ, ბაადურ წულაძეს ვუთხარი: ძაღლი ძალიან გაღიზიანდა და ხომ არ შევწყვიტოთ გადაღება-მეთქი? — ერთი დუბლი კიდევ ვსინჯოთო, — მითხრა და ჩვენც დავიწყეთ ხელახლა. ჩემს ბრძანებაზე ჯინამ ჰაერში კამარა შეკრა, საოცარი ძალით ეცა ჩვენს „გლადიატორს“, შემოახია დაბამბული „რუკავი“ და მერე, როგორც ფილმშია, რეალობაშიც ისე მოხდა... ძლივს დავიმორჩილე ჯინა. ბატონ ვახტანგს ღრმა ჭრილობები ჰქონდა, ვფიქრობდი, რომ ამ ამბავს დიდი ინციდენტი მოჰყვებოდა. მე არაპროფესიონალიზმში დამდებდნენ ბრალს, მომთხოვდნენ საბუთს, რომ ძაღლი აცრილი იყო... ველოდი, როდის მოვიდოდნენ ჩვენთან და გვეტყოდნენ (უფრო მოსალოდნელი იყო, შორიდან დაეძახათ), რომ ჩვენ, მე და ჯინამ სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ იქაურობა. განსაკუთრებულ აგრესიას კი თვითონ ნინუასგან ველოდი. კარგი კაცი იყო სულგანათლებული. მოვიდა და მხარზე დამარტყა ხელი: რას დამდგარხარ, ბიძიკო, მოშორებით? წამოდი ახლა და აგერ რომ რესტორანია, იქ დავლიოთ ჩვენი ჯინას სადღეგრძელოო... ჭრილობების მი-

„ესესელის“ ფორმაში გამოწყობილი თედო ნიკოლაიშვილი და ჯინა. კადრი სპექტაკლიდან „ედინბურგის ზარები“

საზღვრის დასაცავად მე და ჯინა ერთად გაგვიწვიეს

ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. საოცრად იზიდავდნენ ერთმანეთს. ეროსის შოკოლადი მოჰქონდა ხოლმე მისთვის. ჯინა დაინახავდა თუ არა, მისკენ გაიქცეოდა. უცდიდა, როდის დაჯდებოდა, მერე მუხლებზე დაადებდა თავს და თავისი ჭკვიანი თვალებით შეჰყურებდა. მთელი დღის განმავლობაში ისმოდა ეროსის კოლორიტული ხმა: „შეხედეთ, კაცო, მთლად ადამიანივით არ არის?! რა თვალები აქვს! – თვალებით გელაპარაკება, კაცო. არ სჯობია ახლა, ეს ზოგიერთ ადამიანს?..“ საზღვარზე ვიდექით, ბატონი ეროსის გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვეთ. შევიტყვეთ-მეთქი, მრავლობითში რომ ვამბობ, არ გაგიკვირდეთ: ჯინამ თათებში ჩარგო თავი; დარწმუნებული ვარ – მიხვდა, რაც მოხდა... 1973 წელს, მერაბ კოკოჩაშვილმა მიიწვია ჯინა ფილმში – „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“ გადაღებები ხულოს რაიონში მიმდინარეობდა. იქ ჯინამ მესაზღვრის ძაღლის როლი შეასრულა. რამდენიმე წლის შემდეგ კი, მართლაც მოუწია საზღვარზე ყოფნა. როცა საზღვრის დამრღვევებთან ხელჩართული ბრძოლა გვიწევდა ან სროლა ატყდებოდა, ხშირად მოდიოდა ბრძანება, რომ ჯერ ძაღლი გაგვეშვა. არც ერთი ბრძანების შესრულება არ მიჭირდა ისე, როგორც ამის: მერჩივნა, ჯერ მე წავსულიყავი, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. ჯინას, მთელი დესანტის განიარაღება შეეძლო. ბრწყინვალედ ფლობდა საბრძოლო ილეთებს. ჰაერში აკეთებდა ცრუ მოძრაობას – თითქოს მარცხენა ხელზე მიდიოდა – და აღმოჩნდებოდა, რომ ჯერ მარჯვენა, შემდეგ კი მარცხენა ხელისკენ აკეთებდა ნახტომს. ერთხელ, სარფის საზღვარი ძალიან კარგად მომზადებულმა დივერსიულმა ჯგუფმა დაარღვია. გასროლის უფლება არ გვქონდა. არ შეიძლებოდა, ჩვენი ტყვია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დავარდნილიყო. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მხოლოდ ორ კაცს და ერთ ძაღლს უნდა მოგვეგერიებინა საზღვრის დამრღვევები. ჯინა მართლაც გმირულად იბრძოდა. მეც, ჩხუბში ჩართულმა, ვერ შევნიშნე, როგორ აღმოჩნდა ჩემს ზურგს უკან ერთი მოწინააღმდეგე. უცებ ჯინამ თავი მიანება ორ დივერსანტთან ბრძოლას და ჩემკენ გადმოფრინდა. მე მიბიძგა, ჯერ ჩემსა და დივერსანტს შორის ჩადგა, შემდეგ კი, გააფთრებით მივარდა მოწინააღმდეგეს... ის დივერსიული ჯგუფი განვაიარაღეთ და დავაკავეთ. ჩემი სიცოცხლით ვალში ვიყავი ჯინასთან, მაგრამ

ჯინა და ვახტანგ ნინუა ისე მშვიდობიანად და „კოლეგიალურად“ დგანან ერთმანეთის სიახლოვეს, რომ ძნელი წარმოსადგენია ის, რაც იმ ავბედით დღეს გადასაღებ მოედანზე მოხდა...

უხედავად, ნინუას გადაღებები არ შეუწყვეტია. ფილმის დასრულების შემდეგ კი, „დიდი შერიგება“ შედგა. ამის აღსანიშნავად, ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა სამახსოვრო ფოტოც გადაიღო. ჯინა და ვახტანგ ნინუა ისე მშვიდობიანად და „კოლეგიალურად“ დგანან ერთმანეთის სიახლოვეს, რომ ძნელი წარმოსადგენია ის, რაც იმ ავბედით დღეს გადასაღებ მოედანზე მოხდა...

— ეროსი მანჯგალაძესთანაც ურთიერთთანამშრომლობა თეატრში მოგიხდათ, არა?

– დიახ. ჯინას ძალიან უყვარდა ეროსი მანჯგალაძე. ისინი სპექტაკლში თამაშობდნენ ერთად. ეროსის, ცხოველებთან

ჯინასთვის ეროსის ყოველთვის მოჰქონდა შოკოლადი, მათ განსაკუთრებით უყვარდათ ერთმანეთი...

როდესაც მას გაუჭირდა, ვერ ვუშველე: კუჭის წყლულისგან 12 წლის ასაკში გარდაიცვალა.

— გამიგონია, რომ გერმანულ ნაგაზებს სომამაცით არც კავკასიური ნაგაზი და პიტბული ჩამორჩებიან.

— საქართველოში ბევრს ჰყავს პიტბული, მაგრამ ზოგს — მხოლოდ იმისთვის, რომ მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად ფული „აკეთონ". ის, ვისაც მართლა უყვარს ძაღლი, საკუთარი ძაღლის კი არა, სხვისი ძაღლების ჩხუბსაც კი ვერ უყურებს... გაწვრთნის თვალსაზრისით, გერმანულ ნაგაზს, შოტლანდიურ კოლის და როტვეილერს არც ერთი ჯიში არ სჯობია. მათ შორის კი, გერმანული ნაგაზი პირველია. ქართული მეცხვარული, ერთგულებით, ფიზიკური გამძლეობით და ჭკუით გამოირჩევა. სასიხარულოა, რომ კავკასიურ ნაგაზს ბოლო დროს, ყურადღებით მოეკიდნენ და ჯიშის გადარჩენაზეც ზრუნავენ. მაგრამ კინოლოგებს ერთ რჩევას მივცემ: ნუ ამძიმებენ კავკასიურ ნაგაზს. ცდილობენ, ისეთი შეჯვარება მოახდინონ, რომ ჯიში ზომაში გაზარდონ. ბევრი კავკასიური ნაგაზი მინახავს და ისიც შემიმჩნევია, რომ მის გენში სენბერნარის გენია გარეული. ქართული მეცხვარული ჯიში მძიმე კი არ არის — სხარტია, ძლიერი და არავითარ შემთხვევაში — ლეში! ნამდვილი ქართული ნაგაზი 50-60 კმ-ზე მისდევდა ფარას, სენბერნარგარეული კი, 2 კმ-საც ვერ ირბენს შეუსვენებლად. დოგს, პიტბულს, დობერმან-პინჩერს და ქართულ მეცხვარულს, გერმანულ ნაგაზთან და შოტლანდიურ კოლისთან შედარებით, განსხვავებული ნერვული სისტემა აქვთ. მათი გაწვრთნის დროს, უნდა დადგინდეს ხასიათის ტიპი და ამის მიხედვით შეირჩეს მეთოდი, რომლითაც ძაღლთან ვიმუშავებთ. არსებობს კონტრასტული, მიბაძვითი, დასაჩუქრების და ტექნიკური წვრთნის მეთოდები. ყოველი მათგანი გამოცდილმა კინოლოგ-ინსტრუქტორმა უნდა შეარჩიოს.

— როგორ უნდა შევარჩიოთ ლეკვი? თქვენ ბევრი ძაღლი გაგიწვრთნიათ და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით გვითხარით, ლეკვის შერჩევის რომელი მეთოდი ამართლებს?

— ეს არის უძველესი გერმანული და ძალიან პრიმიტიული მეთოდი, მაგრამ — უტყუარი. ლეკვები უნდა დასვათ მაღალ მაგიდაზე და პირველი რომელიც გადმოიხედება სიმაღლიდან, ის აირჩიოთ. შემდეგ, მოულოდნელად შემოჰკარით ტაში ან ააჩხრიალეთ გასაღებების აცმა; პირველი რომელიც დაიყეფებს, ის არის ყველაზე გამბედავი. როგორც წესი, ჯერ ვკითხულობ მშობლებს, შემდეგ კი ამ ორ „რიტუალს" ვასრულებ. ჯერჯერობით არ შევმცდარვარ არჩევანში. ხშირად მინახავს, როგორ კიდებენ ლეკვს ქეჩოში ხელს, ზემოთ სწევენ და ფიქრობენ, რომ ეს ლეკვის არჩევის კარგი მეთოდია. ტყუილად აწვალებენ ლეკვსაც და თავსაც იტყუებენ. ჩემ მიერ შემოთავაზებული მეთოდით თვე-ნახევრის ლეკვების შერჩევა უნდა მოხდეს.

— გამიგია, რომ ძაღლები ვერ იტანენ ადრენალინის სუნს და თუ ძაღლის შეგეშინდა, წასულია შენი საქმე.

— საერთოდ, მართალია ის, რომ ძაღლი გრძნობს ადამიანის შინაგან მდგომარეობას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიქცეთ, თუ ძაღლი აგრესიულად მოიწევს თქვენკენ. ძალიან აგრესიულს, აგრესიულადვე უნდა დაუხვდეთ. ბრძანების კილოთი უნდა მიმართოთ, ჩამუხვლას არ გირჩევთ — ასეთ დროს შეიძლება, სახე დაგიზიანოთ. ძაღლი რომ შედგება, მერე უნდა მოეფეროთ — სიტყვებით, რა თქმა უნდა. დააკვირდით მის კუდს. თუ კუდი გაიქნია, ესე იგი, ის ძაღლი საშიში აღარაა.

— ამჟამად თუ გყავთ ძაღლი?

— მყავს შავი პუდელი. ისეა გაწვრთნილი, ორ, ცეცხლოვან რგოლში გადახტომა მისთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეზოში ვიპოვე. ცელოფანის პარკში იყო ჩასმული და ზედ ჭიანჭველები ეხვია. ძალიან იყო დასუსტებული, შემეცოდა და სახლში წავიყვანე. ყოველ დაბადების დღეზე, ტორტს ვუცხობთ, მასაც ვაჭმევთ და ჩვენც სიამოვნებით გეახლებით. პუდელი რატომღაც დეკორატიულ ჯიშადაა მიჩნეული, არადა, თურმე ძალიან ადვილად იწვრთნება და სამომსახურებო ძაღლის ჩვევებსაც ადვილად იძენს. თავისუფლად შეიძლება მისი გაწვრთნა განაღმვაზე, ნარკოტიკზე, იარაღზე. 8-10 კილოგრამს იწონის და აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — ვერ დაიცავს სახლს, პატრონს და ვერ დააკავებს დამნაშავეს. ამას წინათ, ჩემს სახლში შევიდნენ ქურდები. წაიღეს რაღაც-რაღაცები. პუდელი შინ იყო, მაგრამ რას გააწყობდა? ბედნიერი ვარ იმით, რომ მას არაფერი დაუშავეს.

— დღეს საქართველოში ყველაზე ცნობილი ძაღლია სიმბა. ადრე? თქვენი აზრით, სამომსახურებო ძაღლებიდან, რომელიც კი თქვენ შეგხვედრიათ, რომელი იყო ყველაზე ცნობილი?

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა, ძაღლზე ითქვას სიტყვა „ამაგდარი", მაგრამ ამ ეპითეტს მე მოვიშველიებდი დონზე საუბრისას. იმ ძაღლებს შორის, რომელიც მინახავს ან რომლის შესახებაც მსმენია, ის გამორჩეულია. მისი პატრონი იყო მილიციის კაპიტანი პავლიკ კაზაკოვი. დონმა ამ კაცს ძალიან დიდი საქმეები გაახსნევინა — რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის საქმეები. საერთოდ, ძიების სფეროში ძაღლს დიდი შესაძლებლობები აქვს. სამწუხაროა, რომ დღეს კინოლოგიას არ ექცევა ყურადღება. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს თავისი ძაღლთსაშენი, მაგრამ არ ჰყავს პროფესიონალი ინსტრუქტორები, რომელთა გარეშეც ძაღლის მომზადება შეუძლებელია. შეიძლება, საზღვარზე ძაღლი არ ჰყავდეთ? ან თავდაცვის სამინისტროში? იმედი მაქვს, ამ საკითხით ვინმე დაინტერესდება და გაიხსნება სპეციალური სკოლა, სადაც მხოლოდ ძაღლებს კი არა, ინსტრუქტორებსაც მოამზადებენ.

■



ჭარაშენცარების, „შავების“ და შიშველი ჟილეების ცვენა „გოგილოს აბანოში“

აკაკი ბორცვაძე ცხინვალის რაიონში, სოფელ ერედვში დაიბადა. ჯერ ფეხბურთს თამაშობდა, მერე ხელი სტაცეს და ხალიჩაზე გაიყვანეს... დიდხანს ჭიდაობდა, უამრავი ჯილდოც მიიღო, მაგრამ ბაქოში, ერთ-ერთი შეჯიბრის დროს მოსკოველი მოჭიდავე, გვარად გუცუ ზედ დაეცა და ჩვენი ფალავანი ისეთ დღეში ჩავარდა, — თითქოს, „გავიხსენი და დავიკეტეო“, — დანანებით ამბობს. ტრავმა კარგა ხანს აწუხებდა, მერე მამა მოუკვდა და სპორტს თავი დაანება... სამაგიეროდ, საბჭოთა ჯარში გაამწესეს, მაგრამ დილით — „პადიომო“, — რომ უთქვამს მორიგეს, ცემით დაულილავებია — ძილი მაცალეო. მერე, ერთხანობას, მშობლიური სოფლის კლუბის სცენაზე მსახიობობდა, ცეკვავდა კიდეც. ბოლოს, თბილისში ჩამოვიდა, დაოჯახდა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, ერთი რძალი და ორი შვილიშვილი. ამჟამად საქართველოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — ცნობილი „გოგილოს აბანოს“ მეპატრონე.

მაია კახიძე

— **ბატონო კაკო, „გოგილო“ თქვენი საკუთრებაა, ხომ?**

— კი, მაგრამ დანგრეული, ამორტიზებული აბანო შემრჩა. 15 წელია, ვაკეთებ და ვაკეთებ. ერთხელ, თიხის მილებს წავაწყდით. უძველესი აბანოა, მეფე არჩილი დადიოდა თურმე აქ. ბევრი ვეძიე აბანოს „ასაკი“ და ვერ დავადგინე. ვერც ის დავაზუსტე, ვინ იყო „გოგილო“ და რატომ შემორჩა ამ აბანოს ეს სახელი.

— **დაუჯერებელი ამბავია! არადა, მართლაც ყველა, „გოგილოს აბანოს“ ეძახის...**

— საერთოდ, თბილისის აბანოები სიზმარშიც ელანდებოდა თურმე მტერსა და მოყვარეს. XII საუკუნის ერთი არაბული ძეგლი გვიდასტურებს — თბილისის აბანოები პირველია დედამიწის ზურგზეო. ორი საუკუნით ადრე, არაბ გეოგრაფ ისთახრის, წიგნი დაუწერია — „სამეფოთა გზები“ და უთქვამს: თბილისს, მსგავსად ტიბერიისა, „უცეცხლოდ ცხელი“ წყლები სდისო...

— **დღეს მხოლოდ ორი უძველესი აბანო შემორჩა თბილისს — „ჭრელი აბანო“ და „გოგილოს აბანო“. საინტერესოა, სხვა აბანოების სახელები თუ არის თქვენთვის ცნობილი?**

— ზოგიერთის ვიცი, რა თქმა უნდა: „გრუზინსკების“, „ერეკლეს აბანო“, „თბილელების“, „ორბელიანების“, „სუმბათაშვილების“, „მელიქიშვილების“, „მირზოევების“, „წოვიანოვის“, „მანთაშევის“, „თულაშვილის“, „ჩითახოვის“, „ბებუთაანთ გოგირდის“... აბანოში წასვლა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალი იყო თბილისელთათვის, დღესასწაულის ტოლფასი რიტუალი.

— **დღეს?**

— უშუქობამ ხალხი ისევ დააბრუნა აბანოში, მაგრამ დღესასწაულისა რა მოგახსენოთ. ადრე, მაგალითად, საპატარძლოს, აბანოში ნახულობდნენ. დღეს, ამბობენ, რომ სხვანაირი „გასინჯვებიც“ ეწყობა და გული მტკივა, სისპეტაკე რომ დაიკარგა...

— **რა ამის პასუხია და, ქალების აბანოში არ იჭვრიტებიან ხოლმე მამაკაცები?**

— ახლა აბსოლუტურად დაცულია — ადგილმდებარეობა შევუცვალე და ვეღარავინ მიუდგება, თორემ იყო შემთხვევა, დავიჭირეთ ერთი, ჭუჭყიანი წყალი გადავასხით და გავაპანღურეთ.

— **რამდენგრადუსიანია გოგირდის წყალი?**

— ჩვენამდე 35 გრადუსი აღწევს. ორთაჭალაჰესთან არის ჭაბურღილი, საიდანაც „ვაკაჩავებთ“ გოგირდის წყალს, ოღონდ ცოტას კიდევ ვამატებთ ტემპერატურას. დასანანია, რომ ვიღაცის უთავობის გამო, აქ გამავალი გოგირდის წყალი დაიკარგა. ეს მაშინ მოხდა, როცა მეტროს სადგურები: „300 არაგველი“ და „26 კომისარი“ ააშენეს.

— **როდესაც წყვილი მოდის და ნომრის აღება სურს, ქორწინების მოწმობას არ სთხოვთ? მგონი, კომუნისტების დროს იყო ასეთი კანონი.**

— კომუნისტების დროს, ქორწინების მოწმობაც რომ გეჩვენებინა, თუ აბანოს ადმინისტრაციას არ უნდოდა, მაინც არ შეგიშვებდა. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც, რომელიღაც აბანოში ქმარმა ცოლი მოკლა. დღეს კი, სასტუმროში რომ შედიხარ, იქ აღარ კითხულობენ, ვინ ვისთან, რას და როგორ აკეთებს... ერთმა მითხრა: სიდედრთან ერთად ვცხოვრობთ, შვილები ფეხებში გვებლანდებიან და აქ მაინც დამტოვე ცოლთან მარტოო... მართალი გითხრათ, დავიწვი იმის ცოდვით. ჩვენთან ისეთი კომფორტია, სიხარულით მოდიან. სექტემბერში დავამთავრე სარემონტო სამუშაოები, მაგრამ ცოტა რამ კიდევ დარჩა გასაკეთებელი. რაც მთავარია, ქალთა და მამაკაცთა საერთო ნომრები ევროპული დიზაინით მოვაწყვე. გარდა ამისა, ორ ლუქსს საუნაც აქვს, დასასვენებელი ოთახიც; მომსახურება — უმაღლეს დონეზე: მექისე, მასაჟისტი. არც ჩაი და ყავა აკლიათ „გოგილოში“ მომსვლელებს.

— **რა ფასებია „გოგილოში“?**

— ჩვეულებრივი ნომერი 10 ლარი ღირს — ერთი საათი, ლუქსი — 30 ლარი, საერთო — ერთი ლარი და 50 თეთრი.

— **ცოტა ძვირი ხომ არ არის?**

— არა. ჯერ შებრძანდით და ისიამოვნეთ და მერე, დარწმუნებული ვარ, ამას აღარ მკითხავთ. თანაც გადასახადს რამდენს ვიხდი, იცით?!

— **მაინც, რამდენს?**

— კანონია ისეთი, რომ თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. მეწარმეს საშუალებას არ აძლევენ, სული მოითქვას. რუსეთში, მაგალითად, 13 პროცენტია მთლიანი შემოსავლის გადასახადი. ჩვენი კანონი თავიდან ბოლომდე შესაცვლელია. სხვათა შორის, წყალიც ბევრია საქართველოში და გაზიც, მაგრამ ფასების ზრდამ გამოიწვია ყველაფერი. იძულებული გავხდი, ფასი მომემატებინა. ქალთა საერთო ხომ ლარ-ნახევარი ღირს, მაგრამ ქალები მაინც იმას გაიძახიან — რა ამბავია ამხელა ფასიო?!

— **თუ, ვთქვათ, ისევ მოიმატებს წყლის და გაზის გადასახადი, თქვენც მოუმატებთ ფასს?**

— რა თქმა უნდა! რა ვქნა — ყველა მეცოდება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს! ეჰ, კომუნისტების დროს, წყალიც უპრობლემოდ მოჩუხჩუხებდა, გაზიც და დენიც გვქონდა. ახლა რა, შენს თავს ხომ არ მოატყუებ?!.

— **ცოლიან მამაკაცებს მეგობარი ქალბატონები ხშირად მოჰყავთ?**

— რამდენიმე ხნის წინ, ერთი გოგო მოგვივარდა დაქალთან ერთად: გინდა თუ არა, ჩემი ქმარია ნომერში ქალთან ერთადო. ლანძღვა დაგვიწყო. ვერაფრით დავაკავეთ — პირდაპირ ნომერში შევარდა. არადა, ის კაცი, ამ გოგოს ქმარი, პატიოსნად, მეგობრებთან ერთად იყო მოსული. არასოდეს დამავიწყდება იმ კაცის სახე! დიდი ომის ფასად წაიყვანა ცოლი და დარწმუნებული ვარ, თუ საერთოდ არ გაიყარნენ, იმ საღამოს მაინც ექნებოდათ დავიდარაბა.

— **ცნობილი პიროვნებები თუ დადიან „გოგილოში“?**

— გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ ლამის მთელი პარლამენტი „გოგილოში“ დადის. სამართალდამცავებიც დადიან, „მეტეხი-პალასის“ უცხოელი სტუმრებიც („გოგილო“ ხომ „მეტეხის“ წინ მდებარეობს), „შავებიც“ და ჯარისკაცებიც. რომ იცოდეთ, ელიტას „გოგილოში“ მოსვლა ძალიან უყვარს. „მეტეხიდან“ მოსული უცხოელები აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. ქისაზე ხომ ჭკუას კარგავენ. მაგათ მარტო მასაჟი იციან, მაგრამ ჩვენს მამაპაპურ ქისას სხვა მადლი აქვს და „ფირმაჩები“ სულ ფრენა-ფრენით მიდიან ხოლმე აქედან.

— **საინტერესოა, დაავადების შეყრის საშიშროება ხომ არ არსებობს?**

— არა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თითოეულ მილიმეტრს ქლორით ვამუშავებთ. მე სულ ჩემს აბანოში ვბანაობ და ხომ ხედავთ — ტანკივით ვარ!

— **მაპატიეთ, მაგრამ თქვენი წონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, საუნა ვერაფერს გაკლებთ!**

— მართალია, ცენტნერს უკვე გადავცილდი! რა ვქნა — კარგი მადა მაქვს, თანაც ისეთი ხელმარჯვე ვარ, „პოვრად“ მემუშავა, არ ჯობდა?! ისეთ ჩაქაფულს ვაკეთებ, თითებს ჩაიკვნეტთ. მიყვარს „კუხნაში“ ტრიალი. ნატურალური წვენები მიყვარს ძალიან. ზამთარში კი — ცხელი ყავა, ჩაი და ცხელი ქალი *(იცინის)*. ყველაზე მეტად კი, ჩემს მეგობრებთან ერთად მიყვარს ქეიფი, თუმცა დიდი მსმელი არ გახლავართ.

— **რამე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, აბანოში პირველადი დახმარების წამლები თუ გაქვთ?**

— რა თქმა უნდა! ზოგჯერ ნასვამებიც შემოდიან. ეს ყოვლად დაუშვებელია ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ზოგს არ ესმის. არც „პახმელიაზე“ შეიძლება აბანო. მე ხომ მტერი არ ვარ?! — მაინც ვერ ვაგებინებ ხოლმე...

— **ფედერაციაში რას საქმიანობთ?**

— ქართული ჭიდაობის ფედერაცია საქართველოს ეროვნულ ფედერაციას შეუერთდა. პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი გახლავთ. მე კი ქართულ ჭიდაობას ვხელმძღვანელობ. ვატარებთ შეჯიბრებებს. ტრადიციის დაკარგვის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ქართული ცეკვა-სიმღერა და ჭიდაობა იმდენად ეროვნულია, მოფრთხილება უნდა. ქართული ჭიდაობა აუცილებლად უნდა გავიდეს საერთაშორისო სარბიელზე. ქართული ილეთების დავიწყება იქნება? ბოლოს და ბოლოს, ყველა თუ ვერ გახდება მსოფლიო ჩემპიონი, ჯანმრთელი მაინც ხომ იქნება! ცოტა ხნის წინ, სპორტულ ჟურნალისტ გაბრიელ ბარჯაძესთან ერთად წიგნი გამოვეცი — „საქართველოს მოჭიდავე ფალავნები“. ამ წიგნში თავმოყრილები არიან ოლიმპიური, მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. საუკეთესო ცნობარია. სხვათა შორის, სპორტთან ერთად, უზომოდ მიყვარს ხელოვნება. არ ვაცდენ პრემიერებს და კონცერტებს. თანაც, ბიჭობაში რომ ვცეკვავდი, ძალიან გამომადგა — კარგი ხელის გაშლა ვიცი...

— **აბანოსთან დაკავშირებულ კურიოზს ხომ არ გაიხსენებთ?**

— რატომაც არა?! აქ ესტაკადა რომ გააკეთეს, მანამდე კლდე იყო მაგ ადგილას, ხევი ჩამოდიოდა. ჰოდა, ერთხელ, ისეთი წვიმა მოვიდა, კლდე ჩამოიშალა, ნიაღვარმა „გოგილოშიც“ შემოაღწია და მაინცდამაინც ქალების განყოფილებაში შევარდა. ჰო-ჰო, ისეთი ამბავი ატყდა, მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს — დედა შვილს არ აიყვანსო, — რომ იტყვიან. გული მომიკლა ქალების წივილ-კივილმა, შველას ითხოვდნენ და...

— **თქვენც „ბრძოლის ველისკენ“ გაეშურეთ?**

— ვიღას ახსოვდა ან კაცი და ან სიშიშვლე?! სული ტკბილია... მოკლედ, სულ ზურგზე მოკიდებული გამომყავდა გოგოები, პანტაპუნტით მიცვივდებოდნენ მკლავებში... რაც მაშინ დღე დამადგა... აი, სპორტმა აქაც მიშველა, თორემ ამდენი შიშველი გოგოს გამოყვანა არ გინდოდა?!

— **უკაცრავად, მაგრამ სად ჰკიდებდით ხელს?**

— მაგას დავეძებდი? ოღონდ არავინ დაღუპულიყო! ღმერთმა არ გაგვწირა და ყველანი გადავრჩით. ახლაც, როცა ძლიერი წვიმა მოდის, მაშინვე ის გოგოები მახსენდებიან ხოლმე. დღეს ღიმილით ვიხსენებ, მაგრამ მაშინ, ჩემს შვილიშვილებს — გვანცას და ლუკას ვფიცავ, მართლა დიდი ამბავი გადავიტანე. ■

რა სარგებლობა მოაქვს ეროვნულ ბანკსა და ეროვნულ ლარს? რამდენი კაცის საკუთრებას წარმოადგენს დღევანდელი საქართველო? როგორია ქვეყნის მეორე ბანკირის საოჯახო ბიუჯეტი და რისი იმედი უნდა გვქონდეს უახლოეს მომავალში, გამოცდილი ფინანსისტის თვალთახედვით? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებს შევეხეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან — მერაბ კაკულიასთან ინტერვიუსა და ზოგიერთი ცნობილი ადამიანის ბლიც-ინტერვიუს დროს.

მაია კახიძე

ქვეყნის რიგით მეორე გაბაფხულის მოახლოებით

ბანკირი გვაიმედებს

— ბატონო მერაბ, დარწმუნებული ვარ — ყველას ძალიან აინტერესებს, თუ რა როლი აკისრია ეროვნულ ბანკს საკუთრივ მოქალაქეების, მოსახლეობის ცხოვრებაში?

— თქვენი შეკითხვა, ფაქტობრივად, ასე ჟღერს: რაში გვჭირდება ეროვნული ბანკი? გიპასუხებთ — თუნდაც იმაში, რომ სწორედ მას ევალება ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვება, მისი მსყიდველობითი უნარისა და ფასების სტაბილურობის დაცვა. ამ ფუნქციას ეროვნული ბანკი, შეიძლება ითქვას, პირნათლად ასრულებს. ყოველ შემთხვევაში, ექსპერტების დიდი უმრავლესობა — როგორც ქართველების, ისე უცხოელების — ამ აზრს იზიარებს.

— რატომ არის ასეთი დაუსრულებელი ქაოსი ბიუჯეტის გამო?

— იმიტომ, რომ ბიუჯეტის მწირი შემოსავლები ვერ ფარავს ყველაზე აუცილებელ ხარჯებს, მაშინ, როდესაც საქართველოში არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის შემთხვევაში მიღებული შემოსავლები სავსებით საკმარისი იქნებოდა ქვეყნისა და მისი მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტას კი ხელს უშლის: ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა, საბიუჯეტო მოწყობის ამორფულობა, გამჭოლი სახელისუფლებო ვერტიკალის არარსებობა და, რაც ყველაზე მთავარია, — ვირტუოზული კორუფციული სქემები. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს საბიუჯეტო ურთიერთობების პოლიტიზებას, რაც გამოხატულებას პოულობს გაუთავებელ დებატებში იმის თაობაზე, თუ რამდენად რეალურია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ან კიდევ, რამდენად რაციონალური — ხარჯვითი.

— შეიძლება მთელ საქართველოს — არა, მაგრამ არიან ისეთებიც, ლარი რომ არ მოსწონთ. თქვენ?

— თუ პრეტენზია ლარის დიზაინის მიმართაა, ეს გემოვნების საკითხია, რომელზეც, როგორც ცნობილია, არ დაობენ: ჩემი აზრით, ესთეტიკური მხარე არ წარმოადგენს ბანკნოტის მთავარ ღირსებას, მთავარია, ფულის ნიშანი იყოს პრაქტიკულად მოსახერხებელი და გაყალბებისგან დაცული. ამ თვალსაზრისით, ლარის პირველ ბანკნოტებს შეიძლება, მართლაც ჰქონდა უმნიშვნელო ხარვეზები, რომელიც აღმოფხვრილ იქნა მომდევნო ემისიებში. რაც შეეხება ეროვნული ვალუტის არსებით მხარეს — მძიმე მაკროეკონომიკური ფონის მიუხედავად, ლარი მაინც „ფეხზე დგას“: ეროვნული კურსი სტაბილურია, ინფლაცია — დაბალი. მოსახლეობის ფართო ფენების რეალური შემოსავლები რომ ძალზედ მცირეა, ამას ლარს ნუ დავაბრალებთ.

— ალბათ თქვენ უკეთ უწყით, რომ ბევრ ქართველს უცხოეთის ბანკებში აქვს ფული, მაშინ, როცა აქ, სათანადო თანხების უქონლობის გამო, მაგალითად, ბევრი ავადმყოფი ბავშვისთვის ვერ გაუკეთებიათ ოპერაცია...

— საზღვარგარეთულ ბანკებში მართლაც ბევრ ქართველს აქვს ფული, მაგრამ არანაკლები აქვთ მათ ქართულ ბანკებში და საერთოდ, საქართველოში. პრობლემა ის კი არ არის, თუ სად ინახავენ ფულს „ახალი ქართველები“, არამედ ის, თუ რატომ არის ჩვენს ქვეყანაში სულიერების დეფიციტი, რატომ არ მოიძებნება შეძლებული ქართველი ან ქართველთა ჯგუფი, რომლებიც სურვილის შემთხვევაში, ადვილად შეაგროვებდნენ თუნდაც, გულით ავადმყოფი ბავშვების ოპერაციისთვის საჭირო სახსრებს...

— ამბობენ, 200-300 კაცის არისო საქართველო. ამაზე რას იტყვით?

— არა მგონია, რომ ასე იყოს. 200-300 პიროვნება შეიძლება, მართლაც ფლობდეს ეროვნული სიმდიდრის დიდ ნაწილს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი, რამდენიმე მილიონი ქართველი უფლებას მისცემს მათ, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენოს თავისი სიმდიდრე. თუ ეროვნულმა კაპიტალმა, უცხოურთან ერთად, არ შექმნა მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი, მას არ მიეცემა ნორმალურად ფუნქციონირების საშუალება. ასეთია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ლოგიკა. ამასვე ადასტურებს არგენტინის თუ ვენესუელის კრიზისების გაკვეთილები.

— ნორმალურად რომ ვიცხოვროთ და თქვენი ნება რომ იყოს, როგორც ფინანსისტი, რა ხელფასს დაუნიშნავდით, ვთქვათ, 4-5-სულიან ოჯახს?

— შორს რომ არ წავიდეთ, ჩემი ოჯახის მაგალითზე გეტყვით, რომელიც ოთხი წევრისაგან შედგება. აქედან ერთი, სკოლამდელი ასაკის ბავშვია. სამომხმარებლო ხარჯებზე თვეში საშუალოდ, ათასი-ათას ორასი ლარი გვეხარჯება. ჩემი აზრით, 4-5-კაციან ოჯახს საქართველოში ნორმალური ცხოვრებისთვის ამ ოდენობის საერთო შემოსავალი მაინც უნდა ჰქონდეს. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე — რეალობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას, მისი დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, შემოსავლების ამ დონის უზრუნველყოფა არ შეუძლია.

— რადგანაც თქვენი ოჯახის ხარჯების მოცულობა გაგვიმხილეთ, ბარემ შემოსავლების ოდენობაც გვითხარით.

— ცივილიზებულ საზოგადოებაში ასეთ თემებზე ღიად არ საუბრობენ, მაგრამ თუ ასე გაინტერესებთ, გეტყვით: ჩემი ხელფასი თვეში საშუალოდ, 2.200-2.300 ლარს შეადგენს.

— საკუთარი ბიზნესი გაქვთ?

— 1990-91 წლებში, ჩემს ორ მეგობართან ერთად საკონსულტაციო ბიზნესს ვეწეოდი. ჩვენი დახმარებით წარმოე-

ბის სფეროში შეიქმნა რამდენიმე სერიოზული შპს და სააქციო საზოგადოება, რომელთაგანაც შემდეგში ცნობილი ფირმები აღმოცენდა. მერე ქვეყანაში არეულობა დაიწყო, ახალი ბიზნესისთვის არავის ეცალა და ჩვენი საქმეც მოიშალა. ეროვნულ ბანკში მუშაობის დაწყების შემდეგ, კერძო ბიზნესი აღარ მქონია.

— ჩვენში ძალიან ბევრი ადამიანი მოატყუეს, „გადააგდეს“ კერძო ბანკებმა. საერთოდ, რატომ და ვინ დართო ამის უფლება ოფიციალურად და რა უნდა ქნას ამ ხალხმა?

— მოდით, ჯერ კერძო ბანკის ცნება დავაზუსტოთ. მოქალაქეების ნაწილი მათ მიაკუთვნებს საინვესტიციო და სატრასტო კომპანიებს. ეს არ იყო ბანკები და მათ არ გააჩნდათ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია. სწორედ მათ „გადააგდეს“, როგორც თქვენ ბრძანეთ, თავიანთი მეანაბრეები. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს — რამდენიმე მსხვილი ბანკი მართლაც გაკოტრდა, რაც უმეტეს შემთხვევაში, გაუარესებულ საქმიან გარემოში საქმის არასწორ მართვასთან იყო დაკავშირებული და არა კრიმინალთან. უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების გაკოტრების თითქმის ყველა შემთხვევაში მათ დარჩათ მნიშვნელოვანი ოდენობის აქტივები, რომლის რეალიზაციის შედეგად, მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც დაიფარა მეანაბრეთა წინაშე არსებული დავალიანებები.

— არეულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში, არასდროს გინანიათ, რომ ფინანსისტი ხართ?

— პროფესიონალი ფინანსისტის ოჯახში გავიზარდე და თავადაც, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით მივიღე განათლება. საბანკო პრაქტიკა ავსტრიაში გავიარე. ჩვენი ქვეყნის მთავარ ბანკში, ფაქტობრივად, მისი დაარსების დღიდან ვმუშაობ და ამდენად, სწორედ პროფესიული თვალსაზრისით გეტყვით, რომ არაფერი ისე არ ვნებს საბანკო საქმეს და საზოგადოდ, ეკონომიკის ფინანსურ სექტორს, როგორც შიდაპოლიტიკური, გნებავთ, სოციალური დაძაბულობა. თუმცა, ეს სრულებითაც არ ქმნის პროფესიული აპათიის საფუძველს. პირიქით — პრობლემებთან მუდმივი ჭიდილი უფრო საინტერესოს ხდის ფინანსისტის პროფესიას. ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა ამპლუაში.

— არადა, ბევრჯერ მსმენია — მერაბ კაკულია საკმაოდ ემოციური კაციაო...

— მართალია, ძალიან მიჭირს თავის შეკავება, როცა არაკომპეტენტურობისა და უსაფუძვლო ამბიციების გამოვლენის მოწმე ვხდები. არადა, ასეთ შემთხვევებს ყოველდღე ვაწყდები. დილით, ერთ საგაზეთო სტატიას წაიკითხავს კაცი ამა თუ იმ საკითხზე, შუადღისას კი, ამ საკითხის ექსპერტად მოაქვს თავი... კიდევ უფრო გამაღიზიანებელია, როდესაც ცალკეული პიროვნებების ან სახელმწიფო მოხელის მხრიდან პირადი ინტერესების ურცხვ ლობირებასთან გაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაზე ერთმა ჩემმა კოლეგამ მოსწრებულად თქვა: რა ძნელი ასატანია კაცი, რომელსაც გული, ჯიბეში უცემსო. ბევრი ასეთი კაცი გადავიკიდე...

— იარაღი თუ გაქვთ?

— იარაღი კი მაქვს, მაგრამ ბევრისგან განსხვავებით, მასზე არ ვგიჟდები. არასოდეს ვატარებ თან. მხოლოდ მაშინ შევავლებ ხელს, როდესაც მიზანში სასროლად მივდივარ ხოლმე ჩემს კოლეგებთან ერთად. ტყვიას ტყვიაში ვაჯენ-მეთქი — ვერ ვიტყვი, თუმცა, საკმაოდ კარგად ვისვრი.

— ალბათ ბევრ საიდუმლოს ფლობს ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი, არა?

— ამ თანამდებობაზე ყოფნის ათი წლის მანძილზე, მრავალი საინტერესო მოვლენის მომსწრე ვყოფილვარ, მათ შორის ბევრი მართლაც განეკუთვნება სახელმწიფო თუ კომერციულ საიდუმლოებას. ამიტომ, დღეს ნუ მთხოვთ, რომელიმეს გამჟღავნებას. ოდესღაც, მომავალში, ალბათ მომეცემა საინტერესო მემუარების დაწერის შესაძლებლობა.

— ხომ არ გეწყინებათ, პატარა ექსპერიმენტი რომ ჩავატარო? 2-3 ცნობილ პიროვნებას ახლავე დავურეკოთ და ვკითხოთ — ვინ როგორ ხელფასს ნატრობს.

— კი, საინტერესოა...

„ცხელი ხაზი“ იქვე, ეროვნულ ბანკში „ჩავრთე“.

ავთო ვარსიმაშვილი, რეჟისორი:

— ავთო, როგორ ხელფასს ინატრებდი? ან ბანკში თუ ინახავ დანაზოგს?

— ბევრი მსურს, ბევრი! იმდენი, რამდენსაც იღებს ჩემი ყველაზე უნიჭო კოლეგა ევროპაში ან თუნდაც, რეჟისორის ასისტენტი, თუნდაც — რეჟისორის თანაშემწე, ტექნიკური რეჟისორი, ბოლოს და ბოლოს, იმდენი მაინც, რამდენსაც ევროპული თეატრის სცენის მუშა იღებს!.. ხელფასი 90 ლარი მაქვს. არა, ოცნებითაც აღარ ვოცნებობ მეტზე, შეგუებული ვარ და არაფერს ველი. ამიტომაც — ვდგამდი, ვდგამ და კიდევ დავდგამ სპექტაკლებს... ბანკში კი, ერთი თეორიც არ გამაჩნია...

ჯანსულ ჩარკვიანი, პარლამენტის წევრი:

— ერთ კაცს 500 ლარი მაინც უნდა ჰქონდეს ხელფასი. თუ ოჯახში სამი კაცი მუშაობს, 1.500 ლარი გამოდის, ეს კი, დღევანდელ პირობებში, ურიგო არ არის, საშუალოდ მაინც რომ გასწვდე ყველაფერს... იმ მილიონერმა თუ არ გადაიხადა და ბიუჯეტში თანხა არ შევიდა, არაფერი გვეშველება... მახსოვს, კრწანისში, შეხვედრაზე, მე და ბიძინა კვერნაძე გვერდიგვერდ მოვხვდით. რომის პაპი რომ შემოვიდა, ბიძინამ მუჯლუგუნი მკრა: ლექსად უთხარი რამეო. „რომის პაპი მაძღარია — რომშია, მე რა ვუყო, ჩემს თბილისში რომ მშია?!“ — წარმოვთქვი იქვე... ფული ბევრს აქვს ბანკებში, მაგრამ ჯანსულს —არა!

თემურ წიკლაური, მომღერალი:

— ფაქტობრივად, ოთხ ოჯახს ვუვლი, 15 კაცს — დიდიან-პატარიანად. ეი. ფული მჭირდება. ა, როგორია დღეს, შენი საქმეც აკეთო, თან კიდევ — ჭირია, ლხინია, კაცობაა... თუ ნატვრაა — ნატვრა იყოს: თანახმა ვარ, ყოველ დილით, ბალიშქვეშ, 1.000 დოლარი დამხვდეს. უჰ, რამდენ რამეს გავაკეთებდი!.. ვინც მართლა თავდაუზოგავად შრომობს, ხელფასიც საკადრისი უნდა ჰქონდეს.. ბანკში კი, შესვლითაც არასოდეს შევსულვარ: რაც არ მაქვს, რა ვეძებო?!

— ბატონო მერაბ, მართალია, ხელფასები თქვენ არ გეხებათ, მაგრამ სურათი ნათელია — ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. საინტერესოა, მაგალითად, ფასების ზრდას უნდა ველოდოთ თუ არა და საერთოდ, რით გაგვახარებთ და დაგვამშვიდებთ?

— სანუგეშოს სხვას ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ მალე გაზაფხული მოვა... რაც შეეხება ლარს და ინფლაციას — ამას ეროვნული ბანკი მოუვლის... ■

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ირაკლი მანაგაძესთან და ავსტრიის ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან კლაუს ლაპშესთან ერთად

32 წლის ჯეფ კოსტასა და 34 წლის ენჯელ ორტიზის ადგილზე მოხვედრას ალბათ მილიონობით მამაკაცი ისურვებდა. ცხადია, არა იმიტომ, რომ ჯეფი და ენჯელი (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ცნობილ კლიპში — „ეროტიკა“ — მადონასთან ერთად ცეკვავს) წინათ, სტრიპტიზორებად გამოდიოდნენ ღამის კლუბებში. ამ ორ ახალგაზრდა კაცს ბედის ნებიერებად იმიტომ მიიჩნევენ, რომ ისინი კვირაში ორჯერ, 50-მდე ლამაზმანს საათ-ნახევრის განმავლობაში ასწავლიან... სწორად გაშიშვლებას.


ენჯერ ორტიზი



ჯეფ კოსტა და პამელა ანდერსონი

სპორტული სტრიპტიზი

ანჯელინა ჯოლი

კოსტა და ორტიზი ე.წ. სპორტული სტრიპტიზის ინსტრუქტორები არიან, რომელიც ბოლო დროს, ჯანმრთელობის და სხეულის სილამაზის მიღწევის მიმდევარი ამერიკელების ყველაზე დიდ გატაცებას წარმოადგენს. სტრიპტიზის, როგორც კულტურის ერთ-ერთი სფეროს შესახებ, აქტიური ლაპარაკი ამ ხუთიოდე წლის წინ დაიწყო. ამას, დემი მურის მონაწილეობით გადაღებულმა, ეროტიკულმა ფილმმა — „სტრიპტიზმა“ მისცა ბიძგი. არაერთი ქალი, რომელიც თვალს ადევნებდა ამ სურათის მთავარი გმირის საუცხოო სხეულსა და თავბრუდამხვევ საცეკვაო ილეთებს, ფიქრობდა: ნეტავ, მეც მომცა ასეთი სილამაზე და ცეკვის უნარი; ასეთ შემთხვევაში ხომ გულგრილად ვერც ერთი მამაკაცი გვერდს ვერ ამივლიდაო...

ყველა ამ ქალბატონის ოცნება რეალური გახდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფი ტემპით იწყო სპორტული სტრიპტიზის ან, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ — კარდიოსტრიპტიზის გავრცელება-პოპულარიზაცია. ეს, მეორე სახელწოდება მას იმიტომ მიანიჭეს, რომ მისი წყალობით ადამიანები არა მარტო ზედმეტი კილოგრამებისა და ტანსაცმლისგან გათავისუფლებას სწავლობენ, არამედ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გავარჯიშებასაც ახერხებენ.

ერთი შეხედვით მარტივი მოძრაობები, რომელსაც სტრიპტიზის მსახიობი ქალები თავიანთი გამოსვლებისა და ცეკვების დროს აკეთებენ, საკმაოდ ძნელი ასათვისებელი აღმოჩნდა. ამ მოძრაობებში კუნთების ყველა ძირითადი ჯგუფია ჩართული. ამის გამო, გასაკვირი არ არის, რომ დამწყები „სტრიპტიზიორი ქალები“ ერთი საათ-ნახევრიანი ვარჯიშის შედეგად, თავისი წონიდან, 350-დან 500 კილოკალორიას იშორებენ. საკუთარი სხეულის ფლობის გარდა, სპორტული სტრიპტიზი საუცხოო ფიგურის ჩამოსხმისა და საკუთარი სექსუალური ენერგიის შეცნობაში ეხმარება ქალს. ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში არსებული „კრანჩის“ კლუბებში რამდენიმეკვირიანი ვარჯიშის შემდეგ, ბევრმა ქალმა შეამჩნია, რომ გვერდით მყოფ მა-

| | | |

კეიტ მოსი


გოლდი ჰოუნი

მაკაცთა მისდამი დამოკიდებულება საგრძნობლად სასიკეთოდ შეიცვალა.

სტრიპტიზ-კლუბის აუცილებელი ატრიბუტის — შუქის გარდა, კარდიოსტრიპტიზის ვარჯიშებზე სხვა საგნების მეშვეობით გაშიშვლებასაც ასწავლიან, მათ შორის — სკამების, მაგიდების, კარადებისა და ა.შ. იმის გამო, რომ სტრიპტიზის დროს დიდი დატვირთვა ხდება კუნთებზე, ვარჯიში აუცილებლად იწყება 15-წუთიანი მოთელვით, რომლის დროსაც ე.წ. სტატიკური გაჭიმვის ვარჯიშები სრულდება.

მოთელვას ნახევარსაათიანი თეორიული ნაწილი მოჰყვება, რომლის დროსაც ინსტრუქტორები ასწავლიან ჟესტების ენას, სწორად სიარულს, მაცდუნებელ მოძრაობებს, პოზირებასა და, ბოლოს, გაშიშვლებას. თავიანთი ძველი პროფესიის წყალობით, ჯეფ კოსტა და ენჯელ ორტიზი არ განიცდიან უხერხულობას იმის გამო, რომ ამა თუ იმ მოძრაობის საჩვენებლად, სამოსისგან გათავისუფლება უწევთ — თუმცა, სრულად გაშიშვლებას არ ხდება.


კარმენ ელექტრა

მეცადინეობის ბოლო, 45-წუთიანი ნაწილი, საკუთრივ სტრიპტიზს ეთმობა, რომელიც ძალზედ ენერგიული, სპეციალურად შერჩეული მუსიკის თანხლებით სრულდება. შეცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ სპორტული სტრიპტიზი, პოპულარულია მხოლოდ დიდი წონისგან შეწუხებულ დიასახლისებში, რომლებიც მოხდენილი სხეულისა და სილამაზის დაბრუნებას ლამობენ. ის უზომოდ პოპულარულია შოუბიზნესისა და პოდიუმის ვარსკვლავთა წრეში.

„არაკომერციული“ გაშიშვლების დიდი მოტრფიალენი არიან ჰოლივუდური „მალიბუს მაშველების“ ვარსკვლავები — კარმენ ელექტრა და ანჯელიკა ბრივჯესი. ისედაც მშვენიერმა და სპორტული აღნაგობის მქონე ამ ქალბატონებმა, კარდიოსტრიპტიზის წყალობით ლამისაა სრულყოფილების დონემდე აიყვანეს თავიანთი ფიგურები და ახლა, დროდადრო, ლოს-ანჯელესის სახელგანთქმულ კლუბში — „როქსიშიც“ ცეკვავენ ხოლმე.

რაკი ცნობილი ადამიანები საკმაოდ მოუცლელნი არიან, ბევრ მათგანს შინ ურჩევნია სტრიპტიზის ვარჯიშების შესრულება. ინვენტარიდან, მათში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჭოკი, რომლის გარშემოც მაცდუნებელი სტრიპტიზიორი ქალები ცეკვავენ კლუბებში. ამიტომ, ბევრი ჰოლივუდელი ვარსკვლავის საძინებელში სტრიპტიზ-კლუბის ამ უცილობელი ატრიბუტის ხილვა შეიძლება.

სტრიპტიზ-ჭოკი პირველმა თავის სახლში პამელა ანდერსონმა დააყენა, რათა მისი ახალი მეგობრის, მუსიკოს კიდ როკისთვის იმის საფუძველი გამოეცალა, რომ სხვა ქალებისკენ არ გაეპარებინა თვალი. პამელას მაგალითს სხვა ვარსკვლავებმაც მიჰბაძეს, მათ შორის: გოლდი ჰოუნმა, ანჯელინა ჯოლიმ (რომელსაც ჭოკი ყველაზე ეროტიკულ საგნად მიაჩნია), კეიტ მოსმა, კრისტინა ეპლგეიტმა და ბევრმა სხვამ. „მეჭოკეთა“ რაოდენობა დღითი დღე იზრდება. მათ მიაჩნიათ, რომ კარდიოსტრიპტიზის ვარჯიშები არა მარტო საუცხოო სპორტული ფორმის შენარჩუნებას უწყობს ხელს, არამედ საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობისას წარმოქმნილი ბევრი პრობლემის გადაჭრაში ეხმარება ქალს.

სექსუალური დერილ ჰანა, რომელსაც ახლა ველ კილმერთან აქვს კავშირი, დემი მურთან ერთად, სპორტული სტრიპტიზის მთავარ სპეციალისტად არის მიჩნეული ჰოლივუდში. ეროტიკულ ფილმში — „ცეკვები“ „ცისფერ იგუანაში“ — გადაღებებისთვის მზადებისას, სადაც ის სტრიპტიზ-კლუბის მოცეკვავეს ასახიერებდა, 4 თვის მანძილზე, ყოველ საღამოს 6-დან ღამის 3 საათამდე, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ასეთ კლუბში ატარებდა. როლში უკეთესად შესასვლელად, დერილი არა მარტო თვალს ადევნებდა სტრიპტიზიორ გოგონებს, არამედ თავად ერთვებოდა ცეკვებში.

დერილ ჰანა

...და	...ვულკანიდან ამოფრქვეული მასა	გამარჯვების ქალღმერთი	ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ...	... და ნიკო („ქეთო და კოტე“)	რა ჰქვია ნივთიერებებს, რომელიც ცხიმებს წარმოქმნის (ზოგადად)	მდინარე რუსეთის ტერიტორიაზე

...ციხის ირგვლივ შემორტყმული კედელი	სარეწაო თევზის ჯიში	წყალბადი H	საბჭოთა წარმოების „ჯიპი“	შოტლანდიური ნაგაზი	რიცხვი 3,14	...გი ... მოპასანი	სითხის ჩასასხმელი თავსახურიანი ლითონის ჭურჭელი

მორენა მერკვილაძე

რატომ ვატარებთ ჯვარს?

ეკლესიური სწავლებით ჯვარს უდიდესი ძალა აქვს, ამიტომ ყველა ქრისტიანი ჯვარს მუდამ უნდა ატარებდეს. რადგან იესო ქრისტემ ჩვენი ცხონებისთვის ჯვარზე სიკვდილი ინება, ქრისტიანი ადამიანი მას სათანადო პატივსაც უნდა მიაგებდეს. ადამიანს ჯვრის ტარების უფლება ნათლობის საიდუმლოს დროს ეძლევა... რა არის ჯვარი ეკლესიური სწავლებით და როგორ უნდა ესმოდეს მორწმუნეს ჯვრის მნიშვნელობა? საიდან მოდის ჯვრის ტარების ტრადიცია? რატომ უნდა ვატაროთ ჯვარი? აუცილებელია თუ არა ჯვრის კურთხევა და რა ძალა აქვს ნაკურთხ ჯვარს? როგორ უნდა მოვიქცეთ ჯვრის დაკარგვის შემთხვევაში? — ამ და სხვა კითხვების განმარტება, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დეკანოზს, მამა ალექსი ადამაშვილს ვთხოვეთ.

— ჯვრის შესახებ პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ბრძანებს: „სიტყუაი იგი ჯუარისაი წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხოვრებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს“, — ე.ი. ვინც წარწყმედის გზაზე დგას, მისთვის ჯვარი სიცოფე, ანუ სიგიჟეა, ხოლო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ადამიანისთვის ღვთის ძალაა.

— საიდან მოდის ჯვრის ტარების ტრადიცია?

— ჯვრის ტარების ტრადიცია მოციქულთა დროიდან მოდის. პირველი საუკუნის მწერლები აღნიშნავდნენ, რომ ქრისტიანები საიდუმლოებების აღსრულებისას იყენებდნენ ჯვარს. საეკლესიო ისტორიიდან ბევრი სასწაულის გახსენება შეიძლება, რომელიც ჯვრით აღესრულა.

— ეკლესიური სწავლებით, გულსაკიდი ჯვარი არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ვეკუთვნით ჯვარცმულ და მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს. გვიცავს თუ არა ჯვარი ბოროტი ძალების ზემოქმედებისგან?

— როგორც აღვნიშნეთ, ჯვარი ქრისტიანისათვის ღვთის ძალაა. ღვთის ძალა კი ადამიანს ბოროტებისაგან იცავს.

— რომელი ჯვრის ტარებაა უმჯობესი — ჯვარცმით თუ ჯვარცმის გარეშე და აქვს თუ არა მნიშვნელობა მასალის ხარისხს, რომლისგანაც ჯვარია დამზადებული?

— ზოგიერთი ადამიანი ჯვარს ატარებს, როგორც სამკაულს, რაც არამართებულია. მთავარია, ადამიანი ჯვარს სათანადო პატივს მიაგებდეს. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მასალისგანაა დამზადებული ის — ხის თუ სხვა ძვირფასი ლითონისგან. ყველა ჯვარი ერთნაირად გვიცავს. როდესაც ადამიანი ჯვარს ემთხვევა, უნდა გაიხსენოს უფალი იესო ქრისტე, რომელიც ჯვარს ეცვა ჩვენი ცხოვრებისათვის.

— ზოგიერთ ადამიანს მიაჩნია, რომ გიშერი ავი თვალისგან დაგვიფარავს, ამიტომ გიშრის ჯვრის ტარებას ამჯობინებს. რამდენად გამართლებულია ეს ეკლესიური სწავლებით?

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯვრის მასალას მნიშვნელობა არა აქვს. ავი თვალისგან და ბოროტი ძალებისგან ყველანაირი ჯვარი დაგვიფარავს.

— აუცილებელია თუ არა, ადამიანმა ატაროს ნაკურთხი ჯვარი და რა ძალა აქვს ნაკურთხ ჯვარს?

— ჯვარი იკურთხება ლოცვით და ნაკურთხი წყლით, რომლის შემდეგაც ჯვარი ღვთის მადლის მატარებელი ხდება.

— ზოგჯერ გულსაკიდ ჯვარს სხვა სიწმინდეებთან ერთად აკურთხებენ. ზოგიერთ ადამიანს კი მიაჩნია, რომ აუცილებელია ჯვრის საკუთარ სახელზე კურთხევა და აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული მადლი საკუთარ სახელზე ნაკურთხ ჯვარს?

— როდესაც ადამიანს სურვილი აქვს, რომ თავის სახელზე ნაკურთხი ჯვარი ატაროს, უნდა აკურთხებინოს მოძღვარს, რომელიც ჯვრის კურთხევის ლოცვის შემდეგ, წაიკითხავს „შეგვიწყალენ“ კვერექსს, სადაც იმ ადამიანის სახელს მოიხსენიებს, ვისი კუთვნილებაცაა ჯვარი, მაგრამ არანაირი განსაკუთრებული მადლი ამას არ გააჩნია.

— ეკლესიური სწავლებით, ადამიანს ჯვრის ტარების უფლება ნათლობის დროს ეძლევა; ნათლობის შემდეგ ადამიანი ასევე იღებს საკუთარ ჯვარს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ზიდოს. რა იგულისხმება საკუთარი ჯვრის აღებაში?

— ნათლობის შემდეგ, ადამიანი იღებს საკუთარ ჯვარს, ანუ შეუდგება უფალს — ე.ი. საკუთარი ჯვრის აღების შემდეგ, ადამიანი თავისი ცხოვრებით უნდა შეუდგეს უფალს, ანუ იცხოვროს ღმერთთან სიახლოვეში. საკუთარი ჯვარი ქრისტიანი ადამიანისთვის მთელი ცხოვრებაა, რომელიც ყველა ადამიანმა ისე უნდა ზიდოს, როგორც უფალმა თავისი ჯვარი ზიდა. ამასთანავე, ადამიანი ცათა სასუფევლამდე ჯვრის ძალით და მადლით უნდა მივიდეს.

— როგორ უნდა მოვიქცეთ ჯვრის დაკარგვის შემთხვევაში?

— ხშირად ადამინს ჯვარი ეკარგება იმ შემთხვევაში, როდესაც მას სათანადო პატივს არ მიაგებს. ჯვრის დაკარგვის შემთხვევაში უნდა შევიძინოთ სხვა ჯვარი, ვაკურთხებინოთ მღვდელმსახურს და ვატაროთ.

— გვეთვლება თუ არა ჯვრის დაკარგვა სიწმინდისადმი უყურადღებობის ცოდვად და აუცილებელია თუ არა ამ ცოდვის, აღსარებით მონანიება?

— ჯვრის დაკარგვა სიწმინდისადმი უყურადღებობის ცოდვაა. ამიტომ ადამიანმა აღსარების დროს ეს ცოდვა უნდა მოინანიოს.

— უნდა მოვიხსნათ თუ არა ჯვარი ბანაობის დროს?

— როგორც აღვნიშნეთ, ჯვარი ბოროტი ძალების ზემოქმედებისგან გვიცავს, რომელთა მოქმედება არც ბანაობის დროს გამოირიცხება. ამიტომ ჯვარი არ უნდა მოვიხსნათ არც ერთ შემთხვევაში, მათ შორის ბანაობის დროსაც.

— აუცილებელია თუ არა ნათლობის ჯვრის ტარება?

— ნათლობის ჯვრის ტარება აუცილებლობას არ წარმოადგენს. იმისათვის, რომ ნათლობის ჯვარი არ დაგვეკარგოს, სასურველია, ის დავაბრძანოთ სალოცავ კუთხეში, სხვა ჯვარი შევიძინოთ, ვაკურთხებინოთ და ვატაროთ.

— უნდა ეხებოდეს თუ არა ჯვარი უშუალოდ სხეულს?

— ჯვარი უნდა ვატაროთ არა როგორც სამკაული, ტანსაცმლის გარედან, არამედ დაფარულად, ამიტომ უმჯობესია, ჯვარი უშუალოდ სხეულს ეხებოდეს.

— უნდა ვატაროთ თუ არა ჯვარი დედათა წესის დროს?

— დედათა წესის დროს ქალს ჯვრის ტარება არ ეკრძალება, მაგრამ უნდა ვეცადოთ, ხელით არ შევეხოთ და, რაც მთავარია, არ მივეახლოთ მას.

— შეიძლება თუ არა ორი ჯვრის ერთდროულად ტარება?

— ადამიანმა უნდა ატაროს ერთი ჯვარი.

— აუცილებელია თუ არა ჯვარი სალოცავ კუთხეშიც გვქონდეს დაბრძანებული?

— სალოცავ კუთხეში ხატებთან ერთად დაბრძანებული უნდა იყოს ჯვარიც.

— ზოგჯერ ადამიანს ერევა, ჯვარი მართლმადიდებლური კანონიკითაა შესრულებული თუ კათოლიკურით. როგორ უნდა გავარჩიოთ მართლმადიდებლური ჯვარი კათოლიკურისგან?

— როგორც გითხარით, ჯვარი, რომელსაც ვატარებთ, აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს. ჯვრის გარჩევაში კურთხევის დროს, თვითონ ღვთისმსახური დაგეხმარებათ.

— შეიძლება თუ არა მოუნათლავმა ადამიანმა ატაროს ჯვარი?

— მოუნათლავმა ადამიანმა არ შეიძლება ატაროს ჯვარი, რადგან ის ღვთის წინაშე ჯერ არ არის დაბადებული. ■

რეზო პაპას გმირული წარსული და სამი ჩირაღდნით გადაცურული მტკვარი

კასპის რაიონის სოფელ მეტეხის მკვიდრი, 78 წლის რეზო გეჯაძე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდია, მაგრამ მისნაირი ენერგიულობითა და შრომისუნარიანობით ბევრი ახალგაზრდაც როდი დაიკვეხნის. რეზო პაპას უსაქმოდ გაჩერებულს ვერასდროს ნახავთ: ხან ბაღში მუშაობს, ხან ვენახში, ხან პირუტყვს უვლის, 3 დღეში ერთხელ კი, თბილისში რძე და მაწონი ჩამოაქვს გასაყიდად. ხუთი სული საქონელი, რამდენიმე ღორი და მრავალი ქათამი ჰყავს. მათ, როგორც ბავშვებს, ისე ელაპარაკება და ეალერსება. ამ ყველაფერში გასაოცარი არაფერია. რეზო გეჯაძემ იმით გააკვირვა ყველა, რომ ანთებული ჩირაღდნებით რამდენჯერმე გადაცურა მტკვარი.

ელენე ხირსელი

— რეზო პაპა, რატომ გადაწყვიტეთ ანთებული ჩირაღდნებით გადაგეცურათ მტკვარი? როგორ მოგივიდათ ეს აზრი?

— რაღაც რომ შეუჩნდება ადამიანს და მოსვენებას არ მისცემს — გინდა თუ არა, ესა და ეს გააკეთეო, — ისე დამემართა მეც. თითქოს ვიღაც მკარნახობდა: აანთე მტკვარზე ცეცხლის ჯვარი, აანთეო! ეს აკვიატებული აზრი რომ არ განმეხორციელებინა, გადავირეოდი. ალბათ ეს ჩემმა მფარველმა ანგელოზმა შთამაგონა, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის წინ სიკვდილისგან მიხსნა. მერე, თუ გაინტერესებთ, ამ დაუჯერებელ ამბავსაც მოგიყვებით.

— კი, ბატონო. ჯერ მტკვრის გადაცურვის შესახებ მიამბეთ.

— 1996 წლის ერთ მშვენიერ დღეს, ენერგიითა და ხალისით აღსავსე, თბილისში, ბარათაშვილის ხიდთან რომ სანიჩბოსნო ბაზაა, იქ მივედი და განვაცხადე: მტკვარზე ცეცხლი უნდა დავანთო-მეთქი. — ეს როგორო? — გაიკვირვა ბაზის უფროსმა. — როგორ და, სამი ანთებული თვითნაკეთი ჩირაღდნით ხელში, მტკვარში შევცურდები, მერე ზურგზე გადავბრუნდები, ერთ ჩირაღდანს მარცხენა ფეხის თითებს შორის დავიმაგრებ, მეორე ჩირაღდანს ერთ ხელში, მესამეს კი მეორეში დავიჭერ და მდინარეს ასე გადავცურავ-მეთქი. ჩემს ნათქვამზე, ზოგს ირონიულად ეღიმებოდა, ზოგი კი აღტაცებული მისმენდა. პასუხს აღარ დაველოდე — ტანსაცმელი გავიხადე და ანთებული ჩირაღდნებით მტკვარში გადავეშვი. ბაბუ, რას აკეთებ? დაიხრჩობიო! — ყვიროდნენ ნაპირიდან. მეორე ნაპირამდე გადავცურე. უკან რომ ვბრუნდებოდი, ნავი დამეწია (დავალებული ჰქონდა — თუ საფრთხე შემექმნებოდა, კავით ამოვეყვანე). გეყოფა, ბაბუ, ამოდიო. კიდევ შემეძლო მეცურა, მაგრამ დავმორჩილდი და ნავში ავედი. ნაპირზე ოვაციებით შემხვდნენ... ერთი წლის შემდეგ იგივე გავიმეორე. ამჯერად წინააღმდეგობა აღარ გამიწიეს. ეს ამბავი მსოფლიო მოღვაწეთა და მოგზაურთა კლუბმა შეიტყო და 1998 წელს, მათი დავალებით (ეს ფაქტი ოფიციალურად რომ დაფიქსირებულიყო), მესამედ გადავცურე ჩირაღდნებით მტკვარი. სამწუხაროდ, ამინდმა შემიშალა ხელი: ქარმა და დინებამ ფეხის თითებზე დამაგრებული ჩირაღდანი წამართვა, მაგრამ წყლ-

ის ზედაპირზე გაჩერებული მარცხენა ფეხი მაინც არ ამიმოძრავებია, ზაფწეულ ხელებში მოთავსებული ჩირაღდნებიც არ დამიშვია. 15 წუთში თავისუფლად გადავლახე ნახევარი კილომეტრი. ასპარეზობას საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის, საქართველოს წყალმაშველი საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ... ბოლოს, მეოთხედ, 2000 წლის 25 აგვისტოს, ტელეკომპანია „მირის“ დავალებით კვლავ გადავცურე მტკვარი. იმ დღეს დამიბარეს და მითხრეს: შენ ალბათ ფული გჭირდება, გვითხარი – რამდენი გინდა, არ დავიშურებთო. ძალიან მეწყინა და მკაცრად ვუპასუხე: ყოველივე ამას ანგარების გამო როდი ვაკეთებ-მეთქი!

— ახლა საკუთარ თავზე, თქვენს ოჯახზე გვიამბეთ.

– დავიბადე 1924 წელს, კასპის რაიონის სოფელ მეტეხში. ჩემი მშობლები უბრალო, შრომისმოყვარე გლეხები იყვნენ. ბაბუის სახელი – ლაზარე დამარქვეს, მაგრამ მალე, 2 წლის რომ ვიყავი, ჩემი უფროსი ძმა გარდაიცვალა, დამწუხრებულმა მშობლებმა, ვითომ, თავი ინუგეშეს და მისი სახელი – რეზო მიწოდეს. მართალია, ბაბუაჩემს ვერ მოვესწარი, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ მსმენია: ნამდვილი ვაჟკაცი იყო, უსამართლობას ვერ იტანდა, ყოველთვის ექომაგებოდა სუსტსა და უმწეოს. მთელ მაზრაში ერთიორი თუ გაუტოლდებოდა გულადობით. ლაზარეს 500 ცხვარი ჰყავდა. ერთ ღამეს მის ფარას მგელი დაესხა თავს და 25 ცხვარს გამოღადრა ყელი. მეორე დღეს ბაბუამ გაფატრული ცხვრები რომ იხილა, გულზე შემოეყარა, თან იცოდა – ეს მგელი აღარ მოეშვებოდა, – და გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა. დაუყარაულდა. მართლაც, მტაცებელი მეხუთე ღამეს მოვიდა. ლაზარემ ჯერ ძაღლები აუშვა, მერე კი თვითონ შეება მგელს და ხანჯლით განგმირა... მიწის სიყვარული ბაბუაჩემისგან მომდგამს. არ არსებობს ჩემთვის უვარგისი მიწა: ურწყავ, მეჩხერჭაობიან ადგილებშიც კი მომიყვანია დიდი მოსავალი. ცხრა პირ ოფლს დავღვრი და ქვაზე მოვიყვან მოსავალს. მუდმივი ფიზიკური შრომაა ჩემი სიმხნევის საიდუმლო. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი გართობაც და სიამოვნებაც.

— ახალგაზრდობისას, ბარისა და თოხის მაგივრად, მოუღოდნელად, ხელში იარაღის აღება მოგიხდათ. როდის გაგიწვიეს ომში?

– ასაკის მიხედვით, ჯარში გაწვევა არ მიწევდა, მაგრამ საბუთების გაყალბების გზით, 1942 წელს უკანონოდ გამაგზავნეს ომში. ამის მიზეზი კი, ერთი ხის მორი გახდა. მტკვარი რომ ადიდდებოდა, მოიტაცებდა ხოლმე ბორჯომის ხეობიდან ხის მორებს და ძლიერ დინებას თბილისის მიმართულებით მიჰქონდა. ერთ დღესაც, ჭოროხზე ერთი დიდი მორი შევნიშნე. შევცურდი, მავთული მოვაბი და ნაპირზე გამოვიტანე, მერე ბავშვების დახმარებით სახლამდე მივიტანე. ეს რომ საბჭოს თავმჯდომარემ შეიტყო, ქურდობაში დამადანაშაულა, ხის მორი თვითონ მიითვისა, მე კი, ჯერ დამაპატიმრა (ცრუ ბრალდებად, პარტიული კრების ჩაშლის მცდელობა წამომიყენა), მერე კი, კანონის დარღვევით, ომში გამაგზავნა.

— ომში თუ დაჭრილხართ?

– მხოლოდ ერთხელ, მაგრამ სასიკვდილოდ. ძალიან საინტერესო და უცნაური ამბავია. მე და ჩემი მეწყვილე, კახელი რაჟდენ მოსულაშვილი 72-კილოგრამიან ტყვიამფრქვევს ვემსახურებოდით. ის ორ ნაწილად იშლებოდა: ერთს მე მოვიკიდებდი ზურგზე, მეორეს რაჟდენი და ასე დავატარებდით ბრძოლის ველზე სხვა საჭირო ნივთებთან (ბარი, ნიჩაბი, რკინის „კასკა“) ერთად. 1943 წელი იყო. ნოვოროსიისკთან დიდი ბრძოლა გველოდა. გენერალ-პოლკოვნიკმა ლესელიძემ განსაკუთრებული სიმამაცისკენ მოგვიწოდა. მის გასაგონად, ქართულად დავიძახე ხმამაღლა: „ეს ხომ ჩვენი მოვალეობაა, აბა, რისთვის ვართ აქ!“ ჩემმა ხმამ ადრესატამდე მიაღწია, მან შემომხედა და გამიღიმა. მივხვდი, რომ ქართული სიტყვების გაგონება ეამა. ამ ბრძოლის მოლოდინში ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა. მივწერე კიდეც დედას: შეიძლება, ეს ჩემი უკანასკნელი წერილი იყოს-მეთქი. ვთხოვდი, ძალიან არ ეჯავრა... და აი, დაიწყო ბრძოლა (ნოვოროსიისკ-ტამანის ოპერაცია). უეცრად, აუწერელი ტკივილი ვიგრძენი. მტკიოდა მთელი სხეული, თითქოს შიგნიდან ვიწვოდი. მინდოდა, მეღრიალა, მაგრამ ერთი კვნესაც არ აღმომხდა – ამის ძალაც არ მქონდა. წითელი ბინდი გადამეკრა თვალებზე: წითელი სისხლი, წითელი დროშა, წითელი მზე – თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აიზილა... აზროვნება არ დამიკარგავს, გონებაში კინოკადრებივით გაირბინა განვლილმა ცხოვრებამ. უეცრად, ეს ტანჯვა, თითქოს, ერთი ხელის მოსმით გაქარწყლდა. ტკივილს საერთოდ აღარ ვგრძნობდი, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი და ჩემ თვალწინ გაჩნდა გაბრწყინებული, მზესავით გაკაშკაშებული სამყაროსკენ მიმავალი ნათელი ბილიკი. ასეთი ნეტარება არასდროს მიგრძნია. ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს რაღაც ძლიერმა ბიძგმა გამომაფხიზლა. საოცრად არ მესიამოვნა. სხეულის შეგრძნება ფეხის თითებიდან დამეწყო. თითქოს ვიღაცის უხილავი ხელები მთელ სხეულს მიჰყვებოდა და ნელ-



თითქმის 80 წელს მივაღწიე, მაგრამ იმდენი ენერგია მაქვს, არ ვიცი, სად დავხარჯო

ნელა აცოცხლებდა. ძალიან არ მინდოდა იმ მდგომარეობიდან გამოსვლა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ მქონდა და რეალურ სამყაროს დავუბრუნდი... ვფიქრობ, რომ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა მიხსნა სიკვდილისგან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ენახე საიქიო.

— გონზე რომ მოხვედით, ტკივილი ისევ ისე გაწუხებდათ?

– ტკივილი ისე ძალიან აღარ მაწუხებდა. ფეხებში ძალა დამიბრუნდა. როგორც იქნა, წამოვდექი და ბარბაცით გავუყევი გზას. ვეღარაფერს ვხედავდი – მხედველობა დავკარგე. მთელი სხეულიდან სისხლი მდიოდა. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარე, სანამ ჩვენიანებს გადავეყრებოდი. ჩემს დანახვაზე ჯარისკაცები შეკრთნენ და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, – როგორ არის დაფლეთილიო?! მერე „პოდვოდი“ (ურემი, რომლითაც დაჭრილები გადაჰყავდათ) გამოიძახეს და სხვა დაჭრილთან ერთად დამაწვინეს. გავიგე, როგორ მოახსენეს ჩვენ შესახებ მეთაურს: ესენი მაინც დაიხოცებიან და რა ვუყოთო? – სადაც კარგ ადგილს ნახავთ, იქ დაასაფლავეთო... შევშინდი. შუბლიდან წამოსული სისხლი პირში ჩამდიოდა და ლაპარაკის საშუალებას არ მაძლევდა, ძლივძლივობით ამოვილუღლუღე, – ცოცხალი არ ჩამფლათ-მეთქი. ამ დროს, მეორე დაჭრილმა იყვირა: მშვიდობით, დედა, ვეღარასოდეს განახავო!.. ხმაზე ჩემი მეწყვილე – დედისერთა რაჟდენი ვიცანი და შევეხმიანე. რეზო, შენ ხარო? – გაუხარდა. მერე ამოიოხრა, სამჯერ დაიხრიალა და სულიც განუტევა. ცოტა ხანში, სანიტარულ განყოფილებამდეც მივაღწიეთ. ექიმები გაოცებას ვერ ფარავდნენ: შეუძლებელია, ასეთი ჭრილობებით ად-

ამიანი ცოცხალი იყოსო... რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ თვალში მხედველობა დამიბრუნდა. საბოლოოდ კი, ცალი თვალის დაკარგვის გამო, დემობილიზაციაში მოვყევი და 1944 წელს მშობლიურ სოფელში დავბრუნდი.

— როგორ შეხვდით იმ კაცს, რომელმაც უკანონოდ გაგამწესათ ფრონტზე?

— ის ისევ თავმჯდომარე იყო. არაფერი მითქვამს მისთვის (წყენას მალე ვივიწყებ). მალე კი ის, სრულიად ახალგაზრდა და ჯანმრთელი, მოულოდნელად გარდაიცვალა. ბევრი მომდურავი ჰყავდა და მალე საფლავი წაუბილწეს...

— ახლა თქვენს ოჯახზე გვიამბეთ. როდის დაქორწინდით?

— ომიდან რომ დავბრუნდი, უშვილო ბიძამ მიშვილა, ბიცოლამ კი, თავისი ძმისწული გოგონა აიყვანა შვილად. ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავქორწინდით. რა თქმა უნდა, იყო წინააღმდეგობაც (ვითომ ნათესაური კავშირის გამო), მაგრამ მაინც ჩვენი გავიტანეთ და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ. გვყავს 3 შვილი და შვილიშვილები.

— ვიცი, რომ ბაქოს ციხეშიც ოჯექით. როგორ მოხვდით იქ?

— ბაქოში ნამყენი შინდი და ვაშლი დამქონდა გასაყიდად (იქ კარგი ფასი ედო), იქიდან კი სხვა პროდუქტები ჩამომქონდა. 1979 წელს, იქაურმა გამომძიებელმა, ფულის გამოძალვის მიზნით, ცრუ ბრალდება წამიყენა — სპეკულაციაში დამადანაშაულა, ვითომ ბაქოში 5 მანეთად ნაყიდი 30 კილოგრამი თევზი, თბილისში 10 მანეთად გავყიდე. ამ დანაშაულს ექვსწლიანი პატიმრობა ეფარდება, ამიტომ 6 ათასი მანეთი უნდა მოიტანოო, — მითხრეს. სასამართლომ ვერ დამიმტკიცა დანაშაული და შინ გამარჯვებით დავბრუნდი. გავიდა რამდენიმე ხანი და 1980 წლის 8 მაისს, გვიან ღამით, რამდენიმე უცხო კაცი, უბნის რწმუნებულთან და სოფლსაბჭოს თავმჯდომარესთან ერთად, მოულოდნელად მოადგნენ სახლში. შენი ნათესავი ციხიდან გამოიქცა და ამის გამო კასპის მილიციის უფროსი გიბარებს — გაგესაუბრება და უკანვე გამოგიშვებსო. მივხვდი, რაღაცას მიწყობდნენ და უარი ვუთხარი წაყოლაზე. მანქანაში ჩამაგდეს და ძალით წამიყვანეს. ამგვარად, სანქციისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე აღმოვჩნდი ბაქოს ციხეში (ჩემი გაუჩინარების მიზეზი ჩემი ოჯახისთვის კარგა ხანს იდუმალებით იყო მოცული). ციხეში გავიგე, რომ არსებობდა ე.წ. „პროკურორ-ნაზდორი“ *(საპროკურორო ზედამხედველობა. — ავტ.)*, რომელიც პატიმრების პრეტენზიებს განიხილავდა. მის სახელზე უამრავი განცხადება დავწერე, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მერე სხვა ღონეს მივმართე: შენობაში ერთი საჰაერო ფანჯარა მეგულებოდა. რის ვაივაგლახით ავძვერი, გავხსენი ლიუკი და ვიყვირე: „ვითხოვ „პროკურორ-ნადზორს“! თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, ციხის უფროსის კაბინეტში ვიყავი. ვუთხარი, რომ სანქციის გარეშე ვიყავი დაპატიმრებული. სანქცია დაშვებულიაო, — იცრუა მან და ისევ კამერაში დამაბრუნეს... ბოლოს, ამდენი ბრძოლის შედეგად, ინფორმაციამ მაინც გაჟონა გარეთ. ბაქოს პროკურატურაში წერილი მივიდა უმაღლესი სასამართლოდან: ესა და ეს პიროვნება უკანონოდ გყოლიათ დაპატიმრებული და დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთო, — და 5 თვის პატიმრობის შემდეგ, შინ დავბრუნდი.

— პატიმრობის გამო შემდგომში რაიმე პრობლემები ხომ არ შეგექმნათ?

— უკანონო პატიმრობის პერიოდში შეწყვეტილი პენსიის ანაზღაურება მოვითხოვე. კასპის „სობესის“ *(სოცუზრუნველყოფის განყოფილება. — ავტ.)* გამგემ უარი მითხრა — არ გეკუთვნისო. მერე თბილისში სოცუზრუნველყოფის მინისტრთან, კარლო გარდაფხაძესთან მივედი. მანაც უარით გამომისტუმრა. არადა, არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილების გარეშე, ომის ინვალიდისთვის პენსიის შეწყვეტის უფლება არავის ჰქონდა. ამის თაობაზე მივწერე თვით ლეონიდ ბრეჟნევს. თქვენ წარმოიდგინეთ, პასუხიც მივიღე: ამა და ამ არმიაში ნაბრძოლი რეზო გეჯაძის მოთხოვნა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილეთო. ამასობაში, 14 თვეც გავიდა და ამ ხნის მანძილზე მიუღებელი პენსია ერთბაშად ავიღე...

— რეზო პაპა, კიდევ ხომ არ გაქვთ გეგმაში რაიმე რეკორდის დამყარება?

— რა თქმა უნდა. თითქმის 80 წელს მივაღწიე, მაგრამ იმდენი ენერგია მაქვს, არ ვიცი, სად დავხარჯო. ახლა ჩაფიქრებული მაქვს, გადავცურო ჯვრიდან მეტეხამდე ან ზაჰესიდან ორთაჭალამდე.

— ასე კარგად სად ისწავლეთ ცურვა?

— ჩვენთან, მტკვარზე. სულ პატარა ვიყავი, ძროხებს რომ ვმწყემსავდი. ძალიან რომ დამცხებოდა, ჩავდიოდი წყალში და ვგრილდებოდი. სხვათა შორის, ჩემი ცხოვრების მანძილზე, ბევრი ადამიანი გადავარჩინე დახრჩობას. ■

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ძველი მონღოლები იულურულ დამწერლობას იყენებდნენ, სადაც სიტყვები იწერებოდა:

ა) ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ;

ბ) ქვემოდან ზემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ;

გ) ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ.

2. ია ნინიძესთან ერთად ვინ თამაშობდა მედროგე პავლეს შვილის როლს მხ/ფ-ში — „ვერის უბნის მელოდიები“?

ა) მაია კანკავა;

ბ) ია ფარულავა;

გ) ეკა კახიანი.

3. სად დაიბადა ნატო ვაჩნაძე?

ა) თბილისში;

ბ) საგარეჯოში;

გ) ვარშავაში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

50 წლის იუბილეზე, ცნობილ მსახიობს, სილვესტერ სტალონეს მიართვეს ჟურნალი, სადაც რეპორტიორების მიერ თავმოყრილი, სხვადასხვა ქალთან გადაღებული მისი 595 ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი. „ღმერთო ჩემო, ექვსი ასეული! — წამოიძახა გაკვირვებულმა იუბილარმა. — ნეტავ, როგორ მოვახერხე ამდენი ლამაზმანის ლოგინში ჩაწვენა?“



ცოლმა სტალონეს ყველა ცვლილებაც ყოლა აპატია

რით დამთავრდა მსახიობის ოჯახური ცხოვრების დანგრევის ყიდევ ერთი მცდელობა?

სილვესტერ სტალონე დაძაბულობისაგან გაფითრდა. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც მსახიობს მსგავსი სტრიქონები საკუთარი თავის შესახებ აღარ წაეკითხა: „მან თვალის დახამხამებაში შემოიძარცვა ტანსაცმელი და ჩემ წინაშე შიშველი წარდგა. მისი იდეალური მუსკულატურისა და ნაზი კანის შემხედვარემ, თავი ვეღარ შევიკავე და დავუსტვინე!.. იმ ღამით მასთან შვიდჯერ თუ რვაჯერ მქონდა ინტიმური კავშირი. სლაიმ თავისი ტემპერამენტით ისეთ დაუცხრომელ მამაკაცებსაც კი გადააჭარბა, როგორებიც მიკ ჯაგერი, ჯეკ ნიკოლსონი, უორენ ბიტი და დოლფ ლუნდგრენი არიან!“ ეს გახლდათ ნაწყვეტი სტალონეს ყოფილი საყვარლის, ჯენის დიკინსონის მემუარებიდან — „თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება“, რომლის წაკითხვამაც მსახიობი წონასწორობიდან გამოიყვანა. ვაითუ, ეს ბინძური წიგნი ჯენიფერს ვინმემ უკვე შეაჩეჩა?! სწორედ მაშინ, როცა მათ ოჯახს ასეთი მნიშვნელოვანი პერიოდი უდგას, როცა მეუღლემ მას მესამე ქალიშვილი აჩუქა და როცა ჯერ კიდევ ძუძუს აწოვებს მას!.. ამ წიგნით, ჯენის დიკინსონი თავადაც რომ არ უწყოდა ისე, სილვესტერისა და ჯენიფერის ურთიერთობას უკვე მეორედ დაემუქრა დანგრევით.

ისინი უკვე თორმეტი წელია, რაც ერთად არიან. თუმცა სტალონეს დღემდე ეჩვენება, რომ მხოლოდ გუშინ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯენიფერ ფლავინმა და სილვესტერ სტალონემ ერთმანეთი სრულიად შემთხვევით, ნიუ-იორკის სასტუმრო „პლაზაში“ გამართულ წვეულებაზე გაიცნეს. „ნებას მომცემთ, რომ გაგაცილოთ?“ — შესთავაზა მსახიობმა მომხიბლავ ქალბატონს. „ვმადლობთ, მანქანით ვარ. ასე რომ, თავადაც იოლად მივაღწევ სახლამდე“, — მოუჭრა ჯენიფერმა. „რატომ ხართ ასეთი კატეგორიული? ნუთუ, ვერ მცნობთ?“ — ჰკითხა სტალონემ. „სულაც არა. მე ვიცი, ვინცა ხართ. უბრალოდ, არ მივეკუთვნები იმ კატეგორიის ქალებს, რომლებიც ერთი თითის დაქნევაზე უკან გამოგეკიდებიან...“ — უპასუხა ჯენიფერმა, შემდეგ შეტრიალდა და ხალხს შეერია. მისი უჩვეულო საქციელით სრულიად გაოგნებულმა სილვესტერმა კი, მთელი ერთი თვის მანძილზე, რა ხერხს აღარ მიმართა, ოღონდაც ქალი შეხვედრაზე დაეყოლიებინა.

პირველ ცოლთან, სეიშა ჩაკთან ერთად

მათი პირველი პაემანი მუზეუმში შედგა, სადაც მსახიობი ჯენიფერს გამოუტყდა, რომ ხატვა უყვარდა. ფლავინი კინაღამ ატირდა, როცა სლაის ნახატები საკუთარი თვალით ნახა: „თქვენ მხოლოდ მხატვრობით უნდა იყოთ დაკავებული“. მას აბსოლუტურად არ აინტერესებდა ძვირფასეულობა, ძვირად ღირებული ტანსამცლის ყიდვას კი თავადაც მშვენივრად ახერხებდა, რადგან ფოტომოდელის კარიერაში საკმაოდ დიდი წარმატებები ჰქონდა. არც მაშინ და არც ამჟამად, ჯენიფერი არ აძლევდა უფლებას სილვესტერს, რომ მისთვის ძვირფასი საჩუქრები ეძღვნა. „შენ იმდენჯერ გამოგიყენეს, — უთხრა ერთხელ ჯენიფერმა, — რომ მე ალბათ არა ერთი და ორი წელიწადი დამჭირდება იმისათვის, რათა დაგარწმუნო, რომ შენ უბრალოდ, ძალზედ კარგი ადამიანი ხარ და ქალს შეიძლება, მხოლოდ ამიტომ უყვარდე“.

ქალებთან ურთიერთობაში სლაის მართლაც არ უმართლებდა. მისი პირველი ცოლი, სეიშა ჩაკი გახლდათ, რომელმაც მსახიობს ორი ვაჟიშვილი გაუჩინა (ერთერთი მათგანი ფსიქიკურად არაჯანსაღია). იმხანად, ისინი იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, რომ სეიშას, ოფიციანტად მუშაობა უხდებოდა, ზოგჯერ კი, სუპერმარკეტში პროდუქტებსაც იპარავდა. სილვესტერი ქალაქის ზოოპარკში მუშაობდა, სადაც მტაცებელი ცხოველების ვოლიერებს ალაგებდა, გულში კი, ჰოლივუდში კარიერის გაკეთებაზე ოცნებობდა. მოგვიანებით, როცა „როკიმ“ მას უდიდესი პოპულარობა მოუტანა და თაყვანისმცემელი ქალებიც ბუზებივით ეხვეოდნენ, სეიშამ ხმაურიანი გაყრის პროცესი წამოიწყო და ყოფილ ქმარს უკანასკნელ ხანებში დაგროვილი მთელი ქონება (6 მლნ დოლარი) სასამართლოს ძალით წაართვა.

დანიელ ბრიჯიტ ნილსონთან ყველაფერი საოცრად მიმზიდველად დაიწყო! სლაიმ ხელგაშლილობა გამოიჩინა და თავის რჩეულს უამრავი ძვირფასეულობა უძღვნა. პრესაშიც საკმაოდ ინტიმურ განცხადებებს აკეთებდა, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ მსახიობი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მა-

ჯენის დიკინსონთან ერთად

ჯენის დიკინსონი

ბრიჯიტ ნილსონთან ერთად

გრამ ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა: ერთხელ, ჩვეულებრივზე ადრე შინ დაბრუნებულ სტალონეს კაბინეტის კარი ჩაკეტილი დახვდა. მან კარი მხრით შეანგრია და ცოლი თავის მდივან ქალთან – მიქაელასთან ჩახუტებული იხილა!..

ბრიჯიტმა გაყრისას ქმრის კაპიტალის ნახევარი – 25 მლნ დოლარი, მალიბუს სახლი და მანქანა მოითხოვა. ყველაზე საინტერესო და საოცარი კი ის არის, რომ მან ეს ყველაფერი მიიღო! ყოველივე ამის შემდეგ, სტალონემ ქალების პატივისცემა და ნდობა დაკარგა.

სინდი კროუფორდთან სლაის რომანი 15 დღით შემოიფარგლა, ენკი ვიდერბერგთან – მხოლოდ ერთი კვირით, ანდრეა ვიზერთან კი – სულ ოთხი დღით. მასთან ასეთი ხანმოკლე ურთიერთობის მიუხედავად, სლაის ხელგაშლილობით გოგონებმა მაინც საკმაოდ იხეირეს. ენკიმ მას 500.000 დოლარის ღირებულების საჩუქრები დასტყუა. ანდრეა ვიზერთან ოთხდღიანი სასიყვარულო თავგადასავალი კი, სტალონეს მილიონ დოლარამდე დაუჯდა. მან გოგონას უყიდა: ბინა, მანქანა, უამრავი, ძვირად ღირებული ტანსაცმელი და ბრილიანტის კოლიე დედამისისათვის.

ანდრეა ვიზერთან ერთად

80-იანი წლების ბოლოს, მის ცხოვრებაში ჯენიფერი გამოჩნდა. ისინი ექვსი წლის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ქალების ანგარებიანი დამოკიდებულებით დამფრთხალ სლაის, მისი ხელის თხოვნა ვერა და ვერ გადაეწყვიტა. იმხანად, ფლავინი იტალიაში გაემგზავრა, სტალონემ კი, საუცხოო გარეგნობის, შავგვრემანი, დიდმკერდიანი ჯენის დიკინსონი გაიცნო. ერთ-ერთ წვეულებაზე სტუმრად მისულ მსახიობს ჯენისი მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, საკუჭნაოში შეიყვანა და ყოველგარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, საკუთარი თავი შესთავაზა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, გოგონამ განაცხადა, რომ სტალონესაგან ორსულად იყო.

სლაიმ ბავშვზე უარი ვერ თქვა. მან ფლავინს დეპეშა გაუგზავნა, აცნობა, რომ მოკლე ხანში, შვილს ელოდებოდა და სახლიდან წასვლა სთხოვა. ჯენიფერმა ასეთი დარტყმა საკმაოდ მძიმედ გადაიტანა, იგი თავს ძალზედ უბედურად გრძნობდა. მოღალატეს მან ფოსტით გაუგზავნა ბრილიანტისთვლებიანი ბეჭედი, რომლის მიღება თავის დროზეც არ სურდა.

მალე გოგონაც დაიბადა, რომელსაც სავანა დაარქვეს, მაგრამ მამობის ტესტის ანალიზმა უჩვენა, რომ ახალშობილი სტალონეს შვილი არ იყო (ტესტი სტალონეს ადვოკატის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ჩატარდა). სავანას მამად ვიღაც ხანში შესული მილიონერი აღიარეს, რომელსაც დიკინსონი სილვესტერის პარალელურად ხვდებოდა. მოგვიანებით, ჯენისი სწორედ ამ მილიონერს გაჰყვა ცოლად.

ჯენიფერმა საერთო მეგობრებისგან შეიტყო, რომ სლაი მარტო დარჩა და, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყო, ისე დაურეკა და პარიზში დაპატიჟა, სადაც ორსეს მუზეუმის დასათვალიერებლად აპირებდა წასვლას. ჭკვიან და კეთილშობილ ფლავინს ყოველთვის შეეძლო თავისი დიდი და გულუბრყვილო მეგობრის პატიება...

ისინი შერიგდნენ, იქორწინეს და სამი ქალიშვილიც შეეძინათ (5 წლის სოფია, 3 წლის სისტინი და ათი თვის სკარლეტ როუზი, რომელიც შარშან 25 მარტს დაიბადა). სლაი თავს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევდა და სწორედ ამ დროს გამოტყვრა ეს საზიზღარი წიგნი.

...შემოსასვლელი კარის ჯახუნი გაისმა, ჯენიფერი შინ დაბრუნდა! სლაიმ ჯენისის მემუარების წიგნი ტახტზე დააგდო და სასწრაფოდ ბალიშები დააფარა. მან აიძულა საკუთარი თავი, გაეხსენებინა, რომ იგი მსახიობი იყო და როცა ცოლმა ოთახის კარი შემოაღო, ღიმილიანი სახით შეეგება მას. „სეირნობისას შესანიშნავი იდეა მომივიდა თავში, – თქვა ჯენიფერმა. – გახსოვს, შორეულ, თბილ კუნძულზე დასვენებაზე რომ ვოცნებობდით? მოდი, ახლავე გავემგზავროთ!“ სილვესტერი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ცოლის თვალებში სინაზე და სიყვარული კიაფობდა. იგი მიუახლოვდა ქმარს, ლოყა ლოყაზე მიადო და ყურში წასჩურჩულა: „მე მსურს, რომ შენ ჩემს, მზიან მხარეს გადმოხვიდე და უკან აღარასოდეს – გესმის, აღარასოდეს! – აღარ მიიხედო!..“ სლაი მიხვდა, რომ ჯენიფერმა ყველაფერი იცოდა და უსიამოვნებებისაგან მის დაცვას ცდილობდა. მას ისე აუჩუყდა გული, რომ კინაღამ ატირდა... ბოლოს, იგი ცოლს ჩაეხუტა. ■

სპორტული ფანემი ყველაზე მეტს სვამენ

თურმე სპორტული ფანები უფრო ხშირად მიირთმევენ ალკოჰოლურ სასმელებს, ვიდრე სპორტისადმი გულგრილად განწყობილი ადამიანები. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე, ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები. გამოკითხვა ამერიკის 39 შტატის 119 კოლეჯის 14 ათასზე მეტ სტუდენტს შორის ჩატარდა. მისი შედეგების თანახმად, სპორტის მოყვარულთა 53% სისტემატურად სვამს, მაშინ, როდესაც სპორტისადმი ინდიფერენტულად განწყობილ ვაჟებსა და გოგონებს შორის მსმელთა რაოდენობა შესაბამისად, 41%-ს და 37%-ს შეადგენს. ამასთანავე, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სპორტის გულშემატკივარი, მსმელი მამაკაცი ორ კვირაში ერთხელ მაინც, 5 ან მეტ ჭიქა სპირტიან სასმელს ერთბაშად სვამს, ხოლო ქალი, იმავე ინტენსივობით, 4 და მეტ ჭიქა ალკოჰოლს მიირთმევს. მკვლევარები ასევე ირწმუნებიან, რომ სპორტის მოყვარულები, ალკოჰოლის ჭარბი მიღებისაგან გამოწვეული პრობლემების გამო, ყველაზე ხშირად აწყდებიან სექსუალურ ძალადობას და უსიამოვნებებს სასწავლებლებში. გულშემატკივართა შორის ალკოჰოლური სასმელების პოპულარობას კი, ძალიან უწყობს ხელს რეკლამა, რომელიც პირდაპირ მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომ ლუდის დალევით აღნიშნონ საყვარელი გუნდის ან სპორტსმენის არა მარტო გამარჯვება, არამედ – მარცხიც. ■

როდმანი ისევ მომოქრომს

ცოტა ხნის წინ, დენის როდმანი საკუთარ სახლში დააპატიმრეს, თუმცა მის მიერ გირაოს სახით 25 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ, იგი ციხიდან გამოუშვეს. პოლიციის სერჟანტის თქმით, პოლიციის განყოფილებაში დაურეკავს ქალს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მას მოულოდნელად თავს დაესხა როდმანი. სკანდალური დენისის საქმე საოლქო პროკურორს გადაეცა, რომელიც განსაზღვრავს კიდეც კალათბურთელის ბედს. პასუხისგებაში როდმანის მისაცემად კი, საჭირო გახდება, რომ დაზარალებულთან მისი კავშირი დამტკიცდეს. აქვე მკითხველს ვაცნობებთ, რომ მას შემდეგ, რაც დენის როდმანი დიდ კალათბურთს გამოემშვიდობა, მის სახლს 70-ზე მეტჯერ ესტუმრა პოლიცია, იქ გამართული ხმაურიანი ორგიების გამო. „NBA-ს მადონა“, არაერთხელ დააკავეს აგრეთვე ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისა და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დარღვევებისათვის. გამოუსწორებელი „ჩიკაგო ბულზელი“ ამჟამად 41 წლისაა. ■

ტაისონი შოუმენომას აპირებს



მაიკ ტაისონი ახალი ტელეშოუს გმირად მოევლინება ამერიკელ ტელემაყურებელს, რომელშიც არაპროფესიონალი სპორტსმენების მეტოქე იქნება. ამერიკული კომპანიის, „თრიავჯ ენთერთეინმენთის“ პროდიუსერები ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებენ „რკინის მაიკთან“. შოუს ტრანსლაციის სურვილი კი უკვე რამდენიმე ამერიკულმა ტელეკომპანიამ გამოთქვა. ტაისონის მეტოქეებს სპეციალურ კასტინგზე შეარჩევენ. ისინი ვალდებულნი იქნებიან, რომ ორთაბრძოლის წინ, ინტენსიურად ივარჯიშონ, რაც ასევე ნაჩვენები იქნება ტელევიზიით. პროდიუსერთა აზრით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ მაიკის მეტოქეებს საკრივო გამოცდილება ჰქონდეთ. შოუში მონაწილეობის მსურველებს უბრალოდ, არ უნდა ეშინოდეთ, ან კიდევ, „სხეულის რომელიმე ნაწილის დაკარგვის“ დიდი სურვილი უნდა ჰქონდეთ – 36 წლის ტაისონი ხომ, კანიბალიზმითაც არის ცნობილი... მაიკის შესახებ აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ მან ცოტა ხნის წინ თავის ყოფილ მეუღლესთან, მონიკა ტერნერთან სასამართლო პროცესი წააგო. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მონიკა მოკრივისაგან 6,5 მლნ დოლარს მიიღებს. ტაისონი აგრეთვე ვალდებული იქნება, რომ ტერნერს თავისი მომავალი ორთაბრძოლების ჰონორარებიდანაც უწილადოს გარკვეული თანხა. რაც შეეხება ტაისონის მომავალ მატჩს – იგი 22 თებერვალს მემფისში, Pyramid Arena-ზე ჩატარდება და ამ ორთაბრძოლაში სკანდალური სუპერმძიმეწონისნის მეტოქე კლიფორდ ეტენი იქნება. შეხვედრას მთელი მსოფლიოს მასშტაბით Showtime Event Television-ი გადასცემს. ■

კურნიკოვას უმღერიან, იგლესიასი კი მასთან ერთად კინოში გადაღებაზე ოცნებობს

ამერიკულმა პოპ-ჯგუფმა, **Binge**-მ გამოუშვა ახალი კომპაქტ-დისკი, რომლის პირველ სიმღერას „ანა კურნიკოვა“ ჰქვია. სიმღერის ლირიკულ გმირს სურს, რომ ტურნირებზე რუსი ჩოგბურთელის ბურთის მიმტანი იყოს. სიმღერის კლიპისთვის კადრები ოკეანის სანაპიროზე გადაიღეს, სადაც კურნიკოვა ჯგუფის წევრებთან ერთად იმყოფებოდა. კლიპი უკვე ლიდერობს **Lycos'Top Ten Videos** რეიტინგში. არსებობს აგრეთვე ამ კომპოზიციის კლასიკური ელექტრონული ვერსიაც. სიმღერა 1999 წელს დაიწერა, როგორც ხუმრობა. თუმცა შემდეგ, მას ჯგუფი ცოცხალ კონცერტებზეც ხშირად ასრულებდა. თავდაპირველად, მისი მაქსისინგლის (EP) სახით გამოშვება იყო დაგეგმილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსი სექს-სიმბოლოს აგენტებს ძალიან მოსწონებიათ მისი მელოდია, **Binge**-ს წევრებს კომპოზიციის **CD**-ის სახით გამოშვება გადაუწყვეტიათ.

უახლოეს მომავალში, ანა კურნიკოვამ შეიძლება, კინოშიც სცადოს ბედი. საქმე ის არის, რომ მისმა ბოიფრენდმა, მომღერალმა ენრიკე იგლესიასმა გააფორმა კონტრაქტი ჰოლივუდის ერთ-ერთ კინოკომპანიასთან, რომლის თანახმადაც ის ფილმში ვარსკვლავად ქცეული მოხეტიალე მუსიკოსის როლს შეასრულებს. ენრიკეს დიდი სურვილი ჰქონია იმისა, რომ ანამ ფილმში მისი მეგობარი გოგონას როლი ითამაშოს, მაგრამ სტუდიის ხელმძღვანელობას ეჭვი ეპარება რუსი ლამაზმანის სამსახიობო მონაცემებში. მიუხედავად ამისა, იგლესიასი მაინც მიიჩნევს, რომ მისი კინოდებიუტი კურნიკოვასთან ერთად წარმატებას მოუტანს ფილმს, რომლის გადაღების დაწყება აპრილისთვისაა დაგეგმილი.

ამასობაში კი, კურნიკოვას ყოფილმა თაყვანისმცემელმა, ჰოკეისტმა პაველ ბურემ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ, ყვითელ მასმედიაში ჩოგბურთელის საქმროდაც მოიხსენიებდნენ, რუსი ლამაზმანის გამო აღძრული სასამართლო პროცესის მოგების შედეგად, 10 ათასი დოლარი მიიღო. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2001 წლის მაისში, გაზეთმა „ეკზაილმა“, რომელსაც მოსკოვური ბარების და კლუბების კლიენტებს უფასოდ ურიგებენ, გამოაქვეყნა „ბურეს საუბარი“, სადაც ჰოკეის ვარსკვლავი არაეთიკური გამონათქვამებით მოიხსენიებდა ანა კურნიკოვას. ეს პუბლიკაცია პაველმა ცილისწამებად შერაცხა, გამომცემლობას მაშინვე სასამართლოში უჩივლა და პროცესი მოიგო კიდეც. ■

სტოიჩკოვი ვაშინგტონში გადავიდა

ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავი, ხრისტო სტოიჩკოვი ვაშინგტონის კლუბ „დს იუნაიტედში“ გადავიდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი „ჩიკაგო ფაირში“ თამაშობდა. თავის ახალ გუნდში სტოიჩკოვი არა მარტო ფეხბურთელის ამპლუაში მოგვევლინება, არამედ მწვრთნელის თანაშემწედაც იმუშავებს. „ხრისტო უჩვეულო შესაძლებლობების მქონე, მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავია. იგი თანამედროვე ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა და მას ჩვენი მოთამაშეებისათვის მაგალითის მიცემა შეუძლია არა მარტო მოედანზე, არამედ მის გარეთაც“, – განაცხადა ვაშინგტონური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, რეი ჰადსონმა. ■

კლუბ **Fassa Bortolo**-ს ველობრბოლელი, დენის ძანეტე, 32 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა. ძანეტე სტომატოლოგთან ყოფნისას გამხდარა ცუდად, რის შემდეგაც ის ჰოსპიტალში გადაუყვანიათ, მაგრამ სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. როგორც ცნობილი გახდა, დანტისტს მისთვის არავითარი წამალი არ მიუცია. „ნამდვილ შოკში ჩავვარდით. ის შესანიშნავი მრბოლელი და კარგი ადამიანი იყო“, – ნათქვამია **Fassa Bortolo**-ს განცხადებაში. ძანეტემ პროფესიონალის სტატუსი 1995 წელს მოიპოვა. მან რამდენიმე მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია, მათ შორის – პრესტიჟულ ველორბოლაში „ჯირო დ'იტალია“. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-5

დიტო მეგობრის დახმარებით, ნინის მობილური ტელეფონის ნომერს დააადგენს და, ქობულეთში ჩასულს, სასწრაფოდ დაურეკავს. ნინი გაოცებას და სიხარულს ვერ ფარავს. დიტო მას თავისი გაუჩინარების მიზეზს უყვება, პატიებას სთხოვს და პატარა საყვედურსაც გამოთქვამს: საავადმყოფოში რომ მნახე, რატომ არ მითხარი, შვილი რომ გვყავდაო. საყვარელი ქალისა და წამოჩიტული შვილის პოვნით გამოწვეულ დიტოს სიხარულს ისიც აძლიერებს, რომ მის შვილს ტრაგიკულად დაღუპული დედამისის სახელი ჰქვია. დიტო ამ ფაქტს და, საერთოდ, ნინისთან ხელმეორე შეხვედრას, პირველ რიგში, განგების ნებას უკავშირებს.

ნინი კი გაორებულია: მართალია, მას დიტო აღარ ეთმობა, მაგრამ ცოტნესთან დაშორებაც ძნელად წარმოუდგენია...

რუსუდან ბერიძე

ქალური იდეალი

ანუ ყოველივე ფერადები

— ჰო, ნინი, გისმენ, — გაისმა ყურმილში დიტოს მისუსტებული ხმა.

— დიტო, რა იყო?..

— ისეთი არაფერი... „კასტალომმა“ თავისი საქმე მაინც გააკეთა: საბოლოოდ დაკოჭლებას, ძვლების ხელახლა დამტვრევა გერჩივნოსო, თორემ, ხომ ვიცი, მერე მთელი ცხოვრება მე უნდა მაგინოო...

— ახლა როგორღა ხარ?

— როგორც ხორცსაკეპში გატარებული.

— ძალიან გტკივა?

— ისე, რა... რაღაც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი კი გამიკეთეს, მაგრამ ბედი არ გინდა? — ეს ოხერი, „პრიხოდი“ მაინც არა და არ მოდის...

— ვერ გავიგე, ვინ არ მოდის?

— ვინ კი არა — რა!.. არ მითხრა ახლა, არ ვიცი „პრიხოდი“ რა არისო...

— „პრიხოდისა“ რა გითხრა, მაგრამ ის კი უკვე ნამდვილად ვიცი, რომ შენი გამოსწორება აღარ იქნება. მაგ შენს ძმაკაცს, ფეხის დამტვრევის მაგივრად, ცოტა ხანს ენა რომ „მოეტეხა“ შენთვის, ნამდვილად აჯობებდა, — გაწიწმატდა ნინი.

— ენას ძვალი არა აქვს, ჩემო კარგო, თანაც — მერე რიღათი დაგაბამდი?

— ისევ თავიდან დაიწყე? იცოდე, ტელეფონს გაგითიშავ! — დაეჭუქრა ნინი.

— კარგი, ჰო, ვიხუმრე... არ გამითიშო, თორემ იცოდე, მეც სამუდამოდ გავითიშები და კიდევ ერთი კაცის ცოდვას დაიდებ...

— „კიდევ ერთის“ რაღას ნიშნავს? შენგან განსხვავებით, მე ჯერ არც ერთი კაცის ცოდვა არ დამიდვია.

— მე ვიღას ცოდვა მადევს?

— ჩემი... ჩვენი...

— „ჩვენში“ ვის გულისხმობ?

— მე და ჩემს შვილს.

— ჩვენს შვილს. — შეუსწორა დიტომ.

— აქამდე ის მხოლოდ ჩემი შვილი იყო.

— ეგეთი რამე ბუნებაში არ არსებობს... ნიტა, ჩემიც ყოველთვის იყო, ოღონდ, ამის შესახებ აქამდე არც ერთმა არაფერი ვიცოდით...

— რატომ? ნიტამ იცოდა... იცის...

— რა იცის?

— რა და ის, რომ მამამისს დიტო ჰქვია და ძალიან შორს არის წასული...

ტელეფონის ყურმილში სიჩუმემ დაისადგურა.

— ნინი, მისმინე... — გაისმა შემდეგ დიტოს აღელვებული ხმა. — მაშინ, ჩვენ რომ ერთმანეთს დავშორდით, მე ისევ ბათუმში დავბრუნდი. დედაჩემი ბათუმელი იყო და იქ, დედისეულ სახლში, ყველანი ერთად ვისვენებდით... უფრო სწორად, ბათუმში ჩვენ სამნი წავედით. მამაჩემი კი თბილისში დარჩა: რაღაც ცდას ატარებდა და ვერ მიატოვა...

— ცდას?

— ჰო, შენთვის, ალბათ, არ მითქვამს: მამაჩემი საკმაოდ ცნობილი ბიოლოგია, პროფესორი... იმ დღეს, შენ რომ გნახე, თბილისში, მამაჩემის დასახედად მივდიოდი...

— გზაში კიდევ, მე გადამეყარე და იფიქრე — ბარემ, ცოტას კიდეც გავერთობიო, ხომ?

— ნინი, ახლა კი შენ დაიწყე!.. — ხმაში წყენა დაეტყო დიტოს.

— ბოდიში, ბატონო, გააგრძელე. მომიყევი ყველაფერი...

— მოსაყოლი ბევრი აღარაფერია... იმ მანქანაში, დედაჩემის და ნიას გარდა, კიდევ ოთხი ადამიანი იჯდა... მარტო დედაჩემი დაიღუპა... ნია საშინლად იყო დამტვრეული. ექიმებმა, რომ იტყვიან, ხელახლა ააწყვეს. ხუთი ოპერაცია დასჭირდა. ორი თბილისში გავუკეთეთ, სამი — მოსკოვში... ფული რომ შემოგვაკლდა, ბათუმში, დედისეული სახლ-კარი გავყიდეთ. მაშინ იყო, რომ ვი-

ფიქრე — დედა ხელახლა მომიკვდა-მეთქი... მაგრამ სხვა გზა არ მქონდა... აქეთ გაუბედურებული მამაჩემი მაკვდებოდა ხელში, იქით კიდევ, ნიას უნდოდა შველა...

— შე საწყალო, ეს რა დღეები გადაგიტანია?! — ალალად შეიბრალა ნინიმ. — მერე, მერე?..

— მერე, ნია, როგორც იქნა, ფეხზე წამოვაყენეთ. სახეზე დიდი ნაჭრილობევი ჰქონდა... ორი წლის წინ, პლასტიკური ოპერაციაც გავუკეთეთ და შენ თვითონაც ხომ ნახე, როგორი ანგელოზივით გოგოა...

— შენ?

— რა მე? მე ანგელოზობამდე ცოტაღა მიკლია...

— მორჩი, რა... შენ როგორღა გამოხვედი-მეთქი მდგომარეობიდან?

— ჰო-ო... სანამ ჩემებს უჭირდათ, თავი არც კი გამხსენებია. ესენი რომ ფეხზე დავაყენე, ჩემი გაჭირვება მერე დაიწყო — ისეთ დეპრესიაში ჩავვარდი, ჩემი მოსკოველი ძმაკაცები რომ არ დამხმარებოდნენ და იქაური ტელევიზიის ერთ-ერთ კერძო არხზე ჩემთვის საქმე არ გამოენახათ, ალბათ, ან „ფსიხუშკაში“ ამოვყოფდი თავს, ანდა წამალში ჩავლპებოდი...

— ისე, წამალთან მგონი, მთლად მწყრალად არ უნდა იყო...

— კარგი რა, ნინი... ისეთი კაცი მიჩვენე, სხვა რომ არაფერი, ერთხელ პლანი მაინც არ მოეწიოს... ნარკომანობისგან კი, პირადად მე, ღმერთმა დამიფაროს...

— ტელევიზიაში რას აკეთებდი? — საუბრის თემა შეცვალა ნინიმ.

— რა ვიცი, ხან რას და ხან — რას. ძირითადად, კლიპებს ვიღებდი... იქნებ, ზოგიერთი შენც კი გინახავს...

— შეძლება. თუმცა, ეგ ნაკლებად მაინტერესებს... თბილისში როდისღა დაბრუნდი?

— ამ გაზაფხულზე.

— რა ქარმა გადმოგაგდო?

— ცოტა ფული ვიშოვე და ბათუმში, დედისეული სახლ-კარი უკან გამოვისყიდე... იმ დღეს, რიკოთზე რომ გადავიჩეხე, თბილისში მოვრბოდი. მამაჩემისთვის ეს ამბავი უნდა მეხარებინა... მეორე დღეს, დედაჩემის დაბადების დღე იყო და იმიტომ ვჩქარობდი. საღამოს, მამასთან და ნიასთან ერთად, ისევ ბათუმში ვაპირებდი დაბრუნებას... ისე, ის ავარია რომ არა, შეიძლება, ერთმანეთი არც არასდროს გვენახა...

— ესე იგი, ჩემს ნახვას აღარ აპირებდი?

— მართალი გითხრა, არა, — გულახდილად აღიარა დიტომ. — შენ გვერდით ხომ უკვე იმდენად ცნობილი კაცი იყო, რომ ჩემისთანა რიგითი „ტელევიზიონშიკი“ რა სუფრასთან მოსატანია?!. თანაც...

— რა თანაც?

— ნინი, გულახდილად მითხარი — რატომ არსად, არც ერთ ინტერვიუში არ გიხსენებია, შვილი რომ გყავდა?

— შენ რა?.. ყველა ჩემი ინტერვიუ წაკითხული გაქვს?

— მარტო ინტერვიუები კი არა, ყველაფერი, რაც შენზე იწერებოდა თუ ითქმებოდა, სულ ზეპირად ვიცი. მაგრამ სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ჩვენი შვილი რატომ არსად არ ახსენე-მეთქი, მაინტერესებს...

— სიმართლე რომ გითხრა, დამცინებ...

— მითხარი!

— ეს ჯერ არავისთვის მითქვამს.

— მე უნდა მითხრა!

— რა არის, იცი?.. ნიტას გაჩენის პირველივე დღიდან, რაღაც უცნაურობა დამჩემდა...

— მაინც, რა?

— სულ იმის შიშში ვიყავი, რომ ერთხელაც შვილს ვიღაც მომტაცებს და მერე ძალიან დიდხანს ვეღარ ვნახავ-მეთქი.

— ახლაც გეშინია?

— ახლა განა რა შეიცვალა, რომ აღარ მეშინოდეს?

— როგორ თუ რა? ბავშვს მამა გამოუჩნდა!

— გამოგიტყდები და, შენი გამოჩენის შემდეგ, კიდევ უფრო შემეშინდა...

— ვერ გავიგე, რა?.. საკუთარ შვილს ხომ არ მოვიტაცებ?

— რა ვიცი... ამქვეყნად, თურმე ყველაფერი ხდება...

— ნუ სულელობ, რა, ნინი!.. ისე, თუ მაინცდამაინც, მოტაცებაზე მიდგა საქმე, ბარემ ორივეს ერთად მოგიტაცებთ და ეგ იქნება...

— ვერ გავიგე, ყველაფრის ხუმრობაში გატარება მაინც, რად გიყვარს? — უცბად გაბრაზდა ნინი, — „მოგიტაცებთ... გაგიტაცებთ...“ მოდი, რა, ჩვენს ურთიერთობას თავიდანვე უნიჭო ტელესერიალს ნუ დაამსგავსებ...

— დავამსგავსებ?.. მე-ე?.. არ გეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს თავს მოხდა და ახლაც ხდება, უკვე ყველაზე ჩახლართულ ტელესერიალსაც კი სულ თავისუფლად „მოუჯოკრავდა“? — სიცილი აუტყდა დიტოს.

— რომ იცოდე, შენს უკბილო ხუმრობებს როგორ ვერ ვიტან! — გაწიწმატდა ნინი.

— მოგიწევს, ჩემო კარგო, მოგიწევს.

— რა მომიწევს?

— მარტო ჩემი ხუმრობების კი არა, ჩემი ატანაც მთელი შენი დარჩენილი ცხოვრება მოგიწევს. ასე რომ, ამას რაც მალე შეეგუები, მით უკეთესი, — „დაამშვიდა“ დიტომ ნინი.

— მაგასაც ვნახავთ, ვის ვისთან და რატომ მოუწევს შეგუება! — დაექადნა ნინი.

— კარგი, ჰო... მართლა, რას აპილპილდი? — შეუძახა დიტომ. — მოდი, ახლა, იცი, რა ვქნათ?..

— რა და ერთმანეთს დროებით დავემშვიდობოთ, თორემ გული მიგრძნობს, ნამდვილად ჩხუბით დავამთავრებთ.

— მოიცა, რა, ნინი, ერთი რაღაც უნდა გთხოვო, — ხმაში კვლავ სითბო გაურია დიტომ.

— რა გინდა? კიდევ რა მაკვარანცხობა მოიფიქრე? — უნდობლად ჰკითხა ნინიმ.

— რა და...

— დროზე ამოშაქრე!

— ჩემი შვილის გაცნობა მინდა.

— საინტერესოა, ამის გაკეთებას როგორღა აპირებ? შენ გამოისხამ ფრთებს და ურეკში ჩამოფრინდები, თუ ჩვენ დავკრათ ფეხი და სასწრაფოდ შენთან გავჩნდეთ?

— მოიცა, მოიცა... ურეკში როგორღა მოხვდით? გუშინ ქობულეთიდან არ მელაპარაკე?

— ეგ გუშინ იყო. დღეს უკვე ურეკში ვართ.

— რატომ? მოხდა რამე?

— იმიტომ, რომ ექიმმა ნიტასთვის ურეკი უფრო მირჩია.

— რა?.. ბავშვს ხომ არაფერი აწუხებს?.. რამე სერიოზული პრობლემა ხომ არ არის? — ახლა კი უკვე მართლა სერიოზულად შეწუხდა დიტო.

— ჩემი და ჩემი შვილის ყველაზე დიდი პრობლემა დღეს შენ ხარ და რაც მალე „გადაგწყვეტთ“, მით უკეთესი...

— ვისთვის?

— ჩვენთვის... ყველასთვის...

— გასაგებია... მისმინე, ნიტას, ალბათ, უკვე სძინავს, ხომ?

— აუ, რა მიხვედრილი ხარ?!. კი, ნამდვილად სძინავს.

— კარგი. მოდი, ახლა მართლა დავამთავროთ. ხვალ დაგირეკავ და ბავშვთან დამალაპარაკე, გესმის?.. სანამ ვნახავ, მინდა ერთხელ მაინც...

— არც იფიქრო! — იკივლა უცბად ნინიმ.

— რა იყო?.. ისეთი რა გითხარი, რომ ასე გადაირიე?

— გინდა, ბავშვს სული აუფორიაქო?! მაინც, რას ეტყვი, მამაშენი ვარ და პირდაპირ ციდან ჩამოვვარდიო?!.

— დამშვიდდი, არაფრის თქმას არ ვაპირებ!.. — ხმას აუწია დიტომაც, — არც ისეთი გარეკილი ვარ, შენ რომ ფიქრობ... უბრალოდ, მინდა, მისი ხმა გავიგონო, მეტი არაფერი...

— არა-მეთქი!..

— ნინი, ძალიან გთხოვ... — თითქმის ხვეწნაზე გადავიდა დიტო. — თუ გინდა, თავად მოიფიქრე, რა უნდა ვუთხრა და ზუსტად იმას ვეტყვი...

— კარგი, ვნახოთ... — როგორც იქნა, მოლბა ნინი. — ხვალამდე დიდი დროა. თუ რამე მოვიფიქრე, მე თვითონ დაგირეკავ...

— რომელ საათზე?

— ახლა, დროც წინასწარ დამათქმევინე... დაგირეკავ-მეთქი, გითხარი...

— კარგი, დილიდანვე დაგელოდები. იცოდე, არ მომატყუო, თორემ მერე მე აგიკლებ რეკვით.

— მატყუარები შენკენ მოიკითხე! — ჩასძახა ნინიმ და ტელეფონი სასწრაფოდ გამორთო. შემდეგ თავი ხელებში ჩარგო და გაირინდა.

კარგა ხანს, ხმა არც მარის ამოუღია და ჩამოწოლილ სიჩუმეს ახლა მხოლოდ ზღვის ხმაური არღვევდა.

— ვერ გამიგია, თავიდანვე ჩხუბით რატომ იწყებ ამ კაცთან ურთიერთობას? — ვითომ, თავისთვის ჩაილაპარაკა მარიმ.

ნინიმ თავი ნელ-ნელა ასწია და დაქალს ცრემლიანი თვალები შეანათა:

— იცი, რა სისულელე მთხოვა?

— ვიცი. უფრო სწორად, მივხვდი. რა მოხდა მერე?! მამა-შვილი რომ ერთმანეთს დაალაპარაკო, ქვეყანა დაიქცევა?

— მარი, ვერ გავიგე, შენ ჩემი მეგობარი ხარ თუ დიტოსი? — იწყინა ნინიმ. — რა სულ ჩემს დატუქსვასა და მის დაცვაში ხარ?..

— შენი მეგობარი რომ ვარ, დიტოს სწორედ იმიტომ ვიცავ. დაილაპარაკოს ბავშვს, დამოვკერე, ცუდი ნამდვილად არაფერი მოხდება.

— როგორ?.. რანაირად?..

— როგორ და... ბოლოს და ბოლოს, უთხრას — ის თოვლის ბაბუა ვარ, შენთვის საჩუქრების მოტანა რომ დაავიწყდაო...

— რომელი თოვლის ბაბუა?.. რაებს იგონებ?

— რომელი და საავადმყოფოს კიბეზე რომ შეგვხვდა. არ გახსოვს, დიტოს მამა ნიტას თოვლის ბაბუა რომ ეგონა?

— ჰო-ო... ეგ ამბავი სულ დამავიწყდა... იქნებ, მართლა, ეგრე ვთქმევინო? — უცბად გახალისდა ნინი.

— აბა რა! ნამდვილად მშვენიერი გამოსავალი იქნება. დიტო ხომ დამშვიდდება და ნიტა კი, ცოტას გამხიარულდება კიდეც...

— მართალი ხარ. ხვალ დავურეკავ დიტოს და დავარიგებ, როგორ მოიქცეს. ახლა კი დავიძინოთ, თორემ საცაა დაღლილობისგან სკამიდან ჩამოვვარდები, — ფეხზე ძლივსღა წამოდგა ნინი.

— კარგი, დავიძინოთ. ოღონდ, დიტოს ამბავი მოსაყოლი გაქვს, იცოდე! — გააფრთხილა მარიმ.

— რა ამბავი?

— როგორ თუ რა? ვკვდები, ისე მაინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, რა გითხრა, რა შემემთხვაო?..

— ა-ა, ეგ სულ დამავიწყდა, — ისევ სკამზე ჩამოჯდა ნინი, — ახლავე მოგიყვები, ბარემ ემოციებისგან ბოლომდე დავიცლები და ისე დავიძინებ.

ნინიმ მარის დიტოს ამბავი თავიდან ბოლომდე გადმოულაგა, თუმცა, დაქალებმა ამის შემდეგაც კარგა ხანს ილაპარაკეს და, საბოლოდ, საერთო „განაჩენიც“ ერთად გამოიტანეს: დიტოს საქციელის გაგება ნამდვილად შეიძლება, გამართლება ალბათ, — ნაკლებად, მაგრამ რადგან გამოჩნდა, სხვა გზა არ არის — მაინც, ყველაფერი უნდა ეპატიოსო...

მეორე დღეს ნინი ჯერ კიდევ ძილბურანში იყო, ტელეფონი რომ აწკრიალდა. შუბლშეჭმუხნილმა ნინიმ საწოლში გვერდი იცვალა და თან, რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა. ტელეფონი კი ისევ რეკდა. ნინიმ ახლა ბალიში წაიფარა თავზე. ბოლოს, როცა რეკვა არაფრით შეწყდა, ბალიში გვერდზე ისროლა, ტელეფონს დასწვდა და თითქმის ჩაჰყვირა:

— რა იყო, რა ცეცხლი წაიკიდე? ხომ გითხარი, მე თვითონ დაგირეკავ-მეთქი?!

— ნინი, მე ვარ, ცოტნე ვარ... — მოესმა უცბად ყურმილში.

— ცოტნე?.. — ფერი ეცვალა ნინის. — მე კი მეგონა, რომ...

— რა იყო?.. ვინ გეგონა?.. ან ასე რატომ უჯავრდებოდი? — დაინტერესდა ცოტნე.

— არა. ისეთი არაფერი... გუშინ დედაჩემს ველაპარაკე და... — ნინიმ აშკარად იგრძნო, ყურებამდე როგორ გაწითლდა.

— დედაშენს?.. ხომ მშვიდობაა?.. რამე ხომ არ უჭირს? — შეწუხდა ცოტნე.

— არა, არა, ყველაფერი რიგზეა... უბრალოდ, ერთი აქაური ძველი ნაცნობის ამბის გაგება მთხოვა. შევპირდი, ყველაფერს გაგიგებ და დაგირეკავ-მეთქი... მაგრამ შენც ხომ იცი, დედაჩემი რა მოუთმენელია... ამიტომ ვიფიქრე, დილაადრიან ალბათ ისევ ის მირეკავს და ძილს ტყუილად მიფრთხობს-მეთქი...

— დილაადრიან?.. შე მართლა ძილისგუდავ, იცი, რომელი საათია?

— რომელი?

— პირველს თხუთმეტი უკლია...

— ა-უ!.. ასე მკვდარივით ნეტავ, რა ჯანდაბამ დამაძინა?! არ გამიკვირდა, მარი და ნიტა ოთახში რომ აღარ დამხვდნენ?.. ეტყობა, უჩემოდ წავიდნენ სასაუზმოდ...

— ნიტა რას შვრება? ძალიან ცელქობს? — დაინტერესდა ცოტნე.

— აი, ამ წუთში შემოვარდა ოთახში და ყველაფერს თვითონ მოგიყვება — ნინიმ ნიტას პაწია ყურზე ყურმილი ხელის კანკალით მიადო, თავად კი მაშინვე ლოგინზე მიესვენა და ძლივსღა ამოისუნთქა.

— ვინ არის? — იკითხა აქოშინებულმა ნიტამ და ნინის ცნობისმოყვარე თვალები შეანათა.

— მე ვარ, პატარავ, ცოტნე ვარ, — მოესმა ნიტას ცოტნეს სითბოთი აღსავსე ხმა, — როგორა ხარ, ჩემო კარგო?

— ცოტნე, მალე ჩამოდი, რა. შენ რომ ლექსი მასწავლე, ცოტა დამავიწყდა და გოგონებს ვერ ვუთხარი... — მაშინვე სხაპასხუპით მიაყარა ნიტამ.

— რომელ გოგონებს, ეშმაკუნავ? ახალი „დაქალოჩკები“ ხომ არ გაიჩინე?

— კი. იცი, რა დიდები და სულელები არიან?

— სულელები რატომღა არიან?

— ასე მითხრეს, დედაშენი კინოში ვნახეთო... დედიკო რომ კინოში წასულიყო, მე არ წამიყვანდა?..

— მართალი ხარ, ჩემო კარგო, აუცილებლად წაგიყვანდა, — დაეთანხმა ცოტნე, — მოდი, ახლა, ცოტა ხანს ისევ დედიკო დამალაპარაკე და მერე იმ ლექსს აუცილებლად გეტყვი, კარგი?

— კარგი! — ხუჭუჭა თავი დამჯერედ დაიქნია ნიტამ, შემდეგ ტელეფონის აპარატი ნინის კალთაში ჩაუდო და ოთახიდან გავარდა. ნინი ყურმილს მაშინვე დასწვდა:

— ჰო, ცოტნე, გისმენ. — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად წარმოთქვა ნინიმ, — რას შვრები, როგორა ხარ?

— უშენოდ აბა, როგორ ვიქნები...

— უჩემოდ თუ უჩვენოდ?

— კარგი, რა, ნინი ხომ იცი, რომ ორივე ძალიან მენატრებით...

— ვიცი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ნინიმ.

— ნინი, ახლა კარგად მომისმინე, ძალიან მნიშვნელოვანი რამე უნდა გითხრა.

— გისმენ. რა მოხდა?

— ოთარი ჩადის მოსკოვში...

— ოთარი?.. ოთარი ვინღაა?

— ნინი, რა მოგდის?.. დაგავიწყდა, თბილისიდან წამოსვლისას რას შემპირდი?.. — ხმაში წყენა დაეტყო ცოტნეს.

— რას? — აზრი მაინც ვერაფრით მოიკრიბა ნინიმ.

— არა, ასე ნამდვილად არაფერი გამოვა... მოდი, იცი, რა?.. ჯერ ბოლომდე გამოფხიზლდი, ცივი შხაპი მიიღე და მერე შეიძლება, ისიც გაიხსენო, ოთარი ვინ არის და დამირეკო... — აღშფოთდა ცოტნე.

— არა, არა, ცოტნე, მოიცა! — შეშფოთდა ნინი. — ოთარი როგორ არ ვიცი! უბრალოდ, უცბად მართლა ვეღარ გავიხსენე... რა მითხარი — როდის ჩადისო?

— ერთ კვირაში. გუშინ დამირეკა და მირჩია, მოსკოვში მეც ჩავსულიყავი. შეიძლება, კონტრაქტიც იქვე გავაფორმოთ.

— ძალიან კარგი. ნამდვილად გამიხარდა. როდის მიდიხარ?

— მივდივარ კი არა, მივდივართ.

— მე რაღაში გჭირდები?

— ნინი, ამაზე ხომ ერთხელ უკვე ვილაპარაკეთ... ისევ თავიდან დავიწყოთ? ხომ შემპირდი, ყველაფერს მოვიფიქრებო... შენ კი მგონი, ეს ამბავი საერთოდ არ გაგხსენებია...

— აბა, რას ამბობ? როგორ არ გამხსენებია! — შეიცხადა ნინიმ.

— კარგი, ბატონო, მოიფიქრე რამე?

— მოვიფიქრე... მოვიფიქრებ... მაგრამ მოსკოვში წასვლის ამბავი ხომ მხოლოდ ახლა მითხარი და აბა, ჯერ რა უნდა მომეფიქრებინა?..

— ნინი, არ გეჩვენება, რომ დემაგოგობ და, თანაც, ძალიან უნიჭოდ?

— კი. მეჩვენება... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ნინიმ. — კარგი, მითხარი, თბილისში როდის უნდა ვიყო და მაშინ ჩამოვალ.

— ზეგ მაინც... — ხმა ოდნავ მოულბა ცოტნეს, — მოსკოვის ბილეთს მე დაგახვედრებ... სხვათა შორის, ნამდვილ ვარსკვლავთცვენაზე მიმყავხარ... რუსები რაღაც ახალ საერთაშორისო ფესტივალს მართავენ და ვინ აღარ ჰყავთ მიწვეული... ოთარი ჟიურიში შეიყვანეს...

— ნიტასაც ხომ წავიყვანთ? — გააწყვეტინა უცებ ნინიმ.

— ნიტას?.. — დაიბნა ცოტნე, — არა მგონია... აბა, მოსკოვში ვისთან უნდა დავტოვოთ?.. არადა, საქმიან შეხვედრაზე ბავშვით ხომ ვერ ვივლით?.. ნინი, მოდი, იცი, როგორ მოვიქცეთ?

— მაინც, როგორ? — ახლა ნინის დაეტყო ხმაში წყენა.

— მარი და ნიტა ურეკში ცოტა ხანს კიდევ დავტოვოთ... ჯერ მარტო შენ ჩამოდი... ერთი კვირის შემდეგ, შოთა შენი მანქანით ჩააკითხავს და ჩამოიყვანს... არა, თუ გინდა, შენ რომ ჩამოხვალ, შოთა მეორე დღესვე გავუშვათ ურეკში...

— არა! — იკივლა უეცრად ნინიმ, — ნიტას უჩემოდ წუთითაც არსად დავტოვებ!

— რა მოგდის, ნინი?! რა გაკივლებს?! მარი ნიტას რამეს გაუჭირვებს?!. — ყვირილზე გადავიდა ცოტნეც.

— არაფერსაც არ გაუჭირვებს, მაგრამ მაინც არ დავტოვებ და მორჩა!

— შენი ნებაა. უბრალოდ, ვიფიქრე, ბავშვი ურეკის ჰაერს ცოტა მეტხანს ჩაყლაპავს-მეთქი...

— არა უშავს, სხვა დროს ჩაყლაპავს, — დაამშვიდა ცოტნე ნინიმ, — ხვალ საღამოს სამივენი თბილისში ვიქნებით.

— მარის რაღას ერჩი?

— უჩვენოდ მარიც არ დარჩება...

— ნინი! — მოისმა უცბად აივნიდან მარის ხმა. — საუზმე ხომ გამოტოვე და თუ არ აჩქარდები, შეიძლება, სადილის გარეშეც დარჩე!

— კარგი, კარგი. წადით და მეც მალე მოვალ, — გასძახა ნინიმ, შემდეგ ცოტნესაც დაეშვიდობა და თავი უმწეოდ ჩაქინდრა: „ახლა რაღა ვქნა? როგორ მოვიქცე?..“

სადილის შემდეგ, მარიმ ნიტა საბავშვო კონცერტზე წაიყვანა, ნინი კი ისევ ოთახში განმარტოვდა და დიტოს ნომერი აკრიბა:

— დიტო, ნინი ვარ... — ჩასძახა მან ყურმილში.

— ჰო, ჩემო სიცოცხლევ, გისმენ, — მოისმა დიტოს მხიარული ხმა, — ჩემი შვილიკო სადღაა?.. აბა, ერთი დამალაპარაკე...

— დიტო, მოიცა... ნიტას ახლა ვერ დაგალაპარაკებ...

— რატომ?

— მარიმ საბავშვო კონცერტზე წაიყვანა...

— ნინი, გუშინ ხომ მითხარი... ხომ შემპირდი...

— კი შეგპირდი, მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ, ძალიან ბევრი რამე შეიცვალა... ხვალ ყველანი თბილისში მოვდივართ.

— რა მოხდა? ხომ მშვიდობაა?

— რომ ჩამოვალ, გნახავ და ყველაფერს მოგიყვები. ახლა კი უნდა დაგემშვიდობო...

— მოიცა, ჩემთან როდისღა მოხვალთ?

— როგორც კი მოვახერხებ... წინასწარ დაგირეკავ.

— ნიტაც მოიყვანე, იცოდე!..

— კარგი, კარგი, გამიშვი ახლა, მაგვიანდება...

ყურმილში ცოტას ხანს პაუზა ჩამოწვა.

— ნინი, — მოისმა შემდეგ დიტოს დაეჭვებული ხმა, — ხომ არაფერს მიმალავ?

— რას უნდა გიმალავდე?!

— რა ვიცი... ნიტა მართლა კონცერტზეა?

— გეხვეწები, რა, დიტო, შენ მაინც ნუღა მირევ ტვინს, თავი ისედაც გახეთქვაზე მაქვს!

— კარგი, კარგი, გელოდებით...

მარის, თბილისში სასწრაფოდ დაბრუნების ამბავი ოდნავადაც არ გაუპროტესტებია, რაკი საქმეს ასე სჭირდება, ცხადია, უნდა წავიდეთო, — მშვიდად დაასკვნა მან და ბარგის შეკვრა დაიწყო. ნიტამ ცოტა ხანს კი იჭიჭყინა: ხვალ კონცერტზე ლექსი უნდა მეთქვაო, — მაგრამ ბოლოს, უფროსების გადაწყვეტილებას ისიც „დანებდა“ და ნინის კალთაში უშფოთველადაც ჩაეძინა...

როგორც კი მანქანამ ცენტრალური გზიდან გადაუხვია და ნაცნობ ქუჩას გაუყვა, ნინის მაშინვე გული ყელში მოებჯინა: მან შორიდანვე შენიშნა ცოტნე, რომელიც მათი სახლის ჭიშკართან ისევ ისე, ბავშვივით მხრებაწურული იდგა, თბილისიდან წასვლისას რომ დატოვა.

როგორც კი სახლს მიუახლოვდა, ნინიმ სიჩქარეს უკლო და მანქანა ზედ ცოტნეს ფეხებთან დაამუხრუჭა. ცოტნეც მაშინვე მანქანის კარს დასწვდა და გამოაღო:

— ქალბატონებს ჩემი სალამი! აბა ერთი, გადმობრძანდით და კარგად დამენახვეთ. ისევ ისეთი ფითქინები და ლამაზები ხართ თუ ხელში სამი „ზანგუნია“ უნდა შემრჩეს?

ნიტა მაშინვე მანქანიდან გადასკუპდა და ცოტნეს კისერზე ჩამოეკიდა:

— ცოტნე, ზანგი ვინ არის?

— ვინ და დედაშენი! ვერ ხედავ, რა „ზაგარი“ აქვს?!.. აი, შენ კი გოჭივით დაბრაწულხარ, ჩემო პატარავ...

— მარი?

— ჰო-ო... მარის რაც შეეხება, ნამდვილად უწინდელი დედოფლური ელფერი შეუნარჩუნებია. ეტყობა, ყოველ დილით მზეს ეუბნებოდა: შენ რომ ჩახვალ, მე გარეთ მხოლოდ მაშინ ვინებებ გამობრძანებასო...

ამის შემდეგ, ცოტნემ ჯერ მარი გადაკოცნა, შემდეგ კი ნინი ჩაიკრა გულში და ალერსით წასჩურჩულა: „რომ იცოდე, როგორ მინდიხარ...“

ამ სიტყვებზე, ნინის თავადაც რომ გაუკვირდა, ისე უსიამოდ გააჟრჟოლა, თუმცა, გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნია და ცოტნეს თავადაც ჩაეკონა...

გვიან ღამით, როცა ნიტა უკვე მეცხრე სიზმარს ხედავდა, დანარჩენები კი, ვახშმობის შემდეგაც, ისევ სუფრას უსხდნენ და მასლაათობდნენ, შეზარხოშებულმა ცოტნემ, საგანგებოდ ამ საღამოსთვის ნაყიდი წითელი ღვინით სავსე ლამაზი ჭიქა უკვე მერამდენედ ასწია:

— მოდით, მონატრებას გაუმარჯოს! ამ ორ კვირაში, რაც უთქვენოდ გავატარე, ჩემში სერიოზული გარდატეხა მოხდა. ძალიან ბევრ რამეს სულ სხვა თვალით შევხედე და იმასაც მივხვდი, რომ უთქვენოდ ჩემს ცხოვრებას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აკლდება. ამიტომ, მოდით, რა, ერთმანეთს იშვიათად დავშორდეთ, ხოლმე, კარგი? — ამ სიტყვების შემდეგ ცოტნემ ჭიქა ნინის მიუჭახუნა: ალავერდს შენთან გადმოვდივარო, — და დალია.

პასუხად ნინიმ ნერვიულად ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და ის იყო, მარი და ცოტნე მისი ხანგრძლივი „გამოსვლისთვის“ მოემზადნენ, რომ ჭიქა უსიტყვოდ მოიყუდა, სულმოუთქმელად გამოცალა და მაგიდაზე ხმაურით დადგა.

გაგრძელება იქნება

ლუიზა ლავალიერის ხვედრს უამრავი ქალი შეჰნატროდა! თუმცა რა იცოდნენ მათ, რაოდენი ტკივილითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა ლუდოვიკო მეთოთხმეტის რჩეულს. ალექსანდრ დიუმას ყველასათვის საყვარელი რომანის — „ოცი წლის შემდეგ“ — პერსონაჟი, ლუიზა დე ლავალიერი რეალური პიროვნება იყო. იგი XVII საუკუნის საფრანგეთში ცხოვრობდა და სამეფო კარზე გამორჩეული ადგილიც ეკავა. სწორედ მისთვის ააშენებინა ვერსალი ლუდოვიკო მეთოთხმეტემ. წიგნში აღწერილი დიდებული მეფისა და მაღალი წრის ქალბატონის სასიყვარულო თავგადასავალიც ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს, თუმცა, ავტორი ამ ურთიერთობას რომანში უფრო იდეალიზებულად აღწერს. სინამდვილეში კი, ეს იყო ტკივილით აღსავსე სასიყვარულო ამბავი, რომელსაც ლუიზა ლავალიერისათვის საკმაოდ ტრაგიკული დასასრული ჰქონდა...

mSvenieri koWli qalbatonis

სვიდლიანი ჩოჰანის ამბავი

სამეფო კარზე გამოჩენილი მორცხვი ია

1644 წელს, ტურში მცხოვრები კათოლიკე ლავალიერების თავადაზნაურულ ოჯახში დაიბადა გოგონა, რომელსაც ლუიზა დაარქვეს. პატარა, არცთუ ისე მდიდრულ მამულში, მშობლებთან ერთად იზრდებოდა და მკაცრი რელიგიური და ზნეობრივი ნორმები ბავშვობიდანვე შეითვისა. საფრანგეთში იმხანად გავრცელებული წესის თანახმად, თავადის ასულები სამეფო კართან დაახლოებული, უფრო მაღალი წოდების მქონე ნათესავების ოჯახებში მიჰყავდათ ხოლმე. ლუიზა ჩვიდმეტი წლის იყო, როცა იგი ფილიპ ორლეანელის ცოლის — ელიზაბეტ შარლოტას ფრეილინა გახდა. პროვინციაში გაზრდილი გოგონა საკმაოდ გულუბრყვილო იყო, თუმცა ამასთან, საოცრად მომხიბლავიც გახლდათ. მას შემდეგაც კი, როცა ლუიზა მეფის საყვარელი გახდა, მარკიზა დე სავინი ასე ახასიათებდა მას: „ეს პატარა, მორცხვი ია, ბალახის ქვეშ დამალვას ცდილობდა. მას რცხვენოდა ყოფილიყო საყვარელი, ყოფილიყო დედა, ეტარებინა ჰერცოგის ტიტული.“ ლუიზას თავი გამომწვევად რომ არ ეჭირა, ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი ოდნავ შესამჩნევი კოჭლობა გახლდათ. თუმცა, გოგონამ თავისი თავდაჭერილობითა და სინორჩის წყალობით, ძლიერთა ამა ქვეყნისათა ყურადღების მიპყრობა შეძლო. ყოვლისშემძლე ფინანსთა მინისტრ ფუკეს შეუყვარდა ლავალიერი. იგი ლუიზას მეგობარი გოგონას — დიუპლესი-ბელერის მეშვეობით მისთვის 20.000 პისტოლის გადაცემას ცდილობდა (მსგავსი საჩუქარი კი კონკრეტულ წინადადებას გულისხმობდა). მიუხედავად იმისა, რომ ლუიზა მდიდარი სულაც არ გახლდათ, მან მტკიცე უარით გაისტუმრა შუამავალი და მინისტრთან დააბარა, რომ მისი სიყვარულის ყიდვა 20 მილიონადაც კი შეუძლებელი იყო.

იმხანად ლუდოვიკო XIV 24 წლის გახლდათ. სწორედ იმ პერიოდში, მან ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას ესპანეთთან და ესპანეთის ინფანტა ტერეზიასთან ქორწინებაზეც თანხმობა განაცხადა. იმ დღეს კი, როცა საზეიმო ზარების რეკვით მთელ ქვეყანას ამცნეს მოსალოდნელი ქორწინების შესახებ, ერთადერთი, ვინც ცხარე ცრემლით ტიროდა, საფრანგეთის მეფის მომავალი მეუღლე იყო, რომელიც კარგად ხვდებოდა, რომ ქვეყნის მშვიდობას იგი მსხვერპლად შესწირეს. სამწუხაროდ, ინფანტას ვარაუდი გამართლდა...

მეფის აღიარება

ლუდოვიკო, რომელიც ზნეობრივი ნორმების დაცვით მანამდეც არ გამოირჩეოდა, ქორწინების შემდეგაც, ურიცხვი საყვარლით იყო გარშემორტყმული. მარია ტერეზია მთელი ღამის განმავლობაში ხშირად ამაოდ ელოდა ქმარს, რომელიც ამ დროს ერთი საყვარლიდან მეორესთან ინაცვლებდა. მეორე დღეს იგი ცდილობდა, გაერკვია, სად იმყოფებდა მისი მეუღლე წუხელ, მაგრამ მეფე-მზე ხელებს უკოცნიდა მეუღლეს და მასთან არყოფნას სახელმწიფო საქმეებს აბრალებდა.

ჩვენთვის უცნობია, თუ კონკრეტულად როდის დაადგა თვალი გვირგვინოსანმა ლოველასმა მორცხვ, კოჭლ ფრეილინას. ამბობენ, რომ ეს, ჰენრიეტა ინგლისელის მეჯლისზე მოხდა: მეფისა და მშვენიერი ლუიზას მზერა შემთხვევით შეხვდა ერთმანეთს (ლავალიერი მეფე-მზეზე უკვე შეყვარებული იყო) და ლუდოვიკომ ამ ულამაზეს გოგონასთან გაარშიყება გადაწყვიტა. 1661 წლის აგვისტოში მინისტრმა ფუკემ, ხელმწიფის პატივსაცემად, მდიდრული წვეულება გამართა, სადაც მოლიერის კომედიის — „ქარაფშუტების“ პრემიერაც შედგა. ღამით, სასახლის წინ მდებარე ბაღი შროშანის ფორმის ასობით ლამპრით იყო განათებული. სწორედ ამ წვეულების დროს გადაუშალა გული ლუდოვიკომ ლუიზას. ლავალიერს არაფერი უპასუხია, მაგრამ მისი მომაჯადოებელი მზერა, ნებისმიერ სიტყვაზე უფრო მეტყველი იყო.

მათ ფრიად მგზნებარე რომანი ჰქონდათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლუდოვიკომ რატომღაც ამ სასიყვარულო ურთიერთობის „გასაიდუმლოება“ ისურვა. წყვილი ღამღამობით ფონტენბლოს პარკში ან გრაფ დე სენტ-ენიანის ოთახში ხვდებოდა ერთმანეთს. სახალხოდ კი, მეფე ერთ ჟესტსაც არ აკეთებდა დაუფიქრებლად, რათა თავისი გულის საიდუმლო არ გაეცა. თუმცა, ერთხელ მან თავისი უჩვეულო საქციელით

ქვეშევრდომებს ავსიტყვაობის მიზეზი მაინც მისცა. პარკში სეირნობისას, მოულოდნელად წამოსული წვიმის დროს, სამეფო კარის დიდებულებმა თავი ფანჩატურს შეაფარეს. მეფემ გალანტურობა გამოიჩინა და კოჭლი ფრეილინას მარტო დატოვება არ ისურვა. მან არა მარტო მიაცილა იგი თავშესაფრამდე, არამედ თავსხმა წვიმისაგან მის დაცვას საკუთარი ქუდითაც კი შეეცადა! ამ შემთხვევის შემდეგ, მეფის ახალი პასია მთელი სამეფო კარის მსჯელობის საგნად იქცა.

ცრემლებით აღსავსე ღამე

ლუიზა, მოულოდნელად თავს დამტყდარ გრძნობასთან გამკლავებას ცდილობდა. გარდა იმისა, რომ ბუნებით თავმდაბალ გოგონას ხელმწიფის გრძნობების ჭეშმარიტებაში ეჭვი ეპარებოდა, იგი დიდებულთა ირონიულ გამოხედვასა თუ მისი პერსონის ირგვლივ ატეხილ მითქმა-მოთქმაზე ძალზედ მტკივნეულად რეაგირებდა. ეჭვებით გატანჯული ლუიზა ზოგჯერ ცდილობდა, ხელმწიფესთან შეხვედრა რაღაც გამოგონილი მიზეზებით თავიდან აეცილებინა, მაგრამ მეფე დაჟინებით ელტვოდა მასთან ურთიერთობას. ერთხელ მან ცხენზე ამხედრებულმა, დიდი მანძილიც კი გაიარა ჭენებით, რათა ლუიზასთან ღამე გაეტარებინა. ასეთი საქციელი სრულიად უჩვეულო იყო მონარქისათვის და თანამედროვეებში დიდ გაკვირვებასაც იწვევდა. გვირგვინოსანი თაყვანისმცემლისათვის არც ეჭვიანობის გრძნობა იყო უცხო და საჭიროების შემთხვევაში, არც შურისგებაზე იხევდა უკან.

ერთხელ ლუდოვიკო, ლუიზასთან საუბრისას, ჰენრიეტა ინგლისელის სასიყვარულო თავგადასავლებით დაინტერესდა. ფავორიტმა, რომელსაც მეგობრისთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ მის საიდუმლოს გაუმჟღავნებლად შეინახავდა, ამ თემაზე საუბრისაგან თავი შეიკავა. ხელმწიფე უარმა ისე გააღიზიანა, რომ კარი გაიჯახუნა და ატირებული ლავალიერი საძინებელ ოთახში მარტო დატოვა. ჯერ კიდევ თავიანთი რომანის საწყის ეტაპზე, საყვარლებს ასეთი პირობა ჰქონდათ ერთმანეთისთვის მიცემული, რომ თუ ოდესმე ისინი იჩხუბებდნენ, არც ერთი მათგანი იმ ღამეს დასაძინებლად არ დაწვებოდა. ლუიზა მთელი ღამე მეფის გზავნილს ელოდა, თუმცა ისე დაათენდა თავზე, რომ არავინ გამოჩენილა. ლავალიერი მიხვდა, რომ მეფემ წყენა არ აპატია. მაშინ ძველ მოსასხამში გახვეულმა ლუიზამ სასოწარკვეთილმა დატოვა ტიუილრის სასახლე და შაიოს მონასტერში წავიდა. ამ ამბის შეტყობამ მეფე ისე ააღელვა, რომ იგი უმალ ცხენს მოახტა და გაქცეულს დაედევნა. ლუდოვიკომ ლავალიერი უკან დააბრუნა...

მეორედ, მონარქი დედასთან ერთად ფინანსთა მინისტრის ციხე-დარბაზ ვოს მდიდრულად მოწყობილ ტალანებში სეირნობისას, მასპინძლის კაბინეტში ლავალიერის პორტრეტს წააწყდა. ყოველისშემძლე ფუკეს ბედიც ამ პორტრეტმა გადაწყვიტა: ფინანსების ყოფილი ინტენდანტი პინიეროლის ციხეში ჩამწყვდიეს, სადაც მან მთელი დარჩენილი ცხოვრება გაატარა.

ახალი ვარსკვლავი

ლუდოვიკოსა და ლუიზას კავშირი ათი წელი გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ლავალიერმა მას ოთხი შვილი გაუჩინა. იმხანად ლუდოვიკოს ვნება მართლაც რომ უსაზღვრო გახლდათ. იგი მშობიარობისას ლუიზას გვერდით იმყოფებოდა. ამბობდნენ, რომ ერთხელ მშობიარობის ტკივილებით ძალზედ შეწუხებულმა ლუიზამ მეფეს კისერზე ხელები ისე ძლიერად შემოხვია, რომ მისი ინგლისური მაქმანებიანი საყელო გახია, ამის შემდეგ კი ტკივილისაგან გონება დაკარგა. „მოკვდა!“ – შეჰყვირა შეძრწუნებულმა ქალბატონმა დე შუაზიმ, რომელიც ლუიზას მოლოგინებაში ეხმარებოდა. მეფეს თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა და დაიყვირა: „დამიბრუნეთ იგი და წაიღეთ ყველაფერი, რაც კი მაბადია!“

ლუიზა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. თუმცა მშობიარობის შემდეგ, მისი დედობა საკმაოდ მოკლე ხანს გრძელდებოდა ხოლმე: ახალდაბადებულები აღსაზრდელად მაშინვე სამეფო კარიდან მოშორებით მიჰყავდათ, რათა მათი წარმომავლობა საიდუმლოდ დარჩენილიყო. მეფემ მხოლოდ ერთხელ დაუშვა გამონაკლისი და ლუიზას მიერ გაჩენილი მესამე ბავშვი – მარია ანა, საკუთარ შვილად აღიარა, რითიც შოკში ჩააგდო მთელი სამეფო კარი. ამასთან, მადმუაზელ დე ლავალიერს მან ჰერცოგის ტიტული უბოძა.

ლუდოვიკო XIV

გადიოდა წლები. ლუდოვიკო კვლავინდებურად სინაზითა და სითბოთი ექცეოდა ლუიზას, სწერდა ლექსებსა და წერილებს, უძღვნიდა ძვირფასეულობას, ართობდა მას. თუმცა უკვე ყველა გრძნობდა, რომ მათი რომანი დასასრულს უახლოვდებოდა. დიდი ვნებისა და ცეცხლოვანი ბუნების ლუდოვიკოს, უბრალოდ არ შეეძლო, რომ მთელი ცხოვრება ერთი ქალის გვერდით გაეტარებინა. ბოლოს და ბოლოს, მეფეს გრძნობა გაუნელდა. იგი ლუიზას მიმართ გულგრილი გახდა. ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავი – მადამ დე მონტესპანი გამოჩნდა, სხეულის საოცარი ფორმებისა და ასევე საოცრად გამჭრიახი ჭკუის პატრონი. გამოცდილი კეკლუცი, მაშინვე აქტიურ ქმედებაზე გადავიდა და მეფესთან საუბრისას შანსს არ უშვებდა ხელიდან, ლავალიერისათვის კლანჭი რომ არ გაეკრა. შექმნილი სიტუაციით გატანჯულმა ლუიზამ, ბოლოს და ბოლოს, დატოვა სამეფო კარი და კვლავ შაიოს მონასტერს მიაშურა. დამცირებულმა, მეფის მიერ თითქმის მიტოვებულმა და თავს დამტყდარი უბედურებით სასოწარკვეთილმა ქალმა გადაწყვიტა, რომ მისი ხსნა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. ამჯერად ლუდოვიკო თავად აღარ დასდევნებია ლავალიერს, მან გაქცეულს მსახური გაუგზავნა: მეფე, ლუიზას უკან დაბრუნებას სთხოვდა. იგი ხელმწიფის ნებას ვერ შეეწინააღმდეგა...

1673 წლის 18 დეკემბერს სენ-სიულპის ეკლესიაში ლუდოვიკოს კიდევ ერთ შვილს ნათლავდნენ, რომელიც მას მადამ დე მონტესპანისაგან შეეძინა. ბავშვის ნათლიად მეფემ, ლუიზა ლავალიერის ხილვა ისურვა. უბედური ქალის მოთმინებისათვის ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. ნათლობიდან სულ მოკლე ხანში, 30 წლის ლავალიერი მონაზვნად აღიკვეცა. მან მონასტერში 36 ხანგრძლივი წელიწადი გაატარა. მონაზვნები წმინდანად მიიჩნევდნენ მას და როცა 1710 წელს, კეთილმოწყალე და ლუიზა აღესრულა, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ მის ნეშტს ნათელი ადგა და კეთილსურნელებას აფრქვევდა. ■

ზედმინევნით ჰიპერული Mercedes T

დეტროიტში იანვარში გამართულ ავტოსალონზე კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერმა“ ახალი უნივერსალი – მოდელი T წარმოადგინა, რომელიც E კლასის „მერსედესის“ ბაზაზეა შექმნილი. კომპანიის მესვეურთა ვარაუდით, ეს მოდელი თავისი წინამორბედის წარმატებას გაიმეორებს, რომელიც დღემდე, უკვე 250-ათასიანი ტირაჟითაა გაყიდული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. T ექვსნაირი – 3 დიზელის და 3 ბენზინის ძრავათი შეიძლება იყოს აღჭურვილი. მათი სიმძლავრის დიაპაზონი 150-დან 204 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს. უნივერსალის მთავარი ღირსება მისი ფუნქციურობაა. ამ თვალსაზრისით, „მერსედესი“ თავის სეგმენტში ლიდერობის პრეტენზიას აცხადებს. ავტომობილი ისეთი ელექტრონული სისტემებითაა აღჭურვილი, რომელიც საგრძნობლად აიოლებს მანქანის დატვირთვა-განტვირთვის პროცესს – მაგალითად, უკანა კარს ახლავს ჰიდრავლიკური ამძრავი და ის სალონში მოთავსებულ ღილაკზე ოდანავი შეხებითაც კი ადვილად იღება. ოპციად მწარმოებელი მომხმარებელს მოძრავ პლატფორმას შესთავაზებს, რომელიც 40 სმ-ით გამოიწევა, რაც უფრო მოსახერხებელს ხდის მსხვილგაბარიტიანი საგნებით მანქანის დატვირთვას. საბარგო დანაყოფში განთავსებული სპეციალური სამაგრები, 475 კგ მასის მქონე ტვირთის დამჭერად გამოდგება; მთლიანად დანაყოფის მოცულობა 690 ლ-ს, ხოლო დაკეცილი უკანა სავარძლების შემთხვევაში – 1950 ლ-ს აღწევს. იმისათვის, რათა მძიმედ დატვირთულმა ავტომობილმა მოძრაობისას მდგრადობა შეინარჩუნოს, უკანა საკიდარი, სერიულ კომპლექტაციაში, პნევმატური ამორტიზატორებითა და საგზაო ნაპრალის რეგულირების სისტემითაა აღჭურვილი. ახალი უნივერსალის საბაზო ვერსიაში შედის: კლიმატკონტროლიანი კონდიციონერი, სტერეოსისტემა, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, მსუბუქშენადნობიანი საბორბლე დისკები, უსაფრთხოების ფრონტალური და გვერდითი ბალიშები.

■

Mitsubishi ამერიკული ბაზრის დაპყრობას ცდობს

Tarmac Spyder

დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე იაპონურმა კომპანიამ წარმოადგინა რამდენიმე მოდელი, რომელიც საგანგებოდ ამერიკული ბაზრისთვისაა გათვალისწინებული. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის სრულამძრავიან Mitsubishi Carisma Evolution GT VIII-ზე, რომელიც გამონაბოლქვის ტოქსიკურობის მხრივ, ყველაზე უმკაცრეს, კალიფორნიულ სტანდარტებსაც კი აკმაყოფილებს. გარეგნულად მანქანა, უკანა სპოილერისა და ბამპერების ახალი კონფიგურაციის გამო იპყრობს მნახველის ყურადღებას. Evo VIII-ის კაპოტქვეშ 275 ცხ.ძ-იანი აგრეგატი მუშაობს. მანქანა აღჭურვილია აგრეთვე მუხრუჭების ანტიბლოკირების გაუმჯობესებული სისტემით: კომპიუტერი განსაზღვრავს თითოეული ბორბლისათვის ოპტიმალურ დატვირთვას და ამგვარად, საჭის გამართულ მოქმედებასაც უწევს კორექტირებას. ამ ავტომობილის რეალიზაცია აშშ-ში უკვე უახლოეს კვირებში დაიწყება, ევროპულ ბაზარზე კი Evo საზაფხულოდ მოხვდება.

Mitsubishi Carisma Evolution GT VIII

იაპონელთა მეორე, უახლეს მოდელად, კონცეპტუალური Tarmac Spyder-ი გახდა. ეს არის სრულამძრავიანი, 4-ადგილიანი სპორტული როდსტერი, რომელიც სხვა კონცეპტის – CZ Tarmac-ის ბაზაზე დაპროექტდა (მისი პრემიერა 2001 წელს, ტოკიოს ავტოსალონზე შედგა). „ტარმაკ სპაიდერი“ 1,5 ლ მოცულობის დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი.

ამერიკული ბაზრისთვისაა აგრეთვე გათვალისწინებული „მიცუბიშის“ სპორტული ყველგანმავალი Endeavor-ი. ეს ავტომობილი აღჭურვილია სრული ამძრავით, რომელიც ხარისხიან გზაზე მოძრაობისას, შეიძლება გამოირთოს და ასეთ დროს მანქანა წინაამძრავიანი გახდება.

■

გერმანული შიგთავსით ალჭურვილი Dodge-ი

ამერიკელ ავტომწარმოებელთა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სიახლედ ექსპერტები ასახელებენ კომპანია „კრაისლერის“ კონცეპტუალურ მოდელს – Dodge Magnum SRT-8-ს, რომელიც აგრესიულ-დინამიკური გარეგნობით იპყრობს ყურადღებას. „მაგნუმის“ სიგრძე – 5,02-ს, სიგანე – 1,88-ს, სიმაღლე – 1,51 მ-ს, წონა კი – 1,8 ტ-ს შეადგენს. აგრესიულობის ეფექტს 20-დუიმიანი საბორბლე დისკები აძლიერებს. „დოჯ მაგნუმი“ 8-ცილინდრიანი, V ტიპის ძრავათი აღიჭურვება, რომლის სამუშაო მოცულობა 5,7 ლ-ს, სიმძლავრე კი, 435 ცხ.ძ-ს აღწევს. 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი, საჭის მართვის სისტემა, საკიდარი და ელექტრონული კომპონენტები „მერსედესის“ ინჟინერთა აქტიური მონაწილეობითაა წარმოებული: Chrysler-ი ხომ, Daimler-Benz-თან ერთად, უკვე რამდენიმე წელია, ერთ კორპორაციადაა გაერთიანებული.

როგორც „მაგნუმის“ შემქმნელები ირწმუნებიან, ამ ავტომობილს მკვეთრად გამოხატული სპორტული „ხასიათი“ ექნება. მისი ვრცელი სალონი მდიდრულადაა გაწყობილი ნატურალური ტყავითა და ალუმინის დეტალებით. საბარგულის მოცულობა 764 ლ-ს შეადგენს, საჭიროების შემთხვევაში კი, საგრძნობლად გაიზრდება უკანა საკარძლების დაკეცვის შედეგად. ბევრი სხვა კონცეპტუალური მოდელისგან განსხვავებით, „მაგნუმის“ მომავალი აქედანვე გარკვეულია: მისი სერიული წარმოება 2004 წელს დაიწყება. პირველ ხანებში, მისი რეალიზაცია მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაშია დაგეგმილი. ევროპაში „მაგნუმის“ ექსპორტირების საკითხი ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება. ■

Audi 13 სმ-ით გაიზარდა



გერმანულმა ფირმამ საგანგებოდ აირჩია დეტროიტის ავტოსალონი თავისი ფლაგმანური ლიმუზინის – A 8-ის დაგრძელებული ვერსიის საპრემიერო ადგილად, რადგან აშშ სწორედ ასეთი ავტომობილების გასაღების ძირითად ბაზრად რჩება. Audi A 8L-ს ჩრდილოეთამერიკელ დილერებს უკვე წლევანდელ გაზაფხულზე მიაწვდიან – არადა, მშობლიურ გერმანიაში ის მხოლოდ ზაფხულში გამოჩნდება.

მანქანა სიგრძეში 13 სმ-ით გაიზარდა და ახლა, 5,18 მ-ს შეადგენს. ესოდენ შთამბეჭდავი გაბარიტების მიუხედავად, ლიმუზინის ახალ ვერსიას არ დაუკარგავს ჩვეულებრივი A 8-ისთვის დამახასიათელი, მოხაზულობის დინამიზმი. თავდაპირველად, ავტომობილი ერთი – 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომლის სამუშაო მოცულობა 4,2 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე 335 ცხ.ძ-ს შეადგენს. სამომავლოდ დაგეგმილია მისთვის 12-ცილინდრიანი აგრეგატის შექმნა.

ძირითადი აქცენტი A 8-ის დაგრძელებული ვერსიის ავტორებმა კომფორტულობაზე გადაიტანეს. სავარძლების რეგულირება ელექტროამძრავის მეშვეობით ხორციელდება. ოპციების სახით კი, მომხმარებელს ელექტრომასაჟისა და ინდივიდუალური კლიმატიზაციის ფუნქციებს შესთავაზებენ.

Audi A 8-ის საბოლოო ფასები ჯერ გამოცხადებული არ არის, მაგრამ ახლავე ნათელია, რომ გერმანულმა ლიმუზინმა შეიძლება, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს თავის „თანამემამულეს“ – მე-7 სერიის BMW-ს დაგრძელებულ ვერსიას. ■

სუპერჩქარსოსნული Aston Martin-ი



ახალი Aston Martin-ი – V8 Vantage გარეგნულად მომცრო, ორადგილიანი ავტომობილია, რომელშიც მოხდენილობა და დინამიკურობა ერწყმის ერთმანეთს. იერის დინამიკურობასთან ერთად, ის საუცხოო განვლადობით გამოირჩევა: კაპოტქვეშ Vantage-ს 4,3 ლ მოცულობისა და 400 ცხ.ძ. სიმძლავრის „გული უცემს“. მანქანა 300 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე კი, სულ რაღაც 5 წმ-ში აღწევს. თავადაც მიხვდებით, რომ ასეთი მონაცემების წყალობით, მას შეუძლია, „პორშესა“ და „ფერარისაც“ გაუწიოს სერიოზული კონკურენცია. მოძრაობისას ეს ავტომობილი საუცხოო მდგრადობით გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ უკანაამძრავიანი აგებულება აქვს. სერიული Aston Martin V8 Vantage 2005 წელს გამოჩნდება საავტომობილო გზებზე. ■

ფეხბურთის კოჭლი კორიფე, რომელმაც საკუთარი თავის ფასი არ იცოდა...

შეიძლება დავასახელოთ უამრავი ფეხბურთელი, რომელმაც თავისი სპორტული მიღწევებით დიდი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ საკმაოდ მცირეა იმ ვარსკვლავთა რიცხვი, ვინც საკუთარ თავზე საერთო-სახალხო სიყვარულის ბედნიერება გამოცადა. ასეთ ოსტატთა შორის კი, ერთ-ერთი უპირველესი, გარინჩაა, რომელმაც ყველასაგან განსხვავებული, ემოციური და რომანტიკული თამაშის სტილით ბევრჯერ განაცდევინა სიხარულის წუთები ფეხბურთის გულშემატკივრებს, ხოლო 20 წლის წინ, მისმა გარდაცვალებამ, დიდად დაამწუხრა მილიონობით ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

სრული სახელი: მანოელ ფრანსისკო დუშ სანტუშ გარინჩა
დაბადების თარიღი: 1933 წლის 28 ოქტომბერი
დაბადების ადგილი: პაუ-გრანდე (ბრაზილია)
გარდაცვალების თარიღი: 1983 წლის 20 იანვარი
ამპლუა: თავდამსხმელი
კლუბები: „პაუ-გრანდე“ (1947-53); „ბოტაფოგო“ (1953-64), „კორინთიანსი“ (1965-68), „ფლამენგო“ (1968-69) — ბრაზილია; „ატლეტიკო“ (1968, კოლუმბია).

„შეიძლება, ერთ დროს, ის თვით პელეზე უკეთესადაც კი თამაშობდა“, — ამბობენ ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები გარინჩას შესახებ და მათი ნათქვამი საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის, რაშიც ალბათ ლეგენდარული ბრაზილიელის თამაშის მხილველი (თუნდაც მხოლოდ ეპიზოდურად), ნებისმიერი გულშემატკივარი დაგვეთანხმება.

გარინჩა, რიო-დე-ჟანეიროს გარეუბან პაუ-გრანდეში იზრდებოდა და თავის თანატოლებთან ერთად, ბავშვობიდან ბურთს დასდევდა. ამბობენ, რომ ის უკვე მაშინ გამოირჩეოდა ყველასაგან ბურთის ფლობის ფილიგრანული ტექნიკით. ამასთანავე, გარინჩას ბავშვობიდანვე შეტევის მარჯვენა ფლანგზე თამაში ჰყვარებია და შემდგომშიც, მოედნის ამ მონაკვეთისადმი არასოდეს უღალატია. მისი სათამაშო ტაქტიკა კი, სრულიად მარტივი იყო. პატარა მანოელი მარჯვენა ფლანგზე შეიჭრებოდა, თავისი ეშმაკური ფინტებით რამდენიმე მცველს მოატყუებდა და შემდეგ, თავისუფლად აწვდიდა ბურთს მეტოქის კართან მდგომ თანაგუნდელს, რომელსაც მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ რიგიანად დაერტყა და გოლი გაეტანა. დიახ, ასეთი უბრალო იყო გარინჩასეული შეტევის სქემა. რთული, უჩვეულო და წარმოუდგენელი მხოლოდ ის იყო, თუ როგორ ასრულებდა ამ ყველაფერს იგი. მიუხედავად ამისა, გარინჩა სიჭაბუკეში სულაც არ აპირებდა პროფესიონალ ფეხბურთელობას და ფაბრიკაში მუშაობისას, სამოყვარულო გუნდში თამაშით კმაყოფილდებოდა. სწორედ მუშაობის დროს დაირქვა მან მეორე სახელი — ფრანსისკო. საქმე ის იყო, რომ იმ დაწესებულებაში მანოელ დუშ სანტუშის სახელის მქონე რამდენიმე პირი მუშაობდა და გარინჩა ფრანსისკოდ, მათგან გამორჩევის მიზნით „მოინათლა“.

ერთხელ, პაუ-გრანდეში გამართულ მატჩს კლუბ „ბოტაფოგოს“ სათადარიგო მოთამაშე, არატი დასწრებია. იმ შეხვედრაში გარინჩაც მონაწილეობდა, რომლის თამაშის მანერით არატი ისე მოხიბლულა, რომ მატჩის შემდეგ, მანოელი რიო-დე-ჟანეიროში წაუყვანია, რათა თავისი მწვრთნელისათვის ეჩვენებინა.

იმ პერიოდში, „ბოტაფოგოს“, ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი, ჟენტილ კარდოზო წვრთნიდა. გუნდის ვარჯიში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც კარდოზოს არატისათვის დაუძახია: აბა ერთი, ის ბიჭი მაჩვენეო. ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის ცნობილია, რომ კლუბების ვარჯიშებს ყოველთვის თვალს ადევნებენ ქომაგები. ასე იყო „ბოტაფოგოს“ ვარჯიშის დროსაც. როდესაც მინდორზე გარინჩა გამოსულა, მის დანახვაზე ფეხბურთელებსაც და ამ გუნდის გულშემატკივრებსაც ისტერიკული ხარხარი აუტეხიათ. პროვინციელი მანოელი, რომელსაც ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტის გამო, მარცხენა ფეხი მთელი 20 სანტიმეტრით მარჯვენაზე მოკლე ჰქონდა, ფეხბურთელს ნამდვილად არ ჰგავდა და იმისათვის, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა, გრძელი ფეხი ყოველთვის მოხრილი უნდა ჰქონოდა. ჟენტილ კარდოზოს, რომელსაც სიცილი თავადაც ვერ შეუკავებია, საწვრთნელ მოედანზე შექმნილი კომიკური ვითარების შეცვლის მიზნით, სწრაფად უკითხავს მანესთვის: „რომელ პოზიციაზე შეგიძლია თამაში?“ — „სადაც გნებავთ, ოღონდ — არა კარში. ისე კი, მარჯვენა ფრთაზე თამაში მიყვარს“, — მშვიდად უპასუხია მანეს. „ერთი, შეამოწმე, ნილტონ!“ — უთქვამს კარდოზოს ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მარცხენა მცველისა და „ბოტაფოგოს“ ლიდერის, ნილტონ სანტოსისათვის, თუმცა, გარინჩას ჟენტილის ამ განკარგულებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია... ერთი უბრალო მიზეზის გამო: მანე სახეზე არ იცნობდა სანტოსს და ბუნებრივია, ვერც წარმოიდგენდა, თუ ვისთან უნდა ჰქონოდა საქმე. ყველასათვის სამხიარულო და თავშესაქცევი სანახაობა კი, ამის შემდეგ დაწყებულა. როდესაც გარინჩას, ბურთი მიუღია, ჯერ რამდენიმე ცრუ მოძრაობით მოუტყუებია გამოცდილი სანტოსი, შემდეგ კი, მისთვის ფეხებს შორისაც გაუტარებია ბურთი, ზედ ნილტონის თანაგუნდელებიც მიუყოლებია და თავისი საოცარი დრიბლინგი გოლითაც დაუგვირგვინებია. ამის შემხედვარე ფეხბურთელებიცა და „ბოტაფოგოს“ ქომაგებიც ამჯერად, უკვე სანტოსს დასცინოდნენ. „ის მაინც თუ იცი, ვინ გადააქციე კლოუნად? ეს ხომ ნილტონია, გესმის?

ფეხბურთის მეფესთან ერთად

– ნილ-ტო-ნი!.. და თუ ის შენზე ნაწყენი დარჩა, შეგიძლია, შინ მშვიდად დაბრუნდე. მისი თანხმობის გარეშე კლუბში დამლაგებლადაც არ მიგიღებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეხბურთელობაზე", – უთქვამს მანოელისათვის გუნდის მასაჟისტს. „მე ხომ არ ვიცოდი, – შეშფოთებულა მანე, – იქ, პაუ-გრანდეში ყოველთვის ჟოანს ვატყუებ ხოლმე და ის არასოდეს რჩება ნაწყენი..."

საბედნიეროდ, ნილტონ სანტოსს გარინჩასაგან „წყენა" გულში არ ჩაუდვია და პაუ-გრანდელი ჭაბუკი „ბოტაფოგოში" მიიღეს. ასე დაიწყო გარინჩას ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა, რომლის განმავლობაშიც, მან კიდევ უამრავი „ჟოანი" გააბრიყვა მოედანზე. ნილტონ სანტოსი კი, იმ ისტორიული დღის შემდეგ, ყოველთვის ამაყობდა, რომ იგი მანეს პირველ ოფიციალურ „ჟოანად" იქცა.

გარინჩა მხოლოდ 24 წლის ასაკში მოხვდა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში, მაშინ როდესაც იმავე გუნდში პელე 17 წლის ასაკში მიიწვიეს. 1958 წელს შვედეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ ორ მატჩში მანეს სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ჯდომა. ვისენტე ფეოლამ იგი მოედანზე მხოლოდ მესამე თამაშზე გამოიყვანა. იმ მატჩში, რომელშიც სამხრეთამერიკელები საბჭოთა ნაკრებს ხვდებოდნენ, მთელმა საფეხბურთო სამყარომ იხილა გარინჩას არაჩვეულებრივი ხელოვნება. შვედეთის მუნდიალი გარინჩასა და პელეს ტრიუმფად იქცა, თუმცა მანე ყვითელმაისურიანთა გუნდში ყოველთვის „ფეხბურთის მეფის" ჩრდილქვეშ იყო მოქცეული.

1962 წელსაც, ჩილეს მუნდიალზე, ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში გარინჩა მეორე ლიდერად ითვლებოდა პელეს შემდეგ, მაგრამ როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის არის ცნობილი, ტურნირის დასაწყისში „მეფემ" ტრავმა მიიღო, რის გამოც თამაში ვეღარ შეძლო. მაშინ, პასუხისმგებლობა მთლიანად გარინჩამ და ამარილდომ აიღეს საკუთარ თავზე. მანე მოედნის მარჯვენა ფლანგზე თავის ჩვეულ სტილში დათარეშობდა და მეტოქის მცველებს თავგზას უბნევდა, რის შემდეგაც კარის მისადგომებთან აწოდებდა ბურთს. ამარილდოს კი, ისღა დარჩენოდა, რომ მანეს ჩინებული და თვალის მომჭრელი სოლო რეიდი გოლით დაეგვირგვინებინა. ბრაზილიის ნაკრებმა ფინალში ჩეხების საკმაოდ ძლიერი გუნდი დაამარცხა ანგარიშით 4:1 და მეორედ მოიპოვა სანუკვარი, ნიკეს თასი.

1958-დან 1962 წლამდე პერიოდში, წარმატებულად წარიმართა არა მარტო მანეს საფეხბურთო კარიერა, არამედ მისი პირადი ცხოვრებაც. სწორედ იმხანად გაიცნო მან სამბას შემსრულებელი ცნობილი მულატი მომღერალი, ელზა სუარესი, რომელიც მალე, გარინჩას მეორე ცოლი გახდა. 60-იან წლებში, როდესაც მანე დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, ელზა ბრაზილიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მომღერლად იქცა.

ამბობენ, რომ გარინჩა, ასაკის მატების მიუხედავად, ყოველთვის რჩებოდა იმ ბიჭუნად, რომელიც ერთ დროს თანატოლებთან ერთად, პაუ-გრანდეს ქუჩებში დაგორებდა ბურთს. საკმარისია გავიხსენოთ ბრაზილიელთა ერთ-ერთი ამხანაგური შეხვედრა კოსტა-რიკის ნაკრებთან, რომელიც ანგარიშით 1:1 სრულდებოდა და ყვითელმაისურიანები გამარჯვებას ვერ ახერხებდნენ. მატჩის მიწურულს, ბურთი გარინჩამ მიიღო, თავისი „საფირმო" სოლო გარღვევა განახორციელა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად შეჩერდა და კარში არ დაურტყამს. როდესაც მანეს კვლავ შემოეხვივნენ გარშემო კოსტარიკელი მცველები, მან კვლავ გააბრიყვა ყველა და ისევ არ დაარტყა კარში. ამის შემხედვარე ბრაზილიელთა მწვრთნელმა კი, ლამის ინფარქტი მიიღო... გარინჩამ მხოლოდ მეოთხე ცდაზე დაარტყა კარში, თანაც – ბურთი მეკარეს ფეხებშუა გაუძვრინა და ისე გაიტანა გოლი. როდესაც ბრაზილიელთა ოინბაზ ფორვარდს მატჩის შემდეგ ჰკითხეს, თუ რატომ არ გაიტანა მან გოლი დროულად, მანემ სრული სერიოზულობით უპასუხა: „თავიდან, მეკარეს ფეხებს გაშლა არ სურდა..."

გარინჩა დიდ მნიშვნელობას არასოდეს ანიჭებდა ფულს. მისი ამ თვისებით ყოველთვის ბოროტად სარგებლობდნენ კლუბის მეპატრონეები და უპრეტენზიო მანეს იმაზე გაცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე მისი დონის ფეხბურთელი იმსახურებდა. სწორედ „ბოტაფოგოს" ხელმძღვანელობის უნიათო გადაწყვეტილების შედეგად, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მანეს მუხლის ტრავმა გაუმწვავდა, რამაც ვარსკვლავის კარიერას დიდი დაღი დაასვა. მაშინ მანე აიძულეს, რომ გუნდს ევროპულ ტურნეში გაჰყოლოდა, თუმცა ექიმები ამის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. ხშირად გარინჩა ტკივილგამაყუჩებლის ზემოქმედების ქვეშ ატარებდა თამაშს. ბოლოს კი, ტრავმა ისე გაურთულდა, რომ ნახევარი წლით საერთოდ ჩამოშორდა ფეხბურთს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ბრაზილიელ ვარსკვლავს უკვე ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობასთან, რის გამოც მან მალე მიატოვა კიდეც „ბოტაფოგო". ამის შემდეგ, გარინჩამ ბრაზილიასა და კოლუმბიაში რამდენიმე კლუბი გამოიცვალა, ერთხანს კი, მესამე დივიზიონში მოასპარეზე გუნდშიც კი თამაშობდა, მაგრამ თავის ჩვეულ დიდებულ ფეხბურთს უკვე ვეღარ უჩვენებდა.

ფეხბურთის ვარსკვლავმა მწვრთნელობაც სცადა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მისი თავბრუდამხვევი ფინტების გამეორება არავის შეეძლო, გუნდური თამაშის ტაქტიკური სქემების სწავლება კი, მანეს სტიქიას არ წარმოადგენდა. იმ პერიოდში, გარინჩას ოჯახს მატერიალურად მისი მეუღლე, ელზა სუარესი უზრუნველყოფდა. გარინჩა სამსახურს ეძებდა, თუმცა, მას ფეხბურთის თამაშის გარდა, სხვა არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ბედის ანაბარად მიტოვებული მანე სასმელს მიეძალა...

1983 წლის 20 იანვარს, რიო-დე-ჟანეიროში ყველასაგან მივიწყებული გარინჩა ღვიძლის დაავადებისგან, სიღატაკეში გარდაიცვალა.

■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

როგორ გაიყვეს კიმმა და ალეკმა შვილი

ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გაყრის დეტალები

ჰოლივუდის ვარსკვლავური ოჯახის ხმაურიანი გაყრის პიკანტური დეტალები მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. ლაპარაკია, ფრიად შთამბეჭდავი მოცულობის დოკუმენტზე, რომელიც კიმ ბესინჯერისა და ალეკ ბოლდუინის უფლება-მოვალეობათა სიას წარმოადგენს. ხუთგვერდიანი დოკუმენტის მიხედვით, ყოფილი მეუღლეების ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს მათი შვიდი წლის გოგონასთან — აირლენდთან მიმართებაში. როგორც ჩანს, კიმსა და ალეკს ურთიერთობა საკმაოდ გაუფუჭდათ: თავად ბესინჯერის ადვოკატები არ ფარავენ, რომ მათმა კლიენტმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ყოფილი ქმრისთვის აირლენდთან შეხვედრის პროცედურა მაქსიმალურად გაერთულებინა. კიმმა, კალიფორნიაში მდებარე სახლში, სადაც ამჟამად დედა-შვილი ცხოვრობს, გოგონას ოთახის ტელეფონზე დაამონტაჟებინა ავტომოპასუხე, რომლის გადასახადსაც ბოლდუინი რეგულარულად იხდის. მამას აირლენდთან დარეკვის უფლება ყოველდღე აქვს, თუმცა საათები განსაზღვრულია: დილის 7-დან 8-მდე და საღამოს 6-დან შვიდის ნახევრამდე. კიმმა, რაღა თქმა უნდა, მამა-შვილის საუბარს ყური არ უნდა უგდოს. ყოფილ მეუღლეს ალეკი ტელეფონით, მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში უნდა შეეხმიანოს.

თავის მხრივ, ბესინჯერი ვალდებულია, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ყოველ პარასკევს გაუგზავნოს ქმარყოფილს მოკლე ანგარიში იმისა, თუ როგორ ჩაიარა აირლენდისთვის მიმდინარე კვირამ. ალეკსაც აქვს უფლება, რომ 48 საათის განმავლობაში, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შეეხმიანოს ცოლყოფილს და აირლედნის ცხოვრებასთან დაკავშირებით, მისთვის საინტერესო შეკითხვები დაუსვას. კიმიც ვალდებულია, რომ ამ შეკითხვებს ორი დღის მანძილზე გასცეს პასუხი. როცა ბესინჯერი შვილის სკოლიდან გამოყვანას თავად დააპირებს, იგი ვალდებულია, ამის თაობაზე ალეკს 72 საათით ადრე აცნობოს. ხოლო თუ სკოლაში შევლას ბოლდუინი გადაწყვეტს, ამის შესახებ კიმმა, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე მაინც უნდა იცოდეს. ალეკს აქვს უფლება, თვის ყოველი მესამე გამოსასვლელი დღე შვილთან ერთად გაატაროს, თუმცა საათები ამ შემთხვევაშიც მკაცრადაა განსაზღვრული: 12.00-დან 18.30-მდე.

ყოფილ მეუღლეებს ერთმანეთის ლანძღვა აირლენდის თანდასწრებით ან პრესის მეშვეობით მოსამართლემ სასტიკად აუკრძალა, ვინაიდან მანამდე, კიმისა და ალეკის მხრიდან ლანძღვა-გინებას რეგულარული ხასიათი ჰქონდა. ■

მაღე რიჩარდ გირი მრავალშვილიანი მამა გახდება

ჰოლივუდის ვარსკვლავი რიჩარდ გირი, რომელიც სინდი კროუფორდთან ქორწინების დროს, შვილის გაჩენის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, სულ მალე, მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა-მარჩენლად მოგვევლინება. საქმე ის არის, რომ კერი ლოუელი, რომელიც გასულ თვეში გირს გაჰყვა ცოლად, ორი ბავშვის შვილად აყვანას აპირებს. ახალდაქორწინებული წყვილის ერთმა მეგობარმა ჟურნალ „გლოუბის“ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ მსახიობი ყოველთვის ოცნებობდა ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების დახმარებაზე. ამიტომ მას სულაც არ გაჰკვირვებია, როცა შეიტყო, რომ გირის ოჯახში ორი ტიბეტელი ბიჭუნა იცხოვრებდა.

რიჩარდსა და კერის საკუთარი, ორი წლის ვაჟი — ჰომერი ჰყავთ. მათ ოჯახში იზრდება კერი ლოუელის 12 წლის ხანა. ასე რომ, ობოლი ტყუპი ბიჭუნას გამოჩენის შემდეგ, გირების ოჯახი მრავალშვილიანი გახდება. ვარსკვლავს დიდი ხანია, რაც დალაი-ლამასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს. როგორც გაირკვა, მას სასულიერო პირისათვის რჩევაც კი უკითხავს, თუ როგორ გახდეს სამაგალითო მამა. ■

დათო ფცქიალაძე რეპეტიციაზე

გოგონების როლის გაძლიერებით ანსამბლში კონკურენცია გაჩნდა...

ლელა ჭანკოტაძე

ქართულ ქორეოგრაფიაში სიახლეების ძებნა დიდი ხანია დაიწყო. „ევროპეიზაციის“ საფრთხის წინაშე არაერთი ანსამბლი აღმოჩნდა. ზოგმა საგანგაშოდ მიიჩნია ჭიანურისა თუ ფანდურის, ვიოლინოთი შეცვლა, ზოგმა, პირიქით – სასიკეთო სიახლედ. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ქართულ ცეკვაზე ირლანდიური „რივერდანსის“ გავლენის შესახებ. საბოლოოდ ისტორია და დრო გაარკვევს, რა არის ნოვატორობა და რა – უბრალოდ, პლაგიატი.

ქართველი გოგონები ვაჟების გვერდით „ხორუმსა“ და „ფარიკაობას“ რომ ცეკვავენ – ეს ნამდვილად სიახლეა და ზოგისთვის – სენსაციურიც. მისი ინიციატორები, ანსამბლ „ალვანურის“ წევრები და ხელმძღვანელი დათო ფცქიალაძე არიან. აბჯარსა და მუზარადებში, ჩოხა-ახალუხსა და ბოხოხებში გამოწყობილ გოგონებს მყურებლის გაოცება არ გასჭირვებიათ. ვაჟების მხარდამხარ გოგონები ცეკვავდნენ ურთულეს ცეკვებს, რისი მიღწევაც, რა თქმა უნდა, იოლი არ იქნებოდა მათთვის.

დათო ფცქიალაძე:

– ფილარმონიაში კონცერტზე, გოგონებმა ცეკვის ბოლოს ბოხოხები რომ მოიხადეს, დარბაზი გაოგნდა. მაყურებელს ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა, გოგონებს ასე ოსტატურად შეესრულებინათ „ფარიკაობა“. ორი წლის წინ დავიწყე მუშაობა „ხორუმის“ ახალ ვარიანტზე, ხოლო წელიწადზე მეტია, რაც „ფარიკაობა“ დავდგი. პირველად რომ ვთქვი – ვაჟის მხარდამხარ გოგონა უნდა ვაცეკვო-მეთქი, – ყველამ გაიკვირვა – ეს როგორ შეიძლებაო?! რატომ არ შეიძლება? მე ბრძოლის ეპიზოდები გავაცოცხლე სცენაზე. ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი ქალები მამაკაცებზე არანაკლები მებრძოლები იყვნენ.

– მხოლოდ ამის გამო გაგიჩნდათ სურვილი, რომ ვაჟების მხარდამხარ გოგონებსაც ეცეკვათ „ხანჯლური“ და „ფარიკაობა“?

– ქართულ ცეკვაში ოდითგანვე, ძირითადი აქცენტი ვაჟებზე კეთდებოდა. ისინი ცეკვავდნენ ურთულეს ცეკვებს, გოგონები კი იჩაგრებოდნენ. მე ვცეკვავდი ისეთ დიდ ანსამბლებში, როგორებიცაა: „ერისიონი“, სუხიშვილების ანსამბლი, აგრეთვე – თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. ყველა კონცერტი ვაჟების მხრებზე გადადიოდა. ამის გამო, ვაჟები ყოველთვის გრძნობდნენ თავიანთ პრივილეგირებულ მდგომარეობას. ჩემს ანსამბლში ისინი გაყოყოჩდნენ კიდეც: ხშირად აცდენდნენ რეპეტიციებს და თუ რაიმე პრობლემა იქმნებოდა, ყველაფერი ბიჭებისგან მოდიოდა. ეს პრობლემა რომ მომეხსნა, ვაჟებისა და გოგონების როლები უნდა გამეთანაბრებინა. „ხორუმის“ ილეთები გოგონებს ვასწავლე, ორ თვეში კი ცეკვაც დავდგი. „ხორუმი“ ისწავლეს თუ არა, მთხოვეს – „ფარიკაობაც“ გვასწავლეთო. ცოტა არ იყოს, შევშინდი – ხმალი არ მოგხვდეთ-მეთქი!.. რადგან არ დაშალეს, პლასტმასის ხმლები შევიძინეთ. ჯოჯოხეთური რეპეტიციები გვქონდა. ზოგჯერ ხუთი-რვა საათი ვვარჯიშობდით. ამას, რა თქმა უნდა, ყველა ვერ გაუძლებს... გოგონების როლის გაძლიერებით ანსამბლში კონკურენციაც გაჩნდა. ერთმანეთს რომ შევაჯიბრე, გოგონებმა აჯობეს კიდეც... საერთოდ, ჩემი ანსამბლის მსგავსი ანსამბლების მინუსი „გრძელი სკამის“ ანუ სათადარიგოთა სკამის უქონლობაა. როცა რაღაც არ მოგწონს, მოცეკვავე სათადარიგო სკამზე უნდა დასვა. მაგრამ ამის საშუალება არ არის.

– რატომ? მოცეკვავეების ნაკლებობას განიცდით?

– ზოგიერთ ჩემს კოლეგას კოლეგიალობის შეგრძნება არა აქვს: ჩემი აღზრდილი მოცეკვავე, რომელსაც სამი წელი შევალიე და თან გადავყევი, სხვამ არ უნდა გადაიბიროს. პირველივე წარმატებისთანავე დავდექი ამ პრობლემის წინაშე: პირდაპირ, ანსამბლის საიუბილეო კონცერტის წინა დღეს დავრჩი რამდენიმე მოცეკვავის გარეშე. ჩემი ნებართვის გარეშე მოცეკვავის სხვა ანსამბლში გადასვლა არ უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან სატრანსფერო პოლიტიკის მოწესრიგებაზე არავინ ზრუნავს.

– რამდენად საჭიროა მყარი ტრადიციების მქონე ქართულ ქორეოგრაფიაში სერიოზული სიახლეების შეტანა?

– საჭიროა. ქორეოგრაფია უნდა განვითარდეს, მაგრამ ნებისმიერი სიახლე თავისი არსით, უნდა იყოს ქართული. ქართული ფოლკლორი უშრეტი წყაროა და შეგიძლია მასში ძალზედ ბევრი აღმოჩენა გააკეთო. ქართული ცეკვა იმდენად მრავალფეროვანია, რომ შესაძლებელია, ილეთიც კი არ გაიმეორო, ხუთ წუთში ისე უჩვენო მნახველს ქვეყნის ისტორია. ბათუმში „ხორუმი“ რომ ვიცეკვეთ, მაყურებელი ტიროდა, იმდენად ქართული და ეროვნული ცეკვაა...

– პერსპექტივაში რა გაქვთ?

– თუ ქვეყანაში არ შეიცვალა დამოკიდებულება მოცეკვავეების მიმართ, ძნელი სათქმელია, რა იქნება მომავალში. მოცეკვავეების შრომა დაუფასებელი და ჯოჯოხეთურია. ძალიან შრომატევადია ცეკვა, ამ შრომის ანაზღაურება კი – მიზერული. არც სახელმწიფო გვაქცევს ყურადღებას და არც მასმედია. არადა, მორალური მხარდაჭერა ჩვენთვის ისეთივე აუცილებელია, როგორიც მატერიალური...

■

არნი – ყველაზე ადამიანური ტერმინატორი

კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო გილდია არნოლდ შვარცენეგერს გადასცემს პრემიას – „კინოხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისა და აქტიური ჰუმანიტარული მოღვაწეობისათვის“. „არნოლდი კინოინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება – იგი ჰოლივუდის უმსხვილეს პროექტებში მონაწილეობს, – ასეთი კომენტარი გააკეთა მისი მოღვაწეობის შესახებ გილდიის მეთაურმა ჰენრი ბოლინჯერმა. – საკმარისია აღვნიშნოთ ორი მათგანი: „ტერმინატორი-3“ და „მართალი ტყუილი-2“.

გილდიის კომიტეტმა, რომელიც ნომინანტების ვინაობას ავლენს, შვარცენეგერის შემთხვევაში, მისი წარმატებული კინოკარიერის გარდა, ყურადღება მიაქცია საქველმოქმედო პროგრამებში (მსახიობი განსაკუთრებით აქტიურად ეხმარება ბავშვებს) მის აქტიურ მოღვაწეობას. „ჩვენ სათანადოდ ვაფასებთ იმ ძალისხმევასა და დროს, რომელსაც შვარცენეგერი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებულ ფილანტროპიულ პროექტებში მონაწილეობას ახმარს, – დასძინა ბოლინჯერმა. – იგი სწორედ ის ადამიანია, რომელიც მოცემული ჯილდოს მოთხოვნებს სრულად პასუხობს!“ დაჯილდოების ცერემონია 19 მარტს შედგება.

■

ლიზამეტ ჰარლის კიდევ ერთი იმედგაცრუება

„გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, რომ პარიზში, „კრისტიან დიორის სახლის“ მიერ მოწყობილ მოდების ჩვენებაზე ლიზ ჰარლისა და მისი უცნობი თანმხლები მამაკაცის გამოჩენას, საზოგადოების დიდი ინტერესი მოჰყვა. ჟურნალისტებმა თავდაპირველად, მისი სახელის გარდა, სხვა ვერაფერი გაარკვიეს. ამჯერად კი ცნობილი გახდა, რომ ლიზის მომხიბლავი თანმხლები წარმოშობით ინდოელია და თანაც ცოლიანი! მარტოხელა მშვენიერ ქალბატონს ბედი აშკარად არ სწყალობს. არუნი დაქორწინებული ყოფილა ლათინურამერიკელი წარმოშობის ვალენტინაზე და თანაც, როგორც გაირკვა, წყვილის გაყრაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს ინფორმაცია პრესას არუნის მამამ მიაწოდა და თანაც დასძინა: „არუნის და ვალენტინას გაყრა, ყოვლად წარმოუდგენელია. დიახ, ჩემს შვილს სხვადასხვა კატეგორიის ქალებთან აქვს ურთიერთობა. ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ მისი საქმეა, რადგან მას დროის მხიარულად გატარება უყვარს“.

■

რომერტ რედფორდს მრიტნი სპირსი კინაღამ შემოაკვდა

ახალგაზრდა პოპ-ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი კინოსამყაროში ახალ კონტაქტებს ეძებს, რათა „გზაჯვარედინში“ წარმატებული მონაწილეობის შემდეგ, ამ ასპარეზზე მოღვაწეობა კვლავაც გაგრძელოს. ამ მიზნით, იგი მხიარულ კომპანიასთან ერთად დამოუკიდებელი კინოს ფესტივალს – „სანდენსს“ ესტუმრა. ბრიტნი და მისი თანმხლებნი სურათის – „ქარაფშუტობის“ ჩვენებისას, თურმე ძალზედ გამომწვევად იქცეოდნენ. ისინი მობილური ტელეფონებით საუბრობდნენ, არც ხმამაღალ გადაძახილ-გადმოძახილებს ერიდებოდნენ და ბოლოს, ისე დატოვეს დარბაზი, რომ ფილმის დასრულებას არც კი დაელოდნენ. ერთ-ერთმა მაყურებელმა, რომელიც ბრიტნისა და მისი მეგობრების ქმედებაზე ფესტივალის პრეზიდენტის, რობერტ რედფორდის რეაქციას შორიდან აღევნებდა თვალს, განაცხადა: „შესაძლებელი რომ ყოფილიყო მხოლოდ მზერით ვინმეს განგმირვა, გარწმუნებთ, ბრიტნი იქვე უსულოდ დაენარცხებოდა მიწაზე“.

■

კლუნი კვლავ ზელვეგერთან დამრუნებას აპირებს

თვითმხილველთა თქმით, რენე ზელვეგერი გაოგნებული დარჩა ჯორჯ კლუნის მიერ გამომჟღავნებული დიდი ყურადღებით: მან თავის ყოფილ საყვარელს საშობაოდ 30 ათას დოლარად ღირებული, ბრილიანტებით მოოჭვილი სამაჯური აჩუქა. ამბობენ, რომ მათ შორის სიყვარულმა ახალი ძალით იფეთქა. საღამოებსა თუ ოფიციალურ ღონისძიებებზე დასწრებისას, რენე დემონსტრაციულად არ იშორებს სამაჯურს. მაგალითად, „ოქროს გლობუსის“ გადაცემის ცერემონიაზე, სადაც ზელვეგერი „ჩიკაგოში“ შესრულებული როლისათვის საუკეთესო მსახიობის პრიზით დაჯილდოვდა, იგი სწორედ ამ სამაჯურით გახლდათ მისული. მსახიობის მეგობრები ჯორჯის მიერ გამოჩენილ ყურადღებას მხოლოდ წარსული გრძნობების გახსენებად არ აღიქვამენ და იმედი აქვთ, რომ ისინი კვლავ ერთად იქნებიან. როგორც ამბობენ, ადრე, როცა წყვილი ერთმანეთს ხვდებოდა, ისინი სერიოზული ურთიერთობისთვის მზად არ იყვნენ და ამიტომაც დაშორდნენ. საშობაო დღესასწაულის დღეებში კი, კვლავ შეხვდნენ და აღმოაჩინეს, რომ მათი გრძნობა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. ამ შეხვედრის შემდეგ, გამოუსწორებელმა მექალთანე კლუნიმ, ისიც კი განაცხადა, რომ შესაძლოა, ბედი მხოლოდ ერთ ქალს დაუკავშიროს.

■

ჯენიფერსა და გვინეტს შორის ნამდვილი ჰოლივუდური ომი გაჩაღდა

ჰოლივუდი მხოლოდ ფილმების წარმოებით როდია ცნობილი. ხშირ შემთხვევაში, იქ დატრიალებული მოვლენები, ნებისმიერ ბლოკბასტერს უწევს ხოლმე მეტოქეობას. „ანგელოზების ქალაქში“ ერთ-ერთი უკანასკნელი „ცივი ომი“, ლათინურამერიკული წარმოშობის ჯენიფერ ლოპესსა და ინგლისური არისტოკრატიული ტრადიციების მემკვიდრე – გვინეტ პელტროუს შორის გაჩაღდა. ბრწყინვალე, გამომწვევი, გემრიელი გარეგნობის მქონე ჯეი ლო და გამხდარი, დახვეწილი, ქერათმიანი გვინეტი, ერთმანეთისაგან რადიკალურად გასხვავდებიან. თუმცა, რაღაც საერთო ამ ქალბატონებს მაინც აღმოაჩნდათ – ორივე მათგანს ბენ აფლეკი მოსწონს. მიუხედავად იმისა, რომ „ოსკარსანმა“ გვინეტ პელტროუმ ამერიკის ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტულის მფლობელთან განშორება გადაწყვიტა (მან აფლეკის სასმლისადმი მიდრეკილება ვერ აიტანა), მათ ხანგრძლივი დროის მანძილზე კარგი, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ, ვიდრე თამაშში ჯენიფერი არ ჩაერია. ლოპესმა ბავშვობის დროინდელი მეგობრების – ბენ აფლეკისა და მეთ დეიმონის წაჩხუბებაც მოახერხა. განაწყენებულმა გვინეტმა განაცხადა, რომ ქორწინებას საკმაოდ სერიოზულად უყურებს და ოჯახის შექნას „ხანმოკლე გართობად“ ნამდვილად ვერ აღიქვამს. „არ მსურს, ექვსი თვით გავთხოვდე, მოყირჭებული ძველი სათამაშოსავით მოვისროლო ჩემი ქორწინება და უმალ ახალ მსხვერპლს დავეძგერო“, – განაცხადა მსახიობმა. ეს ჯეი ლოზე თავდასხმა გახლდათ, რადგან სწორედ ამ დღეებში მიიღო მან სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილება მეორე ქმართან გაყრის თაობაზე და მესამედ გათხოვებასაც უახლოეს ხანში აპირებს. თუმცა, გავრცელებული ხმების თანახმად, პელტროუ თავისი ყოფილი საქმროს მოახლოებულმა ქორწილმა კი არა, ლათინურამერიკელი ლამაზმანის თავშეუკავებელმა გამოხდომამ გააღიზიანა. ჯენიფერს ჟურნალ Movieline-ის ჟურნალისტისათვის ინტერვიუში უთქვამს, რომ გვინეტის მონაწილეობით გადაღებულ ვერც ერთ ფილმს ვერ იხსენებდა. „ზოგიერთი ადამიანი მხოლოდ იმის წყალობით ხდება პოპულარული, რომ შეუძლია, საჭირო დროს, საჭირო ადამიანის გვერდით აღმოჩნდეს“, – დაუდევრად აღნიშნა მომღერალმა და გესლიანად დასძინა: „მე ბრედ პიტთან მისი რომანის შესახებ უფრო მეტი მესმოდა, ვიდრე მისი ფილმების თაობაზე“. უცნაურია, მაგრამ ჯენიფერმა არაფერი თქვა ბენ აფლეკისა და გვინეტის საკმაოდ ახლო ურთიერთობაზე. სავარაუდოა, რომ მას ამის გახსენება ხელს არ აძლევს. ■

მადონა ინგლისზე შეყვარებული ყოფილა

მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალიფორნიაში მადონას (ოჯახთან ერთად) მოულოდნელი გადაბარგება დაკავშირებულია იმასთან, რომ ნისლიანი ალბიონის კლიმატისა და იქ დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების გამო, მას სევდა მოეძალა და დეპრესიაშიც კი ჩავარდა. ამის თაობაზე, მადონას პრესაგენტმა, ლიზ როზენბერგმა გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ პრესა მომხდარს აბსოლუტურად არასწორად აშუქებდა. მისი თქმით, მადონა იყო და რჩება გამოუსწორებელ „ანგლოფილად“. მას არასოდეს დაუმალავს, რომ იგი მოხიბლულია ინგლისით და ინგლისელებით. მომღერალს და მის მეუღლეს, ცნობილ ინგლისელ რეჟისორს გაი რიჩს ატლანტის ოკეანის ორივე სანაპიროზე აქვთ სახლები და ისინი ხან ამერიკაში ცხოვრობენ და ხანაც ინგლისში. მათი შვილებიც ხან ამერიკულ სკოლაში დადიან, ხანაც ინგლისურში. უბრალოდ, ოჯახმა გადაწყვიტა, რომ დროებით კალიფორნიის მზიან სანაპიროზე იცხოვროს, გაზაფხულზე კი კვლავ ლონდონში აპირებს დაბრუნებას. ■

პიტერ ო'ტულმა საპატიო „ოსკარზე“ უარი განაცხადა

ჟურნალ „ვერაიეტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ამერიკის კინოაკადემია ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდის – პიტერ ო'ტულის 40-წლიანი კინემატოგრაფიული კარიერის აღნიშვნას ოქროს ქანდაკებით აპირებდა. როცა ამ ინფორმაციამ მსახიობის ყურამდეც მიაღწია, მან ოფიციალური წერილი გაგზავნა კინოაკადემიის ოფისში, სადაც 70 წლის ო'ტული აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ეს მისთვის დიდი პატივია“, სჯობს, კინოაკადემიამ საპატიო „ოსკარი“ 80-წლიანი იუბილესთვის შემოინახოს, რადგან იგი „ჯერ კიდევ მოქმედი მსახიობია და ამ ჯილდოს მოპოვებას, თამაშით აპირებს“. კინოაკადემიის პრეზიდენტმა ფრენკ პირსონმა განაცხადა, რომ პიტერ ო'ტულის უარმა ყველა „გააოგნა და დაამწუხრა“. „ჩვენთვის ძალზედ სასიამოვნო იქნება, თუ იგი ამ გადაწყვეტილებას შეცვლის“. პრეზიდენტის თქმით, „აკადემიას არც უფიქრია ეჭვი შეეტანა დიდი მსახიობის კონკურენტუნარიანობაში“. შეგახსენებთ, რომ პიტერ ო'ტული „ოსკარზე“ შვიდგზის იყო ნომინირებული, მაგრამ ეს ჯილდო ვერც ერთხელ ვერ მოიპოვა. იმ შემთხვევაში, თუ მსახიობი გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ჯილდოს არსებობის ისტორიაში იგი იქნება პირველი ნომინანტი, რომელიც საპატიო „ოსკარზე“ უარს იტყვის. ■

სეზონური დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როგორ ებრძვიან გაცივებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

მსოფლიოში რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი ნაციონალური საშუალება არსებობს ხველის, სურდოსა და ყელის ტკივილის წინააღმდეგ საბრძოლველად. სცადეთ, იქნებ, ამ სეზონურ უსიამოვნებასთან გამკლავებაში რომელიმე, ეგზოტიკური, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი მეთოდი დაგეხმაროთ.

იაპონური

სისუსტის შეგრძნებისთანავე იაპონელი ადამიანი პირველ რიგში ნიღაბს იკეთებს, რათა გარშემომყოფებს არ შეუქმნას საშიშროება: მოსახლეობა იქ ისე მჭიდროდაა დასახლებული, რომ ერთ გაცივებულ ადამიანს შეუძლია, 3 დღეში მთელი ქვეყანა დაასნებოვნოს. შინ დაბრუნებისთანავე გრიპიანი იაპონელი სვამს 10 ჭიქამდე ცხელ მწვანე ჩაის. ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორმა იამამოტომ ამ სასმელში აღმოაჩინა განსაკუთრებული ნივთიერებები – კატექინები, რომელსაც ვირუსსაწინააღმდეგო აქტიურობა ახასიათებს.

ჩინური

ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის საერთოდ არ სარგებლობს გაცივების საწინააღმდეგო წამლებით და მთლიანად ეყრდნობა წერტილოვან მასაჟს. გაცივებული ჩინელი, საჩვენებელი თითის ბოლოთი დღეში სამჯერ იკეთებს წრიულ მოძრაობას საათის ისრის მიმართულებით და მის საპირისპიროდ, იმ წერტილებში, რომელზე ზემოქმედებითაც იმუნიტეტი მატულობს. ასეთი წერტილებია: შუბლზე – თმის ზრდის ხაზის ცენტრში, წარბების შიგნითა ბოლოებთან, ცხვირის ნესტოების გვერდით, უკან – კისრის ზურგში გადასვლის ადგილას, სადაც თავის დახრისას კისრის მე-7 მალის წანაზარდი შეიგრძნობა, აგრეთვე მტევნის ზურგის მხარეს მოხრილი ცერისა და საჩვენებლის მიერ წარმოქმნილი ნაოჭის ძირში.

ინდური

ინდოელი ჯდება „ლოტოსის“ პოზაში, თავისკენ სწევს ტერფს და ენერგიულად იკეთებს მის მასაჟს თითებით, ხელისგულებით, მუშტებით, უხეში ჯაგრისით ან ალუმინის სავარცხლით. ერთმანეთს უნაცვლებს ხელის გადასმას, დაზელვას და წრიულ მოძრაობებს – ჯერ ფეხის ძირზე, შემდეგ კი ტერფის ზურგის მხარეს, მის გაწითლებამდე და გაცხელებამდე.

ტიბეტური

ტიბეტელი ლამები საერთოდ არ ავადმყოფობენ. 5 წელიწადში ერთხელ, ისინი უძველესი რეცეპტით ამზადებენ ნივრის სპირტიან ნაყენს და ღებულობენ მას განსაკუთრებული წესით. შედეგად კი – არავითარი გაცივება. ტიბეტელთა რეცეპტი ასეთია:

აიღეთ 350 გ ნიორი, გაფცქვენით, კარგად დანაყეთ ხის ან სპილენძის სანაყში (ნივრის საჭყლეტი არ გამოგადგებათ) და ასე დატოვეთ ოთახის ტემპერატურაზე 30 წთ-ით. შემდეგ, ქვედა მხრიდან, სადაც მეტი წვენია, აიღეთ 250 გ დანაყილი მასა და მოათავსეთ მწვანე ფერის შუშის ბოთლში. დაასხით 200 გ 96%-იანი სპირტი. ბოთლს დაახურეთ თავსახური და დადგით გრილ, ბნელ ადგილას. 10 დღის შემდეგ მასა გაწურეთ მკვრივ ქსოვილში. გაფილტრული სითხე ჩაასხით იმავე ბოთლში და კიდევ 3 დღე დააყოვნეთ. ნაყენი მიიღეთ ჭამამდე 20-30 წთ-ით ადრე, 3-ჯერ დღეში. ნივრის წვეთები უნდა ჩაასხათ 50 გ ცივ რძეში. მიღებას იწყებთ 1 წვეთით და თანდათანობით უმატებთ ყოველ მიღებაზე თითო წვეთს. ასე აგრძელებთ მე-11 დღემდე, შემდეგ, ისევ იწყებთ კლებას. კურსი უნდა გამეორდეს 5 წელიწადში ერთხელ.

ნეპალური

გაცივებული ნეპალელი წვება ლოგინში და ხუჭავს თვალებს. რათა მედიტაცია ჩაატაროს ანდა მანტრა წაიკითხოს. ამერიკელ და იტალიელ მეცნიერთა გამოკვლევების თანახმად, მსგავსი რელიგიური სიმღერები სუნთქვით ვარჯიშებზე უკეთესად ანიავებს ფილტვებს ვირუსებისაგან.

პაციენტები, რომელთაც სამედიცინო ექსპერიმენტის შესაბამისად, ლოგინში წოლა და მშვიდი მუსიკის მოსმენა დაენიშნათ, 3-4 დღის შემდეგ გამოჯანმრთელდნენ, ხოლო ისინი, ვინც წიგნებს კითხულობდნენ, ტელევიზორს უყურებდნენ და ბევრს საუბრობდნენ ტელეფონით, 7-10 დღე მაინც ავადმყოფობდნენ. სიმშვიდე და წოლითი რეჟიმი გამოჯანმრთელების საუკეთესო საშუალებაა.

ამერიკული

აშშ-ში მცხოვრებნი, რომლებიც კარგი ფორმის შენარჩუნების უნარით გამოირჩევიან, გაცივების პირველი ნიშნებისთანავე იღებენ პიტნის ნაყენის, ლიმონის წვენის, თაფლისა და ნივრის კოქტეილს. 1 ჩ/კ პიტნას დაასხით მდუღარე წყალი, დადგით დაბალ ცეცხლზე 3-5 წთ, შემდეგ გადაწურეთ და დაუმატეთ 1 ს/კ თაფლი. წვრილად დაჭერით ერთი კბილი ნიორი, ჩაყარეთ ჭიქაში და დაჭყლიტეთ კოვზით, ჩაწურეთ 1/4 საშუალო ზომის ლიმონი, დაასხით თაფლიანი პიტნის ნაყენი, აურიეთ ყველაფერი და დალიეთ თბილ-თბილი, ძილის წინ. დილით გამოჯანმრთელებული გაიღვიძებთ.

ამერიკელმა ექიმებმა სურდოს დროს შესაძლოა, გამოგიწერონ ვაშლის ლიმონათი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 1 ჭიქა მდუღარე წყალში გახსენით 1-2 ს/კ ვაშლის ძმარი, ამდენივე თაფლი და დალიეთ ცხელი. ძილის წინ, კიდევ ერთი ჭიქა მოიმზადეთ.

ბერძნული

ჰიპოკრატეს ნაყენმა არაერთხელ იხსნა გაცივებისაგან ძველი ელინები. ფორთოხლის ან ლიმონის 2

ნაჭერს დაასხით ორი ჭიქა წითელი ღვინო, დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი, 2 ცალი მიხაკი და ცოტა ილი. მიიყვანეთ ნარევი ადუღებამდე და მიიღეთ ძილის წინ, ცხელი, ყლუპ-ყლუპად. ეს უძველესი ნაყენი ალბათ თქვენც დაგეხმარებათ.

ინგლისური

გრიპიანი ინგლისელი მოქმედებს შემდეგი წესის თანახმად: „დღეში ერთი ვაშლი და ექიმი აღარ დაგჭირდებათ!“ თუმცა, ერთი ვაშლი გამოჯანმრთელებისათვის ცოტაა. დღეში ხუთი ცალი ანტონოვკა მაინც უნდა შეჭამოთ (უმჯობესია – მჟავე, რადგან მასში მეტი C ვიტამინია). მირთვით აგრეთვე: მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ლიმონი. მათში ცოცხალი ასკორბინის მჟავის დიდი დოზა შედის და იგი დაგიცავთ გაცივებისაგან. ახალგამოწურული ციტრუსის 3-4 ჭიქა წვენი დღის განმავლობაში აღგიდგენთ ჯანმრთელობას.

მექსიკური

მექსიკელები, რომლებიც აღმერთებენ ცხარე საჭმელს, ხველების, სურდოსა და ყელის ტკივილის სამკურნალოდ საუკეთესო საშუალებად წითელ, მწარე წიწაკას მიიჩნევენ. იგი მართლაც ამცირებს ლორწოს წარმოქმნას, აფართოებს ბრონქებს, აქვს ანტიმიკრობული თვისებები. მექსიკელი როგორც კი შეუძლოდ იგრძნობს თავს, მაშინვე იღებს 1/4 ს/კ დაფქულ წითელ წიწაკას 3-ჯერ დღეში. აგრეთვე, ჩვენსავით სვამს ასპირინსა და ანტიგრიპინს. შეგიძლიათ, წიწაკა უბრალოდ წვნიანს დაამატოთ და შედეგსაც იგრძნობთ.

რუსული

რუსები წითელი წიწაკის ნაცვლად ხახვს, ნიორს და პირშუშხას იყენებენ. რუსულ ხალხურ მედიცინაში განსაკუთრებით ეს უკანასკნელია გავრცელებული: გახეხეთ პირშუშხას ფესვი წვრილ სახეხზე, დააყარეთ იმავე რაოდენობის შაქარი, დადგით თბილ ადგილას 12 სთ-ით, გაწურეთ და მიეცით პაციენტს თითო ს/კ, ყოველ საათში ერთხელ, გამოჯანმრთელებამდე.

ფინური

ფინელები ჯანმრთელობის ყველა პრობლემას აბანოში წყვეტენ. „საუნა მკვდარსაც კი გააცოცხლებს!“ – ამბობენ ისინი. იმპროვიზებული აბანოს მოწყობა სახლშიც შეიძლება. მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ თუ ტემპერატურა 37,5 გრადუსზე მაღალი გაქვთ, ორთქლით მკურნალობა არ შეიძლება. აიღეთ 2-2 ს/კ გვირილა და პიტნა, დაასხით 4-5 ლ მდუღარე, დადგით ნელ ცეცხლზე 10 წთ-ით. გაიხადეთ წელამდე, გვერდიგვერდ დადგით 2 სკამი – ერთი თქვენთვის, მეორე ცხელნაყენიანი თავდახურული ქვაბისთვის. დაჯექით, თავზე გადაიფარეთ თხელი საბანი და ისუნთქეთ ორთქლი 15-20 წუთი. შემდეგ, გადაივლეთ ჯერ თბილი წყალი, ბოლოს კი – ცივი. ■

ჩხუბი ორგანიზმს ვნებს

როგორ იწყება ყველაფერი

მამაკაცს ყველაფერი აღელვებს: ჰონდურასში მიმდინარე მოვლენებით დაწყებული, საყვარელი საფეხბურთო გუნდის დამარცხებით დამთავრებული. იგი ფიქრობს დოლარის კურსზე, მანქანის საბურავების გამოცვლაზე. ქალს კი უფრო მეტად ის ანაღვლებს, თუ როგორ გამოიყურება და როგორ გრძნობს თავს. მოდი და იპოვე შეხების წერტილები. გამოდის, რომ ჩვენ ერთმანეთთან ჩხუბისთვის ვყოფილვართ გაჩენილები.

და და ძმა – ერთი დედ-მამის შვილები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ხშირად ჩხუბობენ ხოლმე. რაღა უნდა ვთქვათ სხვადასხვა ოჯახში დაბადებულ ადამიანებზე, რომელთაც განსხვავებული აღზრდა აქვთ მიღებული, განსხვავდებიან გემოვნებით და ჩვევებით.

ასე რომ, ჩხუბი სულაც არ არის გაყრის საბაბი. მთავარია, როგორ რეაგირებთ მასზე. პირველი და მთავარი გაკვეთილი: თავი აარიდეთ მკვეთრ დაპირისპირებას. როცა იგრძნობთ, რომ სიტუაცია მაქსიმალურად გამწვავდა, დროულად უნდა შეჩერდეთ.

ცოტა ხნის წინ მიაჩნდათ, რომ ადამიანისთვის ემოციის დაფარვა, წყენის გულში ჩადება მავნებელია და საჭიროა პერიოდული განმუხტვა. დღეს კი დამტკიცებულია, რომ ჩხუბი და სკანდალი კი არ განმუხტავს მას, პირიქით – ნაპერწკლიდან ცეცხლის გაღვივებას უწყობს ხელს.

მრისხანება მარტო სულს კი არა, სხეულსაც ანადგურებს. იგი აიძულებს გულს, ხშირად შეიკუმშოს და მეტი სისხლი გადაისროლოს. როცა თქვენ გაცეცხლებული ხართ, სისხლი გაჯერებულია სტრესის ჰორმონებით, რომელთა გავლენით ცხიმოვანი უჯრედებიდან მათი შიგთავსი გადადის სისხლში, საიდანაც ხვდება ღვიძლში და გარდაიქმნება ქოლესტერინად. წნევა მატულობს, იმუნიტეტი ქვეითდება.

მცირე განრისხებაც კი არღვევს ორგანიზმის მუშაობის ნორმალურ რიტმს და შემდგომში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმუნურ სისტემაზე. სხვათა შორის, ერთნაირად ზარალდება ჩხუბის ორივე მონაწილე. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხარე მრისხანებს, ხოლო მეორე შიშითაა შეპყრობილი, იმუნიტეტი ორივეს უზიანდება.



ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მრისხანების დათრგუნვა არაფრით სჯობს მის „გადმოფრქვევას“. გარეგნულად თავშეკავებული ადამიანები, რომლებიც „შინაგანი დულილის“ მდგომარეობას ინარჩუნებენ, სტრესის იმავე ულუფას იღებენ, რასაც ფეთქებადი მყვირალები.

უსაფრთხო ჩხუბის რეცეპტი

თუ თითოეული მხარე დაჟინებით ცდილობს მეორის აღზრდას და საკუთარ თავში არაფერს ცვლის, ეს არავის არგებს.

თუ ადამიანები ჩხუბს განმუხტვად ან გართობადაც კი მიიჩნევენ, მათ არანაირი რჩევა არ სჭირდებათ.

როცა მათ სიტუაციის გარკვევაზე ძალისა და ენერგიის ხარჯვას გაყრა ურჩევნიათ, ამ შემთხვევაშიც ძნელია რამის შეცვლა. ჩვენი რჩევები მათთვისაა, ვინც ურთიერთგაგებისა და კომპრომისის გზებს ეძებს.

მშიერ ყუჭზე – არავითარი გარჩევა!

თუ ერთ-ერთი ან ორივე დაიღალა, მშიერნი და გაღიზიანებულნი არიან – უმჯობესია, გადადონ მნიშვნელოვანი საუბარი.

ხშირად ადამიანები საკმაოდ შეუსაბამო მომენტებს არჩევენ

პრობლემების განსახილველად. ურთიერთობების გარკვევა მშვიდ სიტუაციაშია საჭირო – აუჩქარებლად, ნევროზულობის გარეშე. მაშინ, დაძაბულობის ნაწილი თავისთავად მოიხსნება.

თუ გრძნობთ, რომ მტკივნეულ თემაზე ფიქრიც კი თქვენში ძლიერ ემოციას იწვევს, ეს ნიშნავს, რომ პარტნიორთან ამ თემის განხილვისათვის ჯერ მზად არ ხართ.

ისუნთქეთ ღრმად!

წვრილმანი ჩხუბი, ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაიწყოს და მის შესახებ წინასწარ ცოდნა შეუძლებელია; ასეთ მომენტში უმჯობესია, გვერდიდან შეხედოთ საკუთარ თავს. ასეთი მიდგომა ზოგიერთს საშუალებას აძლევს, დაიცხროს ემოცია, ზოგს კი – მოიკრიბოს გონიერება. მთავარია გავიგოთ, ამ ჩხუბის უკან რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა დგას თუ იგი წუთიერი გაღიზიანების, დაღლილობის ბრალია.

პირველ შემთხვევაში, ორივემ უნდა შეიგნოს, რომ აზრი არა აქვს ერთმანეთის ლანძღვაში დროისა და ძალის ხარჯვას. მეორე შემთხვევაში, ეს მით უფრო მეტი უაზრობაა, რადგან პრობლემა სულ არაფრისგან გაჩნდა.

ასე რომ, ვიდრე ბრძოლაში ჩაებმებოდეთ, ორჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ და წარმოიდგინეთ კონფლიქტის განვითარების უფრო დამაჯერებელი გზა. თუ ეს გზები არ გაძლევთ ხელს, კიდევ ჩაისუნთქეთ ერთი-ორჯერ და უკეთესი ვარიანტი მოიფიქრეთ.

მთავარია გულახდილობა!

ჩვენში გულახდილობას რატომღაც იმას უწოდებენ, რომ ადამიანს პირში მიახალო ყველა საშინელება, რასაც კი მასზე ფიქრობ. რით მთავრდება ეს ყველაფერი? თუ თქვენ დიდხანს დუმდით, სულ სხვას ლაპარაკობდით და ერთხელაც, უცბად გადაწყვიტეთ გულახდილობა, თქვენი თანამოსაუბრე მოულოდნელობისა და წყენის გამო, თქვენი სიტყვებიდან ცოტა სარგებელს თუ ნახავს. იგი შეიცვლის თქვენდამი დამოკიდებულებას და ეცდება, შორს დაიჭიროს თავი.

მნიშვნელოვანი საუბრის მთავარი პირობა თქვენი არააგრესიული ტონია. შესაძლოა, უხეშადაც ლაპარაკობდეთ, მაგრამ – არა ბოღმიანად.

ჩაატარეთ ასეთი ექსპერიმენტი: აუდიოფირზე ჩაიწერეთ თქვენი ერთ-ერთი ჩხუბი და მიხვდებით, რატომაა ასე ძნელი ერთმანეთის გაგება.

ნუ გაიღებთ პირს, ვიდრე თქვენი თანამოსაუბრე ყველაფერს არ იტყვის, რაც საჭიროდ მიაჩნია. ამის შემდეგ კი, გაიმეორეთ, რაც მან გითხრათ, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველაფერი სწორად გაიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვით საკუთარი არგუმენტები. ■

ბუნების ნობათი

ჩვეულებრივი ჯამა მოგიხსნით სპაზმებს და მოგიწესრიგებთ წნევას

ეს მწვანილი-სანელებელი ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ქართულ სამზარეულოში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ უძველესი დროიდან ეს ბალახი გამოიყენებოდა არა მხოლოდ როგორც სანელებელი, არამედ, როგორც სამკურნალო საშუალება.

კამას აქვს შარდმდენი, რბის მომყვანი, სუსტი საფაღარათო, წნევის დამწევი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი მოქმედება.

● ჰიპერტონიის (მაღალი წნევის) საწყის სტადიაზე, თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს, რომელსაც თავის ტკივილები ახლავს თან, ქრონიკული კორონარული უკმარისობის დროს გირჩევთ შემდეგ რეცეპტს: კამის 2 ს/კ დანამცეცებული თესლები ჩაყარეთ თერმოსში, დასხით 1/2 ლ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 1 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 3-4-ჯერ დღეში.

თუ გიჭირთ ნაყენის დამზადება, შეგიძლიათ მიიღოთ 1 ჩ/კ კამის დაფქული თესლი 2-ჯერ დღეში.

● გლაუკომის (თვალის შიდა წნევის მომატების) დროს: 1 ჩ/კ კამის თესლს დასხით 1 ჭიქა ანადუღარი წყალი, მიიყვანეთ დუღილამდე, დააყოვნეთ 1 სთ, გადაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე. მკურნალობის კურსი 3 კვირაა. შეისვენეთ 10 დღე და კურსი გაიმეორეთ.

● მეტეორიზმის (ნაწლავთა სპაზმების და გაზების) დროს: 2 ს/კ კამის თესლს დასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 2 სთ, გადაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

● შარდის ბუშტის ანთების დროს: 1 ს/კ დანამცეცებული ბალახი ჩაყარეთ ჭურჭელში, დასხით ცივი წყალი, ადუღეთ 5 წთ, დააყოვნეთ 1 სთ, გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 20 წთ-ით ადრე.

● მეძუძური დედებისათვის (როცა ბავშვს რძე არ ჰყოფნის): 1 ს/კ დანამცეცებულ კამის თესლს დასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, მოათავსეთ მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წთ-ით, გააცივეთ, გაწურეთ, შემდეგ ნაყენი 1 ჭიქამდე შეავსეთ მდუღარე წყლით. მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

● ჭიებით ინვაზიის დროს: 1 ს/კ კამის თესლს დასხით 1 ჩ/ჭ რძე, ადუღეთ 5-10 წთ, დააყოვნეთ 1 სთ, მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ ჭამამდე 15-20 წთ-ით ადრე.

● კონიუნქტივიტის დროს: 2 ს/კ კამის თესლს დასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, დადგით 2 სთ, გადაწურეთ. ამობანეთ თვალები და გაიკეთეთ საფენები ამ ნაყენით 4-5-ჯერ დღეში. ■

საქსტანდარტი გვაფრთხილებს: სავაჭრო ქსელში

უვარგისი პროდუქციაა!

ჩვენი ბაზარი რომ მომწამლავი პროდუქტებითაა სავსე, ეს სიახლე არ არის. ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ მავნეა იმ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომლის მომხმარებლები ბავშვები არიან. პატარებმა ხომ არ იციან, რომ მათი საყვარელი კანფეტი ერთ-ერთი შამპუნის ლოგოთი „დამშვენებულ" ქაღალდშია შეფუთული. საქსტანდარტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა სპეციალურმა კომისიამ თბილისის სავაჭრო ქსელში 64 დასახელების ვადაგასული და არასტანდარტული პროდუქცია აღმოაჩინა. ალკოჰოლურ სასმელებთან, წვენებთან, ძეხვეულთან, რძისა და საკონდიტრო ნაწარმთან ერთად, არსებობს თევზიც, რომლის არათუ საკვებად გამოყენება, უხელთათმნოდ ხელის დაკარებაც კი საშიში ყოფილა. მავნე პროდუქტები საახალწლოდ დიდი რაოდენობით შემოუტანიათ, ის მთლიანად ვერ გაიყიდა, ამიტომ მაღაზიებში თუ ხელზე მოვაჭრეებს მრავლად აქვთ ისეთი ნაწარმი, რომელსაც შენახვის ვადა 2-3 წლის წინ გაუვიდა. მოქმედი კანონის თანახმად, ასეთი პროდუქციის შემომტანები თუ გამსაღებლები 50 ლარით დაჯარიმდებიან (შეგახსენებთ — ათასობით ლარს სთხოვენ სამკურნალოდ იმ ორ ახალგაზრდას, რომელიც ახალი წლის დღეებში, ფალსიფიცირებული არყით მოიწამლა და დაბრმავდა!..) როგორც ირკვევა, შექმნილი მდგომარეობის გაკონტროლება მანამდე ვერ მოხერხდება, სანამ არ დაიხვეწება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ვესაუბრებით საქსტანდარტის კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველოს, პროდუქციის ხარისხის კონტროლის თბილისის სამსახურის უფროსს, პაატა ბურდულს.

ნანა ქიბიშაური

— სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ კანონმა შეზღუდა მეწარმეებთან მაკონტროლებელი ორგანოების თავისუფლად შესვლა. ეს აუცილებელიც იყო. მაგრამ ამ კანონმა ჩვენ მხოლოდ სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის მოთხოვნისა და შესაბამისი აქტის შედგენის უფლება დაგვიტოვა. თავისუფლად მხოლოდ სერტიფიცირების შემოწმება შეგვიძლია. რაც შეეხება ხარისხის კონტროლს — კანონი შემდეგი პროცედურის თანამიმდევრულ დაცვას გვავალებს: მაკონტროლებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს ე.წ. დასაბუთებული ეჭვი დარღვევის შესახებ (ეს „დასაბუთებული ეჭვი" ცალკე მსჯელობის საგანია. თუ ეჭვი დასაბუთებულია — ე.ი. ეს უკვე მტკიცებულებაა და არა ეჭვი!); მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელმა ეს „დასაბუთებული ეჭვი", შესაბამისი მტკიცებულებებით, უნდა წარადგინოს სასამართლოში. შემდეგ, მოსამართლე გამოიძახებს ორივე მხარეს — საქსტანდარტის წარმომადგენელს და პირს, რომელიც უხარისხო პროდუქციას ყიდის. იმართება სასამართლო პროცედურა. რა თქმა უნდა, მეწარმე უარყოფს უვარგისი პროდუქციის დამზადებას ან ქსელში არსებობის ფაქტს და მოსამართლე გასცემს მეწარმის (ან რეალიზატორის) პროდუქციის შემოწმების ბრძანებას. როგორ ფიქრობთ — ამის შემდეგ ობიექტის შესამოწმებლად მისულ ინსპექტორებს უხარისხო პროდუქციას დაახვედრებენ?!. ასეთ პირობებში მუშაობის ეფექტიანობაზე ლაპარაკი შეუძლებელია! მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ წარდგენილი, დასაბუთებული ეჭვების საფუძველზე, სასამართლომ მრავალი შუამდგომლობა დააკმაყოფილა. თუმცა, ზოგჯერ კანონის ლაბირინთებში გარკვევა მოსამართლეებსაც უჭირთ. არის შემთხვევები, როდესაც შუამდგომლობას ერთი მოსამართლე არ აკმაყოფილებს, მეორე კი, ანალოგიური სქემით მომზადებულ შუამდგომლობას დაუბრკოლებლად იღებს.

— უცხო პროდუქციაზე საბოლოო დასკვნის გასაცემად ისეთი ხანგრძლივი პროცედურის გავლა გიწევთ, რომ ამ ხნის მანძილზე მავნე პროდუქტების მთლიანად გაყიდვაც კი მოესწრება. ცალკე საუბრის თემაა, დასკვნის გაცემის შემდეგ, როგორ ხდება უხარისხო პროდუქციის ბრუნვიდან ამოღება. სანამ ეს პრობლემები კანონით დარეგულირდება, როგორ დაიცვას მომხმარებელმა თავი?

— ერთადერთი გზა არსებობს: ყურადღება მიაქციონ ნიშანდებას, პროდუქციის შეძენის დროს, დააკვირდნენ შესაფუთს, გამოშვების თარიღს, მწარმოებლის დასახელებას და დაინტერესდნენ, დაცულია თუ არა პროდუქციის შენახვის პირობები. ყოველ პროდუქტს სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, სავაჭრო ქსელში უხვადაა თაფლი, რომელსაც აქვს ეტიკეტი — „კრასნოდარის თაფლი", სახურავს კი აწერია — „შავი ჩაი"; შუშხუნა ღვინის ფასია ერთი ლარი; ძეხვი, რომელზეც არ არის მითითებული მწარმოებელი, 60 თეთრი ღირს. ცხადია, რომ საქმე გვაქვს ან ფალსიფიკაციასთან, ან მომწამლავ, უხარისხო პროდუქტთან.

— ეი. მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ. თქვენ მხოლოდ უხარისხო პროდუქციის შემომტანის ან რეალიზატორის, 50 ლარით დაჯარიმება შეგიძლიათ. ეს ხელმოცარული ბიზნესმენისთვისაც კი გროშებია.

— ეს დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიგს განეკუთვნება. ექვემდებარება დაჯარიმებას, შემდეგ კი, მოქმედებს მიწერილობის მუხლი, რომელიც ავალდებულებს მეწარმეს, გამოასწოროს საქსტანდარტის თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი დარღვევები. მიწერილობის შეუსრულებლობა, თავის მხრივ, ითვალისწინებს აგრეთვე ფინანსურ სანქციებს. თუ მაინც ვერ მივაღწიეთ შედეგს, მასალებს პროკურატურას გადავცემთ. ფალსიფიკაცია შედარებით მკაცრად ისჯება. მავნე პროდუქტების განადგურების უფლება კი ჩვენ არ გვაქვს. თავს ზემოთ ძალა არა არის. საქსტანდარტიც ისევე ემორჩილება კანონს, როგორც ნებისმიერი სხვა უწყება. არადა, მდგომარეობა საგანგაშოა. ისევ მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი გვაქვს: მომხმარებლის მიერ მოწოდებულმა ერთმა ინფორმაციამაც კი, შეიძლება, ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იხსნას. პარლამენტში შეტანილია საკითხი, შესაბამის კოდექსში სანქციების გამკაცრების თაობაზე...

მანამდე კი, საქსტანდარტი გაფრთხილებთ: წაიკითხეთ იმ პროდუქტის ნიშანდება, რომელსაც ყიდულობთ და მოითხოვეთ შესაბამისი სერტიფიკატი!

საქსტანდარტი გაფრთხილებთ! ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით რუსული წარმოების რძის პროდუქტებზე გმართებთ: მაიონეზზე, არაყზე, კარაქზე; უცხოური წარმოების იოგურტზე; თურქული წარმოების ხილის წვენებზე; ჩინური წარმოების, ბოსტნეულის წვენებზე; სენაკში დამზადებულ ღვინოზე; ლიმონათ „სონზე", ყავა „ორიგინალზე", რუსული წარმოების ლუდსა და სომხეთში დამზადებულ სუჯუკზე.

■

საუკეთესო ტესტი შეთავსებადობის გასარკვევად

მამაკაცები, რომლებსაც არ უჭირთ სურვილისა და გრძნობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, იშვიათად კოცნიან ისეთ ქალებს, რომლებთანაც უბრალოდ დაწოლა სურთ. კოცნა — მართლაც, რაღაც უფრო ინტიმურია, ვიდრე სქესობრივი აქტი. როგორც სექსი არ იწყება ყოველთვის კოცნით, ისე კოცნაც როდი მთავრდება ყოველთვის ლოგინით... ზოგჯერ ადამიანის ტუჩებთან შეხებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გაარკვიოთ — თქვენ ერთმანეთისთვის არა ხართ დაბადებულნი.

შესაძლოა, თქვენ მამაკაცის მიმართ დიდ სიმპათიას განიცდიდეთ და სიამოვნებითაც ატარებდეთ დროს მასთან საუბარში, მაგრამ საქმე, ბოლოს და ბოლოს, კოცნამდეც მიდის და თქვენ, იმის ნაცვლად, რომ აღფრთოვანება განიცადოთ, მხოლოდ ცივი და უსიამო შეგრძნება გეუფლებათ. მსგავს სიტუაციაში საკუთარმა რეაქციამ არ უნდა შეგაშინოთ და არც უნდა შეგრცხვეთ,



რადგან ამ გზით თქვენ ბუნება გაძლევთ ნიშანს იმ მამაკაცთან ფიზიოლოგიური შეუთავსებლობის შესახებ, რომლის ნაზი, მეგობრული დამოკიდებულებაც სიყვარულად აღიქვით.

ქალები, ახალი შეყვარებულის პირველი კოცნისადმი განსაკუთრებულად მთრთოლვარე დამოკიდებულებით გამოირჩევიან. სწორედ პირველი კოცნა განაცდევინებს ქალს იმ მათრობელა, თავდავიწყებასთან მიახლოებულ გრძნობას, რომლის წყალობითაც მათ უყვარდებათ ის მამაკაცი, რომლის მკლავებშიაც არიან მოქცეულნი (ოღონდ, ის უნდა მიიჩნევდეს, რომ ეს მამაკაცი მისი შესაფერისია). აი, რა არის საინტერესო: ვიდრე ქალი სიახლოვის შეგრძნებით თავდავიწყებას ეძლევა, მის არსებაში თითქოსდა უხილავი კომპიუტერი ირთვება, რომელიც გამოთვლის მამაკაცის სხეულის ტემპერატურას, გემოს უსინჯავს ნერწყვის სიმჟავეს, ზომავს პულსს და გულდასმით შეისწავლის ჰორმონალურ სისტემას. ბოლოს კი, სხეულში არსებული რთული მოწყობილობა ქალს აძლევს პასუხს — შესაფერისია ეს მამაკაცი მისთვის, თუ სხვა უნდა ეძებოს. ოღონდ, ქალისთვის მხოლოდ პირველი კოცნა როდია ასეთი მნიშვნელოვანი. რაოდენ დახელოვნებული საყვარელიც არ უნდა იყოს თქვენი პარტნიორი, მასთან სიახლოვე ბედნიერებას ვერ მოგიტანთ, თუ იგი ტუჩების ნაზ და ინტიმურ შეხებას სათანადოდ არ აფასებს. თქვენ კი, თუ თავად აღმოაჩენთ, რომ არ გსიამოვნებთ ქმრისა თუ მეგობრის კოცნა და თავს არიდებთ მას, ეს ნიშნავს, რომ თქვენს ურთიერთობაში ბზარია გაჩენილი და თუ ამ პრობლემას დროზე რა მიხედავთ, ბზარის წყალობით, ნდობაცა და ინტიმურობაც თვალსა და ხელს შუა გაგიქრებათ.

საინტერესო ფაქტები:

- **კოცნა ნერწყვის გამოყოფას აუმჯობესებს. ამ დროს ნერწყვის შემადგენლობაში იზრდება კალციუმის დონე, რაც კარიესის გაჩენის საფრთხეს ამცირებს.**
- **სუსტი სქესის წარმომადგენელთა 1-2% კოცნის დროს ორგაზმს განიცდის.**
- **საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქალები ყოველწლიურად პომადის 2,5 ტუბს „მიირთმევენ“, მათი პარტნიორები კი, დაახლოებით 0,7 ტუბით კმაყოფილდებიან.**
- **ყველაზე ხანგრძლივი კოცნა, რომელიც გინესის რეკორდების წიგნშია დაფიქსირებული, 1998 წელს შედგა და 8,5 საათის მანძილზე გრძელდებოდა.**
- **ყოველწლიურად ჰოლივუდში საშუალოდ 2500 ვნებიანი კოცნის სცენას იღებენ.**

■



კაზინო
შტატი სადაც ჰოლივუდი მდებარეობს
„კარმენი“, „ტამანგო“, (მწერალი)
ნაპოლეონის პორტრეტებით გათქვა სახელი
სმზ-ალმის აზიის სამხედრო პაქტი
აზრის იგავურად გამოხატვა
ა ტოლსტოის ჰიპერბოლოიდანი ინჟინერი
ცნობილი საიუველირო ფირმა
ხველების მიქსტურა „დოქტორ...“
სამკითხაო ბანქო
ლ. პაშმის და ლ. ასათინის პერს „ჭრეკინა“
საღებავი ნივთიერება ენდროს ფესვებიდან
ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
ბალახიანი მიწის ნაკვეთი
ზედმეტი ტვირთი საჰაერო ბურთზე
მახების ხატვის ოსტატი
ამერიკული ავტომობილი
დამჯრობელთა ცხენსმფრე ძდელთა მწაზე
მუს. ნწარ. სკრიპტრტო შესრულებისათვის
ჯაზის მომღერალი -- ფიტცჯერალდი
ქეჩის ჩხერგვა ბრძოლის სწრაფულად
ჩრდილოეთი მეზღვაურისათვის
მოდუღებული ყურძნის წვენი
გემის ტვირთის წონის ერთეული
სფეხ კლუბ „პარსელონას“ (მეტსახელი)
ბერის გასლა მუდმივ საზეიმო წვეულება
ეპიალთა მისტიკური რელიგიური მოძღვრება
„იმღერე რამე“ (წამყვანი)
პირველი კოსმონავტი
ჯრმა გეგმის გადასაფარი მწყობილობა
პირველი პირი გემზე
კომპლებანი ყურძნის მტევნის ღერო
სატვირთო სამგზავრო ავტომობილი
ავსტრალიის ლა პრეფლობის გამრეკვეული
რეკლამირებული გამთერებელი სითხე
ძვირფასი ქვა
ყლორტი
ლონდონის საქმიანი ცენტრი
თანხმობა ესპანურად
3,14
შავი ყურძნის ჯიში
შეადგინა რამაზ ალანიამ



37-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-გ.

კვირის (10 – 16 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

მერწყული – 21/I-19/II

თუ ახალ თავბრუდამხვევ წინადადებებს მიიღებთ, ეცადეთ, საღი გონებით შეაფასოთ ისინი და მაქსიმალურად გონიერი გადაწყვეტილება მიიღოთ. იზრუნეთ იმაზე, რომ უკან დასახევი გზაც დაიტოვოთ, რათა მოულოდნელ უსიამოვნებებს აარიდოთ თავი. მთავარია, არ დაკარგოთ თქვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნების შანსი.

თევზები – 20/II-20/III

ეცადეთ, არაფერი შეცვალოთ პროფესიულ სფეროში, რადგან ცვლილებები შეიძლება საზიანო გამოდგეს თქვენთვის. გირჩევთ, ყური დაუგდოთ საკუთარ ინტუიციას, ვინაიდან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეგწევთ იმის უნარი, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლოთ, ღირსეულად ჩააბაროთ სულიერი გამოცდა.

ვერძი – 21/III-20/IV



გულჩვილი გახდებით და თქვენში სიბრალულის გამოწვევა ადვილი იქნება. ამიტომ, გამოიჩინეთ სიფრთხილე იმ ადამიანებთან, რომლებსაც არ ენდობით. გამორიცხული არ არის, რომ ამ კვირაში, ახალი ნაცნობობა გქონდეთ, რომელიც შეიძლება, უფრო სერიოზულ ურთიერთობაშიც გადაიზარდოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მზად იყავით, რომ თქვენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება.

კურო – 21/IV-21/V

სხვისი გასაჭირისადმი გულგრილობამ შეიძლება გაიძულოთ იმ ადამიანებთან ურთიერთობების გარკვევა, რომელთაც თქვენდამი რაღაც პრეტენზიები აქვთ. ეცადეთ, კომპრომისული ნაბიჯები გადადგათ და არაფერი გააზვიადოთ: ნებისმიერი კონფლიქტი და დავა-კამათი უარყოფითად იმოქმედებს თქვენზე.

მარგალიტი – 22/V-21/VI



თუ ვინმესთან თანამშრომლობა გაინტერესებთ, ახლა სწორედ ის დროა, როცა ადვილად გამონახავთ საერთო ენას ადამიანებთან, რომლებიც შესაძლო პარტნიორებად გესახებათ. დიდი ხნით ნუ გადადებთ კონტრაქტის გაფორმებას, რომ არ დაკარგოთ ხელსაყრელი მომენტი. შემდგომში ამის გაკეთება გაგიჭირდებათ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

მზად ხართ, ნებისმიერი სიძნელე გადაიტანოთ, ოღონდაც ზედმეტი ფული იშოვოთ. იმის გაფიქრებაც კი, რომ შესაძლებელია, აიმაღლოთ ცხოვრების დონე, საუცხოო გუნებაზე გაყენებთ. მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ დროდადრო, აუცილებელია სულის მოთქმა: თუ ზედმეტად გადაიღალეთ, ზოგიერთ გეგმასა და ჩანაფიქრზე უარის თქმა მოგიწევთ.

ლომი – 23/VII-23/VIII



სადაც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან უამრავი ადამიანის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. შეიძლება, ნამდვილი გულთამპყრობლის სახელიც კი გაგივარდეთ. მაგრამ იცოდეთ, რომ მათი შემოტევის მოგერიებაც კი გაგიჭირდებათ, ვინც თავადაც მოგწონთ. გაფრთხილდით – სიყვარულობანას თამაში არას გარგებთ, ამიტომ სერიოზულად მიუდექით გრძნობების საკითხს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

მზად იყავით საიმისოდ, რომ მეტი დრო დაუთმოთ საშინაო საქმეებს. ხანმოკლე შვებულების აღებაც რომ ვერ მოახერხოთ, ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ შინ და საოჯახო პრობლემებს მიხედოთ. ამ პერიოდში, თქვენს სამსახურში მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება, ამიტომ სინდისის ქენჯნაც ნაკლებად შეგაწუხებთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებით. ეს განსაკუთრებით ფინანსურ საკითხებს ეხება: ზოგჯერ მეტისმეტად გულუხვი იქნებით, ზოგჯერ კი, ზედმეტი თეთრის გაღებაც კი დაგენანებათ, მით უმეტეს – სესხად ფულის გაცემა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ წინასწარ დაგეგმილი ნივთების შეძენას გირჩევთ, რათა ტყუილად არ ფლანგოთ ფული.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება სამომავლოდ გადადეთ. ახლა შეიძლება, ისეთ საქმეებს მოჰკიდოთ ხელი, რაც თავიდანვე საინტერესო მოგეჩვენებათ. თავი უნდა შეიკავოთ საკუთარ თავზე ზედმეტი ვალდებულებების აღებისაგან, რომელსაც შემდგომ ვერსად გაექცევით. და კიდევ – ყური დაუგდეთ იმ ადამიანების რჩევებს, რომლებსაც ენდობით.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

საკმაოდ წინააღმდეგობრივი კვირა გელით. ერთი მხრივ, შესაძლოა, დიდ წარმატებას მიაღწიოთ, მეორე მხრივ – რაღაც საქმეები ჩაგიფლავდეთ. თუ ბედმა გაგიღიმათ, ყველა ღონე იხმარეთ, რათა საქმე ბოლომდე მიიყვანოთ. ასე იქნება თუ ისე, ყველა შემთხვევაში, საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

უფრო იღბლიანი გახდებით. მოგეცემათ შანსი, რომ საკუთარი ბიზნესი წამოიწყოთ ან საქმიანობის სფერო შეიცვალოთ. მაგრამ გახსოვდეთ: ნებისმიერი ცვლილება შეიძლება უდროო იყოს თქვენთვის. არ გირჩევთ აგრეთვე ისეთ პროექტებში მონაწილეობას, რომელშიც ბევრი ადამიანია ჩაბმული.

რას ნიშნავს თქვენთვის ფული?

როგორ ფიქრობთ, კარგია, როცა ადამიანს ბევრი ფული აქვს? რა თქმა უნდა კარგია, ცუდი რატომ უნდა იყოს?! მაგრამ რას ნიშნავს თქვენთვის ფული — ბედნიერების რა ნაწილის განმსაზღვრელია ფული თქვენს ცხოვრებაში? უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს და შეიძლება თქვენს თავში ახალი თვისებებიც კი აღმოაჩინოთ.

1) წარმოიდგინეთ, რომ წვეულებაზე მოხვდით. ერთ მხარეს მდიდარი, ძვირფასსამკაულებიანი ადამიანი გიზით, მეორე მხარეს კი — განათლებული, მაგრამ მოკრძალებულად ჩაცმული. ვისთან დაამყარებდით ურთიერთობას?

ა) მასთან, რომელიც უფრო სიმპათიურად გამოიყურება – 3;

ბ) მდიდართან – 1;

გ) განათლებულთან – 5.

2) ჩვეულებრივ, როგორ იქცევით ხოლმე დიდი წვეულების, პრემიერების ან გამოფენის გახსნის დროს?

ა) ასეთ ღონისძიებებზე აღტაცების გრძნობა გიპყრობთ – 2;

ბ) ხანდახან თუ დაინტერესდებით ხოლმე – 1;

გ) ასეთი რაღაცები ძალიან გღლით – 0.

3) როგორ უყურებთ გატაცებას ან ჰობის, რომელსაც საკმაოდ დიდი ფული სჭირდება?

ა) გატაცების გამო ფულის დახარჯვა გენანებათ – 2;

ბ) ამის საშუალება არასოდეს გქონიათ – 4;

გ) ასეთი ჰობი რომ გქონდეთ, სიამოვნებით დახარჯავდით ფულს – 3.

4) ჩვეულებრივ, რა მოსდის ხოლმე ერთი კვირის მანძილზე დასახარჯ თქვენს ფულს?

ა) უმეტესად სამ-ოთხ დღეში იხარჯება – 4;

ბ) ხან გყოფნით, ხან არა – 3;

გ) თანაბრად ანაწილებთ და გყოფნით – 1.

5) რა გრძნობას ჰბადებენ თქვენში ადამიანები, რომელთათვისაც სიტყვა „სიყვარული“ სიმდიდრესა და კარგ ცხოვრებასთან ასოცირდება?

ა) გეცოდებიან, რადგან მათ არ იციან, რა არის ნამდვილი ბედნიერება – 2;

ბ) გეზიზღებათ, რადგან მიგაჩნიათ, რომ მათ არასოდეს გამოუცდიათ ნამდვილი გრძნობა – 0;

გ) ჭკვიანებად მიიჩნევთ, რადგან მათ კარგად გაითავისეს, რომ ამ ცხოვრებაში სიმდიდრე ძალიან ბევრს ნიშნავს – 4.

6) როგორ ფიქრობთ, რატომ სესხულობს ხალხი ფულს?

ა) იმიტომ, რომ საშუალოზე დაბალი შემოსავალი აქვთ – 4;

ბ) უნდათ, რომ იცხოვრონ უკეთ, ვიდრე ცხოვრობენ – 1;

გ) ალბათ ხშირად უჩნდებათ გაუთვალისწინებელი ხარჯები – 2.

დაანჯამეთ ქულები

5-9 ქულა: თუ მართლაც, გულწრფელად უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს, მაშინ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფული საერთოდ არ გაინტერესებთ. თქვენთვის ბევრად მნიშვნელოვანი სულიერი ფასეულობებია. მიუხედავად ამისა, ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ ასეთი ადამიანის როლს თამაშობთ და თქვენ უკან ისეთი პიროვნება დგას, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს თქვენს მატერიალურ მოთხოვნილებებს. თქვენი ბინა, საკვები და ტანსაცმელი ფული ღირს. ნუ იქნებით მუდამ სხვისი ჯიბის იმედად, მატერიალურზე ცოტაოდენი ფიქრი თავადაც არ გაწყენდათ.

10-16 ქულა: ცხოვრებაში ხშირად ვარდებით უკიდურესობებში. როცა ფული გაქვთ, უაზროდ ხარჯავთ და შეიძლება ითქვას, ფანტავთ კიდეც. როცა ფული არ გაქვთ — მოწყენილი არც მაშინ ხართ. დროდადრო ფულის ფლანგვა ისეთ მშვენიერ ხასიათზე გაყენებთ, რომ დროებით უფულობასაც იტანთ. იქნებ გეცადათ და ცოტაოდენი ფული გადაგენახათ, მაშინ ხომ უფულობის მომენტი თქვენს ცხოვრებაში საერთოდ არ იარსებებდა.

17-23 ქულა: ფული და ფუფუნებით ცხოვრება თქვენთვის ყველაფერია. მეგობრებადაც მხოლოდ ისეთ ადამიანებს ირჩევთ, რომლებიც მატერიალური თვალსაზრისით გაინტერესებთ. მაგრამ გაითვალისწინეთ: ფული და ადამიანური გრძნობები სრულიად განსხვავებული რამაა. ნუ ააგებთ ადამიანებთან ურთიერთობას მხოლოდ მატერიალურ საფუძველზე, შეიძლება ყველაფერი ვერ გათვალოთ და თქვენთვის მძიმე წუთებში სრულიად მარტო აღმოჩნდეთ.

ნეპალის მეფის ასულს ჰოგჰამისტი შეჰყვახებია

ნეპალში დიდი ეროვნული დღესასწაული გაიმართა: მონარქ განენდრას 24 წლის ასული – პრერნა, ცოლად გაჰყვა 29 წლის კალიფორნიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ"-ის კორესპონდენტების ცნობით, პრერნას რჩეულს პროგრამისტის დიპლომი აქვს. მეფის მხოლოდშობილი ასულის ქორწილისათვის ნეპალელები განსაკუთრებულად მოემზადნენ: სპეციალურად ამ მიზნით აგებული ფიცარნაგი მთლიანად ყვავილებით იყო მორთული, სადაც ბერები სადღესასწაულო ლოცვებს განუწყვეტლივ აღავლენდნენ. მორწმუნეები კი, კანდელებს ანთებდნენ. თავად ცერემონია მეფის სასახლეში, სტუმრებისა და ნათესავების საკმაოდ ვიწრო წრეში ჩატარდა. შემდეგ, ნეფე-პატარძალი ხუთკილომეტრიანი კორტეჟის თანხლებით, ქალაქის ქუჩებისაკენ დაიძრა, სადაც მოსახლეობა მხიარული შეძახილებით ეგებებოდა ახალდაქორწინებულებს. მეფის ასულს წითელი, საპატარძლო სარი ემოსა, სიძეც ეროვნულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი.

შეგახსენებთ, რომ განენდრა ნეპალის მე-12 მონარქად მას შემდეგ აკურთხეს, რაც მისი უფროსი ძმა – მეფე ბირენდრა, დედოფალი შაარი და სამეფო ოჯახის კიდევ ექვსი წევრი 2001 წლის ივლისში უფლისწულმა დიპენდრამ (ნეპალის ტახტის მემკვიდრე სწორედ ის გახლდათ) დახოცა. ინციდენტის მიზეზი უფლისწულსა და მშობლებს შორის მომხდარი ჩხუბი გახდა (კონფლიქტი ტახტის მემკვიდრის ქორწილთან იყო დაკავშირებული, მას ცოლად დევიანა რანა უნდა შეერთო). ოჯახურ თათბირზე, რომელიც ქორწილის თარიღის დასანიშნად შეიკრიბა, დიპენდრამ ავტომატური იარაღით დახოცა ახლობლები, მერე კი, თავის მოკვლა სცადა. თავში დაჭრილი უფლისწული საავადმყოფოში ორი დღის მანძილზე აგონიაში იმყოფებოდა, შემდეგ გარდაიცვალა.

ჩუმინელი ბიზნესმენი ჩუმად ყოფნაში ცოლს 500 დოლარს უხდის

რუმინელი ბიზნესმენი ნიკოლაე პოპა სათავეში უდგას კომპანიას, რომელიც საკვები პროდუქტებით ამარაგებს ქალაქ ალბა ლულიას მაღაზიების ქსელს. ბიზნესმენის თქმით, საქმეები მას კარგად მისდის, მაგრამ ძალიან იღლება, რადგან დღეში ათი საათი მაინც უწევს სამსახურში ყოფნა. იგი ხან გაუთავებელ მოლაპარაკებებს აწარმოებს კლიენტებთან, ხან კი ტელეფონით პასუხობს მათ შეკითხვებს. საღამოობით ნიკოლაე შინ ისეთი დაქანცული ბრუნდებოდა, რომ ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა და მხოლოდ ძილსა და მოსვენებაზე ოცნებობდა, მაგრამ ნურას უკაცრავად – შინ ცოლი ხვდებოდა, რომელიც განვლილი დღის მოვლენებზე უწყებდა საუბარს და საკუთარ შთაბეჭდილებებსაც უზიარებდა. მაშინ, დაღლილობით სასომიხდილმა ბიზნესმენმა, საღამოობით ჩუმად ყოფნაში ცოლს ყოველთვიურად, ხუთასი დოლარი შესთავაზა. ნიკოლაეს ცოლის, მარიას თქმით, მისთვის ამ შეთანხმების პირობები ხელსაყრელია, თუმცა ქალი არც იმას მალავს, რომ ყოველთვის ჩუმად ყოფნას ვერ ახერხებს. მარია ერთ-ერთ ფირმაში პროგრამისტად მუშაობს და მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებს. ქმრისგან განსხვავებით, იგი ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტს განიცდის და საღამოობით სწორედ ამ დანაკლისის ანაზღაურებას ცდილობდა ხოლმე. თუმცა 500 დოლარის მიღების პერსპექტივამ მარია ფრიად მოხიბლა და იგი ამ მსხვერპლის გაღებაზე დათანხმდა.

მარია და ნიკოლაე უკვე შვიდი წელია ერთად არიან. უახლოეს მომავალში ისინი შვილის გაჩენასაც გეგმავენ. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, მარიას ქმრისთვის პირობა წაუყენებია, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ, იგი 500-ის ნაცვლად, 1.000 დოლარს მიიღებს – ბავშვის მშვიდად გაჩერება ხომ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

გერმანიის პოლიცია ეროი ჯვიხაა, დაჯახგუე სპილოს ეძებს

BBC News-ის ცნობით, გერმანიის პოლიცია გაქცეულ ცირკის დირექტორსა და სპილოს უკვე ერთი კვირაა ეძებს. სამართალდამცავი ორგანოების აქტიურ ქმედებას ჯერჯერობით შედეგი არ მოაქვს. ცირკის დირექტორის ვინაობას არ იტყობინებიან, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ მან ეს ნაბიჯი მას შემდეგ გადადგა, რაც მის ცირკს სპილოების შენახვის ლიცენზია ჩამოართვეს. დირექტორს ცხოველებთან უმოწყალო დამოკიდებულება დასდეს ბრალად. სპილო, რომელსაც კენია ჰქვია, სხვა ცხოველებთან ერთად, აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ გორიტცეში ჰყავდათ გამოსაზამთრებლად. პოლიციის ვარაუდით, გამტაცებელს იგი ან მოზრდილი სატვირთო მანქანით გადაჰყავს, ან დიდ თავლაში ჰყავს გადამალული. ხელისუფლება კენიის გადაადგილებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან სპილო ძალზედ დათრგუნვილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცირკის დირექტორმა კი მას გაქცევა მოუწყო. კენია დეპრესიაში მას შემდეგ ჩავარდა, რაც მას მეგობარი სპილო – რანი დაეღუპა. რანიმ უკანა ფეხი მოიტეხა. ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა: სპილო კოჭლობდა და ტკივილებისაგან იტანჯებოდა. მაშინ რანის, ნემსი გაუკეთეს და სამუდამოდ დააძინეს. ყოველივე ამას კი, კენია საკუთარი თვალით უყურებდა.

ფოტოკუიზი



თქვენი და თქვენი ოჯახის

b 13/6

ჯანმრთელობისთვის